საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№30 (121)
17 აგვისტო – 6 სექტემბერი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 7 სექტემბერს**

## პრეზიდენტი! დეიხვავით


2

## ჩერქეზები საქართველოში ჩამოსახლებას აპირებენ?


4

## ინგლისური არ იქნება, არ იქნება ძალადა... 6

საააკაშვილის ხელისუფლება თითქოსდა განგებ აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს არასრულყოფილი, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე პიროვნებების მთელი გენერაციის ფორმირებას, რომელთა მართვა მომავალში საკმაოდ იოლი იქნება



## შეთქმულებიდან ბალაგანამდე 7



## დიდ ბრიტანეთში არეულობების დროს არც წყლის ჭავლის მანქანები, არც პლასტიკური ტყვიები არ გამოუყენებიათ 8




## American Thinker ამერიკული პოლიტბიურო, ანუ HELLO COMRAD! 25



# არ ავნო ავადმყოფს! 18

გია ჟორჟოლიანი: დასავლეთი, როგორსაც დღევანდელი ხელისუფლება 11 ხატავს, არ არსებობს

ლიბერალიზმი 12 როგორც იდენტობის ლიკვიდატორი

ჰააგის ტრიბუნალს მართავს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო 13 და მი-6

ლევან ღვინჯილია: რაც მიშას დაუფრქვევია, 16 მის პრესცენტრს უსწორებია

მამა პეტრე (კვარაცხელია): 20 ეს კანონპროექტი და ის, რაც დღეს ხდება, წინაპირობაა სარწმუნოების, ქართველობის წინააღმდეგ ბრძოლის

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საშიშროების წინაშე თითქმის ყველა სახელმწიფოს მეთაური დგას, თუმცა ყველაზე მეტად იმათი ბედია სასწორზე შეგდებული, ვინც „სხვის ომში ბრძენია“. სააკაშვილი პირველი არ არის პრეზიდენტთაგან, ვინც აქტიურად ატარებს სხვა სახელმწიფოს პოლიტიკას და მისი მფარველობით პოსტსაც ინარჩუნებს. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ამჯერადაც გავხდებით არცთუ სახარბიელო ფინიშის მომსწრენი — ხანდახან თოჯინებიც გაჭირვეულდებიან ხოლმე ან ძაფები აიხლართება და მის გასწორებას გადაჭრა სჯობია... ამდენად, საფრთხე საგარეოც არის და „შიდა პოლიტსამზარეულოშიც“ ნელ-ნელა დგება „მადისაღმძვრელი სუნი“.**

# დაიცავით პრეზიდენტი —

**ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში განიხილეს რუსეთის მიერ გადაგზავნილი მასალების ასლები, რომლებიც აგვისტოს ომთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის დანაშაულებებს ასახავს. მალე სასამართლო გადაწყვეტს, დაიწყოს თუ არა გამოძიება პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ. თავის მხრივ, საქართველო რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას პასუხისგებაში მიცემას უპირებს.**



რაფაელ ტრუხილიო



ანასტასიო სომოსა



ანვარ სადათი

ამ ფონზე პრეზიდენტ სააკაშვილის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის გადაცემასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი აცხადებს: **„თუ არსებობს საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელიც ერთი, რამდენიმე სახელმწიფოს ინიაციატივით შეიქმნა და ამას მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობა, მაშინ ეს შესაძლებელია. მაგრამ, თუ ეს გარკვეული ვოლუნტარიზმი, რაიმე საერთაშორისო პროცედურით ლიდერის დამხობის მეშვეობით პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის უბრალო სურვილია, მაშინ წინააღმდეგი ვარ... ვფიქრობ, ამგვარი ტრიბუნალის შექმნა დღეს არარეალურია. ამიტომ საბოლოო განაჩენს ისტორია გამოიტანს, ხოლო შუალედურ სასამართლოს საქართველოს ამომრჩევლები გამართავენ და, მაშასადამე, თავადვე აირჩევენ, საით და როგორ განვითარდებიან“.**

როგორც ხედავთ, საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. შესაბამისად, ძნელი წარმოსადგენია, პრეზიდენტ სააკაშვილს ამ მხრივ რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს. ეს ჰააგური იწილო-ბიწილოც ხალხის თვალში „სახის შენარჩუნებას“ ემსახურება და არავითარი შედეგი არ მოჰყვება.

**მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილის საქმე არც ისე მარტივადაა, რომ იგი თვითდამშვიდების ნირვანაში ჩაიძიროს და ყურადღება მოადუნოს. მას საფრთხე მუდმივად ემუქრება და ეს საფრთხე მრავალმხრივია. ზოგადად, ამგვარი საშიშროების წინაშე თითქმის ყველა სახელმწიფოს მეთაური დგას, თუმცა ყველაზე მეტად იმათი ბედია სასწორზე შეგდებული, ვინც „სხვის ომში ბრძენია“;** ბრძენი აქ პირობითად ვიხმარე, სინამდვილეში კი სწორედ ის ვიგულისხმე, რაც ამ წუთას თქვენც გაიფიქრეთ.

**სააკაშვილი პირველი არ არის პრეზიდენტთაგან, ვინც აქტიურად ატარებს სხვა სახელმწიფოს პოლიტიკას და მისი მფარველობით პოსტსაც ინარჩუნებს. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ამჯერადაც გავხდებით არცთუ სახარბიელო ფინიშის მომსწრენი — ხანდახან თოჯინებიც გაჭირვეულდებიან ხოლმე ან ძაფები აიხლართება და მის გასწორებას გადაჭრა სჯობია... ამდენად, საფრთხე საგარეოც არის და „შიდა პოლიტსამზარეულოშიც“ ნელ-ნელა დგება „მადისაღმძვრელი სუნი“.**

ჯერ რამდენიმე პერსონა გავიხსენოთ არცთუ შორეული ისტორიიდან: **დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი რაფაელ ტრუხილიო, ნიკარაგუის პრეზიდენტი ანასტასიო სომოსა, ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი, ჩილეს პრეზიდენტი აუგუსტო პინოჩეტი, ფილიპინების პრეზიდენტი ფერდინანდ მარკოსი, არგენტინის პრეზიდენტი ხორხე რაფაელ ვიდელა, პარაგვაის პრეზიდენტი ალფრედო სტრესნერი, კუბის პრეზიდენტი რუბენ ფულხენსიო ბატისტა-ი-სალდივარი, ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე...**

ბოლო ორის შესახებ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჩემზე მეტი იცის, ზოგიერთის შესახებ კი ლათინურ ამერიკაში ვიზიტების დროს გაიგებდა, იმდენად ხშირად დადის (ალბათ, გამოცდილების გასაზიარებლად) და პერსპექტივის გათვალისწინებით ურთიერთობებსაც აღრმავებს — სად მეგობართან რომ მიხვალ „ოჯახიდან“ დევნილი, ხელცარიელი არ მოვსულვარ, ჩემი ხარჯით ვიცხოვრებ, ოღონდ „იმათ“ ხელში ნუ ჩამაგდებო და სად, — უცხოს რომ მიადგები!..

**სიის გაგრძელება შეიძლება, თუმცა ამ ჩამონათვალს მხოლოდ სამ ადამიანს დავამატებ და სააკაშვილისთვისაც ნათელი გახდება, თუ როგორ უსწორებენ ანგარიშს დიდი სახელმწიფოები მათთვის მიუღებელ პრეზიდენტებს. ესენია — რუმინეთის პრეზიდენტი ნიკოლაე ჩაუშესკუ და სერბეთის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი და ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი.**

მათი ცხოვრების დაისს ნამდვილად ვერ უწოდებ სახარბიელოს...

ახლა ცალკეული მაგალითების მიხედვით განვიხილოთ, როგორ დაასრულეს თავიანთი „მოღვაწეობა“ „სულგანათლებულებმა“ დიქტატორებმა. ზოგიერთ მათგანს აშშ-მა ბოლომდე „უერთგულა“ და საიქიოს საგზურიც გამოუწერა.

**რაფაელ ტრუხილიომ დომინიკის რესპუბლიკა საკონცენტრაციო ბანაკად გადააქცია. ეროვნული გვარდია პოლიციასთან ერთად ახშობდა საპროტესტო გამოსვლებს.** ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ უმცირესი ეჭვის შემთხვევაშიც კი — „გონივრული ეჭვის“ კი არა, როგორც ჩვენთან, არამედ „ამინდზე დაჩივლების გამოც“ კი. ტრუხილიო პირადად მონაწილეობდა ადამიანთა წამებაში და თავისი დახვეწილი სისასტიკით ჯალათებსაც კი აოცებდა. დიქტატორს აშშ მფარველობდა და მის ეროვნულ გვარდიაშიც ამერიკელებს ეკავათ წამყვანი პოსტები, მაგრამ ტრუხილიოს 30-წლიანი ტირანიაც დასრულდა. აშშ ცდილობდა, როგორმე დაეოკებინა ტრუხილიო, მაგრამ, როდესაც მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, გამოსავალიც მოინახა: სახელმწიფო დეპარტამენტის შემუშავებული ოპერაცია ცსს-ს კონტროლით განხორციელდა და გადამდგარი დიქტატორი 1961 წელს ავტომანქანაში ჩაცხრილეს...

**ანასტასიო გარსია სომოსას აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტი „თავის ძაღლისშვილს“ ეძახდა. აუგუსტა სანდინოს მკვლელობისა და ხელისუფლებაში „კონსტიტუციურად“ გაფორმებული გადატრიალების გზით მოსვლის შემდეგ იგი 20 წელი მართავდა ნიკარაგუას და ისიც პირადად აწამებდა და ხოცავდა პატიმრებს.** უფრო მეტიც, პირადი სამხეცე მოიწყო და ცხოველებს დახოცილი პატიმრების ხორცით კვებავდა, თან ხალხს რეფორმების განხორციელებას ჰპირდებოდა, მაგრამ დანაპირებს არასოდეს ასრულებდა. ხალხი კი ტყუვდებოდა, რაც დიქტატორის ქვეყნის სათავეში ყოფნას ახანგრძლივებდა. სომოსამ ხელშეკრულება გააფორმა აშშ-თან, რომლის ძალით ნიკარაგუის სამხედრო ფორმირებები სრულად დაექვემდებარა ამერიკელი სამხედრო მრჩევლების კონტროლს. სომოსას სახელს უწოდებდნენ მოედნებს, სტადიონებს, ქუჩებს, პარკებს, დაწესებულებებს... (ჩვენ ამ მხრივ ჯერ ძალიან ჩამოვრჩებით მაშინდელ ნიკარაგუას!), მაგრამ არც „დაუღალავი შრომით“ გამდიდრებული ტირანი გაახარა „ამ სოფელმა ხანგრძლივ“ — მის პატივსაცემად 1956 წელს გამართულ ბანკეტზე შეთქმულებმა დაჭრეს და აშშ-ის საუკეთესო ქირურგების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა... არადა, ხელისუფლებაში ყოფნას 40 წლის განმავლობაში აპირებდა... მოკლედ, ასე განვითარდა მოვლენები. თუ უფრო ვრცლად აინტერესებს, პრეზიდენტ სააკაშვილს საშუალება აქვს, მორიგი ლათინოამერიკული ვოიაჟისას ნიკარაგუის ახლანდელ პრესიდენტს — დანიელ ორტეგას გაეცნოს და ვრცლად ის მოუყვება...

**ანვარ სადათის ისტორია განსაკუთრებით საინტერესო იქნება ჩვენი უავგუსტესისთვის. მასაც ძალიან უყვარდა აღლუმები და სწორედ სამხედრო აღლუმის დროს მოკლეს 1981 წელს.** თუმცა მანამდე იყო რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება. შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ციხეშიც იჯდა და იქაური მძიმე პირობებიც გამოსცადა. ალბათ, ამიტომ, როცა ქვეყნის მეთაური გახდა, ბრძანება გასცა ახალი ციხეები აეშენებინათ და ეზრუნათ, რომ პატიმრებით შეევსოთ (ამას (ჩვენსას) რა რჯის, ქვეყნის მოსახლეობის 10% რომ საპყრობილეებში გამოამწყვდია, ჯერ აუხსნელია!). „საკუთარი თავის ძიებაში“ (ასე უწოდა მან თავის წიგნს) მყოფი სადათი პრეზიდენტ ნასერის თანაგუნდელი და ბოლოს მისი ვიცე-პრეზიდენტიც იყო, ნასერის გარდაცვალების შემდეგ კი, 1970 წელს პრეზიდენტი გახდა. ამის შემდეგ სადათმა ეგვიპტე თანდათან გადააქცია ამერიკის ჯარების პლაცდარმად და დიპლომატიურ ფრონტზეც აშშ-ის პოლიტიკის აქტიურ მხარდამჭერად იქცა. მაგრამ სადათმაც ამოწურა ყველა რესურსი და სიცოცხლესაც გამოეთხოვა. სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს ჰოსნი მუბარაქის 30-წლიანი მმართველობა.

**აუგუსტო პინოჩეტი** ჩილეს ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების გზით 1973 წელს მოვიდა. პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე მოკლეს. ქვეყანაში მასობრივი რეპრესიები დაიწყო. სულ მალე გაცხადდა, რომ სახელმწიფო გადატრიალება აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა განახორციელა. ამ ქვეყანამ მალევე აღიარა პინოჩეტის რეჟიმი და რეფორმების გასატარებლად ეკონომიკურმა დახმარებამაც არ დააყოვნა. სამხედრო ხუნტამ, გენერალ პინოჩეტის ხელმძღვანელობით, სისხლიანი კალო დაატრიალა: ციხეებში დაიღუპა 30 ათასი ადამიანი, 2500 კი — „უგზო-უკვლოდ დაიკარგა“. სხვათა შორის, მის შესახებ ამბობდნენ, რომ თუკი ჰოლივუდს პირსისხლიანი ჯალათის, პინოჩეტის როლის შემსრულებელი დასჭირდებოდა, თავად პინოჩეტზე უკეთესს ვერავის მოძებნიდა. უნებურად ჩნდება პარალელები. სააკაშვილის როლი ენდი გარსიამ შეასრულა, რომელიც კინოს ისტორიაში არა ამ როლით, არამედ მოდილიანით შევა. არადა, ჩვენთანაც ხშირად გაიგონებთ, თვით სააკაშვილი უკეთ შეასრულებდა „გამარჯვებული მთავარსარდლის“ როლს, გარსიამ ვერ „გაქაჩაო“, თუმცა ჩილეს და პინოჩეტს დავუბრუნდეთ. 2003 წლის სექტემბერში (საქართველოს „ვარდების რევოლუციამდე“ ზუსტად ორი თვით ადრე!) აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ერთ-ერთ ტელეინტერვიუში აღნიშნა: **„ის, რაც სენიორ ალიენდეს დაემართა 1973 წლის 11 სექტემბერს, შეერთებული შტატების ისტორიის ის ფურცელი არაა, რომლითაც შეგვიძლია ვიამაყოთ“.** ჩილეში პაუელის ეს განცხადება ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის საჯარო აღიარებად შეფასდა. ასე იყო თუ ისე, 1989 წელს ხალხმა პინოჩეტს უნდობლობა გამოუცხადა და 1990 წლის 11 მარტს გენერალმა 17-წლიანი მმართველობის შემდეგ ძალაუფლება სამოქალაქო პრეზიდენტს გადასცა. 10 წლის შემდეგ დაიწყო მისი სამართლებრივი დევნა მკვლელობებთან, ადამიანის გატაცებასა და წამებასთან დაკავშირებული 100-ზე მეტი ფაქტის გამო, თუმცა მრავალი სასამართლო პროცესის შემდეგ გენერალი ჭკუასუსტ მოხუცად ცნეს, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან მისი გათავისუფლების საბაბი გახდა. ვაშინგტონი კმაყოფილი დარჩა, ჭკუასუსტი ნადიქტატორალი კი 2006 წელს, 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**ფერდინანდ მარკოსი მთელი პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე ვაშინგტონთან იყო დაკავშირებული. ამერიკის უმაღლეს ხელი-** ▶



ფერდინანდ მარკოსი



აუგუსტო პინოჩეტი



მუჰამედ ზია-ულ-ჰაკი



ხორხე რაფაელ ვიდელა



ალფრედო სტრესნერი



რუბენ ბატისტა

**ალასანია ვაშინგტონისთვის მისაღები კანდიდატურაა. მას იქ იცნობენ, ეპატიჟებიან და ბევრი ლაპარაკიც არ უყვარს, ბოკერიას არამხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაში აქვს მდგომარეობა განმტკიცებული, არამედ — ოკეანის გაღმაც, ხოლო რურუა ჯერ კიდევ 90-იან წლებში „ჩასწვდა ამერიკის სულს“. მერაბიშვილისთვის გაცილებით მისაღებია უგულავას კანდიდატურა, რომელსაც ადვილად მართავს, უშიშროების პოლკოვნიკ ალასანიას კი, მის ხასიათსა თუ ბეგრაუნდსაც რომ თავი დავანებოთ, ადვილად ვერ მოდრეკს. იქნებ პირიქითაც მოხდეს. ვის მხარეს დადგება პრეზიდენტი?**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მისი სიცოცხლე საფრთხეშია!

**სუფალთაგან არავისთან ჰქონია უშუალო კავშირი, მაგრამ ფინანსური დახმარების სახით ამერიკის ბიუჯეტს მილიარდობით დოლარი გამოლღიტა.** სამაგიეროდ, 1965 წლიდან, ანუ ქვეყნის სათავეში მოქცევისთანავე ითვალისწინებდა აშშ-ის ინტერესებს და მათ სამხედრო ბაზებს ფილიპინების ტერიტორიაზე ინახავდა. ამასთან, ქვეყანას მკაცრი ხელით მართავდა და ბევრი მეცნიერი, ჟურნალისტი თუ მრეწველი გისოსებს მიღმა გამოამწყვდია. ამ უკანასკნელების საკუთრების ექსპროპრიაცია კი ჩვეულებრივი ამბავი იყო, ამიტომაც ბევრი საზოგადო მოღვაწე, მარკოსის დიქტატურისგან თავის დასაღწევად იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. 1986 წელს ვადამდელ არჩევნებში დამარცხებული მარკოსი იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო და ნაძარცვიც თან წაიღო. მან ჰავაის შეაფარა თავი. არჩევნების შედეგების გაცნობისთანავე აშშ-მა დაასკვნა, რომ მარკოსის ძალით შენარჩუნება უაზრობა იყო და შესაძლოა რეგიონში სერიოზული პრობლემებიც გასჩენოდა. ამასთან, კორასინ აკინოს, მარკოსის ოპონენტს, რეიგანის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კარგი კონტაქტები ჰქონდა და საბოლოოდ ფსონი მასზე დადეს. 20-წლიანი მმართველობის მანძილზე სიხარბითა და ფუფუნებით გამორჩეულმა მარკოსების დესპოტურმა რეჟიმმა ქვეყანა ეკონომიკურად გამოფიტა, რისთვისაც ფერდინანდ მარკოსმა თანამემამულეთა ზიზღი დაიმსახურა და დევნილობაში უსახელოდ აღესრულა.

**ზია ულ-ჰაკიც ბევრი სხვა დიქტატორის ბედს იმეორებს — აშშ-ის მიერ ხელდასხმა, ხელისუფლების მწვერვალზე ასვლა, დამხობა, განდევნა ან ფიზიკური განადგურება.** ისიც ამერიკელების ინტერესებს ატარებდა პაკისტანში და რადიკალ ისლამისტებსაც „ეფლირტავებოდა“. 1988 წელს კი მისი 11-წლიანი დიდების მზეც ჩაესვენა, უფრო სწორად, ცაში დაიფერფლა. თვითმფრინავში მასთან ერთად დაიღუპნენ ამერიკელ მრჩეველთა გუნდის მეთაური პაკისტანში, გენერალი უოსომი და აშშ-ის ელჩი არნოლდ რაფელი. ამ დროისთვის ზია ულ-ჰაკი იმდენად გამოუსადეგარ პოლიტიკოსად იქცა მფარველებისთვის, რომ მისი და პაკისტანის იმდროინდელი მმართველი ელიტის ტრაგიკულად დაღუპვის გარემოებების გარკვევით თავი არავის მოუკლავს. ვერსია „ღვთის სასჯელი“ ერთნაირად მისაღები იყო დიქტატორის მომხრეებისთვისაც და მოწინააღმდეგეებისთვისაც.

**ხორხე რაფაელ ვიდელას 49 დანაშაულში ედება ბრალი და სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.** ვისაც გახსოვთ ფილმი „ოცნება არგენტინაზე“ (ანტონიო ბანდერასის თაყვანისმცემლებს აუცილებლად გეცოდინებათ), ადვილად წარმოიდგენთ, რა საშინელებები დაატრიალა ვიდელამ სულ რაღაც 7 წელიწადში. მკვლელობების ორგანიზება, ადამიანთა გატაცება და წამება იმდროინდელ არგენტინაში „ჩვეულებრივი ამბავი“ იყო. 2010 წელს 84 წლის დიქტატორი თავისი 33 პოლიტიკური ოპონენტის შვილების გატაცებისთვის სასამართლოს წინაშე წარსდგა. რეჟიმის მოწინააღმდეგეებს სასტიკად უსწორდებოდნენ, ხუნტამ საგანგებოდ ამისთვის შექმნა „სიკვდილის ესკადრონები“, რომლებშიც სხვადასხვა მონაცემებით, 15-დან 25 ათასამდე ადამიანი შედიოდა. ეს იყო დაახლოებით ჩვენი „ნაცზონდერების“ მსგავსი ჯგუფები, ოღონდ უფრო ორგანიზებული. სპეცფორმებში გამოწყობილები სახეებსაც არ მალავდნენ. „ბინძური ომს“ 30 ათასი ადამიანი შეეწირა, 500 ათასი კი — ქვეყნიდან გაიქცა. უკვალოდ გაუჩინარდა ბევრი ცნობილი მხატვარი, მწერალი, მსახიობი, პუბლიცისტი; დაწვეს მილიონობით წიგნი, მათ შორის მარქსის ნაწარმოებებიც. 1981 წელს ვიდელა თანამოაზრეებმა აიძულეს, პრეზიდენტის პოსტი დაეტოვებინა, ორი წლის შემდეგ კი ხუნტაც დაემხო. პირველად ვიდელას 1985 წელს მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა, 5 წლის შემდეგ კი პრეზიდენტმა კარლოს მენემმა საჯაროდ მიუტევა ხუნტის წევრებს, რამაც ხალხი აღაშფოთა. ვიდელა და მისი ხუნტის წევრები მაინც გაათავისუფლეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ 2008 წელს 83 წლის დიქტატორი ისევ გაიხსენეს ახალი ბრალდებების გამო და კვლავ საპყრობილეში გამოამწყვდიეს. პრეზიდენტ სააკაშვილს მისი მონახულების შესაძლებლობაც აქვს ლათინოამერიკული ტურნეს ფარგლებში. თავის კოლეგას — ქრისტინა ფერნანდესს სთხოვოს და უჩვენებს, როგორი მომავალი ელის...

**ალფრედო სტრესნერს თავის დროზე დიდი ნდობა გამოუცხადა პარაგვაის პრეზიდენტმა ფედერიკო ჩავესმა და მწარედაც ინანა: 1954 წელს სწორედ მისგან აღზევებულმა გენერალმა დაამხო. სტრესნერი აშშ-ის ერთგული იყო, რაც არაერთხელ დაამტკიცა.** სააკაშვილისთვის და მისი „ნაცმოძრაობისთვის“ განსაკუთრებით საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ პარაგვაი გერმანელი ნაცისტების თავშესაფრად იქცა — სტრესნერმა 200 ათასი კაცი შეიფარა. დევნილი კოლეგას — ანასტასიო სომოსასაც მან უმასპინძლა, თუმცა სანდინისტებმა მოუკლეს. გენერალისიმუსის პრობლემებიც აქედან დაიწყო. 1984 წელს დიქტატორს, რომელსაც ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ირჩევდნენ და რომელიც საკუთარ თავს „რესპუბლიკის კონსტიტუციურ პრეზიდენტს“ უწოდებდა, ამერიკელმა მეგობრებმა მიანიშნეს, რომ უნდა გადამდგარიყო (გაითვალისწინეთ, რომ ამ დროს პრეზიდენტმა რეიგანმა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარება დაიწყო). 1989 წელს დიქტატორი უსისხლო გადატრიალების შედეგად დააპატიმრეს, რამდენიმე დღეში კი ოჯახიანად ბრაზილიაში გაიქცა და თავშესაფარიც მიიღო, სიცოცხლის ბოლო წლები დიქტატორმა თითქმის სრულ მარტოობაში გაატარა და იქვე გარდაიცვალა. მისი ცხედრის სამშობლოში დაკრძალვაზე პარაგვაის ხელისუფლებამ უარი განაცხადა.

**ასე დაასრულეს თავიანთი „მოღვაწეობა“ და სიცოცხლეც დიქტატორებმა, რომლებიც ერთ დროს თავზარს სცემდნენ მილიონობით ადამიანს. როგორ დამთავრდება პრეზიდენტ სააკაშვილის „დემოკრატიული მარში“ დიქტატურისკენ, ძნელი სათქმელია,** თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლილ და კიდევ ორ შემთხვევას, გარკვეული წარმოდგენის შექმნა მაინც შეიძლება.

ეს ორიც ვნახოთ:

**ნიკოლაე ჩაუშესკუს** მიმართ აშშ თავიდან კეთილად იყო განწყობილი, რადგან მხარი არ დაუჭირა სსრკ-ის შეჭრას ავღანეთში და 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ბოიკოტს, მოითხოვდა ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ერთდროულ რეფორმირებას, მაგრამ 1989 წელს სწორედ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მონაწილეობდა ჩაუშესკუს დამხობასა და მკვლელობაში.

**2000-2001 წლებში, როდესაც „მოქკავშირის“ ახალგაზრდა რეფორმატორები პრეზიდენტ შევარდნაძეს ჯერ კიდევ ფარულად უპირისპირდებოდნენ, პრესაში გაჩნდა წერილები და ინტერვიუები, რომლებშიც მას ჩაუშესკუს ადარებდნენ. მომდევნო 2002-2003 წლებში კი ეს შედარება ქართული პრესის ყოველდღიურ ანშლაგად იქცა, რაც არამხოლოდ შევარდნაძის, არამედ მისი ოჯახის წევრების განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი და არც პრეზიდენტი ამხელდა, რა იყო მათი აღშფოთება-შეშფოთების მიზეზი. ახლა კი ცხადი გახდა, რომ ვაშინგტონისგან მწვანეანთებული „რეფორმატორები“ პრეზიდენტზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ. მათ კარგად იცოდნენ თავიანთი პატრონებისგან, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა იმდროინდელ მინისტრს სრული ინფორმაცია ექნებოდა ჩაუშესკუს აღსასრულის შესახებ.**

**სადამ ჰუსეინს ბედი დიდხანს სწყალობდა. ხელისუფლების მწვერვალებისაკენ მიმავალმა ათობით შეთქმულება და თავდასხმა გამოიარა. იგი სასტიკად ანადგურებდა პოლიტიკურ კონკურენტებსა და მათ ახლობლებს.** 1980 წლის სექტემბერში სადამ ჰუსეინმა ხანგრძლივი და დამღლელი ომი წამოიწყო ირანის წინააღმდეგ. ამ ავანტიურას მხარი დაუჭირა ვაშინგტონმა, რომელსაც სურდა, სადამის ხელით ჩაეხშო ისლამური რევოლუცია. მაგრამ სხვა დროება დადგა და აშშ-მა დიამეტრულად შეცვალა ურთიერთობა ერაყთან და მიზნად დაისახა ბაღდადში პროდასავლური და „უფრო დემოკრატიული“ რეჟიმის დამყარება. სადამი არასასურველი პერსონა აღმოჩნდა და მისმა მოკავშირეებმა სიკვდილით დასაჯეს.

**ასეთია მსოფლიო გამოცდილება. თუ მეტყვით, რომ ამ ადამიანებს არაფერი აქვთ საერთო სააკაშვილის მმართველობის სტილთან, გირჩევთ, გაეცნოთ დიქტატორების ვრცელ ბიოგრაფიებს და ადვილად დაინახავთ, რომ ისინი ერთი კვერცხუჯრედის ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს.**

„დათა თუთაშხიას“ იმ მონაკვეთს თუ გავიხსენებთ, სადაც გრაფი სეგედი აზრაგის ცხოვრებაზე ლაპარაკობს, **დიქტატორების ცხოვრებაც, „არშიყი ქალის ცხოვრების დარად, შედგება იმისგან, რაც მან ჩაიდინა და სამძებრო დაწესებულებებისთვის ცნობილი გახდა; იმისგან, რაც მას არ ჩაუდენია და მიეწერა; და იმისგან, რაც მან ჩაიდინა და გაგებით კი ვერავინ ვერაფერი გაუგო“.**

ჩვენ გვექნება იმის შესაძლებლობა, მომავალში მაინც გავიგოთ, რაც ვიცით, იმის გარდა, კიდევ რა ჩაიდინა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისეთი, რის დამალვასაც გულმოდგინედ ცდილობენ მისი გარემოცვის წევრები; ისინი, ვინც ახლა სააკაშვილის „მონუმენტურ“ ფიგურას ეფარება და ერთი სული აქვს განსასჯელის სკამზე დასვას, ანდა შორეულ ქვეყანაში ან სულაც „იმის იქით“ გაისტუმროს.

ასეთი კი ხელისუფლებაშიც მოიძებნება და ოპოზიციაშიც. სახელისუფლო წრეებში აქტიურად განიხილება პოსტსააკაშვილისეული პერიოდი, იქმნება დაჯგუფებები და ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ სწორედ ის „ფეისები“, ვინც პრეზიდენტ სააკაშვილს ერთგულებას ეფიცება, სინამდვილეში კი თითოეულ მათგანს ხელში ჩაბღუჯული აქვს „ბრუტუსის მახვილი“.

**ირაკლი ალასანიას შორსგამიზნული თანამშრომლობა უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან (ხომ გახსოვთ ალასანიას სიტყვები — ძალაუფლება ბოკერიას აქვს და, აბა, ვისთან ვისაუბროო) და „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაჯგუფების ფავორიტად „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის გამოკვეთა სერიოზულად აღიზიანებს გიგი უგულავასა და მის მფარველ ძალოვანთა დაჯგუფებას. მნიშვნელოვანია, თუ რა პოზიციას დაიკავებს სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი სერიოზული პერსონა ნიკა რურუა. თუ გავითვალისწინებთ კიდევ ერთ და, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანეს გარემოებას, რომ ბოკერია-ალასანია-რურუას ფრთას თავის ლევან რამიშვილიანად მჭიდრო ურთიერთობები აქვთ ვაშინგტონთან, ხოლო უგულავა-ადეიშვილი-მერაბიშვილის (განსაკუთრებით ამ უკანასკნელის) მიმართ რუსული მედია ერთობ კეთილგანწყობილია, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში, ანუ საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე მკვეთრი დაპირისპირების მხილველი გავხდებით.**





ვანო მერაბიშვილი

**ალასანია ვაშინგტონისთვის მისაღები კანდიდატურაა. მას იქ იცნობენ, ეპატიჟებიან და ბევრი ლაპარაკიც არ უყვარს, ბოკერიას არამხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაში აქვს მდგომარეობა განმტკიცებული, არამედ — ოკეანის გაღმაც, ხოლო რურუა ჯერ კიდევ 90-იან წლებში „ჩასწვდა ამერიკის სულს“.**

**მერაბიშვილისთვის გაცილებით მისაღებია უგულავას კანდიდატურა, რომელსაც ადვილად მართავს, უშიშროების პოლკოვნიკ ალასანიას კი, მის ხასიათსა თუ ბეგრაუნდსაც რომ თავი დავანებოთ, ადვილად ვერ მოდრეკს. იქნებ პირიქითაც მოხდეს.**



გიგა ბოკერია

ამდენად, რაღა დარჩენიათ დაპირისპირებულ მხარეებს? — სააკაშვილის ფიგურის გამოყენება საკუთარი მიზნის მისაღწევად. ეს კი სწორედ ის შემთხვევაა, როცა „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და არაფერ შუაშია სახელმწიფო ინტერესები. **ვის მხარეს დადგება პრეზიდენტი? — ვინც მას უსაფრთხოების გარანტიებით უზრუნველყოფს. მაგრამ მისთვის ეს გარანტიები პრაქტიკულად არ არსებობს. არამხოლოდ მსოფლიო, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც კი. ვაშინგტონი მას პოლიტიკურ გარანტიებს არ მისცემს, საქართველოში კი ის უკვე ყველას ეზედმეტება და, განსაკუთრებით, „ვაშინგტონურ ფრთას“.** ხოლო როგორ სწირავენ ყოფილ ფავორიტებს ამერიკელები, თუკი „თოჯინები ძაფის მოქაჩვაზე ყოველთვის არ რეაგირებენ“, ზემოთ უკვე ვისაუბრე კონკრეტული მაგალითებით. შემცვლელის პოვნაც არ გაუჭირდებათ...



ირაკლი ალასანია

**აი, ამ სიტუაციაში ჰკითხა ცნობილმა ჟურნალისტმა, „ეხო მოსკვის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსეი ვენედიქტოვმა პრეზიდენტ მედვედევს სააკაშვილის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის გადაცემის შესახებ და პასუხიც მიიღო: „თუ ეს გარკვეული ვოლუნტარიზმი, რაიმე საერთაშორისო პროცედურით ლიდერის დამხობის მეშვეობით პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის უბრალო სურვილია, მაშინ წინააღმდეგი ვარო“.**

**ასე რომ, პრეზიდენტ სააკაშვილს სერიოზული საფრთხე ემუქრება და მხოლოდ მე ნუ მომენდობა, ამ საგულისხმო მაგალითებზე თვითონაც იფიქროს, თავი მხოლოდ იმიტომ ხომ არ ადგას მხრებზე, რომ შადრევნიდან მაღალი წნევით ამოტყორცნილი წყალი მუცელში არ ჩაუვიდეს... ისიც ჩვენსავით „საკმარისად მაჩანჩალა და უბედური“ ხომ არ იყო, მასაც ჩვენსავით ხომ არ არწმუნებდნენ, რომ „მათხოვარი, ჩამორჩენილი და გონებაჩლუნგია“... ნურას უკაცრავად!**

**ბონდო მძინარაშვილი**



ნიკა რურუა

სრული ვერსია იხ. WWW.GEWORLD.GE

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავტორიტარი მმართველი არ შეიძლება ბოლომდე ენდოს თანაგუნდელს და მათ კონტროლქვეშ მყოფ ძალოვან სტრუქტურებს, რაოდენ ერთგულნიც უნდა ჩანდნენ ისინი. ამასთანავე, არის სიტუაციები, როდესაც ადგილობრივი ძალოვნები „ყველაფერზე ხელს ვერ მოაწერენ“...

## გა[illegible]ზებულნი



**ილია მეორე,** **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

ღმერთმა ინებოს, რომ საქართველო გამთლიანდეს. მე მინდა, დიდი სიყვარულით და სასოებით მივმართო ჩემს მრევლს — მორწმუნე ადამიანებს აფხაზეთში: ჩვენ ვიყავით ერთად და უნდა ვიყოთ ერთად. თუ გვინდა, აფხაზეთის და საქართველოს გადარჩენა, უნდა ვიყოთ ერთად, რომ მტერმა ვერ დაგვძლიოს. მინდა, დავლოცო ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველები და ოსები. ეს არის ძირძველი ქართული მიწა-წყალი და ჩვენ ერთად ბედნიერები ვიქნებით.

*„პირველი“*



**მიხეილ სააკაშვილი,** **საქართველოს პრეზიდენტი:**

ბათუმის ახალი ოპერის თეატრი, არ დაგიმალავთ, რომ ჩემი სისუსტე იყო. ბევრჯერ მოვედი აქ მშენებლობის სანახავად, ეს არის გვირგვინი იმისა, რაც კეთდება საქართველოში. ამ კულტურული ცენტრის დაბადება დიდი ქართული კულტურის აღორძინების დასაწყისია.

*„პირველი“*



**ირაკლი ალასანია,** **„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივა არ ჩანს, ეს თვითონაც მშვენივრად იციან და ამიტომაც ცდილობენ, აღარც გაიხსენონ.

*„ყველა სიახლე“*



**დემურ გიორხელიძე,** **ეკონომიკის ექსპერტი:**

მცდარი და არასერიოზულია გავრცელებული აზრი, თითქოს სანამ პერსონალური შეუთავსებლობები იქნება ლიდერთა შორის, მანამდე საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა არ დაიძვრება. როდესაც საკითხი ეხება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გრძელვადიან პერსპექტივებს, პოლიტიკოსები სხვაგვარად მოქმედებენ.

*„რეზონანსი“*

# ჩერქეზები საქართველოში ჩამოსახლებას აპირებენ?

**ხანდახან ისე ხდება, რომ შორეულ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები შეიძლება უშუალოდ შეგვეხოს. სიტუაცია სირიაში დღითიდღე რთულდება. დღეს ვერავინ გამორიცხავს ამ ქვეყანაში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას, რაშიც ამა თუ იმ ფორმით რეგიონის (და არა მხოლოდ) წამყვანი სახელმწიფოები ჩაერთვებიან. მიჩნეულია, რომ ეს მოვლენები საქართველოზე მხოლოდ ირიბ გავლენას მოახდენს, თუმცა არის ერთი გარემოება, რომელმაც შეიძლება ისინი ჩვენთვის ფრიად აქტუალური გახადოს; საუბარია სირიაში მცხოვრებ ჩერქეზებზე.**




### სხვა ჩერქეზეთი სად არის...

**ერთი თვის წინ ცნობილი გახდა, რომ სირიაში მცხოვრებმა ჩერქეზებმა საქართველოს ხელისუფლებას დროებითი თავშესაფარი სთხოვეს; წერილი ამის შესახებ ჩერქეზთა კონგრესის ადგილობრივმა წარმომადგენელმა ანდრო გაბისონიამ მიიღო.** „წერილში ნათქვამია, რომ სირიაში მიმდინარე მოვლენები იქ მცხოვრებ ჩერქეზებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის და ქვეყანაში მათი დარჩენა დღითიდღე უფრო სახიფათო ხდება. სირიული დიასპორის წარმომადგენლები წერენ, რომ ჩერქეზებს ქართველებთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ და სწორედ ამიტომ სურთ ამ დროებითი თავშესაფრის მიღება“ („GHN“). **ამ მიმართვამდე ორი თვით ადრე საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ“, რომელმაც რიგ ჩერქეზულ ორგანიზაციებს, შესაძლოა, შეუქმნა მყარი შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მათ მიმართ განსაკუთრებით კეთილგანწყობილია; ამ რაკურსით, თავშესაფრის თხოვნა შეიძლება განვიხილოთ როგორც ხსენებული რეზოლუციის პირველი ნაყოფი.**

**სიტუაცია რთულია: ერთის მხრივ, საქართველო ყოველთვის აძლევდა თავშესაფარს ადამიანებს, რომლებიც სასიკვდილო საფრთხეს გაურბოდნენ, თუმცა, მეორეს მხრივ, ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა ათი ათასობით ლტოლვილის მიღების შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა; საქართველოს საკუთარი დევნილებისთვის ვერ მოუვლია.**

სირიაში გადახვეწილი ჩერქეზების ცხოვრება დალხენილი არასოდეს ყოფილა. მათი დიდი ნაწილი ქალაქ ელ-კუნეიტრაში და მის მიდამოებში ცხოვრობდა. 1973 წელს, „ექვსდღიანი ომის“ დროს, ეს ქალაქი განადგურდა, იქ აღარავინ ცხოვრობს. ჩერქეზებს იმ ადგილებიდან აყრა და სირიის სხვა რაიონებში გადასახლება მოუწიათ. სერიოზული პრობლემები დღესაც ექმნებათ.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ჩერქეზების ნაწილმა (ჯგუფებმა, გავლენიანმა ოჯახებმა) ბოლოდროინდელ სამოქალაქო კონფლიქტში ნეიტრალიტეტის დაცვა ვერ მოახერხა და მხარში პრეზიდენტ ასადს ამოუდგა, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა რეჟიმის სასტიკ სადამსჯელო აქციებში აქტიური მონაწილეობა მიიღო, რამაც ასადის მოწინააღმდეგეთა რიგებში ანტიჩერქეზული განწყობების სწრაფი ზრდა გამოიწვია. ეს ინფორმაცია შემდგომ გადამოწმებას საჭიროებს, თუმცა ის სინამდვილეს რომც არ შეესაბამებოდეს, სირიაში მცხოვრები ჩერქეზების მდგომარეობა ახლო მომავალში, სავარაუდოდ, მაინც გართულდება — ქვეყანა სისხლიან ქაოსში იძირება, ხოლო გამოსავალი არ ჩანს.

**ამ ვითარებაში სააკაშვილის ხელისუფლებას შეიძლება გარკვეული ცდუნება გაუჩნდეს. მართალია, პარლამენტმა მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, ამასთანავე, უახლოეს მომავალში ანაკლიაში ჩერქეზთა გენოციდის მემორიალი გაიხსნება, შეიქმნება ჩერქეზული კულტურის ცენტრი და მუზეუმი, უკვე გაიმართა და მომავალშიც ჩატარდება სხვადასხვა შეხვედრები, კონფერენციები და ა.შ. მაგრამ ჩერქეზთა საკმარისად წარმომადგენლობითი ჯგუფი საქართველოში არ ცხოვრობს, შესაბამისად არ არსებობს ბირთვი, „ცოცხალი ძალა“, რომელიც შეიძლება სააკაშვილის ხელისუფლების ჩერქეზული** (უფრო ზოგადად კი ჩრდილოკავკასიური) **პოლიტიკის საყრდენი გახდეს. რამდენიმე ათასმა** (ან, საწყის ეტაპზე, რამდენიმე ასეულმა) **ჩერქეზმა სირიიდან ეს როლი ნამდვილად შეიძლება შეასრულოს და გამორიცხული არაა, რომ ხელისუფლება მათი გამოყენების შესაძლებლობაზე სერიოზულად დაფიქრდეს. ის შეიძლება მოიხიბლოს 100%-ით კონტროლირებადი ჩერქეზული ორგანიზაციების შექმნის პერსპექტივით, რომლებიც აქტიურად ისაუბრებენ გენოციდზე, სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტზე, დამოუკიდებელ ჩერქეზეთზე, შეეცდებიან გავლენა სხვა ჩერქეზულ ორგანიზაციებზეც მოახდინონ და ა.შ.**

შეიძლება გაჩნდეს კიდევ ერთი, ერთობ კონსპიროლოგიური ვერსია: სააკაშვილის გადამკიდე, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ მის თავში გაიელვა აზრმა ძალოვანი საყრდენის შექმნაზე, რომელიც ადგილობრივ გავლენიან ჯგუფებზე, და ზოგადად, სიტუაციაზე საქართველოში ნაკლებად დამოკიდებული იქნება. მაგალითად, სინგაპურში არის ნეპალიდან ჩამოყვანილი გურკჰების 2000-კაციანი კონტინგენტი. საერთოდ კი, აზიური დესპოტიზმის ტრადიციებში სავსებით ბუნებრივად ჯდება უცხოტომელებით დაკომპლექტებული მმართველის პირადი გვარდიის, ერთგვარი „უკანასკნელი რეზერვის“ შექმნა, რომელიც დანარჩენი მოსახლეობისგან იზოლირებული თუ არა, დისტანცირებულია. ამ როლში ჩერქეზები არაერთგზის გამოსულან, მაგალითად, იორდანიის მეფის პირად გვარდიას ათწლეულების განმავლობაში ჩერქეზებით აკომპლექტებენ.

**მართალია, ამ შენაერთის და გურკჰების სინგაპურული კონტინგენტის ფუნქციები განსხვავებულია, თუმცა აქ სხვა რამ არის მთავარი: ავტორიტარი მმართველი არ შეიძლება ბოლომდე ენდოს თანაგუნდელს და მათ კონტროლქვეშ მყოფ ძალოვან სტრუქტურებს, რაოდენ ერთგულნიც უნდა ჩანდნენ ისინი. ამასთანავე, არის სიტუაციები, როდესაც ადგილობრივი ძალოვნები „ყველაფერზე ხელს ვერ მოაწერენ“, არა იმდენად თანდაყოლილი ჰუმანურობიდან, რამდენადაც საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.**

ასეთ სიტუაციებში საჭირო ხდება „უცხოური ლეგიონი“, განსხვავებული ინსტრუმენტი, რომელიც, მათ შორის, „თავგასული ფეოდალების“ წინააღმდეგ გამოიყენება და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ მოსახ- ▶

**მიუხედავად იმისა, რომ თბილისსა და ბათუმში რუსი სამხედროები არ დგანან, სამხედრო თვალსაზრისით, საქართველოს, ფაქტობრივად, რუსეთი აკონტროლებს**

## მოკლედ

### სირია უკეთესი ქვეყანა იქნება?

**გაეროს უშიშროების საბჭოში სირიის საკითხზე მსჯელობისას ბრიტანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სირიაში არეულობის დაწყებიდან დღემდე 2 ათასი ადამიანი დაიღუპა, დაკავებულია 13 ათასი, ათი ათასობით ადამიანმა კი მეზობელ თურქეთს შეაფარა თავი.** აშშ-ის ელჩმა გაეროში განაცხადა, რომ, ვაშინგტონის აზრით, „სირია უკეთესი ქვეყანა იქნება“ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის გარეშე, რომელმაც ყველანაირი ლეგიტიმაცია დაკარგა.

UNITED STATES POSTAL SERVICE™

### აშშ-ის ფოსტა კადრებს 120 ათასით ამცირებს

**აშშ-ის სახელმწიფო საფოსტო სამსახური (USPS) იძულებულია თანამშრომელთა რაოდენობა 120 ათასით შეამციროს და უარი თქვას საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის პროგრამაში მონაწილეობაზე, მაგრამ აღნიშნულის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება კონგრესის მისაღებია.** ცნობილია, რომ ფოსტის ზარალი მიმდინარე ფინანსური წლის 9 თვეში 5,5 %-ით გაიზარდა და 5,4 მილიარდი დოლარი შეადგინა. ასეთ ფონზე კომპანიამ შესაძლოა სულ მალე დეფოლტიც კი გამოაცხადოს, თუკი კონგრესი მის დახმარებაზე უარს იტყვის და კომპანიას თანამშრომლების დათხოვნის უფლებას არ მისცემს.

# პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ სააკაშვილის ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით აქტიურობას არ შეწყვეტს, კრემლი მის წინააღმდეგ ყველა ბერკეტს აამოქმედებს და გამორიცხული არაა, საუბარი საქართველოში კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების აუცილებლობაზე დაიწყოს.**

ლეობასაც სასტიკად უსწორდება, რადგან მასთან არაფერი აკავშირებს.

ასეთია გურკჰების კონტინგენტი სინგაპურში და აზიელი ტირანების (ძველის თუ თანამედროვეს) უცხოელებით ან მოსახლეობის ძირითადი მასისგან დისტანცირებული უმცირესობის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული პირადი გვარდიები. **სააკაშვილის რეჟიმის განვითარების ლოგიკამ მისი თავკაცი შეიძლება ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე მიიყვანოს და ამიტომ მისი მხრიდან „ჩერქეზული გვარდიის" შექმნის შესაძლებლობაზე ფიქრი 100%-ით, ალბათ, მაინც არ უნდა გამოვრიცხოთ, მითუმეტეს რომ ჩერქეზები, როგორც წესი, მამაცი და ერთგული მებრძოლები არიან. თუმცა ვინაიდან არანაირი ფაქტები ამასთან დაკავშირებით არ არსებობს და ამ ვარაუდებს საქართველოში სირიელი ჩერქეზების შესაძლო ჩამოსვლას ვერ დავუკავშირებთ, მოვნიშნოთ ეს ვერსია, როგორც „უაღრესად კონსპიროლოგიური" და მომავალში აღარ შევეხოთ.** ის მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ (ალბათ, მეტ-ნაკლებად ლოგიკურ) ვარაუდებს და არა ფაქტებს ეფუძნება. სჯობს, იმის დადგენა ვცადოთ, თუ რა გავლენას იქონიებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, ოფიციალური თბილისის ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა, რომელიც საქართველოში ჩერქეზების მსხვილი ჯგუფის ჩამოსახლების შემთხვევაში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გააქტიურდება.

## ჩრდილოეთ ფრონტზე – ცვლილებების გარეშე

**„რუსეთსა და საქართველოს არ აქვთ საკმარისი მოტივები იმისთვის, რომ რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაცია მოახდინონ. რუსეთმა 2008 წლის ომისგან მიიღო ის, რაც უნდოდა, საქართველოს ხელისუფლებას კი ესმის, რომ მორიგი ომის შედეგები შეიძლება უფრო დამანგრეველი გამოდგეს,"** — თქვა ექსპერტმა კავკასიის საკითხებში ლინკოლნ მიტჩელმა APA-სთან საუბარში, რითაც, ალბათ, გაამყარა ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ახალი ომის დაწყება ნაკლებად სავარაუდოა. საინტერესოა, მიიღო თუ არა რუსეთმა ის, „რაც უნდოდა" და, საერთოდ, როგორია მისი პოზიციები დღეს?

რუსეთი აფხაზეთსა და სომხეთში განლაგებული საზენიტო-სარაკეტო სისტემების მეშვეობით საქართველოს საჰაერო სივრცეს აკონტროლებს. ცხინვალის რეგიონში განლაგებული ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებსა და სარაკეტო კომპლექსებს („Смерч", „Ураган", „Точка-У") შეუძლია მიწვდეს აღმოსავლეთ საქართველოს (მათ შორის დედაქალაქის) საკვანძო ობიექტებს, ხოლო **სეპარატისტულ რესპუბლიკებში განლაგებულ ძალებს შეუძლიათ პრაქტიკულად დაუყოვნებლივ „შეაჯდნენ" საქართველოს მთავარ მაგისტრალს და ქვეყანა ორ, ერთმანეთისგან იზოლირებულ ნაწილად გახლიჩონ. აქ საუბარია მხოლოდ იმ საშუალებებზე, რომლებიც უშუალო სიახლოვესაა განლაგებული; ავიაციას, სარაკეტო შეიარაღების მთელ სპექტრსა და ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებულ შენაერთებს ამჯერად არ ვეხებით.**

ეს ფაქტორები აშშ-ისა და ნატოს მიერ საქართველოს ტერიტორიისა და ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობას, რუსეთის თანხმობის გარეშე, პრაქტიკულად, გამორიცხავს, რაზეც სავსებით ნათლად მიუთითებს (მაგალითად) აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული არიელ კოენისა და პოლკოვნიკ რობერტ ჰამილტონის მოხსენება, რომელიც აგვისტოს ომის შედეგებს ეხება. **მიუხედავად იმისა, რომ თბილისსა და ბათუმში რუსი სამხედროები არ დგანან, სამხედრო თვალსაზრისით** („დიდი თამაშის" გადასახედიდან), **საქართველოს, ფაქტობრივად, რუსეთი აკონტროლებს.**

**ეკონომიკური თვალსაზრისით, მარტივად რომ ვთქვათ, რუსულმა კაპიტალმა** (ხანდახან ის სხვა ქვეყნებში რეგისტრირებულ ფირმებს იყო ამოფარებული) **საქართველოში მიიღო ყველაფერი, რაც სურდა, მთელი რიგი საკვანძო ობიექტების ჩათვლით, მათი ჩამონათვალიც კი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსების ყურადღების მიღმა არც რკინიგზისა და მაგისტრალური გაზსადენის ეტაპობრივი გასხვისება დარჩება, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება ახლო მომავალში გეგმავს. ყოველივე ეს, რუსეთის საქართველოზე კონტროლის კიდევ ერთი ასპექტია.**

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ სახელისუფლო პროპაგანდის გადაბმული ყიჟინა იმის თაობაზე, რომ „რუსეთი მოდის", ერთობ დაგვიანებულია, რადგან, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, ვნახავთ, რომ „რუსეთი უკვე აქ არის". ამ მხრივ, მიტჩელის ფრაზა „რუსეთმა მიიღო ყველაფერი, რაც სურდა" სავსებით ლოგიკური ჩანს. ირიბი კონტროლი პირდაპირზე ნაკლებად ხარჯიანია და ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის ბედზე პასუხისმგებლობის გაზიარებას არ უკავშირდება. ამ თემაზე ჯორჯ ფრიდმანმა Stratfor-ისთვის მიცემულ ბოლო ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა და თქვა, რომ **თანამედროვე რუსეთმა, შესაძლოა, მეზობელ ქვეყნებზე კონტროლის გაცილებით რაციონალური მოდელი შექმნა, ვიდრე მეფეების იმპერიამ ან საბჭოთა კავშირმა — თავის დროზე, რადგან ის უზარმაზარ ხარჯებს არ მოითხოვს.**

**სინამდვილეში ოპერატიული სივრცე, სადაც სააკაშვილის ხელისუფლებამ შეიძლება რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკა აწარმოოს, საკმაოდ შეზღუდულია; ობიექტურად თუ შევხედავთ, ის არ ფლობს სათანადო რესურსებს იმისთვის, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში კრემლის პოზიციები სერიოზულად შეარყიოს.** მაგრამ, ვინაიდან სტაბილურობა ამ რეგიონში რუსეთისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ის უაღრესად მწვავედ რეაგირებს თბილისის ნებისმიერ ნაბიჯზე, იქნება ეს ჩრდილოკავკასიელებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივება, ჩერქეზების გენოციდის აღიარება თუ სხვა. ამ დაძაბულ ფონზე, სირიიდან საქართველოში გამოქცეული ჩერქეზები შეიძლება (საკუთარი თავისთვის მოულოდნელად) მწვავე დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ.



**სინგაპურში არის ნეპალიდან ჩამოყვანილი გურკჰების 2000-კაციანი კონტინგენტი. საერთოდ კი, აზიური დესპოტიზმის ტრადიციებში სავსებით ბუნებრივად ჯდება უცხოტომელებით დაკომპლექტებული მმართველის პირადი გვარდიის, ერთგვარი „უკანასკნელი რეზერვის" შექმნა, რომელიც დანარჩენი მოსახლეობისგან იზოლირებული თუ არა, დისტანცირებულია.**



ვოიცეხ კოსაკი — „ჩერქეზები კრაკოვის გარეუბანში"

## გადატვირთვა თუ გადმოტვირთვა?

**ბოლო დროს რუსულ მედიაში სულ უფრო ხშირად ქვეყნდება ცნობები იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოკლული ესა თუ ის ბოევიკი დახმარებას საქართველოდან იღებდა.** ზოგმა ამის მიღმა შეიძლება დაინახოს მოსკოვის ერთგვარი პასუხი თბილისში აშშ-ის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე, რაც, ოფიციალური თბილისის ვერსიით, რუსმა მაიორმა ევგენი ბორისოვმა დაგეგმა. აქ შეიძლება კრემლის კიდევ ერთი გზავნილი დავინახოთ: **თუ სააკაშვილის ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით** (პოლიტიკურ, საინფორმაციო და ა.შ.) **აქტიურობას არ შეწყვეტს, კრემლი მის წინააღმდეგ ყველა ბერკეტს აამოქმედებს და გამორიცხული არაა, საუბარი საქართველოში კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების აუცილებლობაზე დაიწყოს.**

მეორეს მხრივ, მოსკოვი, სავარაუდოდ, აცნობიერებს, რომ ძალისმიერი დაპირისპირების მორიგი რაუნდი, მისთვის საერთაშორისო არენაზე გარკვეულ დისკომფორტს დაუკავშირდება და საქართველოს კონფრონტაციასა და „განმუხტვას" შორის არჩევანს სთავაზობს (დიმიტრი მედვედევის 4 აგვისტოს ინტერვიუ). **ურთიერთობების ნორმალიზაცია, სავარაუდოდ, იმასაც გულისხმობს, რომ თბილისში „ახალ კავკასიურ პოლიტიკას" სამუდამოდ დაივიწყებენ. მოგვწონს თუ არა, ეს რეალობაა: მეზობელი ზესახელმწიფო თავის პოზიციას აფიქსირებს და პრეტენზიებს გამოთქვამს. როგორი იქნება საქართველოს პასუხი: კონფრონტაცია თუ „განმუხტვა"?**

სირიელი ჩერქეზების (ღმერთმა გაძლება მისცეთ) შესაძლო ჩამოსახლება საქართველოში ამ კონტექსტში პოლიტიკურ ელფერს შეიძენს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მისცე დროებითი თავშესაფარი ადამიანებს, რომლებიც სასიკვდილო საფრთხეს გაურბიან, ეს, მარტივად რომ ვთქვათ, არაკაცობაა, მაგრამ ძალიან უპასუხისმგებლო და შესაძლოა, ასეთივე ამორალური იქნება ამ ადამიანების ჩათრევა პოლიტიკურ თამაშში, რაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რუსეთის წინააღმდეგ მათ შესაძლო გამოყენებას გულისხმობს. არადა, **ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი ჩვენი მოღვაწე ჩერქეზებს სწორედ ამ რაკურსით, როგორც ერთგვარ რესურსს, უყურებს. ასეა თუ ისე, ფაქტია — პრობლემა რთულია; ის სერიოზულ დაფიქრებასა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს.**

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი

**ლაშა ჩხარტიშვილი, „კონსერვატიული პარტიის" წევრი:**



ე.წ. ცნობილი ფეისების ჩამოსაყვანად მთავრობა ხარჯავს იმ ფულს, რომელიც მოსახლეობის ძარცვით, ჯარიმების, საპროცესო გარიგებების გზით შედის ქვეყნის ბიუჯეტში.

*„ყველა სიახლე"*

**დავით ლილუაშვილი, „საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის" ომბუდსმენი:**



დევნილთა სამართლიანი მოთხოვნების სრული იგნორირება, დევნილებთან სამინისტროს მხრიდან ულტიმატუმის ენით საუბარი, მათი დაშინება და შანტაჟი, დღემდე შეუსრულებელი დაპირება ფულადი კომპენსაციის გაცემასა და ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, — ეს არის ხელისუფლების პოლიტიკა, საქართველოს მოსახლეობასა და საერთაშორისო საზოგადოებას თვალებში ნაცარი შეაყაროს.

*„პირველი"*

**სოფიო ხორგუანი, „ქართული პარტიის" პოლიტსაბჭოს წევრი:**



ჩვენ ჯერ აფხაზებისა და ოსების ნდობა უნდა დავიბრუნოთ. ისინი ხომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მიუხედავად იმისა, რა სამართლებრივი სტატუსი აქვთ დღეს. აფხაზეთიდან დევნილი ვარ და ვიცი, ადრე თუ გვიან ჩემს აფხაზ მეზობლებთან შეხვედრა მომიწევს.

*„ყველა სიახლე"*

**ვალერიან გორგილაძე, სოციოლოგი:**



შესაძლოა, მომავალი საპროტესტო აქციების ძირითად ლაიტმოტივად სწორედ ეროვნულ იდენტობის და მის შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხი გახდეს. თუკი გავითვალისწინებთ დაძაბულობას ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის, მრევლში არსებულ რადიკალურ განწყობებს, ამ ყველაფერმა შეიძლება საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღოს.

*„ინტერპრესნიუსი"*

---

**მოკლედ**

## სომალიში 500 ათას ბავშვს სიკვდილი ელის

**სომალიში უპრეცედენტო შიმშილობის გამო 500 ათასი ბავშვი დაღუპვის საშიშროების წინაშე დგას.** ამ შოკისმომგვრელ ცნობას სომალიში გაეროს წარმომადგენლობა ავრცელებს. სომალელი ბავშვების მდგომარეობას ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა დაავადებაც ართულებს. გაეროს ინფორმაციით, უპრეცედენტო შიმშილობის გამო ქვეყანას ადამიანები მასობრივად ტოვებენ. ამჟამად სომალი უკვე ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედმა დატოვა. ისინი თავშესაფარს გაეროს ოფისის ახლომდებარე ბანაკებში ეძებენ.



## ჰამიდ ყარზაი მესამე ვადით გაპრეზიდენტებას არ აპირებს

**ავღანეთის პრეზიდენტის — ჰამიდ ყარზაის განცხადებით, მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში იგი საკუთარ კანდიდატურას აღარ დააყენებს.** ავღანეთის ლიდერის ზოგიერთი პოლიტიკური ოპონენტი შიშობდა, რომ ყარზაი, რომელიც ხელისუფლების სათავეში 2001 წლიდანაა, პრეზიდენტის პოსტზე დასარჩენად კონსტიტუციის შეცვლას შეეცდებოდა, თუმცა მან პარლამენტართა ჯგუფს განუცხადა, რომ კონსტიტუცია ორჯერ მეტი ვადით პრეზიდენტობის უფლებას არ აძლევს. ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნები 2014 წელს ჩატარდება.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ პარალელებს სინგაპურთან გავავლებთ, ეს შეიძლება იყოს მთავარ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გადაყვანა ინგლისურ ენაზე, პერსპექტივაში კი — ინგლისურისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება; სინგაპურის ყოფილი პრემიერი ლი კუან იუ აღნიშნავს, რომ გარდამტეხი მომენტი მის ბრძოლაში ინგლისური ენის დანერგვისთვის, უნივერსიტეტის „დაპყრობა“ იყო.**

# ინგლისური არ იქნება, არ იქნება ძალადა...

**ლეიბორისტულმა პარტიამ პირველი კლასიდან ინგლისური ენის სწავლების შემოღება გააპროტესტა, აგრეთვე, — ის, რომ „სტუდენტი ინგლისურს თუ არ ისწავლის, დიპლომს ვერ მიიღებს“.**

**„ანგლო-ამერიკული იმპერიალიზმის მარიონეტმა, მიხეილ სააკაშვილმა ქართული ენა მთავარ სამიზნედ ამოიღო,“ — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა და მოუწოდა „სტუდენტებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, უარი თქვან ინგლისური ენის სწავლაზე იქამდე, ვიდრე ქართული ენის დევნა არ შეწყდება“ („მედიანიუსი“).**



ზოგს ლეიბორისტების რიტორიკა შეიძლება ერთობ რადიკალურად მოეჩვენოს და ეპიზოდებში ფიდელ კასტროს მგზნებარე გამოსვლები მოაგონოს (გასულ კვირას კომანდანტე 85 წლის გახდა), თუმცა პრობლემა, რომელსაც ისინი შეეხნენ, აქტუალურია; ისიც ფაქტია, რომ ბევრ ადამიანს მთელი ეს „იძულება ინგლისურისადმი“, მარტივად რომ ვთქვათ, ყელში ამოუვიდა.

დასაწყისისთვის კარგი იქნება იმის გარკვევა, თუ როგორ ინაწილებენ როლებს ამ პროცესში „ანგლო-ამერიკული იმპერიალიზმი“ და მისი „მარიონეტი“ (ბარემ შატბერაშვილის ტერმინოლოგია ვიხმაროთ). ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ინგლისურის ტოტალური დანერგვა მიხეილ სააკაშვილის პერმანენტულ კოგნიტურ დისონანსთან დაკავშირებული სუბიექტური მოტივებიდან, მოკლედ, მისი ბანალური ახირებიდან გამომდინარეობს, თუმცა არის სხვა ვერსიაც; **ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოში გადმოსხმული არ იყო ინგლისურის მასწავლებლების დესანტი, რომელთა რიგებიდან საზოგადოებას ყველაზე მეტად, ალბათ, ფალოიმიტატორის უმისამართო ქნევაში გაწაფული ერთი ახალგაზრდა დაამახსოვრდა, სააგენტო „სინხუა“ იტყობინებოდა: „საქართველოში ინგლისური ენის სწავლებას გააძლიერებენ. ამას აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია ითვალისწინებს“.** შეიძლება გაჩნდეს ბუნებრივი კითხვა: რა შუაშია აქ ჩინეთის მთავრობის ოფიციალური ორგანო — სააგენტო „სინხუა“, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“, რომელმაც ეს ინფორმაცია ასევე გაავრცელა და რამდენად სწორია მათი ინტერპრეტაცია?

ხსენებული ქარტიის მეხუთე ნაწილში ნათქვამია: **„აშშ და საქართველო გამოხატავენ სურვილს, მოხდეს ორი ქვეყნის ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლის პროგრამების გაფართოება“,** ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია ინიციატივები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს **„კულტურულ და სოციალურ გაცვლასა და საქმიანობას“,** მათ შორისაა **„ფულბრაიტის პროგრამა“, სტუდენტური გაცვლა** და ა.შ. ბოლოს ნახსენებია **„ინგლისური ენის სწავლისა და სწავლების პროგრამა“,** თუმცა მას არაფერი აქვს საერთო იმ ღონისძიებებთან, რომელთაც სააკაშვილის ხელისუფლება ანგლოფიკაციის კუთხით ბოლო დროს მიმართავს. ისინი, სავარაუდოდ, არა უშუალოდ ქარტიის ტექსტს, არამედ მხარეთა მიერ მის შემდგომ გააზრებას უნდა დავუკავშიროთ, თორემ აშშ-უკრაინის პარტნიორობის ქარტიაში ზუსტად იგივე წერია, თუმცა უკრაინულ სასწავლებლებში ამ მხრივ სრული სიმშვიდეა. გასული წლის 21 იანვარს საგარეო საქმეთა სამინისტროში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ **„მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოში ინგლისური ენის შესწავლის მასშტაბები გაიზრდება, რადგან ეს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია“** („24 საათი“). ასე რომ, ქარტია, ალბათ, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ფუნდამენტი, რომელზეც სააკაშვილის ხელისუფლებამ თავისი სტრატეგია ააგო.

ამგვარად, „ჩინური ინტერპრეტაცია“ ფორმალურად არაზუსტია, თუმცა, პოლიტიკური თვალსაზრისით, — საკმაოდ ლოგიკური: ინგლისური ენის ტოტალური დანერგვის პოლიტიკა სათავეს აშშ-საქართველოს ქარტიიდან, უფრო ზოგადად კი, ორი ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობებიდან იღებს; ხოლო ყურადღება ამ (ჩინეთის გადასახედიდან უმნიშვნელო) ფაქტს პეკინში, ალბათ, იმიტომ მიაქციეს, რომ მის მიღმა აშშ-ის გავლენის რეალური ზრდა დაინახეს (ასეთ ფაქტებს საგულდაგულოდ აღნუსხავენ ხოლმე). მაგრამ, **როგორც** (დღეს) **შეუძლებელია იმის დადგენა, კონკრეტულად რა როლი შეასრულეს ამერიკელებმა აგვისტოს ომის ან 26 მაისის დარბევის პროვოცირებაში (ეჭვები კი გამოითქმის, მაგრამ მტკიცებულებები არ ჩანს); ასევე შეუძლებელია იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ რამდენად დიდი იყო მათი გავლენა სააკაშვილის ხელისუფლებაზე, როდესაც მან ინგლისური ენისთვის გამორჩეული სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო.** თუ ხვალ თეთრ სპილოზე ამხედრებული სოსო შატბერაშვილი „ანგლო-ამერიკელი იმპერიალისტების“ ბანაკის შუაგულში შეიჭრება და ყოველივეზე პასუხს მოსთხოვს, ისინი მშვიდად ეტყვიან: **„რატომ ბრაზობ, სოსო? ეს ხომ საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი იყო“.**

ზუსტად ერთი წლის წინ სააკაშვილმა განაცხადა: **„მთავარი მოთხოვნაა, საქართველოში მცხოვრები სკოლის ასაკის ყველა ბავშვი, 5-დან 16 წლის ჩათვლით, ინგლისურენოვანი გახდეს, რასაც მივაღწევთ მომდევნო 4 წლის განმავლობაში. როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა ჩამოიყვანა 50 ათასი ყივჩაღი და საქართველოს სახელმწიფომ შეუქცევადი მოვლენაა 3 წლის განმავლობაში 10 ათასამდე ინგლისურის მასწავლებლის ჩამოყვანა საქართველოში“.** თავი დავანებოთ იმას, რომ ფიგურანტმა, სავარაუდოდ, არ იცის რამდენი ყივჩაღი ჩამოასახლეს საქართველოში, ვინ იყვნენ ისინი, რა არის მოდერნიზაცია, აგრეთვე, მის დაჟინებულ მცდელობებს, აღმაშენებელს შეედაროს, რომელიც სააკაშვილის სამი წლის წინანდელი პირუეტების შემდეგ სასაცილოც კი აღარ არის. **მთავარი სხვა რამაა — ხელისუფლების ამ ინიციატივის ხორცშესხმას, სხვა წამოწყებებისგან განსხვავებით, უჩვეულო თანმიმდევრულობა ახასიათებს, რამაც შეიძლება გაამყაროს ეჭვი იმის თაობაზე, რომ პროექტის დაგეგმვასა და მენეჯმენტში ამერიკელი პარტნიორები უშუალოდ არიან ჩართულნი.**

პირველი შედეგები უკვე სახეზეა: ჩვენ არჩევანის თავისუფლება შეგვიზღუდეს. სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები იძულებული გახდებიან, ინგლისური ენა შეისწავლონ. სრულიად საქართველოს კი საღამოს საათებში უჩვენებენ ინგლისურენოვან ფილმებს სუბტიტრებით; მთავრობა ენის შესწავლის მსურველებისთვის ერთი ინგლისურენოვანი არხის შექმნით რომ შემოფარგლულიყო, ეს, ალბათ, ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. არიან ადამიანები, რომელთაც არც ინგლისურის შესწავლა და არც „ფილმების წაკითხვა“ სურთ და, სავარაუდოდ, ისინი ტელეაუდიტორიის ძალიან დიდ ნაწილს შეადგენენ.

**5-6 წლის ბავშვებისთვის უცხო ენის სწავლება კი უაღრესად საეჭვო, გარკვეული რაკურსით, ავანტიურისტული გადაწყვეტილებაა. პედაგოგების მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ოპტიმალური ასაკი უცხო ენის სწავლის დაწყებისთვის 8-9 წელია (მინიმუმ 7); ხოლო ორი ენის „პარალელურმა“ სწავლამ ბავშვი შეიძლება ისე დააბნიოს, რომ სათანადო დონეზე ვერც ერთს ვერ დაეუფლოს. პირველკლასელებს კომპიუტერებიც დაურიგდებათ და, შესაბამისად, მათი ათვისებაც მოუწევთ; ახალი ინფორმაციის ნაკადი იმდენად მოცულობითი იქნება, რომ, ძალიან დიდი ალბათობით, 5-6 წლის ბავშვის გონება, მის „დამუშავებას“, დახარისხებას ვერ მოახერხებს. შედეგად, ის ნორმალურად ვერც ქართულს, ვერც ინგლისურს, ვერც კომპიუტერს ისწავლის. ეს, თავის მხრივ, საფუძველს ჩაუყრის შემეცნებასთან და გამოხატვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც ბავშვის განვითარების საკვანძო პერიოდში ხელს შეუშლის სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებას.**

აქ საინტერესო მომენტს ვუახლოვდებით: აღწერილი სირთულეები არ შეიქმნება, თუ ინგლისურის (თუნდაც გაძლიერებული) სწავლება მესამე-მეოთხე კლასში დაიწყება, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლება თითქოსდა განგებ აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს არასრულყოფილი, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე პიროვნებების მთელი გენერაციის ფორმირებას, რომელთა მართვა მომავალში საკმაოდ იოლი იქნება. იმედია, ეს უმეცრებით გამოწვეული გადაწყვეტილებაა და არა გააზრებული ნაბიჯი და სოციალურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი საკუთარი მოსახლეობის ყველაზე ძვირფას და დაუცველ ნაწილზე, რაც თავისი ამორალურობით, შეიძლება მხოლოდ გენოციდის დაგეგმვასა და განხორციელებას შევადაროთ.

როგორი იქნება ხელისუფლების მომდევნო ნაბიჯები? თუ პარალელებს სინგაპურთან გავავლებთ, ეს შეიძლება იყოს მთავარ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გადაყვანა ინგლისურ ენაზე, პერსპექტივაში კი — ინგლისურისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება; **სინგაპურის ყოფილი პრემიერი ლი კუან იუ აღნიშნავს, რომ გარდამტეხი მომენტი მის ბრძოლაში ინგლისური ენის დანერგვისთვის, უნივერსიტეტის „დაპყრობა“ იყო. ამის შემდეგ ინგლისურის შესწავლა ახალგაზრდებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდება; ხოლო ქართული ნელნელა უკანა პლანზე გადაინაცვლებს.** ვიღაცამ წინარე აბზაცში შეიძლება ალარმისტული კონსპიროლოგია აღმოაჩინოს, თუმცა მსგავსი გეგმების არსებობის გამორიცხვა, ალბათ, მაინც არ შეიძლება.

რაც შეეხება უცხოელ მასწავლებლებს, რიგი ინციდენტების შემდეგ, გავრცელდა მოსაზრება, რომ ეს, უბრალოდ, უკულტურო ადამიანების ჯგუფია, რომლებსაც ფალოიმიტატორების ქნევა უხარიათ. ზოგიერთ მათგანს გავესაუბრე და მინდა გითხრათ, რომ ეს ასე ნამდვილად არ არის; ჩვეულებრივი, ზოგი საკმაოდ მეგობრული ადამიანია, მაგრამ: ა) მათი უმრავლესობა პროფესიონალი პედაგოგი არ გახლავთ; ბ) ზოგიერთი მათგანის ლექსიკა, აგრეთვე, მათ ინტერნეტ-ჩანაწერებში ორთოგრაფია და პუნქტუაცია არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათ შეუძლიათ ვინმეს კარგი ინგლისური შეასწავლონ.

ბევრ მათგანს წინ, შესაძლოა, საინტერესო ცხოვრება ელის, როგორც (მაგალითად) რეჟისორ ოლივერ სტოუნს, რომელიც ვიდრე ვიეტნამის ომზე შესანიშნავი ფილმების გადაღებას დაიწყებდა, ამ ომში მონაწილეობა მიიღო, იქამდე კი იქვე, სამხრეთ ვიეტნამში ინგლისურს ასწავლიდა (უნივერსიტეტს თავი დაანება და მოხალისე მასწავლებლად ჩაეწერა). თუმცა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას ვერც სტოუნის შაშხანამ და ვერც მისმა ინგლისურმა უშველა, მის განადგურებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი კი აგვისტოს კიდევ ერთ იუბილარს (ფიდელ კასტრო უკვე ვახსენეთ), გენერალ ვო ნგუენ ზიაპს მიუძღვის; 25-ში ის ასი წლის ხდება. იმ ომის პოლკოვნიკების უმრავლესობა ცოცხალი აღარაა, ერთი მეორეს მიყოლებით მიდიან ლეიტენანტები და რიგითები, მაგრამ გენერალი ზიაპი, რომელმაც ჯერ საფრანგეთის, შემდეგ კი აშშ-ის არმია დაამარცხა, ცოცხალია და ჯანზეა. მას XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ სარდლად მიიჩნევენ, თუმცა ძნელი სათქმელია, შეძლებდა თუ არა ზედიზედ ორი ზესახელმწიფოს ჯარების დამარცხებას იმ სისასტიკის გარეშე; თუმცა რა დროს გენერალი ზიაპია, **სამშობლო განსაცდელშია, ის, როგორც ჩანს, სულ უფრო ემსგავსება არა სინგაპურს, არამედ სწორედ რომ სამხრეთ ვიეტნამს, ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევით, მწვავე მილიტარისტული ფსიქოზით, მუდმივი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისითა და დაუოკებელი სურვილით ამერიკელ პარტნიორებს (თუ პატრონებს) დაემსგავსოს, რაც, მათ შორის, ინგლისური ენის ფორსირებულ დანერგვაში გამოიხატებოდა.**

რაც შეეხება მთელ ამ სიტუაციასთან დაკავშირებულ სუბიექტურ შთაბეჭდილებებს: შექსპირისა და ფოლკნერის ენის საწინააღმდეგო, ცხადია, არაფერი მაქვს, მას აქტიურად ვიყენებ; **ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურასა და მედიას, ოცი წელია, მხოლოდ დედანში ვეცნობი, მაგრამ „იძულებას ინგლისურისადმი“ ერთმნიშვნელოვნად აღვიქვამ, როგორც არჩევანის თავისუფლების უხეშ შეზღუდვას და ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ, რომ რაღაც მომენტში შეიძლება ამ ენის გამოყენების სურვილი გამიქრეს.**

**სააკაშვილის ხელისუფლება თითქოსდა განგებ აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს არასრულყოფილი, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე პიროვნებების მთელი გენერაციის ფორმირებას, რომელთა მართვა მომავალში საკმაოდ იოლი იქნება**

ამერიკაში კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ „ფულის საბეჭდი მანქანა“ კვლავ ამუშავდება და ისედაც გაუფასურებული დოლარი კვლავაც უზირი ადამიანების მის მიმართ ბრმა ნდობით იარსებებს. ამას კი კიდევ უფრო მეტი რესურსის გაზიდვა დასჭირდება „განვითარებადი ქვეყნებიდან“. ნავთობი და გაზი ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ამის კომპენსირება ხორცისა და სამარშრუტო ტაქსის ანომალიური გაძვირებით უნდა მოახერხონ „ოქროს მილიარდის“ წევრობის ადგილობრივმა პრეტენდენტებმა.



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეთქმულებიდან ბალაგანამდე

**შეთქმულების თეორიებში ბრალდება დღეს მეტად გავრცელებული სენია. საკმარისია, ორ მოვლენას შორის თვალსაჩინო კავშირი ან პროცესის კანონზომიერება დაინახოს ვინმემ, უმალ „კონსპიროლოგიის მომხრეობას“ დასწამებენ. ითვლება, რომ დღევანდელ არეულ მსოფლიოში ყველაფერი სტიქიურად ხდება და მასთან რომელიმე ჯგუფს ან, მით უფრო, საიდუმლო ორგანიზაციას არანაირი კავშირი არ აქვს. ნიშანდობლივია, რომ თავად ამგვარი ჯგუფების ან საიდუმლო ორგანიზაციების ყოფნა-არყოფნას არც არავინ ადასტურებს და არც არავინ უარყოფს.**



**ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი შეთქმულებისა, რომელიც ჩვენს თვალწინ გათამაშდა, ე.წ. ვარდების რევოლუცია იყო**

თავის დროზე ბრიტანული სპეცსამსახურების ყოფილმა ჩინოსანმა, ამერიკელმა პუბლიცისტმა ჯონ კოლემანმა თავის წიგნში **„300-თა კომიტეტი, მსოფლიო მთავრობის საიდუმლოებანი“** აღწერა აშშ-ის, ბრიტანეთისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს ელიტებისგან შემდგარი საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის მიზანია მსოფლიოს მოსახლეობის ერთ მილიარდამდე შემცირება. მას ჩვენი მკითხველი **„ოქროს მილიარდის“** სახელით იცნობს.

მალთუსის თეორია არ მომკვდარა და პერიოდულად იგი სხვადასხვა სახელით იწყებს ახალ სიცოცხლეს. ირწმუნებიან, რომ დედამიწის რესურსები არასაკმარისია იმისთვის, რათა 7 მილიარდი ადამიანი გამოკვებოს, ამიტომ გახდა თურმე საჭირო გენმოდიფიცირებული სურსათი. მათ, ვინც ორგანიზმების გენეტიკაში ჩარევას ღვთის გმობად აფასებს, „ბნელებად“ ნათლავენ, მაგრამ ჯიუტად დუმან იმაზე, რომ **ბუნების წინააღმდეგ** (ამ გამოთქმას საგანგებოდ მათთვის ვხმარობ, ვისაც ღმერთის ხსენებაზე რაციონალური აზროვნების უნარი ეკარგება) **მიმართული სელექციაც კი ყოველთვის უნაყოფო არსებას ბადებს. მაგალითად, ცხენისა და ვირის შეჯვარებით ჯორი მიიღება, მაგრამ თავად ჯორის შთამომავლობა ვერასოდეს ეყოლება. ეს სხვა ორგანიზმებთან დაკავშირებითაც დადასტურდა. საოცარი დამთხვევაა, მაგრამ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემთხვევაშიც ზუსტად ასეა.**

თუმცა მალთუსის თეორიასა და გლობალურ შეთქმულებებს მივუბრუნდეთ. სინამდვილეში დედამიწის რესურსები, გონივრული გამოყენებისა და სამართლიანი განაწილების შემთხვევაში, გაცილებით მეტ ადამიანს არჩენს, ვიდრე ამას გვიმტკიცებენ, მაგრამ სოციალური სამართლიანობა და ჰუმანიზმი ის სიტყვები, რომელბიც დემოკრატიის სახელით მსოფლიოს მძარცველი ელიტისთვის ადრეც მიუღებელი იყო და ახლაც. **დასავლური ცივილიზაცია, რომელმაც, დიდი ხანია, დაიწყა თავშეკავება, რაიმეზე უარის თქმა, ოდნავი დისკომფორტის მოთმენაც კი, კვლავაც სხვათა რესურსების მიტაცებით უხანგრძლივებს საკუთარ მოსახლეობას ცხოვრების მაღალ დონეს. მათაც ირწმუნეს, რომ კეთილმოწყობილი ცხოვრება მათივე ჭკუისა და მარიფათის** (უფრო ამაღლებულად კი — პროტესტანტული შრომის ეთიკის) **დამსახურებაა და არა სხვათა ძარცვა-გლეჯისა.**

არის თუ არა ეს შეთქმულება? — კარგით, რაო! — იტყვის მავანი, რომელსაც არც საკვების პრობლემა აქვს და არც მკურნალობა-დასვენების. — დიახაც, არისო! — უპასუხებს დანარჩენი მშიერი კაცობრიობა.

**მთელი ამ აბსურდის საიდუმლოება ის არის, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის გავრცელებას მთელ მსოფლიოში ზემოგება მოაქვს. ის, რომ ქართული შინამეურნეობის სურსათი უცხოეთიდან შემოტანილის კონკურენციას ვერ უძლებს, სულაც არ არის ადგილობრივი მოვლინება. ასეა ყველგან, ე.წ. განვითარებული ქვეყნების გარდა. იქ, სადაც გენმოდიფიცირებული თესლეული შედის, ადგილობრივი ჯიშები ნადგურდება, სოფლის მეურნეობა კი წამგებიანი ხდება.**

**არის თუ არა ეს შეთქმულება?**

გაზეთის წინა ნომერში ბენ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციაზე ვწერდი, რომლის დეტალებმა ორიოდე კვირის წინ გაჟონა ამერიკულ პრესაში. სპეცრაზმის ოფიცერი ყვებოდა, თუ როგორ გაანადგურეს რამდენიმე უიარაღო ადამიანი, ვიდრე ბენ ლადენს მოკლავდნენ. ამერიკულ კინოფილმებს ნაჩვევ მკითხველზე მთელი ეს ოპერაცია საკმაოდ დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ამაზე უფრო დამთრგუნველი აღმოჩნდა სულ ერთ კვირაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ავღანეთის პროვინცია ვარნაკში ვერტმფრენი ჩამოაგდეს, რის შედეგადაც 38 ადამიანი დაიღუპა.

ირკვევა, რომ მათგან 30 სწორედ ის სპეცრაზმელი იყო, ვინც ბენ ლადენი გაანადგურა. ეს ისეთივე სათუოა, როგორც ის, რომ მოკლული ნამდვილად ბენ ლადენი იყო. **და საერთოდაც, არსებობდა კი ეს მითიური ბენ ლადენი? ინტერნეტში გავრცელებული აღმოსავლური გარეგნობის მამაკაცის ვიდეოგამოსვლების გარდა, ის რეალურად არავის უნახავს. ერთი კი ნათელია, რომ მისი წყალობით ამერიკული სამხედრო მანქანა ყოველთვის ახერხებდა ნავთობით მდიდარ რომელიმე ქვეყანაში შეჭრის წინაპირობის შექმნას.**

**არის თუ არა ეს შეთქმულება?**

კიდევ უფრო დამთრგუნველია რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ათი წლის განმავლობაში ბენ ლადენის ვერმომძებნმა ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ორიოდ დღეში, ოპერატიულად აღმოაჩინეს თალიბთა ზუსტად ის ჯგუფი, რომელმაც სპეცრაზმელებით სავსე ვერტმფრენი ჩამოაგდო! ახლა ამ ამბის არც ერთი მოწმე აღარ დარჩა.

**არის თუ არა ეს შეთქმულება?**

ბრიტანეთში დაწყებული არეულობების წინაპირობას ვერავინ ხსნის. ითვლება, რომ ეს პოლიციელის მიერ მოკლული ერთი ახალგაზრდის გამო აგორდა. თუმცა საპროტესტო აქციების ნაცვლად ამ ტრადიციულ, მოწესრიგებულ ქვეყანაში ერთბაშად იფეთქა ქუჩის ძალადობამ და მაროდიორობამ. ეს სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან **2003 წელს ერაყის კამპანიაში ჩართვის გამო ტონი ბლერის გადადგომის მოთხოვნით მილიონზე მეტი ბრიტანელი გავიდა ლონდონის ქუჩებში, მაგრამ არც ბლერი გადამდგარა და არც ის დანაშაულებრივი კამპანია შეუწყვეტია ვინმეს. დღეს ქუჩაში გამოსულებმა პირდაპირ „ადეკვატურ ზომებს“ მიმართეს.**

ბრიტანეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ მას აღარ ძალუძს შემწეობაზე მყოფი ამდენი ემიგრანტის შენახვა. **ვიდრე კოლონიები იძარცვებოდა, თავად ბრიტანეთში მოსახლეობა უპრობლემოდ ცხოვრობდა, მაგრამ კოლონიის მოსახლეობაზე დარდით** (იშვიათი გამონაკლისის გარდა) **თავი არ აუტკივებია. ახლა, როცა ყოფილი კოლონიებიდან ადამიანები მეტროპოლიისკენ დაიძრნენ, რათა მათთვის წართმეული მცირედი ნაწილით მაინც ეხეირათ, ბრიტანელებს მომთმინების ფიალა აევსოთ.** ასე მხოლოდ ბრიტანეთში როდი ხდება. გერმანიაში ფეშენებელურ უბნებში მანქანების დაწვა დაიწყეს. საფრანგეთში არც ისე დიდი ხნის წინ მასობრივი არეულობა სასტიკად ჩაახშო იმხანად შინაგან საქმეთა მინისტრმა სარკოზიმ. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. ერთი კი ნამდვილად უდავოა: **კარგი ცხოვრება არც „განვითარებულ ქვეყნებში“ ხერხდება ძალმომრეობის გარეშე.**

**არის თუ არა ეს შეთქმულება?**

არეულობა ბრიტანეთში სულაც არ ყოფილა სპონტანური. ქუჩაში გამოსული ადამიანები მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს იღებდნენ იმის შესახებ, თუ სად და როდის უნდა მისულიყვნენ. ლეგენდარულმა **მი-6**-მა და ქვეყნის სხვა სპეცსამსახურებმა ამ შეტყობინებების წყარო ვერ დაადგინეს. სამაგიეროდ, რუსულ პრესაში „გაჟონა“ ინფორმაციამ, რომ **2008 წლის ომის დროს ქართული ჯარის მართვა და კოორდინაცია, მისი კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა თურქეთში განლაგებული აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს ბაზიდან ხორციელდებოდა!**

**არის თუ არა ეს შეთქმულება?**

ამერიკაში კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ „ფულის საბეჭდი მანქანა“ კვლავ ამუშავდება და ისედაც გაუფასურებული დოლარი კვლავაც უზირი ადამიანების მის მიმართ ბრმა ნდობით იარსებებს. ამას კი კიდევ უფრო მეტი რესურსის გაზიდვა დასჭირდება „განვითარებადი ქვეყნებიდან“. ნავთობი და გაზი ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ამის კომპენსირება ხორცისა და სამარშრუტო ტაქსის ანომალიური გაძვირებით უნდა მოახერხონ „ოქროს მილიარდის“ წევრობის ადგილობრივმა პრეტენდენტებმა.

**არის თუ არა ეს შეთქმულება?**

ზოგადად, შეთქმულების თეორიებს ყველაზე ხმამაღლა მართლაც თავად შეთქმულნი უარყოფენ. ისინი ირწმუნებიან, რომ ეს პარანოიაა, არავითარი შეთქმულება არ არსებობს და ყოველივე თავისი გზით მიდის, თუმცა ვერასგზით ვერ ხსნიან იმას, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია, შემდგარი და უფრო მეტი არშემდგარი უამრავი შეთქმულებისგან შედგება.

**ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი შეთქმულებისა, რომელიც ჩვენს თვალწინ გათამაშდა, ე.წ. ვარდების რევოლუცია იყო. დღესაც ბევრს სჯერა, რომ ამ „დადგმული სპექტაკლით შევარდნაძემ თავის გამოზრდილებს გადააბარა ძალაუფლება“.**

ამ თეორიის მომხრეებს ერთი ნიშანდობლივი შეცდომა მოსდით: შეთქმულება შეიძლება არსებობდეს კიდეც, მაგრამ იგი პიესა არ არის, რომელშიც როლები გაწერილია და შედეგი — წინასწარ განსაზღვრული. შეთქმულებაში ცოცხალი ადამიანები მონაწილეობენ — თავისი ვნებებით, მისწრაფებებით, ამბიციებით. როგორ მოიქცევიან ისინი კონკრეტულ სიტუაციაში, ზოგჯერ მათ თავადაც არ იციან. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სააკაშვილი სულ მალე ჟვანიას, შემდეგ კი ბურჯანაძის გარეშე შეინარჩუნებდა ძალაუფლებას.

არც იმის დაჯერება ღირს, რომ შევარდნაძე თავად მონაწილეობდა ხელისუფლებისგან მისი ჩამოშორების პროცესში. მოვლენათა რიგი ყოველთვის არ არის პიროვნებებზე დამოკიდებული. ვისაც თეატრის შიდა ცხოვრებასთან ჰქონია საქმე, მან იცის: თუ გინდა, მსახიობი სცენაზე „გააფუჭო“, საკვანძო რეპლიკა არ უნდა უთხრა. ამ ვითარებიდან თავის დაღწევა მხოლოდ ვირტუოზებს შეუძლიათ. **შევარდნაძემ სწორედ ის საკვანძო რეპლიკა არ მიაწოდა რევოლუციურ სამეულს; მას უნდა ეთქვა, რომ აუქმებს არჩევნების შედეგებს, ექვსი თვით რჩება ხელისუფლებაში, ატარებს ახალ არჩევნებს და ეს სამეული მოჰყავს ხელისუფლებაში, ანუ მას თავად უნდა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალების ლეგიტიმაცია. მან კი სულ სხვა რეპლიკა მიაწოდა სამეულსაც და სხვებსაც: მე სახლში მივდივარ** (საკუთარ ლეგიტიმურობაზე კი თავად იზრუნეთ)!

**იყო თუ არა ეს შეთქმულება?**

ცხადია, ეს იყო შეთქმულება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ოღონდ შევარდნაძის დაუგეგმავ რეპლიკაზე გამოუცდელი მსახიობების რეაქციამ სპექტაკლი ბალაგანად აქცია.

მოკლედ

## ბრიტანეთში 1700 დაკავებულია



**დიდი ბრიტანეთის პოლიციის მონაცემებით, მასობრივი არეულობების დროს დაკავებული მოქალაქეების რაოდენობამ 1700-ს გადააჭარბა.** 800 მათგანი 18 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდია. ისინი სასამართლოს წინაშე უკვე წარსდგნენ. როგორც დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ქვეყანაში სიმშვიდეა, პოლიციის თანამშრომლები ქალაქის ქუჩებში რამდენიმე ღამით კიდევ დარჩებიან.

## გზასაცდენილი ამერიკა

**ამერიკელთა 73% მიიჩნევს, რომ მათი ქვეყანა არასწორი გზით მიდის, ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევას კი მოქალაქეთა მხოლოდ 45% ამართლებს.** გამოკითხვა საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა“ ჩაატარა. სააგენტომ აშშ-ის 1,055 ათასი მოქალაქე გამოკითხა. პასუხებმა ცხადყო, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტ ობამას პოპულარობის მაჩვენებელი 49%-დან 45%-მდე შემცირდა. თეთრი სახლის ადმინისტრაციის მიერ შერჩეული კურსი მხოლოდ 21%-მა მიიჩნია გამართლებულად, 47% კი ვარაუდობს, რომ მომავალში აშშ-ში ეკონომიკური ვითარება მკვეთრად გაუარესდება.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე წყლის ჭავლის მანქანებს მიტინგების, მსვლელობების და ა.შ. დასაშლელად არ იყენებენ იმიტომ, რომ ხელისუფლებას მიაჩნია, ამით შეელახება ავტორიტეტი, რადგან ეს იქნება მის მიერ სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის აღიარება.

# რაც ჯენტლმენებს არ ეკადრებათ

## დიდ ბრიტანეთში აგვისტოს არეულობების დროს არც წყლის ჭავლის მანქანები, არც პლასტიკური ტყვიები არ გამოუყენებიათ

**ათ დღეზე მეტი გავიდა ლონდონის აგვისტოს არეულობის დაწყებიდან: 4 აგვისტოს პოლიციის პატრული შეეცადა ტაქსის გაჩერებას, რომელშიც ადგილობრივი მცხოვრები, 29 წლის შავკანიანი მარკ დაგანი იჯდა. ამ მცდელობას ორმხრივი სროლა მოჰყვა. დაგანი მოკლეს. ერთი მონაცემით, იგი დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის წევრი იყო და ამიტომ გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა სამართალდამცველებს. მაგრამ ამ ცნობის სანდოობა ბოლომდე გარკვეული არ არის, ამიტომ რაიმეს დაბეჯითებით მტკიცება შეუძლებელია.**

6 აგვისტოს, საღამოს 300-მდე ადამიანი პოლიციის უბანთან შეიკრიბა და „სამართლიანობის აღდგენა“ მოითხოვა. მიტინგი მშვიდად დაიწყო, მაგრამ თანდათან იმატა ემოციამ და ეგზალტირებულმა ბრბომ ცეცხლი წაუკიდა პოლიციის რამდენიმე მანქანას, დაწვა ორსართულიანი ავტობუსი, დაწვა და დაარბია რამდენიმე მაღაზია.

ოთხ დღეს ბობოქრობდა ლონდონი. შემდეგ და შემდეგ მასობრივი არეულობა გადაედო დიდი ბრიტანეთის სხვა ქალაქებს — ბირმინჰემს, ბრისტოლს, მანჩესტერს, ლივერპულს, სოლფორდს, ნოტინჰემს, მილტონ-კინსს, ბორნმუტს: მაროდიორობა, დარბევა, ხულიგნობა, „მოლოტოვის კოქტეილის“ მასობრივი გამოყენება, დაპირისპირება პოლიციასთან, ასობით და ათასობით დაპატიმრებული...

საბოლოო ჯამში 5 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის (საოცარია!) 70 წელს მიტანებული კაცი, რომელიც ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა. მაროდიორებმა და ხულიგნებმა იგი ცემით მოკლეს.

პოლიცია ვერ ახერხებს წესრიგის აღდგენას. ამბოხებული ახალგაზრდობა გაცილებით მობილური და მოქნილი ძალაა. სოციალური ქსელები — Fasebook და Twitter ორგანიზებული და მიზანმიმართული მოქმედების ძირითადი არხები და საშუალებებია.

**ვერ იტყვი, რომ სტიქიური ამბოხია.**

**თავისთავად ისახება პარალელი არაბულ რევოლუციებთან, სადაც, როგორც დასავლეთის პრესა წერს, ინტერნეტი იყო რევოლუციების მთავარი „ძრავა“.**

**შეიძლება ვთქვათ, — აღმძრავი ღვედიც.**

ახლა, როცა არეულობის ტალღამ უკან დაიხია, მიზეზთა ძებნის დრო დადგა. ეძებენ. პრესა ამ განსჯისა და აზრთა შეჯერების ასპარეზია. მაგრამ, როგორც წესი, „მომრიგებელ მოსამართლეთა“ პოზიციებიდან ლაპარაკს იწყებენ ისინი, ვინც ამ არეულობებში არ მონაწილეობდა. მით უფრო საინტერესოა თავად ამბოხებულთა აზრი და დამოკიდებულება ჩადენილისადმი, მაროდიორები მყავს მხედველობაში, რომელთა მოსაზრებები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა.

**The Times**-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ეს ახალგაზრდები „ბრბოს ეფექტს“ ემსხვერპლნენ. **სამართალში მიცემული ერთ-ერთი გოგოს განცხადებით, მან იცოდა, რომ „არასწორად იქცეოდა, მაგრამ ასე იქცეოდა ყველა“. სხვა მოძალადეს მეგობრები ახასიათებენ, როგორც სრულიად უწყინარ ახალგაზრდას, რომელმაც ისე „აიწყვიტა“, რომ ყველა სახტად დარჩა. კიდევ ერთი „აწყვეტილთაგანი“ სასამართლოზე ცრემლის ღვრით აღიარებდა, რომ „ეზიზღება საკუთარი თავი“.**

მაგრამ ყველაზე ვერ იტყვი, რომ მონანიების გზას ადგას, თუმცა ვერც თავად ამბობენ, რა ამოძრავებდა მათ. **BBC News**-ს ორმა გოგომ ასე აუხსნა თავიანთი პოზიცია: **„ყველაფერი მთავრობის ბრალია. ყველაფერი მდიდრების გამო მოხდა. ჩვენ პოლიციას დავანახეთ, რისი შემძლენიც ვართ!“**

მანჩესტერელმა ყმაწვილმა კი შეკითხვას — რა ბრალი მიუძღვის მთავრობას? — ასე უპასუხა: **„რისი გაკეთება შეუძლია მთავრობას ჩვენს გასაჩერებლად? რა გააკეთა მთელი ამ ხნის განმავლობაში? ათი კაცი დააკავეს? მიმიფურთხებია. კვლავაც გავძარცვავ, სანამ არ დამიჭერენ! ყველა ქურდობს და მეც ვქურდობ. ასეთი შესაძლებლობა ხელიდან ვითომ რატომ უნდა გავუშვა?!“**

ამგვარი განცხადებები, — ასკვნიან მიმომხილველები, — ადასტურებს ვერსიას, რომლის მიხედვით დარბევებს არავითარი რასობრივი ქვეტექსტი არ გააჩნდა. პრესის პუბლიკაციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასობრივ მოტივს ადგილი თუ ჰქონდა, მხოლოდ ფრიად შეზღუდული. **The guardian**-ის მიხედვით, შავკანიანის მკვლელობას საწყის ეტაპზე შეიძლება გარკვეულად იყო ბიძგის მიმცემი, მაგრამ არეულობებში მონაწილეობდნენ პრაქტიკულად ყველა ეროვნულ და რასობრივ უმცირესობათა წარმომადგენლები. ასახელებენ ასეთ მაგალითსაც: **სამი მოკლული ბირმინჰემელი ადამიანის მამა თავის მეზობლებს — სამხრეთამერიკელებს მუხლმოდრეკით ევედრებოდა, უარი ეთქვათ შურისძიებაზე მკვლელების — შავკანიანების წინააღმდეგ: „შავები, აზიელები, თეთრები — ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობთ. რატომ უნდა დავხოცოთ ერთმანეთი?“.**

სიტუაცია რომ დაცხრა, უბედურმა მამამ მადლობა გადაუხადა თანამოქალაქეებს, რომლებმაც მისი თხოვნა შეისმინეს.

**The Independent** მიიჩნევს, რომ ის, რაც მოხდა უაზრო ემოციური აფეთქების შედეგი იყო და მაროდიორობა სულაც არ იყო ნაკარნახევი მყისიერი გამდიდრების სურვილით. **„დარბევები დაცხრება, როგორც კი ახალგაზრდობა ნგრევითა და ძარცვით გულს მოიოხებს“.**

იგრძნობს თავის ძალას და დაოკდება. დროებით. მაგრამ ინგლისში, როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ (**The Telegraph**), **მძლავრობს ქუჩის ბანდების კულტურა,** რომელიც არ ცნობს თავისუფალი საზოგადოების არცერთ ნორმასა და პრინციპს.

„ეს არის ძალადობის, ქალთა მოძულეობის, ჰომოფობიისა და რასიზმის კულტურა“, რასაც თანაუგრძნობენ ბევრნი შავკანიანი თემობიდან, რომელმაც თავის ახალგაზრდობაზე დაკარგა კონტროლი“.

„ამ ახალგაზრდობამ, — წერს **The Telegraph**, — **დააშინა მასწავლებლები და სოციალური მუშაკები, პოლიციის ზოგიერთი თანამშრომელიც კი...“**

პუბლიკაციის ავტორი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის წარმოქმნა იმ სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ბრალია, რომლებიც **„დამატებით სივრცეს უქმნის ქუჩის ბანდების კულტურას ახალგაზრდების ცხოვრებაში, რადგან ისინი მას (ამ კულტურას) მიიჩნევენ აფრო-კარიბისა და აზიურობის იდენტურობის ჭეშმარიტ გამოვლენად“.**

არეულობათა გამომწვევი მიზეზების შესახებ მოსაზრებები დიდ ბრიტანეთში მკვეთრად განსხვავებულია. ერთი დაჯგუფებისა თუ მხარის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ.

ახლა მეორე მხარეზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

მეორე დაჯგუფება, რა თქმა უნდა, ხელისუფლების უპრინციპო ეკონომიკურ პოლიტიკასა და სახელმიფო ხარჯების შემცირებაში ხედავს არეულობის გამომწვევ მიზეზებს, უთანასწორობის მკვეთრად გაძლიერებაში, რაც ასე შესამჩნევი გახდა ყველაზე უფრო გაღატაკებულ რაიონებში.

**„ჩვენთვის არავინ არაფერს აკეთებს, — არც პოლიტიკოსები, არც პოლიციელები, არავინ“,** — თქვა 19 წლის ახალგაზრდამ, რომელიც ტოტენჰემის მახლობელ დეპრესიულ რაიონში ცხოვრობს, იქ, საიდანაც არეულობა დაიწყო.

**ევროკავშირის ქვეყნებს შორის ძალადობის გამოყენებით დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონე დიდ ბრიტანეთშია. 16-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდობის დაახლოებით 18 პროცენტი უმუშევარია. უმუშევარია შავკანიანი ახალგაზრდობის თითქმის ნახევარი.**

გასული შაბათისთვის 1200 ახალგაზრდა იყო დაპატიმრებული, უმეტესობა ბრიტანეთში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ღარიბი ოჯახებიდანაა.

სასამართლოები თითქმის განუწყვეტლად მუშაობენ, დღე-ღამის განმავლობაში. ანალიტიკოსები არ მალავენ თავიანთ შეშფოთებას იმის გამო, რომ ამ დროს, ასეთი „სტახანოვური მეთოდებით“ მუშაობის პირობებში, საეჭვოა „ქმნა მართლისა სამართლისა“.

**ერთი ჩვენს სასამართლოებში შემოახედა ინგლისელ ანალიტიკოსებს, სადაც ნებისმიერი ხელისუფალის ხვაშიადის „გასასწორებლად“ ნაშუაღამევს მოწვეული სასამართლო „მოხალისე“ ბიზნესმენის ქონებას უმტკიცებს ძლიერს ამა ქვეყნისა.**

**ან 26 მაისის „კონვეიერულ სასამართლო სხდომებს“ დაასწრო.**

იყო თუ არა ეფექტიანი ბრიტანეთის პოლიციის მოქმედება არეულობის პერიოდში? რა არ მოიმოქმედა მან ლონდონის ქუჩებში წესრიგის დასამყარებლად?

არეულობის მესამე დღეს შინაგან საქმეთა მინისტრს ტერეზა მეის ჰკითხეს, ამბოხებულთა წინააღმდეგ გამოიყენებდა თუ არა პოლიცია წყლის ჭავლის მანქანებს, შემოიღებდა თუ არა კომენდანტის საათს და დაახმარდა თუ არა პოლიციას ჯარის ნაწილებს?

**მეიმ უპასუხა, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ბრიტანეთის პოლიცია არ იყენებს ამგვარ მეთოდებს.**

**ჩვენგან განსხვავებითაც! საქართველოზე ვამბობ.**

**დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე წყლის ჭავლის მანქანებს მიტინგების, მსვლელობების და ა.შ. დასაშლელად არ იყენებენ იმიტომ, რომ ხელისუფლებას მიაჩნია, ამით შეელახება ავტორიტეტი, რადგან ეს იქნება მის მიერ სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის აღიარება.**

ჩვენგან განსხვავებით.

პლასტიკური ტყვიებით ხომ შეეძლოთ მაროდიორების დაფანტვა? შეეძლოთ, მაგრამ არ გააკეთეს. რატომ? ვულვერჰემპტონის უნივერსიტეტის სოციალური პოლიტიკის პროფესორი პიტერ უოდინგტონი ამ შეკითხვაზე გვიპასუხებს: **„პლასტიკური ტყვიები, ყველა სხვა იარაღზე უსაფრთხოა და ბევრი ქვეყანა მათ გამოყენებაზე უარს არ ამბობს, მაგრამ როცა პოლიცია იწყებს წყლის ჭავლის მანქანებისა და პლასტიკური ტყვიების გამოყენებას, ეს უნდა შევაფასოთ, როგორც მეორედ მოსვლა“.**

დამდგარა საქართველოში ქვეყნის დასასრული და ეგაა!

საზოგადოებრივი უშიშროების საკითხების სპეციალისტის პიტერ შირლოუს აზრით, **პლასტიკურმა ტყვიებმა შეიძლება მოკლას ადამიანი და მაშინ პოლიცია აღმოჩნდება მოქალაქეთა მხრიდან პატივისცემის დაკარგვის საშიშროების წინაშე.**

რაც ჩვენს პოლიციას აბსოლუტურად არ აღელვებს.

მაშ, რა ჰქნას ამ საწყალმა ლონდონის პოლიციამ?

ერთადერთი, რაც დარჩენია, არეულობების მონაწილეთა დაპატიმრებაა.

მაგრამ აქ იწყება დანტეს ჯოჯოხეთის რკალები, ისეთი პროცედურებია გასავლელი. დაპატიმრებული მიჰყავთ პოლიციის განყოფილებაში, სადაც სხვა პროცედურებთან ერთად, კონსტებლი უნდა დარწმუნდეს, რომ დაპატიმრება სამართლიანია.

**ინგლისური კანონები რატომღაც არ ითვალისწინებს არეულობის მონაწილეებისთვის გზების გადაკეტვას, კინოთეატრში მათ შეყრას, сквозь строй-ში გატარებას — რეზინის ხელკეტების გამოცდას მათ თავ-პირზე და თირკმლების მიდამოებში.**

**ჩვენთან — როგორც გაგიხარია!**

**ჰოდა — გიხაროდენ!**

**არმაზ სანებლიძე**

**Kp.ru-ს, News.24com-ის, perevodika.ru-ს, Lenta.ru-ს, win.ru-ს და aftershock-1-ის მიხედვით**







**451 გრადუსი ფარენგეიტით**

**საბჭოთა კავშირში არ ხდებოდა ის, რაც დღევანდელ ევროპაში ხდება. როგორ წარმოგიდგენიათ იმ დროში კაფე, რომელშიც მხოლოდ რუსებს მოემსახურებოდნენ? ან ის, რომ რუსული ენის სრულყოფილი ცოდნის გარეშე ატესტატი ან დიპლომი არ მოეცათ? შესაძლებელი იყო, სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ გაეთავისუფლებინეთ, რომ 40 წელი შეგისრულდათ? თქვენს ხელმძღვანელს თქვენზე 20-ჯერ მეტი ხელფასი და ამდენივე პრემია ჰქონოდა? ექიმს ხელი არ დაეკარებინა, ვიდრე ფულს არ გადაიხდიდით? სკოლაში მასწავლებელზე უფრო მნიშვნელოვანი პერსონა ფორმიანი ახალგაზრდა ყოფილიყო? მეცნიერი „ლუზერის“ სინონიმად ქცეულიყო?**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფული ან სული!

**11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ერთმა მეგობარმა მითხრა: „არ მესმის ამ ამერიკელების. ხედავს, რომ თვითმფრინავში ტერორისტია; იცის, რომ უნდა დაიღუპოს; ურეკავს ცოლს და ტირილით ეუბნება – I Love You, I Love You (მიყვარხარო)! ხომ მაინც კვდები და შეაკვდი მაინც იმ ტერორისტს, ეგებ გადარჩეო"! როგორც გაირკვა, ასე მხოლოდ ჩეჩენი ახალგაზრდები მოიქცნენ 22 ივლისს კუნძულ უტოიაზე. თავიდან ბრეივიკის მიერ ატეხილი სროლა და ახალგაზრდების დევნა გათამაშებული სცენა ეგონათ, მაგრამ რამდენიმე ადამიანის დაღუპვის შემდეგ მიხვდნენ, რომ ეს საშინელება სინამდვილეში ხდებოდა. ბიჭები ტყეში დაიმალნენ. 17 წლის მოვსარ ზიამაევმა მამას დაურეკა მობილურით და მოუყვა, რაც ხდებოდა. მამამ, მიყვარხარო, კი არ უთხრა და კი არ დაემშვიდობა, – ადამიანების გადარჩენა და ტერორისტის ნეიტრალიზება არჩია.**



16 წლის რუსტამ დაუდოვთან ერთად იგი ბრეივიკს მიეპარა და ქვები დაუშინა. ბიჭები მიხვდნენ, რომ ქვებით შეიარაღებულნი ტერორისტს ვერაფერს დააკლებდნენ და კლდეში მღვიმე იპოვეს, სადაც ახალგაზრდების თავმოყრა დაიწყეს. სამი ადამიანი წყლიდან ამოიყვანეს. ისინი კუნძულიდან გაქცევას ლამობდნენ, მაგრამ დახრჩობას ძლივს გადაარჩინეს. სულ ჩეჩენმა ბიჭებმა 23 ადამიანი იხსნეს იმ საბედისწერო დღეს. ტერორისტმა კი 69 ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ზუსტად ასე იქცევიან მუსლიმები ლონდონში. „თეთრი ბრიტანელებისგან“ განსხვავებით, რომლებიც საკუთარ ბინებში არიან შეყუჟულნი, ისინი თავდაცვის რაზმებს ქმნიან, რათა მეჩეთები, კულტურის ცენტრები, მაღაზიები, საბავშვო ბაღები დაიცვან დამრბევებისგან. რა ხდება ევროპაში?

**ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა უწესრიგობის მიზეზად ბრიტანული საზოგადოების მორალური დეგრადაცია დაასახელა. ამის ნიშნები კი, კემერონის აზრით, ბრიტანელი ახალგაზრდობის „უპასუხისმგებლობა, ეგოიზმი და საკუთარ ნებაზე მოქცევის სურვილია, სხვათა ინტერესების იგნორირებით“.**

კემერონის აზრით, ბრიტანული საზოგადოების ყველაზე სუსტი ადგილებია: **„უმამო ბავშვები, უდისციპლინო სკოლები, დაუმსახურებელი ჯილდოები და დაუსჯელი დანაშაული. უფლებები მოვალეობათა გარეშე, საზოგადოების უკონტროლობა“.** ასეთია კემერონის განაჩენი.

ერთი სიტყვით, ის, რასაც საბჭოთა პრესა წერდა ე.წ. მომხმარებელთა საზოგადოების სიმახინჯეთა შესახებ, საბჭოთა კავშირის გარდაცვალების შემდეგ თვალსაჩინოდ გამჟღავნდა. **ზოგიერთი ექსპერტი ძალადობის ამ ტალღას სწორედ „ლიბერალურ ჰედონიზმს“ აბრალებს. მართლაც, თუ ცხოვრების მიზანი სიმდიდრის მოხვეჭაა, მაშ, რატომ უნდა ჰქონდეს ვიღაცას შენზე მეტი? და თუ ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი პოლიციის შიშია, განა ასე ძნელია ამ შიშის გადალახვა? მით უფრო, თუ ის, რაც გინდა, რომ გქონდეს, აქვეა, ხელის გაწვდენაზე!**

არეულობის 5 დღის თავზე ბრიტანული პოლიცია გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. იკითხავთ: — გაკოტრება რა, — შპს-აო? საქმე ისაა, რომ ბრიტანეთში 1886 წელს მიღებული „უწესრიგობების შესახებ“ მიღებული კანონის თანახმად, მოქალაქისთვის ქუჩის უწესრიგობების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი (შენობის დაზიანების ჩათვლით) პოლიციამ უნდა აანაზღაუროს, თანაც 14 დღის ვადაში.

პოლიცია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოითხოვდა ამ კანონის გაუქმებას, მაგრამ პარლამენტმა ამ საკითხის განსახილველად ვერ მოიცალა. ინგლისისა და უელსის 28 ქალაქში არეულობების შედეგად მიყენებულმა ზარალმა 100 მილიონ ფუნტ სტერლინგს გადააჭარბა. ახლა **ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ამგვარი კანონი საქართველოშიც რომ მოქმედებდეს, მერაბიშვილის უწყება კარგა ხნის გაკოტრებული იქნებოდა. თუმცა ჩვენი უახლესი ისტორიული გამოცდილება ბრიტანულისგან განსხვავებულია: ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩაყვანილმა პოლიციურმა ფორმირებებმა ბრიტანეთში დანაშაულისადმი „ნულოვანი ტოლერანტობა“ სააკაშვილზე 7 წლით გვიან გამოაცხადეს. ის, რაც ლონდონის ქუჩაში გასულ აგრესიულ ბრბოს ელის, მშვიდობიანმა ქართველებმა ბოლო წლებში სრულად იწვნიეს.**

რაც შეეხება ზარალის კომპენსაციას, ჩვენ ამ თვალსაზრისითაც გავუსწარით ბრიტანელებს; ქართულ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ განმუხურში სკუტერით სეირნობისას სააკაშვილი ბელარუს გოგონას დაეჯახა და სერიოზულადაც დააზიანა. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ გოგონას 500.000 დოლარი გადაუხადეს, რათა მას ინციდენტი არ გაეხმაურებინა. დააკვირდით – მაშინვე გადაუხადეს და არა 14 დღის შემდეგ, როგორც ამას ბრიტანელები აკეთებენ (თუ მაინც ვერ აკეთებენ?).

**არა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ საკუთარ ჯიბეს მოაკლო რამე. როგორც ირკვევა, მიმდინარე წლის მხოლოდ პირველ კვარტალში პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამ თვეში) ხელფასის სახით 578 506 ლარი, ხოლო პრემიის სახით – 281 155 ლარი გაიცა. საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანამშრომლებისთვის კი თანამდებობრივი სარგოს სახით 500 334 ლარი, პრემიის სახით კი 207 054 ლარი გაიცა.**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, რომელიც ცხრა ორგანიზაციას აერთიანებს, ხელფასის სახით 8 698 949 ლარი, პრემიის სახით კი 1 096 185 ლარი გასცა.**

**ფინანსთა სამინისტრომ ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე ხელფასის სახით გასცა 1 297 280 ლარი, სისტემის თანამშრომლებზე – 12 287 908 ლარი.**

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ხელფასების სახით 1 005 651 ლარი გაიღო, პრემიალური დანამატის სახით – 11 910 ლარი.**

**ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ხელფასის სახით 1 691 570 ლარი გასცა, პრემიის სახით – 263 201 ლარი.**

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელფასებისთვის 973 915 ლარი გაიცა, პრემიებზე – 286 395 ლარი. აქვე მითითებულია საკლასო ჩინის დანამატიც 6 540 ლარის ოდენობით.**

**კულტურის სამინისტრომ ხელფასის სახით გასცა 366 399 ლარი, ხოლო პრემიის სახით –155 440 ლარი.**

**სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხელფასის სახით გაიცა 358 987 ლარი, პრემიის სახით – 20 300 ლარი.**

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებმა ხელფასის სახით — 339 315 ლარი, პრემიის სახით კი 140 174 ლარი მიიღეს. ამავე სამინისტროს სისტემის თანამშრომლებზე ხელფასის სახით 1 397 822 ლარი გაიცა, პრემიის სახით კი — 376 433 ლარი.**

მართალია, ამ სამინისტროებისა და უწყებების გაკეთებული საქმე არავის უნახავს, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის; მთავარია, რომ ჩვენი სახელმწიფო, ევროპის ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით (ბრიტანულ პოლიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ), არ გაკოტრებულა.

ზოგადად, მატერიალური კომპენსაციების თემა თანამედროვე პოლიტიკაში მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამერიკული პოლიტიკის ერთ-ერთი დიდი მიღწევა ისაა, რომ რაც შეგიძლია ფულით იყიდო, იმაზე არც დრო უნდა დახარჯო და არ ენერგია. ამერიკელებისგან ეს სხვებმაც ისწავლეს და, მაგალითად, იტალიელებმა ავღანეთში საკუთარი სამხედრო კონტიგენტის დასაცავად ერთობ არაორდინალურ ზომას მიმართეს — თალიბებსა და მოჯაჰედებს ყოველთვიურად უხდიდნენ სოლიდურ გამოსასყიდს, რათა მათი ნაწილები არ დაებომბათ!

**2008 წელს აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სილვიო ბერლუსკონის საყვედურობდა ამის გამო. 2009 წელს გამოსასყიდის მიცემა შეწყდა და იტალიელი სამხედროების მსხვერპლიც თითქმის გაათმაგდა. საქართველოში კომპენსაციებს, ძირითადად, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით აკუთვნებენ (ანუ ლეგალურად), მაგრამ ეს ერთგვარ „განვადებას“ წააგავს; ვთქვათ, ადამიანი მოკლეს ან აწამეს, ან სხვაგვარად დაურღვიეს უფლებები, — სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამდე სულ ცოტა, სამი-ოთხი წელი მაინც გავა და თანხასაც დაზარალებული (ან მისი სამართალმემკვიდრე) მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს. ეს საბანკო განვადებას წააგავს: „ყიდულობ დღეს, იხდი ხვალ“!**

სამაგიეროდ, ოპოზიციურ პარტიებთან ამგვარი „განვადება“ არ მოქმედებს; მათ ხელისუფლება „ფაქტის მიხედვით“ უხდის, დაუყოვნებლივ. აბა, ვის გაუგია, პარაშუტის გახსნა გადაავადო!

სამაგიეროდ, ფულის გადახდა არ უნდათ ევროკავშირის ახალ წევრებს, — ფინანსური კრიზისის გამო დაზარალებული ქვეყნების სასარგებლოდ. სლოვაკეთის პრეზიდენტმა, რიჰარდ სულიკმა ევროკავშირის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მძაფრად გააკრიტიკა და იგი საბჭოთა კავშირს შეადარა: **„ეს ნამდვილი საბჭოთა კავშირია! მაგრამ ჩვენ ამგვარ „კავშირში“ არ შევსულვართ. ევროკავშირში გაერთიანების წინ რეფერენდუმისას ჩვენთვის არავის უთქვამს, რომ მილიარდები უნდა გვეხადა ბერძნების პენსიებსა და იტალიელების რაღაც სისულელეებზე“.**

სლოვაკეთი ფინანსური კრიზისის დაწყებისთანავე აკრიტიკებდა ევროს ზონაში „მხსნელ ზომებსა“ და „პაკეტებს“. სლოვაკეთი და ესტონეთი ევროკავშირის ყველაზე ღარიბი ქვეყნები არიან. სლოვაკეთში საშუალო ხელფასი 800 ევროს არ აღემატება და მოსახლეობას არ ესმის, რატომ უნდა დაეხმაროს თავისზე მდიდარ ბერძნებს, ესპანელებსა და იტალიელებს.

უფრო მეტიც: მათ კარგად ახსოვთ „გარდამავალი პერიოდის“ უმძიმესი წლები, როდესაც ყოველგვარი უცხოური დახმარების გარეშე გადაარჩინეს საკუთარი ბანკები ევროზონაში შესვლის წინ. სლოვაკებს ეს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ: ბანკების გადარჩენამ საერთო ეროვნული პროდუქტის 12 პროცენტი შეიწირა და ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა. ახლა სლოვაკეთის ეკონომიკა ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე „ჯანმრთელად“ ითვლება.

**საქართველოს ხელისუფლება ევროინტეგრაციას (ისევე, როგორც ნატოში შესვლას) ქვეყნის გადარჩენისა და რუსეთის ორბიტიდან თავის დაღწევის პანაცეად წარმოაჩენს. სლოვაკეთი ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც. სხვათა შორის, მას არც „ვარშავის ბლოკში“ უჭირდა რამე. და მაინც, დღევანდელი ყოფა მას საბჭოთა კავშირს ახსენებს. ეს მით უფრო უცნაურია, თუ გავიხსენებთ, რომ სლოვაკეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არასოდეს ყოფილა. საქართველო კი იყო, მაგრამ მისი ცხოვრების დონე ყველა საბჭოთა რესპუბლიკისას უსწრებდა. გამოდის, რომ ერთი სსრკ-დან იმისთვის გამოვედით, მოსახლეობა გაგვეღატაკებინა და მეორე სსრკ-ს მისაღებში დიდი ხნით დავმსხდარიყავით.**

**თუმცა განსხვავება მაინც არის — საბჭოთა კავშირში არ ხდებოდა ის, რაც დღევანდელ ევროპაში ხდება. როგორ წარმოგიდგენიათ იმ დროში კაფე, რომელშიც მხოლოდ რუსებს მოემსახურებოდნენ? ან ის, რომ რუსული ენის სრულყოფილი ცოდნის გარეშე ატესტატი ან დიპლომი არ მოეცათ? შესაძლებელი იყო, სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ გაეთავისუფლებინეთ, რომ 40 წელი შეგისრულდათ? თქვენს ხელმძღვანელს თქვენზე 20-ჯერ მეტი ხელფასი და ამდენივე პრემია ჰქონოდა? ექიმს ხელი არ დაეკარებინა, ვიდრე ფულს არ გადაიხდიდით? სკოლაში მასწავლებელზე უფრო მნიშვნელოვანი პერსონა ფორმიანი ახალგაზრდა ყოფილიყო? მეცნიერი „ლუზერის“ სინონიმად ქცეულიყო?**

ამ შეკითხვების ჩამონათვალი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. დღევანდელი ქართული ყოფა კი, ევროპის უკვე აღიარებული შეცდომების კვალდაკვალ, სულ უფრო ემსგავსება ყაჩაღის რეპლიკას მდარე ჰოლივუდური ფილმიდან: **„ფული ან სული“!**

**ნანა დევდარიანი**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ხელისუფლება კუნთებს ათამაშებს, ვინაიდან თვლის, რომ ოპოზიცია „ფარჩაკია“, საზოგადოება კი — „მიჩმორებული“, ამიტომ, რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს, მითუმეტეს, დასავლეთისგან სრული კარტ-ბლანში აქვს მიცემული 2013 წლამდე მაინც. მთავარია, მანამდე სტაბილურობა და მოჩვენებითი სიმშვიდე არ დაირღვეს, მაგრამ ასეთ ძალაზე დამყარებული პოლიტიკა სადამდე მიიყვანს სააკაშვილს? ლეიბორისტების მტკიცებით, — ჰააგის ტრიბუნალამდე, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ მისმა ამერიკელმა მფარველებმა სააკაშვილი თავის ცოლოურში გასასამართლებლად გაწირონ.**

# დამჭკნარი ვარდის ეკალი, ანუ «ნაცმოკრატების» ფინანსური ეგზეკუცია



**ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში ხელისუფლების მიერ გამოვლენილი სისასტიკე და ძალმომრეობა „უცხო ხილი“ სულაც არ არის, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ეს „ნაცმოკრატების“ სახელმწიფოს მართვის სტილია და საზოგადოებასთან ყოველდღიური ურთიერთობის უკვე კარგად დამკვიდრებული პრაქტიკა.**

ბოლო წლების განმავლობაში ყველამ კარგად ვნახეთ, თუ როგორ გარდაიქმნა დასავლეთის მიერ გაფეტიშებული „დემოკრატიის შუქურა“ ავტორიტარიზმის წყვდიადად, რამაც საქართველოში წლების მანძილზე საზოგადოების უდიდესი ძალისხმევის შედეგად ჩამოყალიბებული დემოკრატიის ყველა სასიცოცხლო უჯრედი ლამის მარცვალ-მარცვალ ამოშანთა. ამ პოლიტიკამ განსაკუთრებით 26 მაისის „სისხლიანი ალლუმის“ შემდეგ შეისხა ფრთები. იმ დღიდან სააკაშვილის რეჟიმმა საკუთარ(?) მოქალაქეებზე ნადირობის სეზონი გახსნილად გამოაცხადა და დამშეული აფთარივით კუნჭულ-კუნჭულ დაეძებს მსხვერპლს. ამ ვითარებაში ყველაზე ამაზრზენი მაინც ის არის, რომ **დემოკრატიის შირმადქცეული „მიშუშული“ ნაგებობები, რომლებიც უცხოელთა თვალში გამჭვირვალობის ილუზიას ქმნიდა, გაცილებით უფრო პირქუში და მზაკვრული გამოდგა, ვიდრე რეიგანის მიერ „აღმოჩენილი“ რკინის ფარდა, რომლითაც საბჭოთა მმართველობა დანარჩენი (კაპიტალისტური) სამყაროსგან დისტანცირებას აკეთებდა კომუნისტი ამხანაგების „დასაცავად“.** დიახ, ეს სრული სიმართლეა, რადგან საბჭოთა მმართველობა არ ცდილობდა სხვა პოლიტიკურ სისტემასთან მსგავსების ილუზიის შექმნას, სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებით, რომელიც დემოკრატიისა და სამართლიანობის ნიღაბს არის ამოფარებული და დასავლური დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოზე აცხადებს პრეტენზიას. მაგრამ, როგორც მ. ებნერ-ეშენბახი ამბობდა, **„სიკეთის ნიღაბს რომ არ ეფარებოდეს, ბოროტება ბევრს ვერაფერს გააკეთებდა ამქვეყნად“.**

**დღეს ხელისუფლება კუნთებს ათამაშებს, ვინაიდან თვლის, რომ ოპოზიცია „ფარჩაკია“, საზოგადოება კი — „მიჩმორებული“, ამიტომ, რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს, მითუმეტეს, დასავლეთისგან სრული კარტ-ბლანში აქვს მიცემული 2013 წლამდე მაინც.** მთავარია, მანამდე სტაბილურობა და მოჩვენებითი სიმშვიდე არ დაირღვეს, მაგრამ ასეთ ძალაზე დამყარებული პოლიტიკა სადამდე მიიყვანს სააკაშვილს? ლეიბორისტების მტკიცებით, — ჰააგის ტრიბუნალამდე, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ მისმა ამერიკელმა მფარველებმა სააკაშვილი თავის ცოლოურში გასასამართლებლად გაწირონ.

„ნაცმოკრატების“ უმთავრესი პრობლემა არის ის, რომ „ხელისუფლების“ ცნება დამახინჯებულად ესმით — „ხელისუფლებას“ „სახელმწიფოსთან“ აიგივებენ და საზოგადოებაზე ზემოქმედებენ მუსოლინისეული მოწოდებით: **„ყველაფერი სახელმწიფოსთვის, არავინ და არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ“,** რასაც საფუძვლად უდევს ლუდოვიკოსეული აბსოლუტიზმი: **„სახელმწიფო — ეს მე ვარ“.** ყოველივე ეს ავტორიტარული ინერციაა, ტოტალიტარული მისწრაფებით გაჯერებული, რომელიც, ერთის მხრივ, ძალაუფლების სიყვარულით, მეორეს მხრივ კი, მისი დაკარგვის შიშით არის ნასაზრდოები.

**„უბედური არიან ის მეფეები, რომლებიც თავიანთი წყობის უშიშროებისთვის მიმართავენ უკიდურეს ზომებს და მტრად ჰყავთ ხალხის მასები. თუ ერთეულები ჰყავთ მტრად, შეუძლიათ იოლად და დიდი კონფლიქტის გარეშე მოიპოვონ უშიშროება, მაგრამ, თუ მთელი ხალხი ჰყავთ მტრად, ვერასოდეს უზრუნველყოფენ თავიანთ უშიშროებას. რაც უფრო დიდ სისასტიკეს მიმართავს მთავარი, მით უფრო სუსტი გახდება მისი თვითმპყრობელობა,“** — ეს სიტყვები აღორძინების ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პიროვნებას, პოლიტიკურ მოაზროვნეს — ნიკოლო მაკიაველს ეკუთვნის, რომელიც კარგად იცნობდა ტირანებისა და დიქტატორების მმართველობის სტილს, რადგან მსგავს გარემოში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

**მაკიაველის ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება „ნაცმოკრატების“ მმართველობის სტილს, რადგან სააკაშვილი თავისი ავტორიტარული რეჟიმის უსაფრთხოებას საკუთარი მოქალაქეების დატერორებითა და მათგან იზოლირებით ცდილობს, ვინაიდან კარგად უწყის, რომ მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია და მისი პოპულარობა პატრიოტულ ბანაკებში გამოწრთობილი ცოცხალი რუპორების „მიშა-მიშას“ ძახილის იქით ვერ მიდის. ამიტომაც ძალაუფლების დაკარგვის შიში აიძულებს მას, მიმართოს სისასტიკეს და ძალმომრეობას.**

უკანასკნელ დღეებში დევნილების სასოწარკვეთილმა მოთქმა-გოდებამ ფასადშელებილი თბილისის ქუჩები ერთიანად შეაზანზარა. საქმე ისაა, რომ ხელისუფლებამ დედაქალაქში არსებული კომპაქტური ჩასახლების ადგილებიდან დევნილების მასობრივი გამოსახლების მორიგი კამპანია წამოიწყო. კერძოდ, საქმე ეხება სასტუმრო „აფხაზეთში“ ჩასახლებულ სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას, რომლებსაც ხელისუფლებამ აღნიშნული ფართის დაუყოვნებლივი დაცლა მოსთხოვა და კომპენსაციის სახით იმდენად მიზერული (10 ათასი ლარი) თანხა შესთავაზა, სასაცილოდ არ ეყოფა კობა სუბელიანს საკუთარი თავისთვის პრემიის გამოწერისას. ასეთი ცინიკური და უსამართლო დამოკიდებულება ამ მრავალტანჯული ხალხის მიმართ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია. მითუმეტეს, რომ **სააკაშვილის რეჟიმი, უკვე რამდენიმე წელია, მიზანმიმართულად აწიოკებს დევნილებს და ცდილობს მათ საკონცენტრაციო ბანაკებსა თუ რეზერვაციებში მოთავსებას, რათა უფრო გაუადვილდეს მათი მართვა საკუთარი პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ.**

შესაბამისი სამინისტრო, რომელიც კანონის ძალით ვალდებულია დევნილთა პირობების გაუმჯობესებაზე, დაცვასა და ხელშეწყობაზე ზრუნავდეს დღესდღეობით მათი უფლებების დარღვევით არის დაკავებული. ხომ არ დადგა დრო, რომ „ლტოლვილთა და განსახლების“ სამინისტროს გადაერქვას სახელი და ეწოდოს „დევნილთა გამოსახლების“ სამინისტრო?!

**მართალია, სააკაშვილმა ფინანსური კრიზისის დაწყებისთანავე „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა ხელისუფლების სამოქმედო გეგმად წარმოგვიდგინა, მაგრამ რეალურად ქამრებთან ერთად საბმელით უჭერს ყელზე საზოგადოებას, „ნაცელიტა“ კი, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ძველებურად განცხრომით ცხოვრებას განაგრძობს.**

სააკაშვილი მუდმივად საუბრობ აღმოფხვრილ კორუფციაზე, რომლის დამადასტურებელ არგუმენტადაც იმ სიმახინჯეების მოსპობა მოჰყავს, როცა საჯარო მოხელეები (პოლიცია, მებაჟე და ა.შ.) ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქრთამს იღებდნენ და ლამის მათხოვრებად იყვნენ ქცეულნი. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ „ვარდოსნების“ ყველაზე პოპულარული ლოზუნგი „საქართველო კორუფციის გარეშე“, რეალურად არ განხორციელებულა, რადგან, მართალია „წვრილჩლიქოსანი“ კორუფცია ქვეყანაში (სახელმწიფო აპარატიდან) ამოიშანთა, მაგრამ მისი ადგილი თანდათან დაიკავა „ლეგალიზებული“ კორუფციის ახალმა სახეობამ „ელიტური კორუფციის“ სახით.

**გარდა ამისა, სააკაშვილს არ სურს, აღიაროს, რომ ზემოაღნიშნული კორუფციული სიმახინჯეებისგან არაფრით განსხვავდება ის „ევროსტანდარტირებული“ გადასახადები, რომლებიც დაუსაქმებელი, უშემოსავლო და გაღატაკებული მოსახლეობის აუტანელ ყოფა-ცხოვრებას კიდევ უფრო აუტანელს ხდის.**

**ხელისუფლებამ ტრანსპორტზე ფასები და კომუნალური გადასახადები ბოლო თვეების განმავლობაში ლამის სინათლის სიჩქარით გაზარდა. ჯერ იყო და დენის, გაზისა და წყლის გადასახადი ერთ ქვითარში მოაქცია და კომუნალური „სამებიდან“ თუ რომელიმე ერთის გადახდას ვერ მოახერხებს მოქალაქე, დანარჩენ ორსაც გაუთიშავენ. ამით აღარ დაკმაყოფილდნენ და კრეატიულმა „ვარდოსნებმა“ კიდევ ერთი უნიკალური მიგნება გააკეთეს: ამიერიდან ნაგვის გადასახადის გადახდა გახარჯული ელექტროენერგიის მიხედვით მოგვიწევს. ეს იდეა მიშას პირადი ნოუ-ჰაუა და, თუ არ გსურთ ზედმეტი თანხის გადახდა, კუჭი დენზე არ ამუშაოთ.**

**ზურაბ ჯამბურია**

**საააკაშვილი თავისი ავტორიტარული რეჟიმის უსაფრთხოებას საკუთარი მოქალაქეების დატერორებითა და მათგან იზოლირებით ცდილობს**

**P.S. სააკაშვილის რეჟიმის მიერ გატარებული სოციალური ჩაგვრის პოლიტიკის შედეგად, რომელიც ფინანსურ ეგზეკუციაში გამოიხატება, ასეთი გაზრდილი ფასებისა და ტარიფების ფონზე დაუსაქმებელ და შემოსავლის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას უფულოდ, უპუროდ, უშუქოდ, უწყლოდ, უგაზოდ საკუთარ სახლში (თუ მანამდე სახლიც არ წაართვეს) უპატრონოდ შეიძლება ამოხდეს სული და არავის გაუკვირდება, ამ ხალხთმოძულე „ვარდოსნებმა“ საფლავიც რომ არ აღირსონ.**

## მოძალადე სოროსი

**ამერიკელ ფინანსისტ ჯორჯ სოროსს ყოფილი საყვარელი სასამართლოში უჩივის და მისგან 50 მილიონ დოლარს ითხოვს.** ბრაზილიური სერიალების ვარსკვლავი ადრიანა ფერეირა მილიარდელს ტყუილში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, სოროსი მას ნიუ იორკში ბინის ყიდვას დაჰპირდა, რაც დღემდე არ შეუსრულებია. ამერიკული ტაბლოიდების ინფორმაციით კი, ფერეირა 80 წლის სოროსს ძალადობაშიც სდებს ბრალს და აცხადებს, რომ „სოროსმა საწოლში მას გაარტყა, დახრჩობაც დაუპირა, შემდეგ კი მინის ტორშერი ჩაარტყა და ფეხები დაუსერა“.



## იულია ტიმოშენკოს მკვლელობის შეკვეთაშიც სდებენ ბრალს

**უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს ბრალი, შესაძლოა, მკვლელობის შეკვეთის მუხლითაც წაუყენონ.** ინფორმაცია ამის შესახებ უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის — რენატ კუზმინის განცხადებაზე დაყრდნობით გავრცელდა. კუზმინის თქმით, ინფორმაცია მკვლელობის საქმეში ტიმოშენკოს მონაწილეობის შესახებ აშშ-ის პროკურატურას აქვს. საქმე ეხება პარლამენტარ ევგენი შერბანის სიკვდილს, რომელიც 1996 წელს დონეცკის აეროპორტში მეუღლესთან ერთად დაცხრილეს.

**საბერძნეთში კრიზისია იმიტომ, რომ საბერძნეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პოლიტიკურად აქტიურია და ითხოვს ხელისუფლებისგან ხალხისთვის სასარგებლო პოლიტიკის გატარებას. საქართველოში კი მედია, პოლიტიკური ისტებლიშმენტი და შექმნილი საზოგადოებრივი აზრი ქვეყანაში არსებულ ვითარებას წარმოადგენს როგორც კარგს... აქ უიმედობაა, იქ კი პროტესტი ოპტიმისტურად განაწყობს საზოგადოებას და პოლიტიკური სისტემისა და მთავრობის პასუხისმგებლობის ამაღლებისკენ არის მიმართული.**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გია ჟორჟოლიანი: დასავლეთი, როგორსაც დღევანდელი ხელისუფლება ხატავს, არ არსებობს

„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა „სოციალ-დემოკრატების“ ლიდერი გია ჟორჟოლიანი.



**მშვიდობიანი რეგიონული პოლიტიკა არის ის პოლიტიკა, რომელიც საქართველოს შეუქმნის უკეთეს პირობებს თავისი ინტერესების გატარებისთვის**

**— ბატონო გია, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი გადაიზარდოს პოლიტიკურ კრიზისში და რით განსხვავდება ქართული კრიზისი, მაგალითად, საბერძნეთში არსებული კრიზისისგან?**

— საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კრიტიკულზე მეტია. როცა ევროპის ქვეყნებში მასობრივ პროტესტებს აქვს ადგილი, ეს გამოწვეულია არა იმით, რომ იმ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უფრო უარესია, ვიდრე საქართველოში, არამედ — იმით, რომ ის ადამიანები მიიჩნევენ, რომ მთავრობები არიან პასუხისმგებელნი ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე; რომ მთავრობა პასუხისმგებელია ქვეყანაში არსებულ უმუშევრობაზე, ბიუჯეტში სოციალური ხარჯების შესაძლო შემცირებაზე. ევროპაში კრიზისია არა იმიტომ, რომ ევროპა საქართველოზე უარესია, პირიქით — შეუდარებლად უკეთესია. საბერძნეთში საშუალო წლიური ხელფასი 25 ათასი ევროა, საქართველოში კი საშუალო წლიური ხელფასი 4 ათასი დოლარია. **საბერძნეთში კრიზისია იმიტომ, რომ საბერძნეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პოლიტიკურად აქტიურია და ითხოვს ხელისუფლებისგან ხალხისთვის სასარგებლო პოლიტიკის გატარებას. საქართველოში კი მედია, პოლიტიკური ისტებლიშმენტი და შექმნილი საზოგადოებრივი აზრი ქვეყანაში არსებულ ვითარებას წარმოადგენს როგორც კარგს.**

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის არ წარმოიდგინება სხვა, ალტერნატიული მოქმედების მექანიზმები იმისთვის, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ამიტომ ხალხი ფიქრობს: — თუ გაუმჯობესება შეუძლებელია, მაშინ მთავრობა არ არის დამნაშავე. ესპანელები და ბერძნები კი ფიქრობენ, რომ შესაძლებელია. **აქ უიმედობაა, იქ კი პროტესტი ოპტიმისტურად განაწყობს საზოგადოებას და პოლიტიკური სისტემისა და მთავრობის პასუხისმგებლობის ამაღლებისკენ არის მიმართული. ის ხალხი მეტ ყურადღებასა და იმ მინიმუმს მოითხოვს, რომელიც აუცილებელია არა მხოლოდ გადარჩენისთვის, არამედ ღირსეული ცხოვრებისთვის, ღირსეული მუშაობისთვის.** საქართველოში უმუშევრობის დონე ბევრად მაღალია, ვიდრე სამხრეთ ევროპაში. რეალურად საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი უმუშევარია. ამავე დროს, საბერძნეთსა და ესპანეთში, სადაც დღეს კრიზისებია, იქ ჩასული ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც პოულობს სამუშაოს. საქართველოს ხელისუფლება ხალხს უმალავს, რომ ალტერნატივა არსებობს. საქართველოში არ არსებობს რეალური დემოკრატიული მექანიზმები და ხალხის მონაწილეობა პოლიტიკაში დაყვანილია მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ არჩევნებში მონაწილეობაზე.

**— არსებული ხელისუფლების პოლიტიკა გასაგებია, მაგრამ „სოციალ-დემოკრატები“ რა ალტერნატივას ხედავთ?**

— მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ ის მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით, არ არის ერთადერთი და მისი შეცვლა შეიძლება. პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგად, ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა ქვეყანაში. ხელისუფლება ცრუობს, როცა ამბობს, რომ ასე ცხოვრობენ განვითარებულ ქვეყნებში, იქ საერთოდ განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური მოწყობაა.

**— როგორ უნდა შეიცვალოს, ახალი ხალხი უნდა მოვიდეს?**

— ეს ცვლილებები ვერ განხორციელდება მხოლოდ პერსონალიების შეცვლით, მთავარია, შეიცვალოს პოლიტიკა. ამ ცვლილებას „სოციალ-დემოკრატებმა“ ვუწოდეთ „სხვა საქართველო“. „სოციალ-დემოკრატები“ ვაპირებთ, მთელ საქართველოს გავაგებინოთ, რომ **ხელისუფლების მიერ არჩეული კურსი არ მიგვიყვანს ჩვენს სანუკვარ მიზნამდე. ისეთი დასავლეთი, როგორსაც დღევანდელი ხელისუფლება ხატავს, არ არსებობს.**

**— აბა, როგორია სხვა დასავლეთი და როგორია თქვენეული „სხვა საქართველო“?**

— ეს არის სოციალ-დემოკრატიული საქართველო, ისეთი საქართველო, სადაც მთავრობა არის პასუხისმგებელი, სადაც მოქალაქეები არიან აქტიურები და სადაც სოლიდარული მოქმედებით უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრების პირობები. „სხვა საქართველო“ ეს არის მაქსიმალური სამუშაო ადგილები, ეს არის ჯანდაცვის, განათლებისა და ცოდნის სრული ხელმისაწვდომობა. ეს საჭიროა არა მარტო გადარჩენისა და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, არამედ განვითარებისთვისაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ქვეყნის მოქალაქეები იმ პოლიტიკური უფლებების რეალიზებას, რომლებიც თითქოს დაშვებულია, მაგრამ რეალიზებული არაა. პოლიტიკური უფლებების რეალიზება ადამიანებს შეუძლიათ, თუ შეუძლიათ გადაადგილება, არიან ჯანმრთელები, თუ აქვთ ცოდნა, განათლება და კომპეტენცია. ეს არის არა მარტო საწყისი განათლება, არამედ მუდმივი განათლების შესაძლებლობა, კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ. თუ ადამიანი არ არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ მუშაობს, არ ირჩენს თავს, ის პოლიტიკურად აქტიური არ იქნება და ვერაფერს შეცვლის.

**— როგორ უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობა, რომელსაც დღემდე ინფორმაციაც კი არ აქვს საკმარისად?**

— სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობა საკმაოდ საღად აფასებს ქვეყანაში არსებულ ვითარებას და მოთხოვნებიც შესაბამისი აქვს როგორც ხელისუფლებისადმი, ასევე ხელისუფლებაში მოსვლის მსურველი ძალებისადმი. ჩვენ, ქართველი „სოციალ-დემოკრატები“ მომავალი, „სხვა საქართველოს“ ღერძად და ხერხემლად მივიჩნევთ არა რომელიმე ძალოვან სტრუქტურას, არამედ ქართულ სოფელს. ჩვენთვის სოფლის მეურნეობა ქვეყნის ფეხზე დადგომისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. სოფლები დღეს, ფაქტობრივად, როგორც საცხოვრებელი ადგილები, როგორც წარმოშობისა და იდენტობის ადგილები, გაუქმებულია.

საქართველოში ადმინისტრაციულად არსებობს მხოლოდ რაიონები, სოფლები კი არ არის გაერთიანებული ისეთ ერთობაში, რომელიც მიიღებდა გადაწყვეტილებას ხალხის ინტერესების გათვალისწინებით. უნდა განვითარდეს თვითმმართველობის ინსტიტუტები და სოფლები ჩამოყალიბდეს, როგორც კოლექტიური ერთობები. მიწებისა და ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულად უნდა იყოს სოფლების განკარგვაში. ადამიანებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, ეს როგორ გამოიყენონ, ცხადია, ეკოლოგიური და საერთოდ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. სოფლებში ფართოდ უნდა განვითარდეს კოოპერირება. **ევროპაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების 60% გაერთიანებულია კოოპერატივებში. საბჭოთა პერიოდში არსებულ კოლმეურნეობებში დასაქმებული ადამიანები იღებდნენ მხოლოდ 30%-ს, დანარჩენი მიჰქონდა სახელმწიფოს. თუ კოოპერირება კარგია ევროპაში, რატომ არ შეიძლება კარგი იყოს საქართველოში?!** მცირენაკვეთიანი კომლების სოფლებში სერიოზული სოფლის მეურნეობის განხორციელება შეუძლებელია. ამას აქვს ორი ალტერნატივა — კოოპერირება და მსხვილი ლატიფუნდიების შექმნა კერძო ინვესტორების მიერ. საქართველოში ინვესტირების შესაძლებლობა, ძირითადად, უცხოელებს აქვთ. ამ ინვესტიციებით შეიქმნება მსხვილი კერძო მეურნეობები, რომლებშიც გლეხები გადაიქცევიან დაქირავებულ მუშაკებად. ეს მნიშვნელოვნად შეასუსტებს იდენტობასა და დემოკრატიულ წესრიგს, რადგან ეს ხალხი ისევ ჩამოეკიდება ვიღაც ერთ ადამიანს. ლატიფუნდიების გამართლებას ცდილობენ ინვესტიციების მოზიდვით, მაგრამ **უცხოელები ვერ ააშენებენ ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ქვეყანა ჩვენვე უნდა ავაშენოთ. დღევანდელ სოფელს ჩამორთმეული აქვს არსებობის და განვითარების უფლება, ჩამორთმეული აქვს მიწა, საძოვრები, ტყეები, მდინარეები... საჭიროა ქართულმა სოფელმა დაიბრუნოს ის, რაც მას ეკუთვნის.**

**— ნაციონალიზაციას გულისხმობთ?**

— ის, რაც დაკავშირებულია ადამიანების იდენტობასთან, ამ ადამიანებს უნდა ეკუთვნოდეს. ეს არის ტყეები, მდინარეები, პორტები, კომუნიკაცია და ა.შ. ეს მიდგომა არ შემოიფარგლება მხოლოდ სოფლით. ჯანდაცვის სფეროში უნდა შეიქმნას ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო სექტორი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანა ჰოსპიტალური მომსახურებით იმ შემთხვევაშიც, თუ კერძო ორგანიზაციები არ მოინდომებენ ინვესტიციების ჩადებას ამ სფეროში. ცხადია, კომპანიებმა ან პირებმა, რომლებმაც შეიძინეს ქონება, უნდა შეინარჩუნონ ის, მათ ეს ქონება არ ჩამოერთმევათ. მაგრამ, ვინც მოქმედებდა სახელმწიფოსა და კონსტიტუციის წინააღმდეგ, მათი ქონების შესახებ გადაწყვეტილებები გადაიხედება, რადგანაც აშკარაა, რომ **დღეს ქვეყნის მმართველები კერძო მფლობელობაში ფლობენ იმ რესურსებს, რომლებიც კომუნისტურ პერიოდში სახელმწიფოს საკუთრება იყო. საბჭოთა საქართველოს მმართველები, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ნომენკლატურა, მართალია, იყენებდნენ იმ რესურსებს საკუთარი სარგებლისთვის, მაგრამ ის არ შეეძლოთ, რომ ქვეყნის რესურსები და სტრატეგიული ობიექტები კერძო საკუთრებად ექციათ.**

სახელმწიფომ არ შეიძლება მოიხსნას პასუხისმგებლობა. ტყუილია, რომ არ შეიძლება ბიუჯეტის გადათამაშება, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე. ჩვენ ვაკრიტიკებთ, რომ საბჭოთა დროს არ იყო საბაზრო ეკონომიკა, იყო საგეგმო კომიტეტი და ა.შ. ვინც მას აკრიტიკებს, არ იცის, რომ საბაზრო ეკონომიკა დიდწილად ექვემდებარებოდა დაგეგმვას, თუმცა სხვა ფორმით. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, მთელი ევროპის განვითარება ამას დაეყრდნო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამერიკაშიც რუზველტის დროს შეიქმნა სოციალური საბაზრო ეკონომიკა, კონსესუსი შედგა მოსახლეობის უდიდეს ჯგუფებს შორის, ხოლო სახელმწიფოს მხარდაჭერით იქმნებოდა საერთო საზოგადოებრივი პროდუქტი.

**— თქვენი აზრით, საქართველოშიც უნდა შეიქმნას სტრუქტურა, რომელიც დაგეგმავს ეკონომიკას?**

— კონკრეტულ მექანიზმებზე არ ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებების აღებაზე და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაზე. სახელმწიფომ უნდა აუხსნას მოსახლეობას ამა თუ იმ ქმედების მნიშვნელობა, მაგალითად, რატომ უნდა ჩატარდეს კონცერტი და არ აშენდეს ქარხანა, ან არ დავეხმაროთ სოფელს კოოპერატივის შექმნაში.

**— საიდან მოვა ფული იმ გეგმების განსახორციელებლად, რომლებზეც საუბრობთ? თუ სახელმწიფო გადაწყვეტს სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის ან განათლების საკუთარი მფარველობის ქვეშ აყვანას, ამას დაჭირდება ფული, რომელი სხვა დარგი უნდა შეიკვეცოს ამისთვის?**

— ერთ-ერთი სფერო, რომელსაც უნდა შეუმცირდეს დაფინანსება, იქნება შეიარაღება.

**— მაშინ რუსეთს რა დავუპირისპიროთ?**

— მგონი, არავინ სერიოზულად არ ფიქრობს, რომ საქართველოს შეუძლია მის წინაშე არსებული პრობლემების ძალით გადაწყვეტა. ეს პრობლემები უნდა გადაწყდეს მხოლოდ მშვიდობიანად. რაც შეეხება უსაფრთხოების სხვა ზომებს, მშვიდობიანი რეგიონული პოლიტიკა არის ის პოლიტიკა, რომელიც საქართველოს შეუქმნის უკეთეს პირობებს თავისი ინტერესების გატარებისთვის.

**— რატომ გგონიათ, რომ ხალხი სოციალ-დემოკრატიის გზას აირჩევს?**

— იმიტომ, რომ **ქართველი ხალხი არის ევროპული განვითარების ევროპული კულტურის ხალხი. ევროპამ აირჩია სოციალ-დემოკრატიული განვითარების გზა, მთელი კონტინენტური ევროპა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები არიან სოციალური დემოკრატიის საუკეთესო მოდელები. ეს არის ყველაზე განვითარებული და ყველაზე პერსპექტიული ქვეყნები მთელ მსოფლიოში.** დღეს გვაქვს შესაძლებლობა, ვიყოთ პერსპექტიული ქვეყანა. უახლოეს მომავალში ჩვენ ვიცხოვრებთ სოციალ-დემოკრატიულ საქართველოში, ისეთ ქვეყანაში, რომელიც თითოეულ ადამიანს მისცემს განვითარების შესაძლებლობას.

ესაუბრა
**დავით ბაზაძე**

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უახლესმა პოლიტიკურმა ისტორიამ და ქართული საზოგადოების იძულებითმა ლიბერალიზაციამ, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, დაგვანახა, რომ ლიბერალური ღირებულებები ეწინააღმდეგება ქართველი ერის მიერ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ და ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, აზროვნების სტილსა და ცხოვრების წესს.**

# ლიბერალიზმი როგორც იდენტობის ლიკვიდატორი

**ორპოლუსიანი მსოფლიო სისტემის ნგრევის შემდეგ, რომელიც ეფუძნებოდა იდეოლოგიურ დუალიზმს, ანუ კომუნისტური და ლიბერალური იდეოლოგიების დაპირისპირებას და რომელიც დამთავრდა კომუნისტური იდეოლოგიის მარცხით, მსოფლიოში დაიწყო ახალი პოლიტიკურ-იდეოლოგიური გადანაწილების პროცესი. დასავლურ ინტელექტუალურ წრეებში გამოჩნდნენ მოაზროვნეები, რომლებიც საუბრობდნენ ისტორიის დასასრულზე და რომ კაცობრიობა გააგრძელებდა არსებობას ერთი პოლიტიკური იდეოლოგიისა და ფასეულობათა სისტემის ქვეშ.**



**ლიბერალურ მატერიალისტურ საზოგადოებაში, ინდივიდისთვის უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს ფული და სიმდიდრე**

საბჭოთა კავშირის დაშლისა და კომუნისტური იდეოლოგიის მარცხის შემდეგ, საქართველო დანარჩენ აღმოსავლურ სამყაროსთან ერთად, იდეოლოგიურ ვაკუუმში აღმოჩნდა. ამ სიცარიელის ამოვსებას ქართველი პოლიტიკოსები და სხვადასხვა ამერიკული გრანტებით დაფინანსებულ ორგანიზაციებში გამოზრდილი ქართველი ინდივიდუმები ლიბერალური იდეოლოგიით შეეცადნენ. ისინი, აგერ უკვე 20 წელია, ყველას უმტკიცებენ, რომ ლიბერალიზმი წარმოადგენს ქართული საზოგადოების განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ღირებულებათა სისტემას.

**თუმცა საქართველოს უახლესმა პოლიტიკურმა ისტორიამ და ქართული საზოგადოების იძულებითმა ლიბერალიზაციამ, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, დაგვანახა, რომ ლიბერალური ღირებულებები ეწინააღმდეგება ქართველი ერის მიერ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ და ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, აზროვნების სტილსა და ცხოვრების წესს.**

ამ სტატიის მიზანია, მკითხველამდე მივიტანოთ, თუ რას გულისხმობს ლიბერალური საზოგადოება და რა საფრთხე შეუძლია მოუტანოს ლიბერალიზაციის პროცესმა ქართველ თვითმყოფად ერს.

სანამ შევუდგებოდეთ იმაზე საუბარს, თუ რამდენად შესაძლებელია ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება ქართულ საზოგადოებაში, აუცილებელია მოკლედ შევეხოთ საზოგადოების ორ ცივილიზაციურ ტიპს. სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები საზოგადოებებს ორ ტიპად ყოფენ: პირველს წარმოადგენს დასავლური, ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული ინდივიდუალისტური საზოგადოება, რომელიც კონკურენციის საფუძველზეა აგებული. დასავლური ტიპის ლიბერალური საზოგადოება, რომელიც აღიარებს ინდივიდის უზენაესობას, ზნეობრივ-მორალური ნორმები ცვალებადია ეკონომიკური კრიზისებისა და გარე სამყაროში მომხდარი ცვილებების შესაბამისად. ასეთ საზოგადოებაში ინდივიდისთვის დამახასიათებელია ეგოიზმი, სადაც ადამიანები აზროვნებენ რაციონალურად, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და ამ ინტერესების შესაბამისად ირჩევენ ურთიერთობის ობიექტსაც.

**ლიბერალურ მატერიალისტურ საზოგადოებაში, ინდივიდისთვის უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს ფული და სიმდიდრე.**

მათთვის მთავარია მოგების მიღება, ისინი უკავშირდებიან და ურთიერთობენ იმ ადამიანებთან, რომელთა საშუალებითაც შეძლებენ კერძო ინტერესების დაკმაყოფილებას და ექნებათ მოგების მიღების შესაძლებლობა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, **ისინი „მეგობრობენ“ მათთან, ვისთან ურთიერთობაც მათთვის მომგებიანია. როგორც კი ინდივიდი კარგავს მოგების მიღების შანსს მეორე ინდივიდთან ურთიერთობისას, იგი ახალი პარტნიორის, „მეგობრის“ ძიების პროცესშია.**

ასეთი ტიპის მიდგომა უცხოა ტრადიციულ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის ცნობიერებისთვის. ქართველი თავისი მენტალიტეტიდან, მართლმადიდებლური ღირებულებითი ორიენტირებიდან და აზროვნების ტიპიდან გამომდინარე, შეძლებს კი ასეთ მატერიალისტურ საზოგადოებაში ცხოვრებას? ამ შემთხვევაში საუბარია ქართველზე, ქართული ტრადიციების, მართლმადიდებლური ღირებულებითი ნორმატივების მატარებელ ადამიანზე და არა ქართული სახელისა და გვარის მქონე ადამიანზე.

რაც შეეხება მეორე ტიპს, ეს გახლავთ ტრადიციული საზოგადოება, რომელიც ხასიათდება როგორც ჰუმანური, სოლიდარობასა და ურთიერთდახმარებაზე აგებული კოლექტიური ერთობა. ასეთი საზოგადოება კულტურულ ასპექტში ამჟღავნებს ტრადიციების სიმტკიცეს. მათთვის დამახასიათებელია კოლექტივიზმი და პატრიარქალურობა. ასეთი ტიპის საზოგადოებას მიეკუთვნება ქართულიც.

**ლიბერალური ფილოსოფია უმაღლეს ღირებულებად აღიარებს ინდივიდუალიზმსა და თავისუფლებას, რომლებიც, თავის მხრივ, ურთიერთგანმაპირობებელი კატეგორიებია. თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს ინდივიდუალიზმის დონეს, რაც უფრო მაღალია თავისუფლების ხარისხი, მით უფრო მეტად იზრდება ადამიანში ინდივიდუალისტური თვისებები.**

ინდივიდუალიზმის ერთ-ერთ დამცველ მოაზროვნედ მიჩნეული ცნობილი ლიბერალი მოაზროვნე **ლორდი აქტონი** ძალიან საინტერესოდ აყალიბებს თავისუფლების კონცეფციას: **„თავისუფლებაში მე ვგულისხმობ რწმენას, რომ ყველა ადამიანი დაცული იქნება, რათა აკეთოს ის, რაც მას საკუთარ მოვალეობად მიაჩნია, ხელისუფლების და უმრავლესობის ადათ-წესების, მოსაზრებების ზეგავლენის მიუხედავად“.**

ამ დეფინიციის ანალიზისას, ყურადსაღები და მნიშვნელოვანია ის, რომ ეს მოაზროვნე ინდივიდს სთავაზობს, იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს, თუნდაც მას ტრადიციულად ჩამოყალიბებული ადათები და წეს-ჩვეულებები ამის საშუალებას არ აძლევდეს. რამდენად შესაძლებელია ტრადიციულ ქართულ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანისთვის ამ პირობის შესრულება? რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ვინაიდან **ქართულ ტრადიციულ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანისთვის ცხოვრებისეულ პრიორიტეტს წარმოადგენს ადათებისა და საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების შესრულება, რომელთანაც შესაბამისობაში მოდიოდა რელიგიური დოგმებიც კი.**

თავისუფლებაზე საუბრისას, ძნელია, გვერდი აუაროთ ცნობილი ფრანგი განმანათლებლის, შარლ ლუი მონტესკიეს მრავლისმეტყველ ნააზრევს თავისუფლებაზე: **„თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც კანონით დასაშვებია და, თუ მოქალაქეს შეუძლია აკეთოს ის, რასაც კანონი კრძალავს, მას აღარ ექნება თავისუფლება“.**

თუ ამ მოსაზრებას გავაანალიზებთ ქართულ სინამდვილეში, შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება: თავისუფლებას განსაზღვრავს იურიდიული ნორმები, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება კლასიფიცირდეს ბუნებრივ და სახელმწიფოს მიერ მიღებულ სამართლებრივ ნორმებად. მხოლოდ და მხოლოდ ამ ნორმების ჩარჩოებშია შესაძლებელი თავისუფლების უზრუნველყოფა, როგორც კი ინდივიდის ქცევა სცილდება ამ ჩარჩოს ფარგლებს, იგი აღარ ითვლება თავისუფლებად.

რაც შეეხება ქართულ საზოგადოებას, ისეთი საზოგადოებაა, რომელიც ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ბუნებრივ სამართლებრივ ნორმებზე და წეს-ჩვეულებებზე დაფუძნებულ ზნეობრივ ნორმათა კოდექსის პრიმატს აღიარებს, ვიდრე ფორმალური სამართლებრივი ნორმების. **ქართველისთვის პრიორიტეტია მართლმადიდებლური თვითშეგნებისა და ეროვნული ტრადიციების შერწყმის საფუძველზე შექმნილი წეს-ჩვეულებების შესრულება, ლიბერალურ-ინდივიდუალისტური საზოგადოება კი ადამიანთა რაციონალურ შეთანხმებას წარმოადგენს, რომელთა ქცევა და მოქმედება შეესაბამება შეთანხმების საფუძველზე დაწერილ სამართლებრივ ნორმებს და არა ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.** ლიბერალურ საზოგადოებაში მცხოვრები ინდივიდისთვის, დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს დაწერილი, სახელმწიფოს მიერ მიღებული ფორმალური სამართლებრივი ნორმების შესრულება.

**თავისუფლება ყოველთვის გულისხმობს საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმების ფარგლებში მოქმედებას. ქართველის შემთხვევაში, თავისუფლებას წარმოადგენს ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებების ფარგლებში მოქმედებას.** ქართველმა კანონმდებლებმა, კანონების მიღების დროს, ეს მომენტი ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ და უნდა შეეშვან პირდაპირ და ბრმად დასავლური სამართლებრივი სისტემებიდან კანონების გადმოტანას, რომლებიც არ შეესაბამება ქართველთა მენტალობას და ცხოვრების წესს. **„კანონები იმდენად შესაფერისი უნდა იყოს იმ ხალხისთვის, რომლისთვისაც შეიქმნა, რომ მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში უნდა შეიძლებოდეს, რომ ერთი ხალხის კანონები რომელიმეს გამოადგეს“ (შარლ ლუი მონტესკიე).**

საერთოდ, ნებისმიერი საზოგადოებისთვის დამახასიათებელია თავისუფლება. იმას, რასაც დღეს გვახვევენ თავს თავისუფლების სახით, თავისუფლების ანგლო-საქსური ვერსიაა. უბრალოდ, ქართველისა და ანგლო-საქსის თავისუფლების ხარისხის დონე განსხვავებულია ერთმანეთისგან, როგორც ნებისმიერი სხვა ტრადიციული საზოგადოების.

ლიბერალურ ღირებულებებზე საუბრისას აუცილებელია მხედველობიდან არ გამოგვრჩეს, მის მიერ ფორმალურად დეკლარირებული თანასწორობის იდეა, რომლის მიღწევა შეუძლებელია ლიბერალურ საზოგადოებაში. მართალია, აღიარებენ ფორმალურ თანასწორობას, მაგრამ კითხვა დავსვათ სხვა კუთხით: **რატომ მიისწრაფის ლიბერალურ საზოგადოებაში მცხოვრები ინდივიდი პირადი გამდიდრებისკენ?** ამ კითხვაზე პასუხი არც თუ ისე ძნელია: **მისი სწრაფვა გამდიდრებისკენ მიმართულია სხვებზე უპირატესობის მოსაპოვებლად.**

ლიბერალურ საზოგადოებაში თანასწორობის პრინციპი უპირისპირდება თავისუფლებას, ამ იდეოლოგიის უმთავრეს ღერძს, ე.ი. თავისუფლება ძირშივე სპობს თანასწორობის იდეას. შეუძლებელია, თავისუფლების იმ ხარისხის პირობებში, რომელიც ლიბერალურ საზოგადოებაშია, თანასწორობა შენარჩუნდეს, თუ იმასაც დავამატებთ, რომ ამ ღირებულებათა სისტემისთვის დამახასიათებელია მართლმადიდებელი ქართველისთვის მიუღე- ▶

**ლიბერალიზმი თავისი არსით წარმოადგენს პროტესტანტულ ფილოსოფიაზე, ანგლო-საქსური აზროვნების ტიპსა და სოციო-კულტურულ თავისებურებებზე მორგებულ ცხოვრების წესს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მართლმადიდებლურ თვითშეგნებასა და ცნობიერებაზე დაფუძნებულ ცხოვრების წესთან**

ამერიკის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყანაში ჩასული ემიგრანტები იძულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ საკუთარ კულტურულ იდენტობაზე და ათქვეფილიყვნენ დიდ ქვაბში ეთნიკურად სხვა ემიგრანტებთან ერთად, რაც ეფუძნებოდა უნივერსალურ ღირებულებათა სისტემას და რასაც ლიბერალიზმი ჰქვია.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სირცხვილია იმაზე საუბარი, რომ ამერიკელი ლიბერალებისგან ვისწავლოთ ტოლერანტობა, შემწყნარებლობა; იმათგან, ვინც აღმოსავლურ ტრადიციულ საზოგადოებებს მხოლოდ იმიტომ უშენენ ბომბებს, რომ ისინი საკუთარ ტრადიციებს იცავენ

ბელი ისეთი ანტისაზოგადოებრივი ფენომენი, როგორიცაა ეგოიზმი.

**ლიბერალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის ქართული საზოგადოებისთვის თავს მოხვევა მისი ყველაზე პრიმიტიული ნაწილის მიერ, როდესაც საზოგადოება მკვეთრად პოლარიზებულია ორი ერთმანეთისგან გაუცხოებულ ფენად** (მდიდარი უმცირესობა და ღარიბი უმრავლესობა), **სადაც არ არსებობს საშუალო ფენა, გაუმართლებელია, რადგან ისედაც ღარიბ მოსახლეობას კიდევ უფრო მეტად გააღარიბებს, მდიდრებს კი კიდევ უფრო მეტად გაამდიდრებს.** ეს პროცესი კი უფრო მეტად გაზრდის უთანასწორობას, რაც პოლიტიკურ უთანასწორობაზეც აისახება. ყველაფერი ეს კი ხელს შეუწყობს ერთი და იმავე ადამიანების ხელისუფლებაში ყოფნას, რაც ისედაც ასეა საქართველოში. **„საბაზრო-კაპიტალისტური ეკონომიკა სერიოზულ დარტყმას აყენებს პოლიტიკურ თანასწორობას“ (რობერტ დალი).**

ლიბერალები, აგრეთვე, აღიარებენ — ოღონდ მხოლოდ დეკლარირების დონეზე — ტოლერანტობას და პლურალიზმის პრინციპებს, თუმცა ანგლო-საქსურ ეროვნულ სპეციფიკაზე მოწყობილ სოციალურ სისტემას თუ დავაკვირდებით, იგი შეიძლება შეფასდეს როგორც ანტიტოლერანტული. ლიბერალთა ვერსიით, საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბება დაკავშირებულია ერთსა და იმავე ფასეულობებზე აღზრდილი ადამიანების გაერთიანების პროცესთან. როდესაც ასეთ საზოგადოებაში სხვა სოციუმში აღზრდილი ადამიანი იწყებს ცხოვრებას, იგი იძულებულია, ამ სოციუმში დამკვიდრებული ცხოვრების წესი დაიცვას და მოახდინოს საკუთარი თავის ადაპტირება მისთვის ახალ სოციალურ გარემოში. თუ ეს უკანასკნელი არ დაიცავს მისთვის უცხო სოციუმში გაბატონებულ ცხოვრების წესს, იგი იქნება გარიყული საზოგადოებიდან, ანუ ადგილი აქვს ასიმილაციის პროცესს, რომელსაც ადგილი ჰქონდა შეერთებულ შტატებში. **ამერიკის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყანაში ჩასული ემიგრანტები იძულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ საკუთარ კულტურულ იდენტობაზე და ათქვეფილიყვნენ დიდ ქვაბში ეთნიკურად სხვა ემიგრანტებთან ერთად, რაც ეფუძნებოდა უნივერსალურ ღირებულებათა სისტემას და რასაც ლიბერალიზმი ჰქვია.**

**უფრო მეტიც, ანგლო-საქსი კოლონიზატორები მიხვდნენ, რომ აბორიგენი მოსახლეობის ცხოვრების წესი განსხვავებული იყო მათი ცხოვრების წესისგან და შეუძლებელი იქნებოდა მათთან ერთად ერთიანი საზოგადოების შექმნა და, აქედან გამომდინარე, მათი დამორჩილება საკუთარ მიწაზე. ამიტომ ძალიან მარტივად გადაწყვიტეს საკითხი — ისინი უბრალოდ ამოხოცეს.**

რაც შეეხება საქართველოსა და ქართველებს, მრავალი საუკუნის მანძილზე ვახდენდით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის დამახასიათებელი სოციო-კულტურული თავისებურებების შეთავსებას, ქართველი ერის კულტურულ თვითშეგნებასთან და ცხოვრების წესთან. ისე, რომ სხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა შეინარჩუნეს ქართველებთან ერთად კულტურული თვითმყოფადობა, ტრადიცია, ენა. ქართველებსაც შეეძლოთ ზუსტად ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ბრიტანელი კოლონიზატორები, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ჰქონდათ ამის შესაძლებლობა.

**ამ ისტორიული ანალოგიების მოყვანის შემდეგ, სირცხვილია იმაზე საუბარი, რომ ამერიკელი ლიბერალებისგან ვისწავლოთ ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, იმათგან, რომლებიც არ აღიარებენ განსხვავებული ცხოვრების წესს, გარდა ლიბერალურისა; იმათგან, ვინც აღმოსავლურ ტრადიციულ საზოგადოებებს მხოლოდ იმიტომ უშენენ ბომბებს, რომ ისინი საკუთარ ტრადიციებს იცავენ.**

რაც შეეხება პლურალიზმს, რითაც ასე იწონებენ თავს ლიბერალები მათი მიდგომისა და პოლიტიკის დაკვირვებისას სხვა ერების მიმართ, ადვილად დავინახავთ მათ სიცრუეს. ისინი მთელ მსოფლიოში უნივერსალური და ერთიანი ცხოვრების წესის დამკვიდრებისკენ მიისწრაფვიან, რაც ეწინააღმდეგება სხვადასხვა ერის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცხოვრებისა და ქცევის წესს, კულტურულ თვითშეგნებას, აზროვნების ტიპს. **მსოფლიოში დაახლოებით 3000-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფია, რომლებმაც ისტორიული განვითარების საკუთარი გზა გაიარეს. შეუძლიათ კი უაპელაციოდ მიიღონ პროტესტანტულ ეთიკაზე დაფუძნებული ლიბერალური ცხორების წესი? დამეთანხმებით, რომ ნამდვილად არ შეუძლიათ, მაგრამ ამერიკელები იძულებითი წესით თავს ახვევენ აღმოსავლეთში მცხოვრებთ ლიბერალურ ღირებულებებს.**

**პლურალიზმი თავისთავში მოიცავს განსხვავებული იდეების, მსოფლმხედველობის არსებობას და ამ იდეებს შორის ჭიდილს (კარგი გაგებით). დღეს კი რა ხდება? ღირებულებების, იდეების, აზროვნების თუ ცხოვრების წესის უნივერსალიზაცია და უნიფიცირება. და ამ პროცესებს ადგილი აქვს როგორც ქვეყნების შიგნით, ასევე — გლობალური მასშტაბით.**

საერთოდ აღიარებულია, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია ეფუძნება გარკვეულ იდეოლოგიურ პლატფორმას. პლურალისტურ საზოგადოებებში სწორედ ამ იდეებს შორის უნდა მიმდინარეობდეს ჭიდილი და შეჯიბრი, რაც ამომრჩეველს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს. ამერიკის შემთხვევაში კი, სადაც ორპარტიული სისტემა არსებობს, ორივე პარტიის იდეოლოგიურ პლატფორმას წარმოადგენს ლიბერალიზმი. მათი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან, გარდა რიტორიკისა. ეს იგივე იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირის დროს შექმნილიყო კომუნისტურ იდეოლოგიურ პლატფორმაზე დაფუძნებული მეორე პარტია ხალხისთვის თვალის ასახვევად, რასაც დღეს ადგილი აქვს შეერთებულ შტატებში. ასე რომ, თუ კარგად გავაანალიზებთ ამერიკულ პოლიტიკურ სისტემას, იგი იდეოლოგიური პლურალიზმისგან შორს არის.

**ლიბერალიზმი თავისი არსით წარმოადგენს პროტესტანტულ ფილოსოფიაზე, ანგლო-საქსური აზროვნების ტიპსა და სოციო-კულტურულ თავისებურებებზე მორგებულ ცხოვრების წესს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მართლმადიდებლურ თვითშეგნებასა და ცნობიერებაზე დაფუძნებულ ცხოვრების წესთან.**

ასევე, შეიძლება დამატების სახით ითქვას, რომ ერთ-ერთი ამერიკელი სტრატეგი, პოლიტოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სამუელ ჰანტინგტონი დასავლურ ლიბერალურ ცივილიზაციასთან ყველაზე შეუთავსებელ რელიგიად, ისლამურ-კონფუციურ ბლოკთან ერთად, მიიჩნევს მართლმადიდებლობასაც.

ერებს, ნაციებს გააჩნიათ მათი ინდივიდუალობის განმაპირობებელი კულტურული ელემენტები, რითაც ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ერთ-ერთ ასეთ ელემენტს, ენასთან ერთად წარმოადგენს რელიგია. ქართველებისთვის, როგორც უკვე არა ერთხელ ითქვა, მთავარი მაიდენტიფიცირებელი ნიშანია მართლმადიდებლობა. ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **ქართული საზოგადოების ლიბერალიზაცია გულისხმობს უარის თქმას მართლმადიდებლობაზე, როგორც ქართველთა უმნიშვნელოვანეს მაიდენტიფიცირებელ კულტურულ ნიშანზე და პროტესტანტულ ფილოსოფიაზე დაფუძნებული ცხოვრების წესის მიღებას, რაც ქართველი ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დაკარგვას და საბოლოო ჯამში ქართველი ერის გადაგვარებას განაპირობებს, რადგან მართლმადიდებლურმა რელიგიამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველი ერის ჩამოყალიბებასა და საბოლოო სახის ფორმირებაში.**

**ირაკლი უბილავა**

# ჰააგის ტრიბუნალს მართავს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და მი-6

SECRET INTELLIGENCE SERVICE MI6



**ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო ტრიბუნალის ჩამოყალიბების მომენტიდან, 1993 წლიდან, გავრცელდა ცნობები, რომ იგი დასავლეთის რიგი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მოექცა. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურებს დაევალათ, თავიანთი კონტროლისთვის დაექვემდებარებინათ ეს დროებითი სასამართლო და გამოეყენებინათ იგი იუგოსლავიისა და სერბეთის საბოლოოდ დასაშლელად. ეს პროცესი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო.**

ტრიბუნალმა სერბების წინააღმდეგ ბრალდებების კონვეიერული დაშტამპვა დაიწყო. 2000 წლის ოქტომბერში სერბეთის სათავეში მოსულმა დასავლეთის ინტერესების მომსახურე ხელმძღვანელობამ, ტრიბუნალს სრულად ჩააბარა მთელი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა, რომელიც ხალხს და ქვეყანას იცავდა. მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოს არ ჩაუდენია მსგავსი რამ!

**ჰააგის ტრიბუნალის 141 საბრალდებო გადაწყვეტილებიდან 95 სერბების მიმართ იყო გამოტანილი, რაც საბრალდებო დასკვნების 70 პროცენტია (!). ამ ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, სერბებს მიესაჯათ 1000 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმ სერბთა შორის, ვისზეც ტრიბუნალმა დაპატიმრების ორდერები გასცა, 14 გარდაიცვალა ან მოკლეს. ბელგრადის პროდასავლურმა ძალებმა ჰააგის პროკურორებს გადასცეს სახელმწიფო უშიშროების, სამხედრო დაზვერვისა და სერბეთის თავდაცვის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკულად მთელი საიდუმლო დოკუმენტაცია. ამავე დროს, ჰააგის ტრიბუნალმა განსახილველად არ მიიღო არც ნატოს დანაშაულობანი სერბი ხალხის წინააღმდეგ, არც პოსტიუგოსლავიის სივრცეში ეთნო-კონფესიული ლოკალური ომების დროს სერბების წინააღმდეგ ჩადენილი უმეტესი დანაშაულობანი.**

იბადება კითხვა: **ამ წლების განმავლობაში ვინ აყალიბებდა საბრალდებო დასკვნებს და ვინ წარმართავდა ჰააგის ტრიბუნალის საქმიანობას?**

ფლორის არტმანის მონაცემებით, რომელიც მთავარი პროკურორის — კლარა დელ პონტოს მრჩევლად მუშაობდა ბალკანეთის საკითხებზე და მისი პრესმდივანი იყო, ჰააგის ტრიბუნალის პროკურატურის საქმიანობის დაწყებისთანავე, მასზე გავლენას ახდენდა ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურები. თავის წიგნში „მსოფლიო და სასჯელი“ არტმანი მიუთითებს, რომ 1994 წლის მეორე ნახევარში, როცა „ტრიბუნალი ბოლოს და ბოლოს მუშაობას შეუდგა“, ტრიბუნალში ჩამოვიდა 22 ფუნქციონერი, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ყველა აუცილებელი საშუალებით, ჩვენთვის დახმარება რომ გაეწიათ. სამხედრო ანალიტიკოსები, იურისტები, ფაქტობრივად კი, სადაზვერვო სტრუქტურების აგენტები, მთელი ამ დროის მანძილზე მუშაობდნენ ტრიბუნალში და ასრულებდნენ იმ დავალებებს, რომლებსაც თავიანთი მთავრობები აძლევდათ. ანგლოსაქსებმა ამრიგად უდიდესი უპირატესობა მოიპოვეს. ფლორანს არტმანი იმოწმებს ჯეიმ შეის, ნატოს პრესმდივანს, რომელმაც სერბების წინააღმდეგ კოსოვოსა და მეტოხიაში ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ განაცხადა: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ (ნატო) და ტრიბუნალი ერთი მთელი ვართ“... და „...დარწმუნებული ვარ, რომ ლუიზა არბური (მთავარი პროკურორი) ბრალს დადებს მხოლოდ იუგოსლავური ეროვნების წარმომადგენლებს და სხვას არავის“.

**პროკურატურის თანამშრომლებისა და მათი თანაშემწეების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სპეციალური ორგანოც კი შეიქმნა — „სამხედრო ანალიტიკური გუნდი“. არტმანი მიუთითებს, რომ „ამერიკელებმა და ბრიტანელებმა არ დააყოვნეს ამგვარი მაღალკვალიფიციური პერსონალის მიწვევა, რამაც საშუალება მისცა, სისხლის სამართლის წესით დევნის სტრატეგიის დისტანციური მართვა განეხორციელებინათ. საუკეთესო სადაზვერვო სამსახურებიდან მოსული პროფესიონალები და სამხედრო ანალიტიკოსები, რომლებიც ლოიალურები იყვნენ თავიანთი მთავრობების მიმართ, დაბეჯითებით უნდა ვთქვა, ტრიბუნალის თანამშრომელთა ყველაზე ნიჭიერ და უნარიან ნაწილს წარმოადგენდნენ...“**

ფლორის არტმანი ამბობს, რომ სლობოდან მილოშევიჩის პროცესის პროკურორი ჯეფრი ნაისი ინგლისის დაზვერვის — **მი-6**-ის მრავალწლიანი სტაჟის მქონე აგენტია. იგი ამტკიცებს, რომ ბილ სტრუბნერი, მთავარი პროკურორის — რიჩარდ ჰოლდსტონის მთავარი მრჩეველი, აშშ სამხედრო დაზვერვის აგენტია.

**არტმანი წერს, რომ ნატოს ოპერაცია, რომლის შედეგად ჰააგის ტრიბუნალის მიერ ბრალდებული მრავალი სერბი დაიღუპა, იწოდებოდა „ქარვის ვარსკვლავად“. დავუმატოთ ამას, რომ ჰააგის ტრიბუნალის ცნობილი თანამშრომელი სერბეთში, ნატაშა კანდიჩი ოთხმოცდაათიან წლებში ამერიკის დაზვერვის თანამშრომლად ითვლებოდა.**

ზემოთ თქმული მოწმობს, რომ სერბების წინააღმდეგ ბრალდებას წერდნენ არა დამოუკიდებელი პროკურორები, არამედ ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების აგენტები. მათი ეს მოღვაწეობა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება თვით ამ ტრიბუნალის წესებს, არაფერი რომ არ ვთქვათ გაეროს ნორმებზე. ჰააგის ტრიბუნალი ასრულებდა და ასრულებს სერბების დასჯისა და სერბი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობათა დაფარვის ამოცანას.

საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიუხედავად, ამერიკისა და ბრიტანეთის აგენტები წლების განმავლობაში დაუბრკოლებლად საქმიანობენ ჰააგის ტრიბუნალში და თავიანთი მთავრობების მითითებებსა და დავალებებს „პირნათლად“ ასრულებენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ **ჰააგის ტრიბუნალმა უარი თქვა, ბრალდება წაეყენებინა ტრიბუნალის ციხის მმართველის — ტიმოთი მაკფადენის წინააღმდეგ, რომელიც აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებს აწვდიდა ცნობებს სლობოდან მილოშევიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ადვოკატების მოღვაწეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ.**

ფლორენს არტმანის, ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის პროკურატურის პასუხისმგებელი ჩინოვნიკის მიერ გამჟღავნებული ცნობები საკმარის საფუძველს იძლევა საიმისოდ, რათა დაიწყოს გაეროს გამოძიება ჰააგის ტრიბუნალის საქმიანობისა და დარღვევათა წინააღმდეგ. შედეგი უთუოდ მოგვცემს ჰააგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა რევიზიის საფუძველს.

**ბორის ალექსიჩი**
**(სერბეთი)**

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოულოდნელად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაცვის თანამშრომელი მომიახლოვდა, ხელჩანთა გამომგლიჯა და მითხრა, რომ უნდა გაეჩხრიკა. დაცვას დავედევნე და სასწრაფოდ ჩემი ჩანთის დაბრუნება მოვთხოვე. მესმოდა, როგორ მოდიოდა ჩემს უკან ირმა ჯანგირაშვილი და დაცვისგან ითხოვდა, ჩემს ხელჩანთაში არაფერი ჩაედოთ. დაცვის თანამშრომელს დაცვის ოთახის შესასვლელ კართან დავეწიე. ჩემი ხელჩანთა, რომელიც უკვე გახსნილი იყო, ხელიდან გამოვტაცე და ახსნა-განმარტება მოვთხოვე, თუ რა უფლებით წამართვეს ხელჩანთა და რა უფლებით ატარებდნენ ჩხრეკას. დაცვის სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა, რომ უშუალოდ ზურაბ ოტიაშვილის დავალებით მოქმედებდა“.**

# თავდასხმა ჟურნალისტზე — დუშეთის გამგეობაში კორესპონდენტი უხეშად გაჩხრიკეს

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი იტყობინება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შესულ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტს, მანანა ქველიაშვილს თავს დაესხა დაცვის სამსახურის თანამშრომელი, რომელმაც ჟურნალისტს ხელჩანთა გამოჰგლიჯა და გაჩხრიკა. ჟურნალისტის თქმით, დაცვის სამსახურის თანამშრომლებს გამგეობის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ირმა ჯანგირაშვილი გაეკიდა და მოუწოდებდა, ჩანთაში არაფერი ჩაედოთ.**



გამგებელთან ან მის მოადგილესთან შეხვედრის უშედეგო მცდელობის შემდეგ, ჟურნალისტს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით დეპუტატთან, ზურაბ ოტიაშვილთან შეხვედრა შესთავაზეს. მან დასვა კითხვა, თუ რა უფლებამოსილება ჰქონდა საკრებულოს რიგით დეპუტატს და რამდენად კომპეტენტური იყო იმ საკითხებში, რომლებიც აინტერესებდა. ჯანგირაშვილმა მიპასუხა: **„ოტიაშვილი ისაა, თქვენმა ცენტრმა** (იგულისხმება მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი) **„რუხ კარდინალად“ რომ მოიხსენია. რეალურად ეგ ადამიანი კურირებს ყველაფერს დუშეთში, ამიტომ, თუ გინდა ინფორმაციის მიღება, ჯობია, შეხვდეო“.**

**მანანა ქველიაშვილი მოგვითხრობს:** „ირმა ჯანგირაშვილთან ერთად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე ჩავედი. ირმა ერთ-ერთი ოთახისკენ გამიძღვა. ის იყო კარი უნდა შეეღო და კაბინეტში შევსულიყავით, რომ მოულოდნელად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაცვის თანამშრომელი მომიახლოვდა, ხელჩანთა გამომგლიჯა და მითხრა, რომ უნდა გაეჩხრიკა. დაცვას დავედევნე და სასწრაფოდ ჩემი ჩანთის დაბრუნება მოვთხოვე. მესმოდა, როგორ მოდიოდა ჩემს უკან ირმა ჯანგირაშვილი და დაცვისგან ითხოვდა, ჩემს ხელჩანთაში არაფერი ჩაედოთ. დაცვის თანამშრომელს დაცვის ოთახის შესასვლელ კართან დავეწიე. ჩემი ხელჩანთა, რომელიც უკვე გახსნილი იყო, ხელიდან გამოვტაცე და ახსნა-განმარტება მოვთხოვე, თუ რა უფლებით წამართვეს ხელჩანთა და რა უფლებით ატარებდნენ ჩხრეკას. **დაცვის სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა, რომ უშუალოდ ზურაბ ოტიაშვილის დავალებით მოქმედებდა. მე მოვითხოვდი, განემარტათ, რა უფლება ჰქონდა ზურაბ ოტიაშვილს, დაცვისთვის ჩემი გაჩხრეკა დაევალებინა.**

ამ დროს ოტიაშვილის კაბინეტიდან გამოვიდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე ნინო ხუციშვილი, რომელმაც განმიცხადა, რომ ეს სტანდარტული პროცედურა იყო. ირმა ჯანგირაშვილი დაცვას სთხოვდა, ჩემთვის თავი დაენებებინა და მუშაობის საშუალება მოეცა. დაცვის თანამშრომელმა მითხრა, რომ მხოლოდ დიქტოფონისა და ტელეფონის დაცვასთან დატოვების შემთხვევაში შევძლებდი ზურაბ ოტიაშვილთან შესვლას. ნინო ხუციშვილმა კი დაამატა, რომ ოტიაშვილთან მხოლოდ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შედგებოდა და არანაირი ინტერვიუს ჩაწერის საშუალება არ მექნებოდა.

მაშინ ნინო ხუციშვილს, ირმა ჯანგირაშვილსა და დაცვის ორ თანამშრომელს ვუთხარი, რომ ზურაბ ოტიაშვილის გაცნობის სურვილი არ მქონდა და, თუკი ჩემს კუთვნილ ნივთებს არ დამიბრუნებდნენ, არც შევხვდებოდი. ამის შემდეგ ირმა ჯანგირაშვილმა მთხოვა, დამეცადა. იგი ოტიაშვილის სამუშაო ოთახში შევიდა, იქიდან გამოსვლის შემდეგ კი მითხრა, რომ შემეძლო ოტიაშვილთან ინტერვიუს ჩაწერა იმ საკითხებზე, რაზედაც მანამდე შევთანხმდით.

ზურაბ ოტიაშვილის ე. წ. კაბინეტში, რომელიც სინამდვილეში საკონფერენციო დარბაზი აღმოჩნდა, დუშეთის მუნიციპალიტეტის პრესსამსახურის ხელმძღვანელ ირმა ჯანგირაშვილთან ერთად შევედი. მას შემდეგ, რაც ოტიაშვილს მივესალმე, აღმოვაჩინე, რომ ოთახში ასევე იყო ნინო ხუციშვილიც, რომელიც მთელ საუბარს დაესწრო.

**პირველი კითხვა, რაც ზურაბ ოტიაშვილს დავუსვი, ჩემს გაჩხრეკას ეხებოდა. მან აღნიშნა, რომ ჟურნალისტები ხშირად უნებართვოდ იწერენ საუბრებს, ამიტომ შევეცადე, წინასწარ თავი დამეზღვია და ჩამწერი აპარატურა არ შემოგეტანათო.**

მე ჩანთიდან ბლოკნოტი და კალამი ამოვიღე და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაციონალ დეპუტატთან, ზურაბ ოტიაშვილთან ინტერვიუს ჩაწერა დავიწყე.

მომდევნო კითხვა ატრაქციონებს ეხებოდა, რაზეც ოტიაშვილისგან არასრული და ზედაპირული პასუხი მივიღე.

მეორე თემა დუშეთის ხევს ეხებოდა. ოტიაშვილმა, ფაქტობრივად, დუშეთის მოსახლეობა დაადანაშაულა „დუშეთის ხევის“ პრობლემის არსებობის გამო.

**ცალკეული დეტალები, რაზე საუბარიც სცადა ოტიაშვილმა:**

თავდაპირველად ის ჩემი რედაქტორის ვინაობით დაინტერესდა, თუმცა მერე აღმოჩნდა, რომ მისი ვინაობა ისედაც იცოდა. **„მთიულიშვილია თუ ვილაც, რატომ არ მოდის და არ მეცნობა“?** მე ვუთხარი, რომ, თუ რედაქტორი მის გაცნობას აუცილებლობად მიიჩნევდა, შეხვდებოდა.

ამის შემდეგ ოტიაშვილმა აგდებულად მოიხსენია კახეთის საინფორმაციო ცენტრი და თქვა: **„კაციშვილი არაა კახეთში ამ ცენტრის მაქებარი“.** სამაგიეროდ ენერგიულად შეუდგა თავის ქებას და ცდილობდა, დავერწმუნებინეთ, რომ თვითონ ძალიან პოპულარულია დუშეთში. ამაში დასარწმუნებლად მირჩია, ქუჩაში გავსულიყავი და პენსიონერებისთვის მეკითხა აზრი. საუბარში ნინო ხუციშვილი ჩაერია, რომელმაც თავის მხრივ დაადასტურა, რომ ბატონი ზურაბი თურმე ძალიან უყვართ დუშეთში. შემდეგ კი მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. მე მაშინვე მოვითხოვე ნინო ხუციშვილისგან, დაესახელებინა კონკრეტული ფაქტი, კონკრეტული სტატია, რომელშიც ცრუ ინფორმაცია იყო მოცემული. ხუციშვილმა განაცხადა, რომ „ასეთი ნიუსი ბევრი იყო“, მაგრამ კონკრეტული ფაქტების დასახელება მაინც ვერ შეძლო.

**საუბარში ოტიაშვილმა რამდენიმეჯერ ახსენა სიტყვა ადამიანობა და სამშობლოს წინაშე დამსახურება; ცდილობდა, საკუთარ „ღვაწლზე“ ესაუბრა, თუმცა რამდენჯერაც თემას გადაუხვია, იმდენჯერ გავუმეორე ის კითხვები, რომლებზეც პასუხების მიღება მჭირდებოდა. გაღიზიანებულმა ოტიაშვილმა კი მომიგო: „არ მაცლით საუბარს. აი, მაგალითად, თქვენ რა გაგიკეთებიათ სამშობლოსათვის?“...**

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ჯანგირაშვილმა ინტერვიუს მანძილზე არაერთხელ მთხოვა, ზურაბ ოტიაშვილისთვის საშვების თაობაზე მეკითხა, თუ რატომ უნდა სჭირდებოდეს ჟურნალისტს საშვის გამოწერა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობაში შესასვლელად, და თუ ეს ასე აუცილებელია, მაშინ ხომ შეიძლება გაკეთდეს აკრედიტაცია, რომლითაც ჟურნალისტები თავისუფლად გადაადგილდებიან გამგეობის შენობაში.

ოტიაშვილის თქმით, საშვის სისტემა გამგეობაში ახალი დანერგილია და ამიტომ თანამშრომლები ჯერ კიდევ სწავლობენ. შემდეგ დაამატა: **„თქვენ როგორ ფიქრობთ, იმ დაცვას, გარეთ რომ დგას, შეუძლია აკრედიტაციის ან რამის გარჩევა?“**

**აღსანიშნავია, რომ ოტიაშვილთან შეხვედრამდე ირმა ჯანგირაშვილს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში მომუშავე ადამიანების ვინაობისა და მათ მიერ დაკავებული თანამდებობების სიის მოწოდება ვთხოვე. ჯანგირაშვილი თავდაპირველად დამთანხმდა, მითუმეტეს მას ეს სია უკვე გამზადებული ჰქონდა, თუმცა ასლის გადასაღებად წასულმა „აღმოაჩინა“, რომ ამ სიის გადმოცემის უფლება არ ჰქონდა.** რატომ არ მომაწოდა სია ირმა ჯანგირაშვილმა, ამაზე ოტიაშვილმა მიპასუხა: **„დუშეთის მუნიციპალიტეტში ისეთი ხალხი მუშაობს, რომელთაც ლაპარაკი არ შეუძლიათ. ორ სიტყვას ვერ გეტყვიან, ვერ ილაპარაკებენ. ეს ხალხი თავის საქმეს აკეთებს. ლაპარაკით რამდენიმე ადამიანი ილაპარაკებს“.** ოტიაშვილმა ისიც მითხრა, რომ ჩვენ მისთვის არც ფოტოს გადაღების უფლება გვაქვს. **„მე მირჩევნია, საქმე ჩუმად ვაკეთო და ჩრდილში დავრჩე“,** — ასეთი „არგუმენტით“ გაამართლა მისი პოზიცია. მე მას შევახსენე, რომ ის საჯარო პირი იყო და არა მეცენატი, და რომ ის ე.წ. საქმეს ხალხის ფულით აკეთებდა (თუ მართლა რამეს აკეთებს!) და არა — საკუთარი ჯიბის ფულით.

**არაერთი მცდელობის მიუხედავად, მიმეღო კონკრეტული პასუხები კონკრეტულ კითხვებზე, საკრებულოს დეპუტატი ზურაბ ოტიაშვილი გამუდმებით ცდილობდა საუბრის სხვა თემაზე გადატანას.** მე დემონსტრაციულად ავდექი და ვუთხარი, რომ მასთან ინტერვიუ დამთავრებული იყო. მთელი ინტერვიუს მანძილზე მქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ოტიაშვილი ჩვენს საუბარს ტელეფონით იწერდა. ამიტომ დამშვიდობებისას ვუთხარი: **„ვიცი, რომ ამ საუბარს იწერდით, ამიტომ ჩვენი საუბრის ჩანაწერს თუ დამიბლუთუზებთ, კარგი იქნება-მეთქი“.** ამის თქმაზე ოტიაშვილი გაბრაზდა: **„თქვენ მე ვინ გგონივართ, 15 წელი უშიშროებაში ვიმუშავე და მაგას ვიკადრებო?“.**

უკვე კარისკენ მიმავალმა ვუპასუხე: **„სწორედ იმიტომ, რომ უშიშროებაში მუშაობდით, ლოგიკური იყო, ჩანაწერი გაგეკეთებინათ-მეთქი“. „არ გჯერათ, მაგრამ არ ვიწერდი არაფერს. ან რაში უნდა გამოვიყენო ჩვენი საუბარი, განა რაზე ვისაუბრეთ ისეთზე?! აი, ნახეთ, ეს ჩანაწერი არსად არ დაგხვდებათო,“** — ოტიაშვილმა ამ სიტყვებით მისდაუნებურად დაადასტურა ჩემი ეჭვი და ცდილობდა, მისი უაზრო საუბარი გაეგრძელებინა.

**ზურაბ ოტიაშვილი:** რატომ მიდიხართ, გგონიათ, დაგიჭერთ?

**მანანა ქველიაშვილი:** როგორ დამიჭერთ?

**ზურაბ ოტიაშვილი:** რატომ? ვერ მოგერევით?

**მანანა ქველიაშვილი:** თქვენ არ ხართ უფლებამოსილი პირი, ვისაც ადამიანის დაჭერის უფლება აქვს. საკრებულოს რიგითი დეპუტატი ხართ!

**ზურაბ ოტიაშვილი:** უშიშროებაში 15 წელი ვმუშაობდი. იმნაირები დამიჭერია...

**რედაქციისაგან: მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი მომხდართან დაკავშირებით რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოებს მიმართავს. ამასთან, მზადდება მასალა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის დახურვის მიზნით, როდის, სად, ვისზე და რა ზეწოლა განახორციელეს ზურაბ ოტიაშვილმა და დუშეთის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა. სტატიაში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის, კერძოდ, მუქარის, იძულების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და სიტყვის თავისუფლების ხელყოფის ნიშნები, რის გამოც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი საქართველოს მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართავს.**

# აშშ-ის მორიგი საჩუქარი: ერევანს — ზღვაზე გასასვლელი, ბაქოს — «დიდი აზერბაიჯანი», საქართველოს...

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის ივლისის ვიზიტმა თურქეთში კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რუკის ახალი კონტურები გამოკვეთა. ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგება ითვალისწინებს არა მარტო საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა შეყვანას კონფლიქტის ზონაში, არამედ საკომუნიკაციო და ტერიტორიული კომპენსაციების რეჟიმსაც კონფლიქტის მხარეებისთვის.**

სააგენტო რეგნუმის კარგად ინფორმირებული წყაროს ცნობით, კლინტონმა თურქეთის ხელისუფლებას კონსულტაციებისას შეახსენა: **„ჩვენ (თურქეთსა და აშშ-ს) ვალად გვაწევს, მივცეთ სომხეთს ის, რასაც ჯერ კიდევ პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი დაჰპირდა“.** იგულისხმება სომხეთისთვის ზღვაზე გასასვლელის მიცემა ტრაბზონის პორტით, რაც ვილსონმა შესთავაზა 1920 წლის სევრის შეთანხმების პროექტით, მაგრამ იგი ძალაში აღარ შესულა.

წყარო აზუსტებს, რომ **საუბარი უნდა იყოს სატრანზიტო დერეფანზე სომხეთიდან ტრაბზონის პორტამდე, რაც ციურიხის სომხურ-თურქული ოქმების რატიფიკაციისა და სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნას უნდა მოჰყვეს. აზერბაიჯანისთვის კომპენსაცია ორიენტირებულია „დიდი აზერბაიჯანის“ შექმნაზე. ამ პროექტზე ქართველებისთვის კარგად ცნობილი მეთიუ ბრაიზა მუშაობს.**

„სტრატეგიული პარტნიორი“ – აშშ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას სიტყვიერი განცხადებებითა და წერილობითი რეზოლუციებით უჭერს მხარს. არადა, საქართველოს ხელისუფლება ამერიკულ სამხედრო კამპანიებში ქართველ სამხედროთა ისედაც ყველაზე მრავალრიცხოვან კონტინგენტს კიდევ უფრო ზრდის. **„დიპლომატიური გამარჯვებებით“ მუდმივი ტრაბახის მიუხედავად, საქართველოსთვის რაიმე კომპენსაციაზე კი არა, საკუთარი ტერიტორიების დაბრუნებაზეც კი არავინ ლაპარაკობს.**

„დიდი სომხეთი“ და „დიდი აზერბაიჯანი“ საკუთარ თავს კარგად უვლიან, ჩვენ კი, დროა, ხმამაღლა ვკითხოთ საქართველოს ხელისუფლებას: „მა გოგიას რა, — ვირის თავ-ფეხი“?

საქართველოს ხელისუფლება ევროინტეგრაციას (ისევე, როგორც ნატოში შესვლას) ქვეყნის გადარჩენისა და რუსეთის ორბიტიდან თავის დაღწევის პანაცეად წარმოაჩენს. სლოვაკეთი ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც. სხვათა შორის, მას არც „ვარშავის ბლოკში" უჭირდა რამე. და მაინც, დღევანდელი ყოფა მას საბჭოთა კავშირს ახსენებს. ეს მით უფრო უცნაურია, თუ გავიხსენებთ, რომ სლოვაკეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არასოდეს ყოფილა. საქართველო კი იყო, მაგრამ მისი ცხოვრების დონე ყველა საბჭოთა რესპუბლიკისას უსწრებდა.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომელი ბაღელი ხარ, ბიჭო?

**მიხეილ სააკაშვილი დროდადრო უბნელობის წინააღმდეგ ილაშქრებს. ვიდრე იგი საქართველოს არწმუნებს, რომ უბნელობა აღარაფერს წყვეტს და ახლა უკვე მხოლოდ ნიჭი და გარჯა აწინაურებს ადამიანს, თბილისის მერია უბნელობის ინსტიტუტის სკოლამდელი ასაკიდან განმტკიცებას შეუდგა.**




საბავშვო ბაღებში დაწესებული „თანადაფინანსების ინდივიდუალური ტარიფი" სწორედ უბნების პრესტიჟულობის მიხედვით არის დიფერენცირებული: გლდანი-ნაძალადევში პირველი ბავშვის მომსახურება 35-დან 55 ლარამდე ეღირება, დიდუბე-ჩუღურეთში — 40-დან 60 ლარამდე, ვაკე-საბურთალოში კი — 50-დან 80 ლარამდე. ძველ თბილისსა და შემოერთებულ სოფლებში ტარიფი 30 ლარით განისაზღვრა.

სიტყვა „ტარიფი" მერიას შემთხვევით არ უხსენებია. მაგალითად, როდესაც მოქალაქე ნონა ჩალათაშვილმა ნაგვის გადასახადის შესახებ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა, სასამართლომ მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა, რადგან დოკუმენტში სწორედ ტარიფი იყო ნახსენები და არა გადასახადი ან მოსაკრებელი. „დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების სფეროში საკრებულოს ტარიფის დადგენის უფლებამოსილებას ანიჭებს „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 441-ე მუხლი და საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 8 თებერვლის №104 ბრძანებულება.

ასევე, სასამართლომ იხელმძღვანელა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით, ხოლო „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, თბილისის საკრებულომ სადავო აქტით დაადგინა ტარიფი და არა მოსაკრებელი.

ამდენად, საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" არ ეწინააღმდეგება სადავო გადაწყვეტილებით დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდის წესსა და ფორმას.

ასე რომ, თუ თქვენი ჯიბიდან ამოღებულ თანხას „ტარიფს" დაარქმევენ (და არა გადასახადს ან მოსაკრებელს), თქვენთვის ეს უთუოდ დიდი შეღავათი იქნება. ის მაინც დანამდვილებით გეცოდინებათ, რომ სასამართლოში ამ საკითხზე დავას აზრი არ აქვს. რაც შეეხება საბავშვო ბაღის **ტარიფს** (თითქოს ბავშვი ელექტროენერგია ან გაზი იყოს!), იგი მომავალ თაობას **უბნელობას** და მასთან ერთად, **ბაღელობას** კარგად შეასწავლის. ოციოდე წლის შემდეგ დღევანდელი ბავშვები ერთმანეთს ასე ჰკითხავენ: **რომელი ბაღელი ხარ, ბიჭო?**



# Back in USSR!

**სლოვაკიის პრეზიდენტმა, რიჰარდ სულიკმა ევროკავშირის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მძაფრად გააკრიტიკა და იგი საბჭოთა კავშირს შეადარა: „ეს ნამდვილი საბჭოთა კავშირია! მაგრამ ჩვენ ამგვარ „კავშირში" არ შევსულვართ. ევროკავშირში გაერთიანების წინ რეფერენდუმისას ჩვენთვის არავის უთქვამს, რომ მილიარდები უნდა გვეხადა ბერძნების პენსიებსა და იტალიელების რაღაც სისულელეებზე".**

სლოვაკეთი ფინანსური კრიზისის დაწყებისთანავე აკრიტიკებდა ევროს ზონაში „მხსნელ ზომებსა" და „პაკეტებს". სლოვაკია და ესტონეთი ევროკავშირის ყველაზე ღარიბი ქვეყნებია. სლოვაკეთში საშუალო ხელფასი 800 ევროს არ აღემატება და მოსახლეობას არ ესმის, რატომ უნდა დაეხმაროს მათზე მდიდარ ბერძნებს, ესპანელებსა და იტალიელებს.

უფრო მეტიც: მათ კარგად ახსოვთ „გარდამავალი პერიოდის" უმძიმესი წლები, როდესაც ყოველგვარი უცხოური დახმარების გარეშე გადაარჩინეს საკუთარი ბანკები ევროზონაში შესვლის წინ. სლოვაკებს ეს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ: ბანკების გადარჩენამ საერთო ეროვნული პროდუქტის 12 პროცენტი შეიწირა და ცხოვრების დონე მკვეთრად დასწია. ახლა ევროპაში სლოვაკიის ეკონომიკა ერთ-ერთი ყველაზე „ჯანმრთელია".

**საქართველოს ხელისუფლება ევროინტეგრაციას (ისევე, როგორც ნატოში შესვლას) ქვეყნის გადარჩენისა და რუსეთის ორბიტიდან თავის დაღწევის პანაცეად წარმოაჩენს. სლოვაკეთი ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც. სხვათა შორის, მას არც „ვარშავის ბლოკში" უჭირდა რამე. და მაინც, დღევანდელი ყოფა მას საბჭოთა კავშირს ახსენებს.** ეს მით უფრო უცნაურია, თუ გავიხსენებთ, რომ სლოვაკეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არასოდეს ყოფილა. საქართველო კი იყო, მაგრამ მისი ცხოვრების დონე ყველა საბჭოთა რესპუბლიკისას უსწრებდა. როგორც ჩანს, ერთი სსრკ-დან იმისთვის გამოვედით, მოსახლეობა გაგველატაკებინა და მეორე სსრკ-ის მისაღებში დიდი ხნით დავმსხდარიყავით. ზოგად პროევროპულ რიტორიკაში ხელისუფლებას ოპოზიცია არა თუ ჩამორჩება, არამედ უსწრებს კიდეც. იქნებ ღირდეს დაფიქრებად, — **სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს?**

# 2008 წლის ომის დროს ქართული ჯარის მართვასა და კოორდინაციას აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს სპეციალისტები ახორციელებდნენ

**პორტალმა „ევრაზიამ" გამოაქვეყნა გლებ ბორისოვის სტატია. ავტორის შეფასებით, 2008 წელს რუსეთის არმია ოსი ხალხის დაცვისას ინტერნაციონალური ანტირუსული კოალიციის პირისპირ აღმოჩნდა. კოალიციას კი სათავეში აშშ ედგა.**

პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ, რუსეთის შეიარაღებული ძალების კარგად ინფორმირებული წყაროს ცნობით, ქართული სპეცრაზმის 58-ე არმიის კოლონაზე თავდასხმა ამერიკული სპეცსამსახურების პირდაპირი დახმარებით მოხერხდა.

**2008 წლის 10 აგვისტოს 58-ე არმიის კოლონაზე ქართული შეიარაღებული ძალის კარგად ორგანიზებული თავდასხმა განხორციელდა. დაიჭრა არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ხრულიოვი, აგრეთვე, დაზარალდა მის მანქანაში მყოფი ტელეკომპანია „ვესტის" ჟურნალისტების ჯგუფი. ისინი ვერტმფრენებით ვლადიკავკაზში გადაიყვანეს. თავდასხმისას ქართველი კომანდოსები დაჭრილ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ადგილზე ხოცავდნენ, — მიუთითებს წყარო.**

ისმის კითხვა: როგორ მოახერხა ქართულმა მხარემ კოლონის მარშრუტის დადგენა, თუკი გადაწყვეტილება ცხინვალზე შემოვლითი გზით წასვლის შესახებ სარდალმა უკანასკნელ მომენტში მიიღო? რუსულ სპეცსამსახურებში მიაჩნიათ, რომ კოორდინატები ქართულ მხარეს აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს რადიოელექტრონული დაზვერვის სპეციალისტებმა მიაწოდეს, რომლებიც ქართულ შეიარაღებულ ნაწილებზე იყვნენ მიმაგრებული. ეს სპეციალისტები საომარი მოქმედების პირველივე წუთებიდან აყურადებდნენ რადიოეთერსა და სატელეფონო საუბრებს უმაღლესი კლასის აპარატურის საშუალებით.

**ქართული სამხედრო ნაწილები აღჭურვილი იყო თანამედროვე, ყოველგვარი ხარვეზისა და მოსმენისგან დაზღვეული სამხედრო კავშირგაბმულობის საშუალებებით. ამ რთულ და გასაიდუმლოებულ ტექნიკას ასევე ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები ემსახურებოდნენ.**

ქართული არმიის მიმღებ-გადამცემი ხელსაწყოები ერთ ქსელში იყო გაერთიანებული, რომლის ცენტრი არც თბილისში და არც საქართველოს ტერიტორიაზე არ მდებარეობდა! ქართული არმიის მართვისა და კავშირგაბმულობის საკოორდინაციო ცენტრი მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზეა, აშშ ეროვნული უშიშროების სააგენტოს საზღვარგარეთის მრავალ ბაზათაგან ერთ-ერთზე.

რუსული წყაროს მიხედვით, მათ შესანიშნავად იციან ამ ამერიკული უწყების თურქული შტაბ-ბინის შესახებ. ამერიკელებმა ეს ბაზა 80-იან წლებში ააშენეს და დღემდე სარგებლობენ რადიო და ტელესაკომუნიკაციო საშუალებებზე აქტიური რადიოელექტრონული ჯაშუშობის მიზნით. იქ თავმოყრილი აღჭურვილობის სიმძლავრე ისეთია, რომ თავისუფლად შეუძლიათ მიაყურადონ ყველა სახის სატელეფონო და რადიოკავშირს შავი ზღვის სანაპიროზე. **2008 წლის ომის დროს სწორედ ეს ბაზა ახორციელებდა ქართული ჯარის კოორდინაციას.**

# ფილმის «აგვისტო. რვა» გადაღებები დასრულდა

**რეჟისორმა ჯანიკ ფაიზიევმა დაასრულა მსხვილმასშტაბიანი პროექტი „აგვისტო. რვა", რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სამხრეთ ოსეთში ტრაგიკული მოვლენების ფონზე განვითარებულ სიყვარულის ისტორიას ასახავს.** გადაღებები მოსკოვში, ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარეობდა. ფილმში ბევრია საბრძოლო ბატალიები, სპეცეფექტები, კასკადიორების სცენები. საბრძოლო მოქმედებების ასახვისას გამოყენებულ იქნა 30-ზე მეტი ერთეული საბრძოლო ტექნიკა, მასობრივ სცენებში მონაწილეობდა ათას ხუთასზე მეტი სამხედრო და სამი ათასზე მეტი ადგილობრივი მოქალაქე. ახლა მონტაჟი იწყება. პრემიერა 2012 წლის 20 თებერვლისთვისაა დაგეგმილი.




# რუსეთი საქართველოს დაღესტნელ მეამბოხეთა ლიდერის მფარველობაში ადანაშაულებს

**რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტი საქართველოს მახაჩყალაში განადგურებული მეამბოხეთა ლიდერის — აბდულა მაგომედალიევის მფარველობასა და მისი ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობაში ადანაშაულებს. აღნიშნულის შესახებ ანტიტერორისტულმა კომიტეტმა სპეციალური განცხადება გააკეთა.**

„მაგომედალიევი თავისი საზღვარგარეთელი ემისრების მეშვეობით ეკონტაქტებოდა საქართველოს სპეცსამსახურებს, რომლებიც მას ტერორისტულ საქმიანობაში ხელს უწყობდა," — აღნიშნულია ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადებაში. მაგომედალიევი და მისი 5 თანამებრძოლი მახაჩყალაში კონტრტერორისტული ოპერაციისას, 10-11 აგვისტოს გაანადგურეს.



ლევან ლვინჯილიას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იქნებ იმიტომაც მიდის ჩვენი ენის საქმე ასე თავდაღმა, იმიტომაც იდევნება ქვეყნის სახელმწიფო ენა მისი კონსტიტუციით გარანტირებული არეალებიდან, რომ ქვეყნის ხელისუფლებასა და მასთან მოალერსე მასმედიას „ყურები დახუჭული“ აქვს და „თვალებშიც არაფერი ესმის?“. იქნებ ამიტომაცაა, რომ ყამარის ჯამ-ჭურჭელივით ერთმანეთს გამოზმული ჩემი ნაფიქრ-ნააზრევნი ადრესატთა გულისყურამდე ველარ აღწევს და მათი ფეშენებელური კაბინეტების დახშულ კარებსლა თუ აწყდება მხოლოდ. რა უნდა ქნა კაცმა ასეთ დროს? „რა ნიავს უნდა მისცე ფიქრი შენი, შავად მღელვარი?!“**

# რაც მიშას დაუფრქვევია, მის პრესცენტრს უსწორებია

**ყამარის** მოსატაცებლად ცის გუმბათზე ჯაჭვით ჩამოკიდებულ კოშკში ასულ **ამირანს** თავისი ნანდაური საოჯახო საქმით გართული დახვდა. ახლადგარეცხილი ჯამ-ჭურჭლის დალაგებაში ქალს **ამირანიც** მიეხმარა, რათა მალე გაცლოდნენ იქაურობას, მაგრამ ერთმა აბეზარმა თეფშმა ამირანს ლამის სისხლი გაუშრო: რამდენჯერაც თავდაღმა დადო, ისიც იმდენჯერ ამოტრიალდა (არადა, **ყამარს** გაფრთხილებული ჰყავდა საქმრო — ეცადე, ჭურჭელი არ გაგიტყდესო). გაბრაზებულმა **ამირანმა** მოიქნია „თავხედი“ თეფში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იატაკზე დაახეთქა. თითქოს ამას ელოდნენო, ერთიანად აიშალა ჯამ-ჭურჭელი: **მთელი მთელს გამოება, ნატეხი — ნატეხს და ასე ერთმანეთის მიყოლებით დამწკრივებულნი ყამარის მამისკენ გაემართნენ ამბის მისატანად.**

იმ პრობლემებზე ფიქრის დროს, რაზეც დღეს უნდა ვისაუბროთ, რატომღაც თვალწინ ხატოვნად წარმომესახა ათასი ნაფიქრ-ნააზრევი, ერთმანეთს მოდევნებული და წეროების გუნდივით გამწკრივებული; **ფიქრი ფიქრს მოება, აზრი — აზრს, ამბავი — ამბავს და მეც სადღაც შორეულ სივრცეში გამიტყუეს — ახალგაზრდობის წლებში, მშობლიურ სანახებში, ჭანისწყლის ხეობაში, ჩემს ტკბილ დედულეთში, სადაც სიყრმის უდარდელი წლები გამიტარებია.**

ეს იყო 30 თუ 35 წლის წინ; სოფელში შვებულებით ჩასულმა ბიძის მონახულება განვიზრახე და მთელი ოჯახი მშობლებიან-ცოლშვილიანად **ძველი ხიბულისკენ** (სოფელია **ხობის** რაიონში) გავემართეთ. ბიძაჩემთან სხვა სტუმრებიც დაგვხვდნენ და, რაც ჩვენ იმ დღეს იქ მოვილხინეთ, ამის აღწერას ახლა არ შევუდგები, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს.

სანამ სუფრა გაიშლებოდა, **ბაჯუ ბიძია** (ოფიციალური სახელი **მიტროფანე** ერქვა, მაგრამ ყველანი **ბაჯუს** ეძახდნენ. გვარიც იშვიათი ჰქონდა — **არაჩემია**) მე და მამაჩემს მეგრული ოდა-სახლის ერთი ოთახისკენ გაგვიძღვა და თან მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა: — **ერთი „გენიოსი“ უნდა გაგაცნოთო.**

კედელზე უზარმაზარი პოლიტიკური რუკა ეკიდა, თუ სწორად მახსოვს, რუსულენოვანი. — **კახა! მოდი, ბაბუ, ჩემთანო,** — გასძახა პატარა შვილიშვილს, ანუ ჩემი ბიძაშვილის უმცროს ვაჟს — **მოგვიანებით, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს, მაშინ კი — 3-4 წლის ბავშვს, კახა დამენიას**, რომელიც მერე და მერე ფიზიკურადაც იმდენად დაემსგავსა ბაბუას, რომ სიყვარულით დღესაც **ბაჯუს** ვეძახი.

ის-ის იყო, ოთახში აგვისტოს სიცხისგან შუბლდაცვარული და წელზევით ტიტველი, მოკლეშარვლიანი და ზომიერად ჩაპუტკუნებული **კახა** შემოვიდა, რომ ბაბუამ სიამაყით გადმოგვხედა და გამოგვიცხადა: **ახლა განახებთ, ჩვენ რა ბიჭი გვყავსო. კახამ**, როგორც ჩანს, უკვე იცოდა, რატომაც დაუძახეს, თვითონვე აიღო იქვე მიყუდებული რუკის საჩვენებელი წვრილი ჯოხი და ღრმად ჩამჯდარი, მთლად ბაბუის ალი-კვალი ლურჯი თვალები მზადმყოფის მოლოდინით მოგვაპყრო. შემდეგ ბაბუა ეკითხება: — **აბა, ახლა შენ მითხარი, რომელია ინდოეთის დედაქალაქი და თან მაჩვენეო. კახამ — დელიო, არც აცალა კითხვის დასრულება და ჯოხის წვერიც დელის დაადო.** ასე და ამნაირად „მოვიარეთ“ მთელი მსოფლიო და **კახას** არც ერთხელ, არც ერთი დედაქალაქის სახელი და მდებარეობა არ შეშლია.




მართლაც გაგვაოცა ყველა იქ მყოფი 4 წლის **კახა დამენიამ**. ბაბუამისი, ანუ ბიძაჩემი — **ბაჯუ არაჩემია** ამაყი და ბედნიერი გვიყურებდა. მას მერე დიდი ხანი გავიდა.

ამას წინათ **კახას** ვეკითხები: — **რა დაგრჩა იმ საოცარი ცოდნიდან თუ უნარ-ჩვევიდან-მეთქი და — ლევან ბიძია, თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის არაფერი; არც კი მახსოვს, ის ყველაფერი როდის წაიშალაო;** მაგრამ ეს სხვა თემაა და ამჯერად მასზე აღარ შევჩერდები.

ეს ამბავი თითქმის მივიწყებული მქონდა, მაგრამ, აკი მოგახსენეთ, **ზოგჯერ ფიქრი ფიქრს მოებმება ყამარის თეფშებივით და ძველ შთაბეჭდილებებსაც გაგიცოცხლებს.**

განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ქართველი ბიჭუნები და გოგონები სხვაც ბევრი გვინახავს და, იმედია, კიდევ ბევრს დაბადებს გამჩენი მსგავს პატარა ქართველს (სხვა ერის შვილსაც); **რაც მეტი გონებაგახსნილი და საღად მოაზროვნე თანამემამულეები გვეყოლებიან, ერიც მით უფრო დღეგრძელი და ბედნიერი იქნება.**

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ პატარა **კახა დამენიას „გეოგრაფიული წარმატებები“ გარკვეულწილად ბაბუის მიერ იყო „ინსპირირებული“ და როგორ მენიშნა ამ დღეებში გახმაურებული კიდევ ერთი უნიჭიერესი ბიჭუნას — ვატო ქოზალიას (ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი) გამორჩეული ნიჭიერების ამბავი — თურმე, ვატოც ბაბუასთან იზრდება და გული მიგრძნობს, რომ მთელ ამ ამბავში შეიძლება მთავარი „დამნაშავე“ სწორედაც მისი ბაბუა იყოს.**

**ვატო ქოზალია** ამ დღეებში ფართო ტელეაუდიტორიას გააცნო **საქართველოს პრეზიდენტმა** და დარწმუნებული ვარ, **ვატოს** ცხოვრებაში ეს დღე სამუდამოდ აღიბეჭდება როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა, თუმცა, შესაძლოა, **ვატოს** არც უფიქრია იმის შესახებ, რომ იმ დღეს **ანაკლიაში**, მისი ფენომენით აღტაცებული **პრეზიდენტი** ისე დაიბნა, რომ **ვატოს** გაოცებაც კი გამოიწვია.

საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის განვმარტავ, რომ 4 წლის **ვატო ქოზალია**, მისი წინამორბედი **კახა დამენიას** მსგავსად, დაჯილდოებულია განსაკუთრებული ნიჭით — მან იცის მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს დედაქალაქის სახელი. **მისი აღმატებულება — საქართველოს პრეზიდენტი ანაკლიის** პატრიოტული ბანაკის დამსვენებელთა დახმარებით ცდილობდა ისეთი სახელმწიფოების დასახელებას, რომელთა დედაქალაქი, შესაძლოა, მანამდე ბევრს არც კი გაეგონა. მეტიც, როცა ბანაკელებს ეგონათ, რომ **ავსტრალიის** დედაქალაქია **სიდნეი, ვატომ** სავსებით მართებულად **კანბერა** დაასახელა. **პრეზიდენტის** კითხვაზე, რომელია **უკრაინის** დედაქალაქიო, ვატომ წამსვე — **კიევიო** — უპასუხა.

გახარებული **პრეზიდენტი** ისე გაერთო, რომ შემდეგი ქვეყნის სახით დაასახელა — **მინსკი**, რამაც **ვატოს** ისეთი გაკვირვება გამოიწვია, რომ **ეს — ლამის ორმეტრიანი კაცი კინაღამ ოთხად მოიკეცა და უხერხულობისგან მისთვის დამახასიათებელი კოლორიტული სიცილი აუტყდა.** ცხადია, **ვატოს** პასუხად უნდა ეთქვა — **მინსკი**, თუკი **პრეზიდენტი ბელარუსის** დედაქალაქს იკითხავდა და, **შემკითხველმა თვითონვე რომ აურია ერთმანეთში ქვეყანა და მისი დედაქალაქი, ვატოც მოულოდნელობისგან ამიტომაც გაოგნდა, აბა, რა მოუვიდოდა?!**

ამ ეპიზოდში კიდევ ის იყო საინტერესო, რომ მთელი ეს მონაკვეთი „პატრიოტებთან“ **პრეზიდენტის** შეხვედრისას **მიმდინარეობდა რუსულ ენაზე**, ხოლო მას შემდეგ, რაც **ვატო ქოზალია** გააცილა, **ბატონი მიხეილი მაშინვე ქვეყნის სახელმწიფო ენაზე ალაპარაკდა.**

ამ საკითხს მე ქვემოთ კვლავ დავუბრუნდები, მანამდე კი მინდა კიდევ ერთი, თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული კურიოზული ამბავი გაგახსენოთ.

რუსეთ-საქართველოს ომის დღეებში **საქართველოს პრეზიდენტმა** ერთი დაჭრილი მეომარი მოინახულა, გაამხნევა და დაამედა, რომ **ჩვენ რუსების მიერ დაწყებულ პროვოკაციას არ ავყვებოდით და მათაც (რუსებს) ურჩია, გონს მოსულიყვნენ.** შემდეგ კი დაჭრილი მეომრის შვილებით დაინტერესდა (ეტყობა, ნაიარევი მამა მობილური ტელეფონით გადაღებული შვილების სურათებით იქარვებდა ტკივილს, რაც **პრეზიდენტს** შეუმჩნეველი არ დარჩა), აიღო ხელში ტელეფონი, დააცქერდა სურათებს და თქვა:

**— „ბავშვები... რა საყვარლები არიან... რამდენი წლის არიან?“**

**— „6 წლისა ერთია და 4 წლისა — მეორე“,** — მიუგო დაჭრილმა მეომარმა.

**— „ტყუპები არიან?“** — სრული სერიოზულობით იკითხა **მისმა აღმატებულებამ**. ამაზე ჯარისკაცმა რა უპასუხა, ან როგორ შეიკავა თავი ხარხარისგან, ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ ისე ადვილი წარმოსადგენია, რასაც გაიფიქრებდა.

დიახ! ეს ის **პრეზიდენტი** გახლავთ, რომელიც სამი წლის შემდეგ პატარა **ვატო ქოზალიას** ჰკითხავს — რომელია **მინსკის დედაქალაქი?**

გასაგებია, რომ **მიხეილ სააკაშვილის ეს და სხვა წამოცდენები მისივე უყურადღებობისა და უნებლიე, გაუაზრებელი ქცევების (ამ შემთხვევაში — ვერბალური ქცევის) შედეგია, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, არც მთლად ასე მარტივადაა საქმე. ეჭვიც არავის შეგვეპაროს, რომ სიტყვა „ტყუპების“ მნიშვნელობა საქართველოს პრეზიდენტმა ნამდვილად კარგად იცის.**

თბილისში ერთ დროს ანეკდოტური ამბავი გავრცელდა, ერთი ტელეკომენტატორის მიერ დასმულ ანალოგიურ კითხვასთან დაკავშირებით: თურმე იმ ცნობილ ტელეწამყვანს გზად ორი გოგონა შეხვედრია, დაქალები. მისალმების მერე ამას სახელი უკითხავს. **„მაკა!“** — უპასუხა, თურმე, ერთმა. — **„შენა, შენ რა გქვიაო?“,** — ახლა მეორეს მიუბრუნდა, თურმე. — **„მეც მაკაო“,** — უპასუხია მეორეს. **„— ვაა! დები ხართო?“,** — გაიკვირვა თურმე კომენტატორმა.

კი, შეიძლება, კაცს ანალოგიური სიბრიყვე „წაცდეს“, მაგრამ **შემთხვევით არაფერი არ ხდება. ყველაფერს თავისი მიზეზი და ახსნა აქვს. სხვა საქმეა, ეს მიზეზი ცნობილია თუ არა ჩვენთვის.**

დაჭრილ მეომართან მოსაუბრე **პრეზიდენტმა**, სანამ კითხვას დასვამდა, ეტყობა, მანამდე გაიფიქრა, **ტყუპები ხომ არ არიან ნეტაო?** (თუმცა, 2 წლის სხვაობა კი უნდა შეემჩნია!), **ხოლო ამის შემდეგ ასაკთან დაკავშირებული პასუხი რომ მიიღო, მომდევნო კითხვა ისე დასვა, რომ არც კი გაიაზრა, ბავშვების მამამ წინა კითხვაზე რა უპასუხა. ეს კი ელემენტარული უყურადღებობაა, რაც გაუგებარი სულაც არ არის და მოულოდნელი კაცისგან, ვინაც შესულია კონკრეტულ როლში და ამით გატაცებული, რეალობას აბსოლუტურად მოწყვეტილია.**

რაც შეეხება **„ბელარუსი-მინსკის“** არევის საკითხს, აქ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე და შევეცდები ჩემი დაკვირვება და შესაბამისი დასკვნები გაგიზიაროთ. მანამდე კი გავეცნოთ რამდენსამე ტიპობრივ მაგალითს პრეზიდენტის გამონათქვამებიდან, რომელთაც ის აერთიანებთ, რომ **ყველა შემთხვევაში სიტყვათა ბუნებრივი რიგი არის შებრუნებული.** მაგალითად:

(1) — **„იხსნება აეროპორტი საერთაშორისო კლასის“** (ჯობდა — **„იხსნება საერთაშორისო კლასის აეროპორტი“).**

(2) — **„განბაჟება ტვირთების ხდება 5-დან 7 წუთში“** (ჯობდა — **„ტვირთების განბაჟება ხდება...“).**

(3) — **„(საქართველო) უბრალოდ, ქართველებისგან კი არ შედგება ეთნიკური“** (სიტყვა **„ეთნიკური“** ჯობდა **„ქართველების“** წინ — **„ეთნიკური ქართველებისგან კი არ შედგება“...).**

▶



# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*გრიგოლ ორბელიანი*

ლევან ლევინძილის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

(4) **„ჩემი სამშობლო არის იქ, სადაც დღეს ჩვენ, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით, მსოფლიოს ერთ-ერთი ბოლო, შემორჩენილი, გადმონაშთი არმია არ გვიშვებს“**. ეს წინადადება მრავალი თვალსაზრისითაა გაუმართავი და ასევე მრავალ კითხვას აჩენს; მთავარი კი მათ შორის არის ის, რომ შესიტყვება — **„ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით“** მის წინა სიტყვას **(„ჩვენ“)** ეკუთვნის, თუ — მომდევნოს **(„ერთ-ერთი ბოლო, შემორჩენილი, გადმონაშთი არმია“)**, ძნელი გასარკვევია, იმიტომ, რომ **მთელი წინადადება არის აზრობრივად აბურდული.** ამიტომ, ასეთ დროს, სასურველია, ჩავიხედოთ **პრესცენტრისეულ ვერსიაში.** იქ კი წერია: **„ჩემი სამშობლო არის იქ, სადაც დღესდღეობით** (მან თქვა **„დღეს“**. — ლ.ლ.) **მსოფლიოს ერთ-ერთი, შემორჩენილი და გადმონაშთი არმია ეთნიკური ნიშნით არ გვიშვებს“.**

ნათქვამია, **მუნჯის ენა დედამ იცისო**, პრეზიდენტის პრესცენტრმა **ყოველთვის იცის, რისი თქმა სურდა „უფროსს“, მაგრამ ზეპირად გამოსვლის დროს, სამწუხაროდ, ვერაფერს შველის.**

მაშ, ასე: იკვეთება ერთი ვერბალური ტენდენცია — **პრეზიდენტი ქართულად საუბრის დროს საკმაოდ ხშირად ცვლის წინადადებათა ბუნებრივ წყობას.**

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი: **„რეალურად იმყოფება ჩრდილქვეშ სხვა ადამიანის“** (რუსეთის პრეზიდენტზე ამბობს). ბუნებრივი წყობა იქნებოდა: **„რეალურად იმყოფება სხვა ადამიანის ჩრდილქვეშ“.** ეს ტენდენცია პრეზიდენტის მეტყველებას წითელ ზოლად გასდევს.

**ის, რაც არაბუნებრივად მიგვაჩნია ქართული ენის სინტაქსისთვის, სავსებით ჩვეულებრივი წყობაა სხვა (რუსული, ინგლისური, ფრანგული...) ენებისთვის.** მაგალითად, ქართულისთვის ბუნებრივი **„საერთაშორისო კლასის აეროპორტი“ — პრეზიდენტის** მეტყველებაში შებრუნებულია — **„აეროპორტი საერთაშორისო კლასის“** (შდრ. რუსული: **„აეროპორტ მეჟდუნაროდნოგო კლასსა“**).

ან: **„განბაჟება ტვირთების“** (**„რასტამოჟკა გრუზოვ“**); — **„(მინდა განვახორციელო) მორიგი აქტი ასეთი პირდაპირი სახალხო დემოკრატიის“** (შდრ. **„ოჩერედნოი აკტ ტაკოი პრიამოი ნაროდნოი დემოკრატიი“).** პრესრელიზში კი კონკრეტულად ეს წინადადება ასეა ჩაწერილი: **„ამიტომ მინდა დღეს პირდაპირი სახალხო დემოკრატიის მორიგი აქტი განვახორციელო“.**

და აი, მივადექით უმთავრესს. **საქართველოს პრეზიდენტის** ზეპირ გამოსვლებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრება: **პრეზიდენტის გამოსვლები მის მშობლიურ — ქართულ ენაზე უხვადაა გაჯერებული სხვა ენებისთვის დამახასიათებელი სინტაქსური თავისებურებებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ეს პოლიგლოტი კაცი, რომელმაც იცის რამდენიმე უცხოური ენა** (როგორ იცის ეს ენები, ამის მსაჯულად ახლა ვერ დავდგები მრავალი მიზეზის გამო), **ამ ენებს ეუფლებოდა ისეთ ასაკში, როდესაც მშობლიური ენის ჯეროვნად ათვისება, მისი ძირითადი თავისებურებების შესისხლხორცება არ ჰქონდა დასრულებული, რამაც შექმნა ერთგვარი კოლიზია (დაპირისპირება) განსხვავებულ ენობრივ მოდელებს შორის და ამის შედეგად მივიღეთ ქართული ენის ბუნებრივი სინტაქსისთვის შეუფერებელი, სხვა ენათა გავლენით ან მათ მოდელზე მოჭრილი სიტყვათშეხამებები, რომელთა არაბუნებრიობას, ცხადია, ადვილად ხვდება პრეზიდენტის პრესცენტრი და ცდილობს ტექსტები მაქსიმალურად გააშალაშინოს.**

კარგი იქნებოდა, თუკი **პრეზიდენტს,** პრესრელიზისეულ ვერსიასთან ერთად, მიაწოდებდნენ მისი გამოსვლის ზუსტ სტენოგრამასაც, რათა თვალსაჩინოდ დაენახა ის ენობრივი უხერხულობანი, რაც უხვად გასდევს მის ზეპირ გამოსვლებს.

თვალსაჩინოებისთვის აქვე ერთმანეთის პარალელურად შემოგთავაზებთ პრეზიდენტის ზეპირი გამოსვლის **სტენოგრამასა** და იმავე ტექსტის **პრესცენტრისეულ ვერსიას**, ერთი პირობითი დათქმით: **პრეზ.** — იქნება **პრეზიდენტის ზეპირი გამოსვლის ტექსტი,** ხოლო **პრეს.** — იმავე გამოსვლის **პრესცენტრისეული ვერსია.** მართალია, ამ ორ შემოკლებას შორის **განსხვავება ერთადერთ ასოშია (ზ:ს)**, მაგრამ ის სხვაობა, რაც ქვემოთ გამოჩნდება, ბევრად უფრო საგრძნობია:

**1) პრეზ: — „ჯერ ერთი, მინდა ვთქვა, რომ ეს უნიკალური ადგილია, ეს ბანაკი, და უნიკალურია იმითაც, რომ ეს არ არის პირველი ბანაკი, რომელიც ჩვენ აქ ავაშენეთ“.**

**პრეს.: — „უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ეს უნიკალური ადგილია, თუმცა პირველი ბანაკი არ არის, რომელიც ჩვენ ავაშენეთ“.**

**2) პრეზ.: — „დიდი გოლფის კურსი** (! — ლ. ლ.) **შენდება, მათ შორის უცხოელი ტურისტებისთვის, მარა ჩვენც ვისწავლით გოლფის თამაშს“.**

**პრეს.: — შენდება გოლფის დიდი კურსი** (! — ლ. ლ.), **როგორც უცხოელი ტურისტებისთვის, ასევე ჩვენთვისაც, რათა უკეთესად შევძლოთ გოლფის თამაშის სწავლა“.**

**3) პრეზ: — „ამ ორი დღის წინ ტელევიზორში მოვკარი თვალი, ჩვენზე ათჯერ დიდი ქვეყნის პრეზიდენტმა...“**

**პრეს.: — „ორი დღის წინ ტელევიზორში თვალი მოვკარი, როგორ ლაპარაკობდა ბევრად უფრო დიდი ქვეყნის პრეზიდენტი ჩვენზე“...**

აქ პატარა კომენტარი უნდა დავურთოთ. **„მოვკარი თვალი“** იქნება, თუ **— „თვალი მოვკარი“**, სულ ერთია, ორივე ვარიანტი **ლაპარაკს** ეხება. აქამდე კი გვეგონა, ასე იტყოდნენ: **„ლაპარაკს ყური მოვკარიო“** და არა — **თვალი!** მაგრამ ეგ არაფერი. **პრეზ**-მა რომ თქვა, **„ჩვენზე 10-ჯერ დიდი ქვეყნის პრეზიდენტიო“, პრეს**-მა სულ თმები იგლიჯა, მაგრამ რა ექნა, გარდა იმისა, რაც ქნა — დაწერა: **„ბევრად უფრო დიდი ქვეყნის პრეზიდენტი“.**

ჩემ მიერ საგანგებოდ შემოკლებული სიტყვების მეორე ნაწილებია — **„იდენტი“** და **„ცენტრი“. „ცენტრს“** უნდა შევახსენო, რომ მის მიერ ჩაწერილი **„ბევრად დიდი“** არ არის **პრეზ**-ის მიერ ნათქვამის **(„10-ჯერ დიდი“) „იდენტ“**-ური. ეს — ისე, **სალაღობოდ!** სერიოზულად კი შეგახსენებთ, რომ **„ჩვენზე ბევრად დიდი“** ან **„10-ჯერ დიდი“** სულაც არ მიგვანიშნებს იმას, თუ რა იგულისხმება ნაცვალსახელში — **„ჩვენზე“.** ანუ, **საქართველოზე თუნდაც 10-ჯერ დიდი რითაა, თქვენო აღმატებულებავ, რუსეთი** ან, ძვირფასო **პრესცენტრო**, **„ბევრად დიდი“ რითაა რუსეთი ჩვენზე** — **ფართობით** თუ **მოსახლეობით**? ამჯერად უფრო **პრეზიდენტისთვის** გავირჯები: **ბატონო მიხეილ**, **რუსეთის** მოსახლეობა **საქართველოსაზე** მეტია — **31-ჯერ**, ხოლო ფართობით **რუსეთი** ჩვენსაზე დიდია **245-ჯერ**. დიახ, **245-ჯერ**! დანარჩენი თავად განსაჯეთ და **ამაზე იმათაც იფიქრონ, ვისაც თქვენს უკიდეგანო განათლებაში ეჭვი არ ეპარებათ.**

ამასწინათ მოვისმინე ინტერნეტში, **მისი აღმატებულების** ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი, ქ-ნი **კლარა ჩანტლაძე** ბრძანებდა: **„ოპოზიციამ რომ სახრჩობელა აღმართოს და ამიყვანოს, მთელი ოპოზიცია წინ რომ აღმიდგეს, მე მაინც ვიტყვი, რომ მიშა სააკაშვილი იყო საუკეთესო მოსწავლე“.**

**ქალბატონ კლარას** ნამდვილად ვერ შევეწინააღმდეგები (**სახრჩობელა** კი, ფუი, ეშმაკს, საერთოდაც რა სახსენებელია!). **შეიძლება, ეს მართლაც ასე იყო, როგორც პატივცემული მასწავლებელი ბრძანებდა, მაგრამ კლასის ზოგად დონესაც ხომ გააჩნია,** თორემ **„საუკეთესო მოსწავლემ“ გეოგრაფიაც უკეთესად უნდა იცოდეს, ატმოსფეროს ტენიანობა რომ გრადუსებით არ იზომება,** — ესეც, **„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“. რუსთაველს რომ არ უთქვამს,** — ესეც, **„ატმის რტოო, დაღალულო რტოო“ ანა კალანდაძისა** კი არა — **გალაკტიონის ლექსი რომაა** — ესეც, **მიჯაჭვულ ამირანს ყვავები რომ არ აჭედებდნენ ლურსმანს,** — ესეც, **400 წლის წინ ფერეიდანში ვარინკა** და **აკაკი წერეთლების „სულიკოს“ რომ ვერ იმღერებდნენ,** — ესეც, **ანაკლია რომ არასოდეს არ ყოფილა ძველი კოლხეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და კულტურული ცენტრი,** — ესეც, **ანაკლია რომ ვერასოდეს ვერ იქნება ბიჭვინთაზე უკეთესი კურორტი** — ესეც, მაგრამ ეს უკანასკნელი სკოლის მოსწავლეს რაში ეკითხება.

ვაგრძელებ პარალელურ ციტირებებს:

**4) პრეზ.: — „მაგრამ ყველა შემთხვევაში არ გვაქვს უფლება, რომ გავჩერდეთ, ყველა შემთხვევაში არ გვაქვს უფლება, რომ შევაჩეროთ შენება, ყველა შემთხვევაში არ გვაქვს უფლება, რომ გავაჩეროთ ჩვენი ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისთვის“.**

**პრეს.: — „მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს უფლება, გავჩერდეთ, შევაჩეროთ შენება და შევწყვიტოთ ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის“.**

ნეტა, რას იტყოდა **ქ-ნი კლარა**, ეს ტექსტები და მათი პრესცენტრისეული ვერსიები რომ შეედარებინა? არადა, მას შემდეგ, რაც სკოლა დაამთავრა, **მისმა აღმატებულებამ კიდევ რამდენი ისწავლა** (ისწავლა კი?).

**5) პრეზ.: — „მერე დავურეკე ლადოს (ვარძელაშვილს** გულისხმობს. — ლ.ლ.), **მოვითათბირეთ და ავაშენეთ გოროზიასთან** ერთად (ეტყობა, **გოროზიაც** „ააშენეს“, თქვენ აგაშენათ ღმერთმა! — ლ.ლ.), **ლადოსთან ერთად, ავაშენეთ ძაან მაგარი ახალი ბანაკი, რომელსაც ხედავთ“.**

**პრეს.: — „მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად ვითათბირეთ და ერთად ავაშენეთ სწორედ ეს — ძალიან ლამაზი ახალი ბანაკი“.**

საინტერესოა, პრესცენტრს რომ ვკითხო, **ლადოს** და **გოროზიას** სახელი და სახსენებელი რატომ გააქრო ტექსტიდან, ნეტა, რას მიპასუხებს? ესეც გრამატიკული შეცდომა ხომ არ ეგონათ? **კი, ბატონო, შეიძლება ორივე შეცდომა იყოს, მაგრამ, ცხადია, არა — გრამატიკული.**

დაბოლოს, კიდევ ერთი მაგალითი პრესცენტრის თავნებობისა.

**პრეზიდენტმა ბელარუსების** დახასიათებისას სამი ძირითადი ფაქტორი გამოყო:

**1. ის, რომ აქ აწარმოებენ მსოფლიოში საუკეთესო ტრაქტორებს.**

2. **ის, რომ რძის წველადობის** (ნეტა, „წველადობა“ კიდევ რისი შეიძლება, რძის გარდა? — ლ.ლ.) **საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ ევროპაში, და**

3. **ნე გოვორია უჟ ო ტომ, ჩტო სამიე კრასივიე დევოჩკი!** (ანუ: ულამაზეს გოგონებზე რომ არაფერი ვთქვათო). პრესცენტრმა, ეტყობა, ეს პირდაპირ გაიგო (**„ნე გოვორია“ — „რომ არაფერი ვთქვათ“**) და ეს პასაჟი სულ ამოშალა, არადა, იქვე მჯდომი 15-16 წლის ბიჭი ამის გაგონებაზე სიხარულისგან კინაღამ სკამიდან გადმოვარდა.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ **ვატო ქობალიას** გაცილების შემდეგ **ბატონი პრეზიდენტი** სულ **ქართულად** ლაპარაკობდა (ზემოთ უკვე გითხარით, რომ **ვატოს** ეპიზოდი რუსულად წარიმართა, გასაგები მიზეზების გამო). **მერე კი უცებ გადაერთო რუსულზე: მე ძალიან მიხარიაო, რომ ჩვენო (მენია ოჩენ რადუეტ ჩტო მი...“)** და უცებ დასძინა: **სხვათაშორის, რუსულიც ვიციო („ია ტოჟე უმეიუ რაზგავარივატ პა რუსსკი“).**

კი, მარა, **თქვენო აღმატებულებავ! ვატოსთან** ერთად რუსულად რომ „აპიარებდით“ **ანაკლიის** ბანაკს, **„პატრიოტებს“ ეს ამბავი ისევე მალე დაავიწყდებოდათ, როგორც თქვენ დაგავიწყდათ „ტყუპი ბავშვების“ ასაკი?**

იქ ხომ, **რუსებისა** და **ბელარუსების** გარდა, **პოლონელები, აზერბაიჯანელები** და **სომხებიც** იყვნენ. არ ჯობდა, ბოლომდე **ქართულად** გესაუბრათ, მით უმეტეს, რომ **ყველას საყურისები ეკეთათ და, როგორც კი თქვენ რუსულზე გადახვედით, მაშინვე მოიხსნეს.**

**რაო? — რუსული საერთაშორისო ენად მაინც რჩება?** იქ მყოფთა ეროვნებები რომ ჩამოთვალეთ და ბოლოს დააყოლეთ — **„ჩვენი მოძმე ერების წარმომადგენლებიო“,** ბავშვობაში ნასწავლი ერთი ლექსი გამახსენდა: **„მოძმე ერების მთა-ველზე, ჩემს მშობელ საქართველოში, სულ განთიადი ანათებს, სულ გაზაფხული მგონია, ჩემებრ დიადი სამშობლო ჯერ არსად, არვის ჰქონია“.** საბჭოთა კავშირს გვაყვარებდნენ **ასე პოეტურად** და ასე **ქართულენოვნად**, ახლა რომ **ხუთი წლის ასაკიდან ინგლისურში გვატუცვინეთ თავი და გასინგაპურებას** რომ გვიპირებთ. არადა, თავად თქვენ, **ბატონო პრეზიდენტო, თქვენო აღმატებულებავ, უთვალსაჩინოესი ცოცხალი მაგალითი ბრძანდებით იმისა, თუ რატომ არ შეიძლება პატარა ბავშვს ადრეული ასაკიდან დააწყებინო უცხო ენების ათვისება მშობლიურის პარალელურად, მაგრამ ვინაა გამგონი!**

**მიხეილ სააკაშვილისგან** ინტერვიუს რომ იღებდნენ, მოსკოველი ჟურნალისტი ქალბატონები, **თინა კანდელაკისა** და **საქართველოს პრეზიდენტის** ურთიერთობის **ინტიმურ-მერკანტილურ ასპექტს** შეეხნენ, რაზეც **პრეზიდენტმა** შემოვლითი („დიპლომატიური“) პასუხი გასცა და იქვე დასძინა: **„მე შემიძლია გიპასუხოთ, როგორც ნამდვილმა მამაკაცმა, თუმცა ეს საკმაოდ უხეშად გაიჟღერებს“**-ო (ორიგინალშია — **„კაკ მუჟჩინა“, სიტყვა „ნამდვილი“** რესპონდენტს არ უხსენებია).

— **ჩვენ ყურებს დავხუჭავთ,** — მიუგო **ქსენია სოკოლოვამ** (ოიგინალშია: **„მი ზატკნიომ უში“).** ასე თარგმნა და გამოაქვეყნა ინტერვიუს ეს ადგილი გაზეთმა **„პრაიმტაიმმა“** (უკაცრავად, PrimeTime-მა).

**იქნებ იმიტომაც მიდის ჩვენი ენის საქმე ასე თავდაღმა, იმიტომაც იდევნება ქვეყნის სახელმწიფო ენა მისი კონსტიტუციით გარანტირებული არეალებიდან, რომ ქვეყნის ხელისუფლებასა და მასთან მოალერსე მასმედიას „ყურები დახუჭული“ აქვს და „თვალებშიც არაფერი ესმის?“.**

**იქნებ ამიტომაცაა, რომ ყამარის ჯამჭურჭელივით ერთმანეთს გამობმული ჩემი ნაფიქრ-ნააზრევნი ადრესატთა გულისყურამდე ვეღარ აღწევს და მათი ფეშენებელური კაბინეტების დახშულ კარებსღა თუ აწყდება მხოლოდ. რა უნდა ქნა კაცმა ასეთ დროს? „რა ნიავს უნდა მისცე ფიქრი შენი, შავად მღელვარი?!“**

**ხართ ვინმე ამ ქვეყანაში, ვისაც ამაზე პასუხი მოგეთხოვებათ?!**






ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აშშ-ის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა (მსოფლიოს გამოჩენილ პიროვნებათა ბიოგრაფიების შემსწავლელმა ორგანიზაციამ) ბატონი ფრიდონი 2003 წლის საუკეთესო ადამიანად აღიარა „საზოგადოების წინაშე კეთილშობილური მიღწევებისთვის“. მას შემდეგ ბევრი სიახლე დანერგა, ბევრი სიკეთე დათესა ამ უშურველმა კაცმა და „პარასკევის ჟესტი“ კიდევ ერთი შემატებაა მისეულ „კეთილშობილებათა ნუსხაში“.

# «არ ავნო ავადმყოფს!»

**რუბრიკა „ექსკლუზივის“ დღევანდელი პუბლიკაცია წინამორბედებისგან განსხვავებულია — ექსკლუზიურ ფაქტზეა აგებული, ისეთზე, რომელიც ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასს — სიცოცხლეს შეეხება, კერძოდ, ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების კომპლექსური მეთოდების ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელს — უახლეს სამედიცინო ტექნიკას.**
**მაშ — ჯერ ფაქტის შესახებ.**
**შემდეგ — კომენტარი.**

## ფრიდონ თოდუა:
## მეტი ყურადღებით მოეპყარით ექიმებს!

### „ტოშიბა“ საზღვრებს აფართოებს

გასულ პარასკევს, 12 აგვისტოს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, რომელსაც ფრიდონ თოდუას კლინიკას უწოდებს ხალხი, სამედიცინო ელიტისა და ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით გააფორმეს ხელშეკრულება იაპონურ ფირმა „ტოშიბასთან“ 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფის შეძენის თაობაზე.

**მედიკოსთა განმარტებით, ამ უნიკალური აპარატის მეშვეობით რამდენიმე წამში, ყოველგვარი ინვაზიის გარეშე, შესაძლებელია ადამიანის მთელი ორგანიზმის გამოკვლევა მინიმალური სხივური დატვირთვით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია დღევანდელი რადიოლოგიისთვის და საერთოდ მედიცინისთვის.**

ინვაზია — ტერმინი, რომელსაც მედიცინაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ლათინურიდან მოდის და თავდასხმას, შეტევას, შესევას, შეჭრას ნიშნავს.

შეჭრაზე შევჩერდეთ, რადგან ფრიდონ თოდუას მოსკოვიდან საქართველოში, ჩვენს სამედიცინო სივრცეში დაბრუნებას სწორედ ეს სიტყვა მიესადაგება — შემოიჭრა სიახლეთა დანერგვის, პროგრესის შეუქცევადობის თვალსაზრისით.

აშშ-ის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა (მსოფლიოს გამოჩენილ პიროვნებათა ბიოგრაფიების შემსწავლელმა ორგანიზაციამ) ბატონი ფრიდონი 2003 წლის საუკეთესო ადამიანად აღიარა „საზოგადოების წინაშე კეთილშობილური მიღწევებისთვის“. მას შემდეგ ბევრი სიახლე დანერგა, ბევრი სიკეთე დათესა ამ უშურველმა კაცმა და „პარასკევის ჟესტი“ კიდევ ერთი შემატებაა მისეულ „კეთილშობილებათა ნუსხაში“.

ცინიკოსები ირწმუნებიან, რომ ადამიანი კეთილშობილურად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა სხვა გზა არ აქვს. თოდუას მოღვაწეობა რადიკალურად განსხვავებულია: კეთილშობილება მისი ცხოვრების წესია და კეთილშობილურად იქცევა იმიტომ, რომ სხვაგვარად არ ძალუძს.

ზოგადი განსჯის ამ სიმაღლეებიდან კონკრეტული ფაქტის რეალობამდე დავეშვათ და ვკითხოთ ფრიდონ თოდუას:

**— ბატონო ფრიდონ, რა მნიშვნელობა აქვს ამ უახლეს ტექნოლოგიას კომპიუტერული ტომოგრაფიის დარგისთვის, რომელსაც საქართველოში თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი?**

— პირდაპირ გეტყვით, **ეს არა მარტო ჩვენი კლინიკის, არამედ მთელი საქართველოს წარმატებაა: ანალოგიური აპარატები დღეს ევროპაში თითზეა ჩამოსათვლელი. ამერიკაშიც კი ნებისმიერი კლინიკისთვის სიამაყის საგანია, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში ანალოგი არ მოეპოვება.**

კომპიუტერული ტომოგრაფია 20 წლის წინათ სულ სხვა თაობის აპარატურით დავიწყეთ. შემდეგ შემოვიდა სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფი, რომელიც დღეს საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქშია, თბილისში ოცდაათამდეა. ამას მოჰყვა სპირალური ტომოგრაფი, რომელსაც ერთი შრის გადაღება შეეძლო, შემდეგ — 16 შრის, მოგვიანებით — 64 შრის.

**— შრე, თქვენი ტერმინოლოგიით, რას ნიშნავს, ბატონო ფრიდონ?**

— ერთი შრე 0,5-დან 1 სანტიმეტრის სისქის გამოკვლევას ნიშნავს ადამიანის ამა თუ იმ ორგანოსი. რამდენიმე თვის წინათ შევიძინეთ 128-შრიანი კომპიუტერი. ეს უკვე პრესტიჟული საქმეა.

**— ანუ?**

— საზღვარგარეთ კოლეგები რომ შემეკითხებოდნენ, როგორი კომპიუტერი გაქვთო კლინიკაში, და ვუპასუხებდი, 128-იანი-თქო, იმათ თვალში მე კი არ ვმაღლდებოდი, არამედ ქვეყანა, რომელსაც შეუძლია პაციენტების გამოსაკვლევად ასეთი აპარატურის შეძენა.

უკვე დამკვიდრებულია 320-იანი, რომელიც ევროპასა და ამერიკაში ძალიან ბევრია. ახლა კი რეალურად 640-შრიანი კომპიუტერის შემოტანის წინაშე ვდგავართ.

ეს არის ფანტასტიკა, ეს არის ხვალინდელი დღე და ეს დღე საქართველოში გვითენდება.

**— ექსკლუზიურად, მხოლოდ ჩვენთვის?**

— დიახ, ექსკლუზიურად. დღეს ფირმა „ტოშიბას“ წარმომადგენელთან ერთად ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას, რომლის ძალით ჩვენთან დაიდგმება უახლესი კომპიუტერული ტომოგრაფი Aquillion One 640-Slice (4D) CT Scanner და სამ თვეში ამუშავდება.

ერთ გარემოებას მინდა მივაქციო „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველთა ყურადღება. **დღეს მთელ მსოფლიოში მოქმედებს პრინციპი „არ ავნო ავადმყოფს“. ეს აპარატი, რომლის შეძენის ხელშეკრულებას 12 აგვისტოს მოეწერა ხელი, სწორედ ამ პრინციპის პრაქტიკული განსახიერებაა, რადგან ხასიათდება მინიმალური სხივური დატვირთვით.**

**— დასხივება იგულისხმება?**

— დიახ, დასხივება. 20 წლის წინათ, როცა რადიოლოგიაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდით, სადიაგნოსტიკო აპარატურა ადამიანის ორგანიზმზე დიდი სხივური დატვირთვით მოქმედებდა, მომდევნო თაობის სპირალურ აპარატურას უფრო ნაკლები დასხივება ჰქონდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იყო.

ახლა თვისობრივად სხვა ვითარება ყალიბდება. წარმოიდგინეთ, რომ რენტგენის მილის ერთი დატრიალებით შევძლებთ მთელი ორგანიზმის გამოკვლევას, თანაც — მინიმალური სხივური დატვირთვით.

320-იანს შეუძლია რვა სანტიმეტრი, ასე ვთქვათ, ერთ ჯერზე დაასკანეროს, ახალი აპარატი 16 სანტიმეტრს იღებს. ორჯერ მეტს. ხედავთ, როგორი პროგრესია! ეს ტექნიკური პარამეტრების მიხედვით. ახლა ორიოდ სიტყვით გეტყვით, მისი „სამედიცინო არეალის“ შესახებ:

უწინარეს ყოვლისა, შესაძლებლობა გვეძლევა, ძირფესვიანად შევაფასოთ გულის მკვებავი კორონალური სისხლძარღვების მდგომარეობა, რაც ფრიად მნიშვნელოვანია დიაგნოზის დადგენისა და სწორი მკურნალობის ჩასატარებლად.

ეს მეთოდი ენაცვლება კორონოგრაფიის ინვაზიურ მეთოდებს, აფიქსირებს როგორც სისხლძარღვების სტრუქტურულ მდგომარეობას, ასევე, მის ფუნქციასაც აფასებს სისხლის ნაკადისა და ქსოვილების პერფუზიის შესწავლის გზით.

**ბატონი ფრიდონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გარდამავალი და მწვავე ინსულტების შემთხვევაში ეს მეთოდი პრაქტიკულად შეუცვლელია. ძალიან ხმამაღლა ნათქვამად და ძალიან დილეტანტურ შეფასებად თუ არ ჩამითვლიან მედიკოსები, ვიტყვი — რევოლუციურია! მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, როცა ფრიდონ თოდუას განმარტებიდან შევიტყვე, რომ ეს სიახლე შესაძლებელს ხდის თავის ტვინში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების გამოვლენას დაავადების საწყის ეტაპზე, ანუ მაშინ, როცა სტრუქტურული ცვლილებე-** ▶



**თხოვნით მივმართავ მასმედიაში მომუშავე ახალგაზრდებს: ნუ გააკეთებთ ისე, რომ ჩამოსული ექიმები იძულებულნი გახდნენ, დატოვონ საქართველო. კრიტიკა, ნაკლის შენიშვნა, რა თქმა უნდა, საჭიროა, აუცილებელიცაა. მაგრამ მხოლოდ ამით დაკმაყოფილება, დადებითზე თვალის დახუჭვა, ჩემი აზრით, დამღუპველი შეიძლება იყოს.**

მოკლედ

## ნატოს იერიშს 33 ბავშვი შეეწირა




**ნატოს ავიაიერიშების შედეგად ლიბიის სოფელ მადჯარში 85 ადამიანი, მათ შორის 33 ბავშვი, დაიღუპა.** ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ ცნობით, დაბომბვის შედეგად სოფელი აღარ არსებობს. მადჯარი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქ ზლიტანთან ახლოს მდებარეობს. ნატოს ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, მათ სოფელი მადჯარი მართლაც დაბომბეს, მაგრამ საჰაერო იერიში მხოლოდ სამხედრო ობიექტებზე მიიტანეს.

## რუსეთი ლიბიის წინააღმდეგ სანქციებს შეუერთდა

**გაერომ ლიბიის წინააღმდეგ სანქციები რამდენიმე თვის წინათ აამოქმედა, რასაც უშიშროების საბჭოს წევრი თხუთმეტი ქვეყნიდან მხოლოდ ათმა დაუჭირა მხარი. ახლა სანქციებს რუსეთიც შეუერთდა.** პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გაეროს რეზოლუციის შესრულების შესახებ დადგენილებას მოაწერა ხელი. როგორც კრემლის პრესსამსახური განმარტავს, ამ დადგენილებით ლიბიიდან ან ლიბიის მიმართულებით მოძრავი თვითმფრინავებისთვის რუსეთის საჰაერო სივრცე იხურება. გამონაკლისს მხოლოდ ჰუმანიტარული დანიშნულების რეისები წარმოადგენს.

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ასაკს ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, როგორც წესი, პენსიაზე გასვლის შემდეგ ახსენდებათ სამშობლო ქვეყნიდან გადახვეწილებს. არადა, საქართველოს მათი ცოდნა და პროფესიონალიზმი სჭირდება მაშინ, როცა ზენიტში იმყოფებიან, როცა ძალა და ენეგია ერჩით.**

**ბი ჯერ კიდევ არ არის გამოხატული. ამასთან, შესაძლებელია არა მარტო სისხლის მიმოქცევის პარამეტრების შესწავლა, არამედ თავის ტვინის ნებისმიერ უბანში სისხლის მიწოდების სიჩქარისა და მოცულობის განსაზღვრაც.**

მოკლედ, მკურნალს რა უნდა და — ყველა ამ მონაცემის გამოწვლილვით ცოდნაო.

— ამის საფუძველზე და ამის შემდეგ, — **განაგრძობს ბატონი ფრიდონი,** — გადაწყდება, რა სჭირდება ავადმყოფს — მედიკამენტოზური მკურნალობა, სტენტირება თუ ოპერაცია.

წინა თაობის აპარატების გამოყენების პირობებში ავადმყოფის მომზადება გვჭირდებოდა სწორი მკურნალობის ჩასატარებლად, ახალს — არ სჭირდება. მისი უნიკალურობაა ის, რომ ადამიანის ორგანიზმის ნებისმიერი ორგანოსა და სისტემის მყისიერი გამოკვლევისა და სრულფასოვანი გამოსახულების მიღების საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად ზუსტი კომპიუტერული კვლევისა და მინიმალური დასხივების პირობებში.

**— ჯადოსნურ სარკესავით ყოფილა, ბატონო ფრიდონ.**

— ჯადოსნური სარკე რა მოსატანია! ხუმრობაგაშვებით კი გეტყვით, რომ **ჩვენი შენაძენი არის ვიზუალიზაციის ახალი სისტემა ადამიანის მთელი სხეულისთვის, აღჭურვილია კვლევის სრული სპექტრით, ლიდერია გამოსახულების ხარისხის, კლინიკური შესაძლებლობებისა და კვლევის სისწრაფის კუთხით. მეტიც, ეს არის პირველი ზემძლავრი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფილია უნიკალური ტექნოლოგიით, რაც კლინიკას საშუალებას აძლევს, იმუშაოს პრინციპულად მაღალ დონეზე, როგორც დიაგნოსტიკური გამოსახულების ხარისხის, ასევე, კლინიკური ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით.**

ფრიდონ თოდუა ასეთ ფორმულად აყალიბებს ზემოთ თქმულს — **ეს აპარატი არის ოქროს სტანდარტი დიაგნოსტიკაში.**

რა ეს და რა ოქროს კვეთი ხელოვნებაში.

და უფრო მეტიც:

— ნევროლოგიაში, განსაკუთრებით, შესაძლებელი ხდება მაღალი სიზუსტით კვლევის ჩატარება თავის ტვინის უმაღლესი ნერვული ფუნქციების შესასწავლად, ისეთების, როგორიცაა მეტყველება, სმენა, მხედველობა, მეხსიერება; თავის ტვინის ჰემოდინამიური პარამეტრების შესწავლა, იშემიური ინსულტების, სიმსივნეების, დეგენერაციული ცვლილებების, სხვა ნევროლოგიური დაავადებებისა და ეპილეფსიური სინდრომების დროს.

**მგონი, საკმარისია იმის დასაჯერებლად, რომ მართლაც უნიკალური დანადგარი შეიძინა თოდუას კლინიკამ...**

ზოგიერთი ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ ცხოვრება მირაჟია, რომელსაც ადამიანი წარმოშობს საკუთარი კომფორტულობისთვის (!), მაგრამ როცა მისი თავი ისეთ „კომფორტში" აღმოჩნდება, ისეთი დაავადება დაეტაკება, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ, ერთ-ერთი იმათთაგანი, წარმოიქმნება მწარე რეალობა, რომელთანაც მირაჟს საერთო არაფერი აქვს.

ესეც მატერიალისტური დებულება — ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას.

მკითხველს სრული წარმოდგენა რომ ჰქონდეს, თუ რა შესაძლებლობებს ფლობს თოდუას კლინიკა, რამდენიმე მთავარ მომენტზე შევაჩერებ მის ყურადღებას.

ამჟამად ინსტიტუტში „სიმენსის" ფირმის სამი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი ფუნქციონირებს: 0,35 ტესლა, 1,5 ტესლა და უახლესი — 3 ტესლა სიმძლავრის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი Magnetom Verio. ბოლო შენაძენი — 3 ტესლა სიძლავრის ტომოგრაფი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სიამაყეა თავისი დიაგნოსტიკური პოტენციალით, ევროპის ბევრი კლინიკებისთვის შესაშურია ამ დონის აპარატი.

კვლევის ტექნიკური ბაზა ექიმებს პრინციპულად მაღალ დონეზე მუშაობის საშუალებას აძლევს, როგორც მიღებული დიაგნოსტიკური გამოსახულებების ხარისხის მხრივ, ასევე, კლინიკური ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით. მაგალითად, აქ შესაძლებელია ადამიანის სხეულის 0,05 მმ სისქის ჭრილების მიღება!

ინსტიტუტში 8 ულტრაბგერითი აპარატია, მათ შორის უნიკალური ულტრაბგერითი აპარატი 3D-4D გამოსახულებით, რომელიც საშუალებას იძლევა რეალურ დროში მოახდინოს სხვადასხვა სტრუქტურების მოცულობითი გამოსახულებების შესწავლა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეან-გინეკოლოგიაში.

აქ პირველად საქართველოში დაინერგა ვიდეოენდოსკოპური ტექნოლოგიები და ენდოქირურგიული ჩარევები. ეს მიმართულება კვლავაც აქტიურად ვითარდება...

## არავითარ შემთხვევაში არ გაძვირდება!

**საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფოს განვითარების უპირველესი კრიტერიუმი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.**

**ცნობილია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ თვალსაზრისით მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, შორსაა იდეალურისგან.**

— ბევრი და მწვავე კრიტიკა მსმენია, — **ამბობს ბატონი ფრიდონი,** — ეს არ გვაქვს, ის გვაკლია და ასე შემდეგ.

მაგრამ 7-8 წლის წინათ ავადმყოფების თითქმის 80 პროცენტი სამკურნალოდ საზღვარგარეთ მიდიოდა; დღეს — მინიმუმამდე შემცირდა, ათი პროცენტი თუ იქნება.

**დიაგნოსტიკისთვის მაინც და მაინც უცხოეთში წასვლა ჩვენს მოქალაქეებს დღეს აღარ სჭირდებათ. საქართველოში ბრწყინვალე ექიმები გვყავს, მათ შორის, ბევრია უცხოეთში პრაქტიკაგამოვლილი. მაგალითად, ჩვენთან კლინიკაში საფრანგეთიდან დაბრუნდა ბრწყინვალე ონკოგინეკოლოგი ირაკლი თოდუა, რომელიც ურთულეს ოპერაციებს აკეთებს.** ჩემი მოგვარეა, ნათესავი არ არის და მიკერძოებაში არ ჩამითვალოთ.

**ბელარუსიდან ჩამოვიდა ასევე ბრწყინვალე ქირურგი თენგიზ გუგეშაშვილი.** 45 წლისაა. ასაკს ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, როგორც წესი, პენსიაზე გასვლის შემდეგ ახსენდებათ სამშობლო ქვეყნიდან წასულებს. არადა, საქართველოს მათი ცოდნა და პროფესიონალიზმი სჭირდება მაშინ, როცა ზენიტში იმყოფებიან, როცა ძალა და ენეგია ერჩით.

ბატონი თენგიზი ბელარუსში ვეებერთელა კლინიკას ხელმძღვანელობდა. მაგრამ მიატოვა, ჩამოვიდა და ჩვენი ხალხის სამსახურში ჩადგა. ისეთ ოპერაციებს აკეთებს, როგორიც მანამდე საქართველოში არ კეთდებოდა...

ვფიქრობ, რომ დღეს პროფესიონალებისთვის საქართველოში ნამდვილად საუკეთესო სამუშაო პირობებია შექმნილი, ვიდრე ნებისმიერ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში და ვინც თავს ნამდვილ პროფესიონალად, თავისი საქმის სპეციალისტად თვლის, თამამად შეუძლია თავის ქვეყანას ღირსეულად ემსახუროს.

**ფრიდონ თოდუა დარწმუნებულია, რომ ძირითადი სიმდიდრე, რითაც შეუძლია იამაყოს ქართველმა ერმა, ეს არის ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის შენარჩუნებისთვის ზრუნვა ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა.**

**ინსტიტუტი განსაკუთრებით ამაყობს საერთაშორისო კონტაქტებით უცხოელ კოლეგებთან. მის თანამშრომლებს ხშირად უწევთ გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო კონგრესებზეც, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ.**

**და, რაც მთავარია, ინსტიტუტი თავად არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ცენტრი. აქ არსებული სასწავლო კათედრები და კურსები უზრუნველყოფს სტუდენტების, რეზიდენტების, ასპირანტებისა და ექიმ-რადიოლოგთა სრულფასოვან სპეციალისტებად ჩამოყალიბებას.**

**— 640-შრიანი კომპიუტერის შესაძენად, უთუოდ, დიდი ფული დაიხარჯა.**

— ძალიან ძვირი ღირს. მაგრამ მოგვცეს შესაძლებლობა და ბანკიდან სესხი გამოვიტანეთ. ვალს თანდათან გავისტუმრებთ.

**— აპარატის სიძვირე, ალბათ, პაციენტის გამოკვლევის გაძვირებასაც გამოიწვევს. გასწვდება ხალხი გაზრდილ ხარჯს?**

— არავითარ გაძვირებას არ გამოიწვევს.

**— ვინ მოემსახურება ამ დანადგარს? ალბათ, ახალი სპეციალისტები დაგჭირდებათ.**

— არა, არ დაგვჭირდება. ჩვენი ინჟინერი მხოლოდ ერთთვიანი მომზადების შემდეგ თავისუფლად აითვისებს ახალ დანადგარს. პროფესიონალები მუშაობენ ჩვენთან.

**ჩვენს საუბარს შემოესწრო ბატონი რომან შაქარაშვილი, აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:**

— ვისმენდი თქვენს საუბარს და, მგონი, უადგილო არ იქნება ერთი ასეთი ფაქტის გახსენება. სამიოდ წლის წინათ მე გამიკეთეს ოპერაცია, რომელიც ორი ძალიან სერიოზული ჩარევისგან შედგებოდა: ჯერ იყო პირველი ეტაპი და სამი თვის შემდეგ — მეორე ეტაპი. ეს ტექნოლოგია, ეს ხელოვნება, რომელიც ამ ინსტიტუტშია დანერგილი, საშუალებას იძლევა იგივე ოპერაცია ჩატარდეს ატრავმულად ნახევარი საათის განმავლობაში.

ახლა იმ ტექნოლოგიების შესახებ, რომლებიც შემოდის ამ ინსტიტუტში — **თუ სამიოდე თვის წინათ სამტესლიანი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფის დონეზე ვიყავით, დღევანდელი ტექნოლოგია ისეთივეა თავისი მნიშვნელობით, როგორიც ახალი კლინიკის გახსნა: თავისი ინვესტიციური მოცულობითაც — მილიონს აღემატება და იმითაც, რასაც იგი იტვირთავს ჯანდაცვის განვითარებისთვის.**

## ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო

**ფრიდონ თოდუა ექიმებისადმი დამოკიდებულების პრობლემას უბრუნდება:**

— მეტი გაფრთხილება სჭირდება ექიმებს. მეტი მოფერება. სამწუხაროდ, დაზღვეული არ ვართ ავადმყოფის გარდაცვალებისგან, ბევრი მიზეზის გამო, მაგრამ ჩვენთან ყველაფერს ექიმებს აბრალებენ.

**— ამასწინათ პროფესორმა ლაურ მანაგაძემ თქვა, რომ ასეთ შემთხვევაში მიზეზს ავადმყოფობაში კი არ ეძებენ, არამედ — ექიმში.**

— ვეთანხმები, რომ ასეც ხდება. პრესაში, ტელევიზიით სწორედ ასეთ დამოკიდებულებას აძლევენ უპირატესობას. უარყოფითი გაცილებით ჭარბობს დადებითს. ჩემი აზრით, ეს არანორმალური მდგომარეობაა და, უწინარეს ყოვლისა, უარყოფითად მოქმედებს პაციენტზე, რადგან რწმენას აკარგვინებს მკურნალის მიმართ.

ჟურნალისტების მისამართით ვამბობ ამას. მაგრამ, ბატონებო, როცა გაგიჭირდებათ, ხომ მოდიხართ ჩვენთან?

**— მოვდივართ. თალმუდში ჩაწერილია — თუ ვინმემ მოახერხა და ორმოცი დღე კაეშნის გარეშე იცხოვრა, ჩათვალეთ, რომ ამქვეყნიურ სამოთხეს ეზიარაო. მაგრამ, ჯერ ერთი, ვინ გვაღირსებს ასეთ ბედნიერებას, მეორე, ავადმყოფობა ხომ ლამის ქუჩის ყოველ კუთხეშია ჩასაფრებული, და — მორჩილად მივდივართ ექიმთან. სხვა რა გზა გვაქვს?!**

— და რახან მოდიხართ, რახან გვენდობით, უკულმართად რატომ წერთ და რატომ აქვეყნებთ?

25 წელიწადი ვიცხოვრე და ვიმუშავე მოსკოვში. ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, დიდი ავტორიტეტიც მქონდა. მაგრამ მივატოვე ყველაფერი, თუმცა კავშირები არ გამიწყვეტია, და ჩამოვედი საქართველოში, რადგან მჯეროდა, აქ უფრო საჭირო ვიყავი.

**(შეეძლო არ ჩამოსულიყო, ისე ჩაეარა თავისი ქვეყნისთვის, როგორც ალმაცერ წვიმას:**

По родной стране
пройду стороной,
Как проходит косой дождь.

***(ვლადიმერ მაიაკოვსკი).***

**არ ჩაუვლია. ჩამოვიდა და ნულიდან შეუდგა დიდ საქმეს).**

ხალხი ამომიდგა მხარში და მომცა ყველაფერ იმის რეალიზაციის საშუალება, რაც ჩაფიქრებული მქონდა და რაც გავაკეთე.

თხოვნით მივმართავ მასმედიაში მომუშავე ახალგაზრდებს: ნუ გააკეთებთ ისე, რომ ჩამოსული ექიმები იძულებულნი გახდნენ, დატოვონ საქართველო.

კრიტიკა, ნაკლის შენიშვნა, რა თქმა უნდა, საჭიროა, აუცილებელიცაა. მაგრამ მხოლოდ ამით დაკმაყოფილება, დადებითზე თვალის დახუჭვა, ჩემი აზრით, დამღუპველი შეიძლება იყოს.

არ დაგიმალავთ, რუსეთში მთელი პლეადაა ბრწყინვალე ქართველი ექიმების, რომლებიც საქართველოში არ ჩამოდიან. ბევრს შევთავაზე, უარს ამბობენ. ერთ-ერთი მიზეზი კი ის ნეგატიური დამოკიდებულებაა, რომელზეც ვსაუბრობ.

**„საქართველო და მსოფლიოს" მეშვეობით, მინდა მოვუწოდო ჟურნალისტებს, ყველას, ყველას — მეტი ყურადღებითა და სითბოთი მოექცნენ ექიმებს! სხვათა შორის, ეს ჩვენი ცივილიზებულობის მაჩვენებელიც იქნება, იმისა, რომ საქართველო მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეულად ეწერება.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. კიდევ ერთი ფილოსოფიური სენტენცია და ამით დავამთავროთ: ადამიანის სიცოცხლე ფუფუნებაა, რადგან ვცოცხლობთ იმაზე ნაკლებს, ვიდრე არ ვცოცხლობთ. ამიტომ გავუფრთხილდეთ იმათ, ვინც ამ ფუფუნების გახანგრძლივების საშუალებას გვაძლევს.**

*ჯემალ კასრაძის ფოტო*



**დღეს მთელ მსოფლიოში მოქმედებს პრინციპი «არავნო ავადმყოფს». ეს აპარატი, რომლის შეძენის ხელშეკრულებას 12 აგვისტოს მოაწერეს ხელი, სწორედ ამ პრინციპის პრაქტიკული განსახიერებაა, რადგან ხასიათდება მინიმალური სხივური დატვირთვით.**

მსოფლიო

## თურქეთში შვიდი გენერალი და ადმირალი დააპატიმრეს

**თურქეთის სასამართლომ ქვეყნის არმიის შვიდი მოქმედი გენერლისა და ადმირალის დაპატიმრების ორდერი გასცა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ბრალი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ედებათ.** დაკავებულებს შორის არიან თურქეთის არმიისა და სამხედრო დაზვერვის გენერლები. მმართველი პარტიის ჩამოგდების მცდელობის ბრალდება არმიის ოფიცრებს ჯერ კიდევ ივლისში წაუყენეს. მას შემდეგ ამ საქმეზე რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურე დააპატიმრეს.



## ლონდონის ცნობილი მეამბოხეები

**მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ქემერონი საკანონმდებლო ორგანოში დამნაშავეთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებით დაიმუქრა, ქუჩის მეამბოხეებმა უკან დაიხიეს.** ქვეყნის პრემიერმა პროცესებში არმიის ჩართვაც არ გამორიცხა და დამნაშავეთა ჯგუფებისთვის სოციალური ქსელების დაბლოკვის ინიციატივით გამოვიდა. როგორც გაირკვა, პოლიციის მიერ დაპატიმრებულ მეამბოხეთა შორის საზოგადოებისთვის ცნობილი პირები და გავლენიანი ადამიანების შვილებიც არიან, მაგრამ უმეტესობა ემიგრანტთა ფენებიდანაა გამოსული.

საქართველო და მსოფლიო
ჩეღიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როდესაც ქართველს ქართველობას და სარწმუნოებას ართმევენ, ის საკუთარ თავზე უარს აცხადებს და იწყებს შეუპოვარ ბრძოლას სულის შენარჩუნებისთვის. ასე იყო ოდითგან, ...ასე მინდა იყოს ახლაც... მავანი იტყვის — სარწმუნოებას არავინ გვართმევს, არავინ გვედავებაო, მაგრამ ეს კანონპროექტი და ის, რაც დღეს ხდება, წინაპირობაა სარწმუნოების, ქართველობის წინააღმდეგ ბრძოლისა, მორწმუნე ადამიანის, ქართველის ცხოვრება კი არაფერია, თუ არა მუდმივი ბრძოლა სარწმუნოების შენარჩუნებისთვის, უფლის სახელის დამკვიდრებისთვის და სულის წვრთნისთვის“.

### მამა პეტრე (კვარაცხელია):

# ეს კანონპროექტი და ის, რაც დღეს ხდება, წინაპირობაა სარწმუნოების, ქართველობის წინააღმდეგ ბრძოლის

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი პეტრე (კვარაცხელია).**



## თითოეულ სიტყვაზე პასუხს ვაგებ...

**— მამაო პეტრე, ჩვენს მკითხველს ახსოვს თქვენი ძალიან გულწრფელი და გაბედული ინტერვიუ, სადაც ხმამაღალი განცხადებები გააკეთეთ ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე, სასულიერო პირების მდგომარეობაზე, სომხეთის პატრიარქის ვიზიტსა და სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე. ეს ის სიმართლე იყო, რომელსაც საზოგადოება გულით ატარებდა, მაგრამ ვერ ან არ თქვა. თქვენ დასაკარგი ბევრი გქონდათ... იცოდით, სასწორზე რასაც დებდით. რა შეიცვალა თქვენი, როგორც მღვდლის, უბრალოდ, ადამიანის ცხოვრებაში იმ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ?**

— იმ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ რეალურად ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა შეხედულებაც, შეიცვალა ფიქრიც, დავკარგე მოსვენებაც, ყოველდღიურად უფრო დაძაბული ვხდები და უფრო მეტად მტკივა, მაგრამ სამსჯავრო სკამზე დღესაც რომ დამსვან და ამ ინტერვიუს გამო პასუხი მომთხოვონ, ისევ იმავეს გავიმეორებდი. სწორედ ამით ვარ ბედნიერი. ვთქვი ის, რაც მტკიოდა და ვთქვი ყველას — ერისა და ბერის გასაგონად. იმ დროს მე მეტის გაკეთება არ შემეძლო. ეს იყო მაშინ ჩემი დიდგორი, ბრძოლა პირველ რიგში საკუთარ თავთან, გამოფხიზლებისთვის, მანკიერი მხარეების წინააღმდეგ. საბრძოლო იარაღი ამ შემთხვევაში იყო ცხოველი, ჭეშმარიტი სიტყვა, რომელიც გასროლილი ისარია და ვერ დაიჭერ... ჩემი სიტყვა თავისუფალი იყო და სწორედ ამ სიტყვის თავისუფლებიდან გამომდინარე, იმ დღესაც, ახლაც და, ალბათ, მთელი ცხოვრება უკან არასოდეს დავიხევ და ჩემს თითოეულ სიტყვაზე პასუხს ვაგებ...

მე ერთადერთი დასაკარგი მაქვს — ეს ჩემი სულია!.. სულის გამო ყველაფერს დავთმობ. ოჯახსაც სასწორზე ვდებდი, მაგრამ ოჯახსაც დავთმობ უფლისთვის, უფლის სიყვარულისთვის. ვერ დავთმე და ვერ დავკარგე ის, რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, ხელი-ხელ საგოგმანებია და რის გამოც ადამიანი მთელი ცხოვრება იბრძვის — სულის მოპოვებისთვის, სულის შენარჩუნებისთვის და უფალთან მყოფობისთვის....მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დგება ჟამი, როცა ის საკუთარ თავში უნდა დარწმუნდეს, თუ უფლისთვის, ეკლესიისთვის რეალურად რისი გაკეთება შეუძლია. მე არ ვიცი, რას შევძლებ მომავალში, მაგრამ ერთი რამის თქმას კი გავბედავ — თუკი ქრისტეს ეკლესიას ისევ საფრთხე დაემუქრება, უკან არასოდეს დავიხევ, რა განსაცდელიც უნდა მელოდებოდეს, იმიტომ, რომ მინდა, ჩემი სიტყვით და საქმით ვემსახურო უფალს, იქნებ ამით შემინდოს ჩემი აურაცხელი ცოდვები ღმერთმა... და სჯობს, აქ დამსაჯონ სიმართლისთვის, ვიდრე იქ, უფალთან მომეკითხოს. მე მთელი ჩემი ცხოვრება უფლისთვის მინდა, ჩემი სულის ცხონებისთვის მინდა და, როცა ვიღაც ამას თავისი ბინძური ხელებით წაეპოტინა, ამიტომ ავიმაღლე ხმა და უკან არ მომიხედავს, არ მიფიქრია, ამის გამო აქ როგორ „გამასამართლებდნენ“.

**— დიდი იერარქები დღესაც ამტკიცებენ, რომ არაფერი საგანგაშო და ტრაგიკული არ მომხდარა. მამაო, დღესაც მიიჩნევთ, რომ ვიღაც ბინძური ხელით ეპოტინებოდა იმას, რაც თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ასე ძვირფასია? რომ ეკლესია არც ისე ერთიანია, როგორც ამას გვაჩვენებენ? გულწრფელად მითხარით.**

— მე ასე ვფიქრობ. ეს შეიძლება ვიღაცისთვის მცდარი აზრი იყოს, მაგრამ მე შინაგანად ეს განცდა მაქვს. ძალიან განვიცდი და ძალიან მტკივა. მტკივა იმიტომ, რომ დღეს ყველაზე მეტად ჩამოწვა უსიყვარულობის ბურუსი, მტკივა იმიტომ, რომ თითქოს ქართველობა აღარ ქართველობს, თითქოს ვერ ვიდავითეთ, თითქოს ჩვენი არ ყოფილა დიდგორის ბრძოლა, შამქორი და ბასიანი... **როდესაც ქართველს ქართველობას და სარწმუნოებას ართმევენ, ის საკუთარ თავზე უარს აცხადებს და იწყებს შეუპოვარ ბრძოლას სულის შენარჩუნებისთვის. ასე იყო ოდითგან, ...ასე მინდა იყოს ახლაც.**

**მავანი იტყვის — სარწმუნოებას არავინ გვართმევს, არავინ გვედავებაო, მაგრამ ეს კანონპროექტი და ის, რაც დღეს ხდება, წინაპირობაა სარწმუნოების, ქართველობის წინააღმდეგ ბრძოლისა, მორწმუნე ადამიანის, ქართველის ცხოვრება კი არაფერია, თუ არა მუდმივი ბრძოლა სარწმუნოების შენარჩუნებისთვის, უფლის სახელის დამკვიდრებისთვის და სულის წვრთნისთვის.** სულიერი ცხოვრება უხილავი, ხშირად კი ხილული ბრძოლებითაა აღსავსე... ჩემ შემთხვევაში, უხილავ ბრძოლასთან მარტო მე ვიდექი, არ ვიცი, რამდენად ძლიერი ვიყავი და რა იარაღით ვებრძოდი უხილავ მტერს, მაგრამ ხილულ ბრძოლში ორივე — ერის და ბერის ხმა ავიმაღლე და ეს ორივე ხმა იმდენად შემზარავი იყო, რომ, ალბათ, ძალიან ბევრი ადამიანი დააფიქრა, უპირველესად კი, დამაფიქრა მე. მე, ვინაც ასეთი მწვავე განცხადებები გავაკეთე, პირველ რიგში, უფრო მეტად მომეთხოვება, ვიყო ის, ვინც სინამდვილეში უნდა ვიყო და, მიუხედავად ბევრი განკითხვისა, ბევრი კრიტიკისა, მაინც დავდგე მოწოდების სიმაღლეზე და უფალს ათასი მადლობა ვუთხრა იმ სიტყვისთვის, რაც შემაძლებინა, რომ მეთქვა... უფლის გარეშე, დარწმუნებული ვარ, ვერც ერთ სიტყვას ვერ წარმოვთქვამდი, მაგრამ მე მინდა, ჩემი სიტყვა იყოს საქმიანი...

**— მამაო, ამ რამდენიმე ხნის წინ „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ არნო სტეფანიანმა, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, თქვენც დაგდოთ ბრალი ანტისომხურ პროპაგანდაში... ის მოითხოვს, რომ თქვენნაირმა სასულიერო პირებმა პასუხი აგონ ქსენოფობიისთვის და ამ საქმეში საპატრიარქოს მიიჩნევს თავის „თანამოაზრედ“ და „პარტნიორად“, იმ კომისიის იმედი აქვს, რომელიც სინოდის გახმაურებულ სხდომაზე შეიქმნა და სასულიერო პირების ზნეობრივ საქციელს შეისწავლის...**

— დარწმუნებული ვარ, რომ არნო სტეფანიანი ძალიან კარგად ხვდება, რომ ანტისომხური განცხადება არ გამიკეთებია... მე ჩემი ტკივილი ვთქვი, ჩემი ერის ცრემლი მტკივა... ჩემსას ვიცავ. ეს მიაჩნია მას სომხების შეურაცხყოფად? **ჩემს მრევლში არიან სომხებიც, მყავს სომეხი მეგობრებიც და არც ერთ მათგანს არასოდეს უგრძვნია ჩემგან სიძულვილი ამ ერის მიმართ. ქართველებს სხვა ერების სიყვარულს ვერავინ გვასწავლის და ეს ყველაზე უკეთ სომეხმა იცის! კაცთმოძულე რომ ყოფილიყო ქართველი, მის მიწაზე საუკუნეების მანძილზე ლამის ოთხმოცი ეროვნების ადამიანი ვერ იცხოვრებდა. მაგრამ მუდმივად მხოლოდ „საკუთარ მხარეს“ ყურება, დამერწმუნეთ, თვით სტუმართმოყვარე ქართველისთვისაც კი ძალიან რთული ასატანია! მე ის, რაც ვთქვი, ტკივილით და არა სიძულვილით ვთქვი! რაც შეეხება გრიგოლ ღვთისმეტყველისა და ილია მართლის სიტყვებს, რომლებიც საუბარში მოვიყვანე, არა მგონია, არნო სტეფანიანს იმდენი კადნიერება ჰქონდეს, რომ წმინდანების „გაკრიტიკება“ დაიწყოს და ამ საქმეშიც საპატრიარქო გამოაცხადოს თავის დასაყრდენ ძალად და „პარტნიორად“. თუმცა ყოველგვარი სარკაზმის გარეშე მინდა ვკითხო ამ ახალგაზრდა კაცს — ახლა „დაჩაგრულ“ მდგომარეობაში რომ გინდა თავი წარმოაჩინო და გსურს, გვიჩივლო „უზნეო“ ქმედებების გამო საპატრიარქოში და თან ხმამაღლა რომ აცხადებ, რომ ჩვენი დასჯის საქმეში საპატრიარქო შენი „პარტნიორია“, არ გეწყინება, ალბათ, თუ ცოტა ადრინდელ ამბავს შეგახსენებ: მაშინ თუ მოიაზრებდი „საპატრიარქოს“ და საერთოდ საქართველოს შენს „პარტნიორად“ და ქართველ ხალხს კი მეგობრად, როცა თქვენმა სომხურმა საინფორმაციო საშუალებებმა სომხების პატრიარქი გარეგინ II ჩვენი უწმინდესის „ზრდილობის ტყვედ“ გამოაცხადა და თან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს ნომერ პირველი ჯაშუში უწოდა?** თუ იმასაც გვეტყვი, რომ ამ სტატიის ავტორი გრანტ მელიქ შახ-ნაზარიანი სომეხი არ არის, მაშინ ბოდიშს მოგიხდი **(Грант МЕЛИК-ШАХНАЗАРЯН, шпион грузии 1: „Илья Второй намерен быть рядом с Католикосом Гарегином ШШ в ходе всех мероприятий. У Католикоса даже не будет возможности отдельно встретиться со своей паствой в Джавахке. Это означает, что его визит будет носить, скорее, церемониальный, нежеди патриарший характер. Более того, подобная позиция Ильи Второго в каком-то плане превращает Католикоса в высокопоставленного пленника. Пленника, которого чтут, однако не позволяют свободно общаться со своей паствой. В создавшейся ситуации остается надеяться на то, что Гарегин Второй не превратится еще и в пленника вежливости, а назойливое присутствие высокопоставленного грузинского шпиона не будет угнетать его в патриаршей деятельности“).**

ან როცა სომეხი „ისტორიკოსი“ აივაზიანი, უკვე ფანტასტიკის სფეროსაც რომ სცდება ისეთ მარაზმთან ერთად, იმასაც „ამტკიცებს“, რომ არც ჯავახეთია ჩვენი, თუმცა ჯავახეთს ვინ ჩივის, როცა ქართველების ისტორიულ სამშობლოდ „ბასკეთს“ აცხადებს! ვიცი, იმას გვეტყვი, რომ „შენ არაფერი შეგიძლია“, რომ ვიღაც აივაზიანისა და მელიქშახნაზარიანის ნათქვამზე პასუხს ვერ აგებ, მაგრამ, დალოცვილო, ზრდილობის გულისთვის მაინც გაგეკეთებინა ერთი განცხადება, თუნდაც ერთსიტყვიანი, რომ „სწუხხარ“ ან „არ იზიარებ“ ამ „პატივცემული“ ადამიანების პათოსს და მერწმუნე, „ზრდილობის ტყვედ“ არ გამოგაცხადებდით.

აქვე ისევ მინდა ილია მართლის „ქვათა ღაღადი“ გავიხსენო: „განა ჩვენთვის კი სანატრელია ასეთი დაქსაქსულობა სომხებისა? ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარყ, ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდანაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან. ჩვენი სახელის გატეხვით ნუ ცდილობენ თავიანთი სახელის კეთებას და შემკობას. ჩვენ ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. მტერისა შინა ყოლასა, ლომისა ზედა წოლა სჯობიაო. ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი!“.

**— როგორც ვიცი, ახლობლებიც და უცხო ადამიანებიც ირიბად თუ პირდაპირ გაფრთხილებდნენ, სანამ რამეს იტყოდით, გეფიქრათ ოჯახზე. მამაო, ამდენი გაფრთხილების მერე ერთხელ მაინც არ იფიქრეთ, რომ გაჩუმებულიყავით და ეს ცხოველი სიტყვა გულში დაგემარხათ?**

— პაოლო იაშვილმა გადაწყვიტა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაემთავრებინა, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ მას თავი არ მოუკლავს, პაოლოს იმ გადაგვარებულმა ეპოქამ ესროლა ტყვია! გამხეცებულმა ეპოქამ მოკლა პაოლო იაშვილი, მაგრამ იდეა ვერ მოკლა, პაოლოს პიროვნება დღემდე ცოცხალია... მან სიკვდილამდე თავის შვილს წერილი დაუტოვა — შვილო, მე თავს ვიკლავ, მაგრამ, როდესაც გაიზრდები, მიხვდები, რომ მამაშენი სწორად მოიქცა. მე რომ თავი არ მომეკლა, შენ მთელი ცხოვრება შეგრცხვებოდა იმის, რომ პაოლო იაშვილი მამაშენი იყოო. როცა სანადირო თოფის ხმა გაიგონა, მი- ▶

„სასულიერო პირები იმდენს განმიკითხავენ, რომ ერთხელ ერთი ბავშვი მოვიდა ტაძარში ჩემთან და გულწრფელი დანანებით მითხრა: — მამაო,შენზე მღვდლები ამბობენ, რომ გიჟი ხარ, მღვდელმა როგორ უნდა დაწეროს „შენ თვალებიდან აპრილი გცვივაო“. ეს ბავშვი ერთხელ სადღაც სასულიერო პირებთან ტრაპეზზე მოხვედრილა და იქ „დასცინოდნენ“ თურმე მამა პეტრეს, მერე კი, რომ შეზარხოშდნენ, ზუსტად იმ მღვდელს, რომელიც სულ განმიკითხავდა, ჩემი ლექსი წაუკითხავს: „შენ თვალებიდან აპრილი გცვივა“. არ ვიცოდი, მეცინა თუ მეტირა...“

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩემი პოეზიის გამო თავს არავისთან გავიმართლებ...

ხეილ ჯავახიშვილმა ამიტომაც მიმართა მწერალთა კავშირის დარბაზში შეკრებილთ — ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა პაოლო იაშვილიო. ალბათ, უწმინდესმა სწორედ ამიტომაც შეუნდო პაოლოს თვითმკვლელობის ცოდვა და, მადლობა უფალს, მისი ლოცვა-კურთხევით რომ მე მომეცა იმის საშუალება, პაოლოსთვის 73 წლის მერე წესი ამეგო. მე, რა თქმა უნდა, თვითმკვლელობისკენ არავის მოვუწოდებ, მაგრამ, როდესაც სარწმუნოებას და ქართველობას გართმევენ და ხმას არ იღებ და არ იცავ იმას, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასი და მთავარია, თვითმკვლელობაზე უარესია!

რა თქმა უნდა, ვიხედებოდი უკან და ვიხედები დღესაც......იქ ჩემი შვილები დგანან და მათ მინდა მოვუწოდი წინ — დავითის, თამარის ეპოქისკენ! მინდა, ჩემი შვილების, ახლობლების, მეგობრებისთვის ვიყო მაგალითი. როდესაც ჩემს ქვეყანას, ჩემს ეკლესიას, ჩემს სამშობლოს გაუჭირდება, პირველი ვეკვეთო მტერს, რამეთუ, როგორც პოეტი ბრძანებს: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“.

**— მამაო, მე ვესწრებოდი იმ წირვას, როდესაც უწმინდესმა გამოაცხადა, რომ შეუნდო პაოლო იაშვილს და მას წესს თქვენ აუგებდით. მაშინ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სულ მცირე, ოცდაათი მღვდელმსახური მაინც იყო, მაგრამ უწმინდესმა თქვენ დაგავალათ თვითმკვლელი პოეტისთვის წესის აგება, რაც სასულიერო პირისთვის ძალიან მძიმედ შესასრულებელი რიტუალია. ალბათ, უწმინდესმა ის გაითვალისწინა, რომ თქვენც პოეტი ხართ — პოეტს ხომ პოეტის გარდა ვერავინ გაუგებს...**

— იცით, როდესაც გავიგე, რომ უწმინდესმა პაოლო იაშვილს თვითმკვლელობის ცოდვა შეუნდო, ეს ჩემთვის ძალიან დიდი გამარჯვება, სულის ზეიმი იყო. როგორ შეიძლება თუნდაც პირად ლოცვებში არ მომეხსენიებინა ადამიანი, რომელმაც „იქ, სადაც სდუმან პირმიდები“ დაწერა? რომელმაც თავისთვის ნასროლი ტყვიით მწერალთა კავშირი გამოაფხიზლა? მანამდე უწმინდესმა დიდ გალაკტიონს შეუნდო ეს ცოდვა და ეს იმედს მაძლევდა, რომ პაოლოსაც აპატიებდა. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, უწმინდესი ამ კუთხით ძალიან პოეტურია, მრავალჟამიერ მისი სიცოცხლე. დღევანდელ სასულიერო პირთა შორის, ალბათ, ყველაზე მეტად პოეტების უწმინდესს ესმის და, ალბათ, არც იყო გასაკვირი, რომ წესი პაოლო იაშვილისთვის მამა პეტრეს აეგო.

ხშირად ბავშვობაში, როდესაც მომინდებოდა საკუთარ თავთან დარჩენა, მიყვარდა სასაფლაოებზე სიარული, დიდუბის პანთეონში ხშირად ვაკითხავდი ჩემი სულის პოეტის — ტერენტი გრანელის საფლავს, შემდეგ სხვა საფლავებსაც დავივლიდი, პაოლოს საფლავთან შევჩერდებოდი, რაღაც აუხსნელი შინაგანი სულის ტკივილი მაწუხებდა. ვერ გეტყვით, რომ მაშინ ძალიან დიდი ეკლესიურობით გამოვირჩეოდი და მაწუხებდა ის, რომ მას ლოცვებში ვერ ვიხსენიებდი, მაგრამ მუდივად ვხედავდი მის საფლავთან მდუმარე აჩრდილს, მინდოდა, ეს აჩრდილი დარღვეულიყო და მის ნაცვლად იქ შენდობის სანთელი ანთებულიყო. ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ ამ შენდობის კელაპტარს ადრე თუ გვიან ვინმე აუცილებლად აანთებდა, მაგრამ იმ დროს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ის ვიღაც მე — პოეტი-მღვდელი, მამა პეტრე ვიქნებოდი.შემთხვევით ამ ქვეყნად არაფერი ხდება! იქნებ სწორედ პაოლოს სულმა ინება, რომ მისთვის წესი მამა პეტრეს აეგო. და მადლობა უფალს — დღეს პაოლო ჩემი სულიერი შვილია!

პაოლოს საფლავთან, რომელიც არაბუნებრივად ლამაზი, ლურჯი იებით იყო მოფენილი, გამახსენდა ჩემი სიყრმის მეგობრის წერილი, რომელიც მან ჩემი მღვდლად ხელდასხმის წინ მომწერა: „ბედნიერი ვარ, მღვდელმსახური რომ ხდები, რადგან შენი სულიერი შვილი გავხდები, მაგრამ ორმაგად მიხარია, რადგან თვითონ პოეტი, უფრო ღრმად გააცნობიერებ იმ პოეტთა ტკივილსა და სევდას, რომელთაც იქნებ მომხსენებელიც არ ჰყავთ და მათი სულისთვის უფრო მეტად ილოცებ, მათ სულს შეავედრებ უფალსო“.

**წესის აგების დროს რამდენიმეჯერ თვალთ დამიბნელდა, რადგან მაინც თვითმკვლელს ვუგებდი წესს, ეს კი მართლაც ძალიან მძიმეა, და ჩემზე დიდმა ემოციამაც იმოქმედა. ერთი თვით ადრე ეგვიპტეში ვიყავი და პირამიდებთან მყოფს კიდევ უფრო მტკიოდა პაოლოს სული. პირამიდებთან პაოლოს დუმილი მისთვის შენდობით და წესის აგებით დაირღვა!.. მადლობა უფალს! მადლობა ჩემს უწმინდესს ამისთვის.**

...თუმცა აქვე გეტყვით, უწმინდესს იმისთვისაც განიკითხავენ, თვითმკვლელ პოეტებს რომ შეუნდო... მე კი უფალს ვთხოვ, იმ ადამიანებს შეუნდოს, ვინც პატრიარქს ამის გამოც განიკითხავს...

**— მამაო პეტრე, თქვენ მუდმივად განგიკითხავდნენ თქვენი პოეზიის გამო, თქვენი გახმაურებული ინტერვიუს მერე კი პირდაპირ აგრესიულადაც კი „გამხელენ“ — მღვდელმა ასეთი ლექსები არ უნდა წეროსო. როგოც ვიცი, უწმინდესს ძალიან უყვარს თქვენი პოეზია. ერთხელ სნოში გითხრათ კიდეც — სანამ ცოცხალი ხარ, უნდა წეროო. მაშინ თქვენ ჯერ კიდევ არ გქონდათ შექმნილი „აპრილი“, და მისი მსგავსი „სატრფიალო“ ლექსები, როგორც თქვენი მოწინააღმდეგეები ამბობენ, მაგრამ უკვე ნათქვამი გქონდათ: „მინდა რომ დაგარქვა ვერგადავიწყება, სიჩუმეს იისფრად ეტყობა სხეული“. მას თქვენს პატრიოტულ ლექსებთან ერთად ესეც წაიკითხა, შენიშვნა არ მოგცათ?**

— როდესაც უწმინდესი სამების საკათედრო ტაძარში ოქროს ჯვრით მაჯილდოებდა, მორჩილად დავხარე თავი. მან ჯვარი დამკიდა, წამოდგომას ვაპირებდი, მაგრამ თბილად მითხრა — დაიხარეო და თავზე მემთხვია. მერე კი ყველას გასაგონად გამოაცხადა — მამა პეტრე მხოლოდ მღვდელი კი არა, შესანიშნავი პოეტიაო. ცრემლები წამომცვივდა... უწმინდესი ჩემთვის უდიდესი ადამიანია. მან მე პოეტად მაღიარა, მაგრამ განა მხოლოდ ამის გამო ავტირდი, არამედ იმიტომ, რომ მან ეს იმ მღვდლების თუ დიდი იერარქების გასაგონად თქვა, ვინც მუდამ მზადაა, პოეტობისთვის ქვები მესროლოს. მესამე დღეს კი თავის ბავშვობის სნოში წამიყვანა. იქ ბევრი — ცნობილი თუ უცნობი პოეტი და მწერალი იყო. **პოეზიის საღამო მოაწყო, შემდეგ ყველას ვერცხლის ჯვრები ჩამოურიგა საჩუქრად, მე არ მივედი, მომერიდა. მან დამიძახა და მითხრა — შენ ყველაზე მეტად გეკუთვნის ჯილდოო... საღამოს კი ტრაპეზზე განაცხადა — ყველას ლექსები ძალიან მომეწონა, მაგრამ მამა პეტრესი გამორჩეული იყოო. უბედნიერესი ვიყავი... შემდეგ რეზიდენციის ირგვლივ სეირნობისას მკითხა: — მოგწონს აქაუროობაო? მე კი ვუპასუხე — თავი ზღაპარში მგონია-მეთქი. მან კი თბილად მიპასუხა: — ნუ გეშინია, ეს ზრაპარი არასოდეს დამთავრდებაო.**

იმ წუთებში უწმინდესი ჩემთვის ზეციური მამა იყო, რომელმაც სითბო, სიყვარული, იმედი, ნუგეში მომცა, რაც მთელი ცხოვრება საგზლად გამყვება და უფრო მეტ ძალასა და ენერგიას მომცემს, რომ ვწერო, ვწერო გულწრფელად, ვწერო სულ... ამისთვის ვიღაც განმიკითხავს, ვიღაც — არა, მაგრამ ეს ჩემთვის ერთი და იგივეა, ერთი და იმავე რეაქციით ვპასუხობ... როცა სნოში, რეზიდენციის ეზოში სეირნობისას მან მითხრა: —შენ სულ უნდა წერდე, მამა პეტრეო, ამით ზეციური კურთხევა მომცა, რომ მე უნდა ვწერო; და როდესაც ადამიანი წერს, არ აქვს მნიშვნელობა, ის შედევრს ქმნის თუ საშუალო დონის ქმნილებას, ის უკვე პოეტია და არავის აქვს უფლება, მის სულში ხელი უხეშად აფათუროს, გააკრიტიკოს და გააკონტროლოს, რა, როდის და როგორ უნდა წეროს. და ის ადამიანი, რომელიც თავს ამის უფლებას აძლევს, თვითონ ვარდება ძალიან დიდ ცდომილებასა და განსაცდელში. მე ჩემი პოეზიის გამო თავს არავისთან გავიმართლებ! და თუ მამა პეტრეს პოეტობა ყველაზე დიდ „ცოდვად“ ჩაუთვალეს და მეტი ვერაფერი დამიპირისპირეს, ამით უფრო ბედნიერი ვარ! თუ მე ჩემს პოეზიას სისუსტეში ჩამითვლიან, დაე, ჩამითვალონ! ღმერთმა პოეზიაზე უფრო დიდი ცოდვა არ ჩამადენინოს და ამ ცოდვას უფალი უეჭველად მაპატიებს და თან ისე მაპატიებს, რომ სასუფეველში შემიყვანს, ზუსტად ვიცი! მე ამას ვგრძნობ, იმიტომ, რომ ეს არის სისხლით დაწერილი სტრიქონები, „გულიდან სისხლის წვეთებია“, როგორც ტერენტი გრანელი ამბობს და როდესაც ამ სისხლის წვეთებს გედავებიან და ამ სისხლის წვეთებს ფეხებით თელავენ, თან გეუბნებიან, რომ ასეთი ლექსი არ უნდა დაწერო, ამით პირდაპირ შეურაცხყოფას აყენებენ უფლის სახებას! მამხელენ, ვითომ ჩემს სულზე ზრუნვის გამო — უფალს მამა პეტრემ გული არ ატკინოს თავისი პოეზიითო. ამ დროს ასეთი საქციელით, მამა პეტრესთან ერთად, მამა პეტრეში არსებულ უფალს ათასჯერ აკრავენ ჯვარზე!

სასულიერო პირები იმდენს განმიკითხავენ, რომ ერთხელ ერთი ბავშვი მოვიდა ტაძარში ჩემთან და გულწრფელი დანანებით მითხრა: — მამაო,შენზე მღვდლები ამბობენ, რომ გიჟი ხარ, მღვდელმა როგორ უნდა დაწეროს „შენ თვალებიდან აპრილი გცვივაო“. ეს ბავშვი ერთხელ სადღაც სასულიერო პირებთან ტრაპეზზე მოხვედრილა და იქ „დასცინოდნენ“ თურმე მამა პეტრეს, მერე კი, რომ შეზარხოშდნენ, ზუსტად იმ მღვდელს, რომელიც სულ განმიკითხავდა, ჩემი ლექსი წაუკითხავს: „შენ თვალებიდან აპრილი გცვივა“. არ ვიცოდი, მეცინა თუ მეტირა...

იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, შენ პოეტს გიწოდებენ თუ არა, არამედ იმას, შენი ნაწერი ვისზე როგორ იმოქმედებს. შენმა ლექსმა ერთი ადამიანიც რომ მოაბრუნოს ამ ქვეყანაზე და დააყენოს ღვთის სავალ გზაზე, ეს უკვე დაუწერელი პოეზიაა, წარმოუთქმელი ლოცვაა. ხშირად დაურეკავთ ჩემთვის და უთქვამთ: —მამაო, თქვენმა სტრიქონებმა იმხელა სინანულში ჩამაგდო, რომ აღსარების თქმა მომინდაო. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ბედნიერი ვიყავი. თუნდაც იმ ერთი ადამიანის ღვთის გზაზე დასადგომად ღირდა ჩემი პოეტობა...

არიან მღვდელმსახურები, რომლებიც ჩემსავით ფიქრობენ, მაგრამ არ ამბობენ, ვერ ამბობენ. მაშინ მე გკითხავთ: უფლის წინაშე როდის უფრო სცოდავს თუნდაც მღვდელმსახური — როცა ამას ფიქრობს და ხმამაღლა ამბობს თუ გულში აქვს და არ წერს?

როდესაც ერთ-ერთმა თავისი ნიჭიერებით, ინტელექტით, სულიერებით, ქადაგებებით ცნობილმა მოძღვარმა ჩემი ლექსი „აღსარება“ წაიკითხა, ცრემლები წამოუვიდა და თქვა: —მამაო, მე პოეტი არ ვარ, მაგრამ ამ ლექსს მეც დავწერდი ხატების წინაშე, ლოცვის შემდეგ მეც ასე მივმართავდი უფალს, ეს ჩემი ლოცვაა, მე ყოველთვის ასე ვამბობ ღვთის წინაშე, ოღონდ პოეზიის გარეშეო. მე შემრცხვა და თავი დავხარე, მან შემომხედა და მკითხა: — განა ასე არ არის, მამაო, შენც ხომ ასე ფიქრობო? მე ვუპასუხე, რომ ასე ვფიქრობდი, მაგრამ ასე არ ფიქრობს ის გაბოროტებული, ჩასაფრებული საზოგადოება, უფრო მეტად კი სამღვდელოება, რომელიც მზადაა, ამ ლექსის გამო ტალახი და ქვა მესროლოს-მეთქი. ის ძალიან განრისხდა, ასე მითხრა: „ეს ის სამღვდელოება იქნებოდა, რომელმაც თავის დროზე მაცხოვარი ჯვარზე გააკრაო“.

**— მამაო, ამას წინათ ერთ სოციალურ ქსელზე ძალიან მკაცრად გაგაკრიტიკეს და პირდაპირ გითხრეს, რომ ხიბლში ხართ.**

— მე ვარ ხიბლში, მაგრამ ღმერთს მადლობა, რომ ვიცი ეს, ვაღიარებ ამას. ესაა ყველაზე მთავარი, ყველა პოეტი ისედაც ხიბლშია, ზოგს შეიძლება ამის საფუძველი ჰქონდეს, ზოგს – არა და ხელოვნურად მაინც ხიბლში იყოს.

**— ებრძვით, მამაო, თქვენში ამ ხიბლს?**

— რამდენადაც შემიძლია პოეტმა მღვდელმა ვებრძოლო ხიბლს... მადლობა ღმერთს იმისთვის, რომ პოეზიის ნიჭი მომცა, მადლობა უფალს, რომ დამანახა, რომ ხიბლში ვარ. როგორც წესი, ადამიანები ხიბლის მდგომარეობას ვერ ხედავენ და, როცა ამხელენ, ამასაც ვერ იღებენ. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ ადამიანები, ვინც მიმითითებს...

**— მაგრამ ისინი კვლავ გეტყვიან, რომ მღვდელი ხართ.**

— მაშინ ასე გეტყვით, რამდენი მღვდელია ხიბლში და ისინი არ არიან პოეტები?

**— ერთხელ უწმინდესმაც ბრძანა — ძველად ქრისტიანები საჯარო აღსარებებს ამბობდნენო... ალბათ, თქვენი ლექსებით, სადაც სიყვარულსაც კი უგალობთ, თქვენც საჯარო აღსარებას ამბობთ...**

— მადლობა უფალს იმისათვის, რომ ამის ძალა მომცა! თუმცაშეიძლება ეს არ დაწერო და გულში დაიმარხო, მაგრამ განა ამით უკეთესნი გავხდებით უფლისათვის? ჩვენი ეს მდგომარეობა, იცის უფალმა, რომელი უფრო მნიშვნელოვანია — უფალმა რა იცის და რას გვპატიობს, თუ მავანმა რა იცის და რას არ გვპატიობს? მე თუ ეს არ დავწერე და გულში დავიმარხე, განა უფრო სუფთა და უფრო მართალი ვიქნები უფლის წინაშე? ასე მგონია, რომ მე უფრო სუფთა ვარ, იმიტომ, რომ, რაც მომდის და რაც იქმნება შიგნით, ის გამომაქვს გარეთ და, ვისაც სურს, წაიკითხავს... როდესაც უფალს ვეუბნები: „ადამიანად ყოფნა უფრო ძნელია, ღმერთო“, რის გამოც მკრეხელობაშიც კი დამდეს ბრალი, განა ამით ღმერთს რამეში ვადანაშაულებ? არა! განა უფალმა არ იცის, იმ წუთას მე როგორ მიჭირს? და რამდენი ადამიანია, თუნდაც სასულიერო პირი, რომელიც ასე ფიქრობს, მაგრამ ხმამაღლა არ ამბობს, უფრო სწორად, ვერ ამბობს? მე კი დავდექი უფლის წინაშე და გულწრფელად ვუთხარი ჩემი სულის ტკივილი.

იცით,უფალი რას აფასებს? ადამიანის გულწრფელობას, ადამიანის გულწრფელ დამოკიდებულებას მის მიმართ. გზა უფლისაკენ ადამიანის წრფელ გულებზე გადის. მაგრამ ადამიანებს უჭირთ ერთმანეთს გულწრფელობა აპატიონ.

ადამიანურად თუ არ გვეტკინა და ადამიანურად თუ არ გაგვიხარდა, ვერაფერი ღირებული ვერ შეიქმნება. ბოლოს და ბოლოს, სვეტიცხოველი ვერ აღიმართებოდა! ორი უძვირფასესი ქმნილება დაჰკიდა არსუკიძემ სასწორზე — შორენა და სვეტიცხოველი! სვეტიცხოვლის სიყვარულმა გადააჭარბა, შორენასთვის სული არ დარჩენია, რამეთუ სვეტიცხოვლისთვის შეუწირავს იგიო. მე სულ მგონია, რომ კონსტანტინე არსუკიძემ შორენას სიყვარულის გამო ააშენა სვეტიცხოველი, ეს ჩემი აზრია... კონსტანტინეში იმდენად დიდი სიყვარული იყო, რომ ადამიანური საზღვრები გადალახა და ქვები აამეტყველა; ამას ჰქვია „ქვათა ღაღადი...“. მას ვერ შექმნიდა ვერც ერთი სხვა ძალა, სხვა ენერგია, თუ არა ქვაში ამეტყველებული სიყვარული. ამიტომაც არის სვეტიცხოველი გენიალური...

იცით, როდესაც სიყვარულზეა საუბარი, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ან რა გიყვარს. ამ ქვეყანაზე სიყვარული თავად ღმერთია და, როდესაც ადამიანი სიყვარულს უმღერის კალმით, ლოცვით, მდუმარებით, ფიქრით, თუნდაც არაფრობით, მაშინ როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი განვიკითხოთ და გავაქილიკოთ? როდესაც ჩემს პოეზიას აქილიკებენ, მე ხშირად მგონია, რომ ეს გაბოროტებული ადამიანების მდგომარეობაა. ეს არის ჩემი გულწრფელი პასუხი, შენდობას ვითხოვ, მაგრამ ასე ვფიქრობ.

გალაკტიონმა თქვა: „ჯვარს ეცვი თუ გინდა, არ არის, არ არის, არ არის საშველი“. ეს პოეტის სიტყვებია და სწორედ მღვდელსა და პოეტს შორის არსებული მანძილი, არსებული დრო, არსებული სამყარო არის მამა პეტრე!

ერთი ფილოსოფოსი ბრძანებს — ჭეშმარიტი პოეზია პოეზიის საზღვრებს მიღმა იწყებაო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პოეზიის მიღმა არ უნდათ გახედვა, იქნებ იმიტომაც, რომ იქ საკუთარ თავს უკეთ დაინახავენ და — საკუთარ სისუსტეს, რომელსაც ასე გაურბიან! მე კი არ მინდა, საკუთარ თავს დავემალო, მინდა საკუთარ თავზე ავმაღლდე, ვძლიო მას, რადგან მე უფალთან მინდა, უფალთან კი მხოლოდ საკუთარ თავზე გამარჯვებული კაცი მიდის, უფალთან ლაჩარი ვერასოდეს მივა!

**— როგორც პოეტს გეკითხებით: „შორენა თუ სვეტიცხოველი?“**

— უფალი!.. უფალი, რადგან საბოლოოდ ყველა მაინც უფალთან მივდივართ! უფალშია ყველა სუფთა სიყვარული გაერთიანებული და უფალშია პასუხი ყველა ჩვენს კითხვაზე... მე „ნაზარეველის პერანგს მინდა ხელი რომ ვახლო“...

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სერბეთის ევროკავშირში შესვლა ტაჩისთვის საშინელებაა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამის შემდეგ ყველა საკითხს სერბული უმცირესობის უფლებების შელახვიდან დაწყებული სამოქალაქო ქონებრივი დავებით დასრულებული, რომ აღარაფერი ვთქვათ სამრეწველო ობიექტებსა და საბადოებზე, ყველაფერი ევროპულ დონეზე გადავა.**

# ვის სჭირდება კრიზისი კოსოვოში



**ბალკანეთი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფორმირებისთვის იყო და რჩება ერთ-ერთ ნევრალგიურად მგრძნობიარე წერტილად, გლობალური მმართველობის ტექნოლოგიების აპრობაციის პოლიგონად. კოსოვოს მორიგი, მაგრამ ნამდვილად არა უკანასკნელი, კრიზისი უნდა განვიხილოთ მსოფლიო პოლიტიკური რუკის საკვანძო მოთამაშეთა ინტერესების პრიზმაში, მათთვის კი ბელგრადი და პრიშტინა სტატისტების როლში გამოდის.**



მხარეში მდგომარეობის გამწვავების მიზეზი ე. წ. სავაჭრო ომი გახდა. ფორმალურად კონფლიქტი 20 ივლისს დაიწყო, მაშინ პრიშტინამ სერბეთიდან საქონლის შეტანაზე აკრძალვა დააწესა და ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ სერბეთის მთავრობა არ აღიარებს კოსოვოს საბაჟოს ბეჭედს და ამით ეწინააღმდეგება სერბეთში კოსოვოს საქონლის შეტანას. ემბარგოს მიუხედავად, სერბული საქონლის იმპორტი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, კვლავინდებურად ხორციელდებოდა კოსოვოს ჩრდილოეთით მდებარე ორი სასაზღვრო პუნქტიდან. ამ რაიონში ძირითადად ეთნიკური სერბები ცხოვრობენ. საქმე ისაა, რომ **კოსოვოს ჩრდილოეთით მდებარე სამ მუნიციპალიტეტში — ლეპოსავიჩში, ზვეჩანსა და ზუბინ პოტოკში, ასევე კოსოვოს მიტროვიცას ნაწილში მცხოვრები 66 ათასი სერბი პრიშტინას ხელისუფლებას არ აღიარებს და თვითგანსაზღვრის საკუთარი უფლებისთვის იბრძვის. ფაქტობრივად, ეს არის ანკლავი, რომელსაც საგარეო ურთიერთობა მხოლოდ სერბეთთან აქვს და კოსოვოს ალბანური ხელისუფლების მიერ არ კონტროლდება.** კოსოვოს პრემიერ-მინისტრმა ხაშიმ ტაჩიმ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ სამხედრო პირი იყო, გადაწყვიტა, არსებული მდგომარეობა შეეცვალა და თავისი განზრახვის შესასრულებლად ძალას მიმართა. 25 ივლისს მან პოლიციის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებს უბრძანა, ცალმხრივად დაემყარებინათ კონტროლი სერბეთთან საზღვრის იარინიესა და ბრნიაკის საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე.

**ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია ის, რომ კოსოვოს ხელისუფლებას ვაშინგტონსა და ბრიუსელთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე შეუძლია დამოუკიდებლად და თვითნებურად მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილებები.** ძალზე თავგამოდებითა და დაჟინებით ირწმუნებიან ნატოცა და ევროჩინოვნიკებიც, რომ მათთვის აბსოლუტური მოულოდნელობა იყო „ევროპის საერთაშორისო საზოგადოებასთან წინასწარი კონსულტაციების“ გარეშე კოსოვოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ანტისერბული ოპერაცია. გარდა ამისა, როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამუდმებით იმეორებენ, სერბეთსა და კოსოვოს შორის ყველა საკითხი უნდა განიხილებოდეს ევროკავშირის ეგიდით გამართული დიალოგის ფარგლებში. **ყურადღებას იპყრობს ის მყისიერი მზადყოფნაც, რომლითაც ნატომ თავის მიერ კონტროლირებადი საერთაშორისო ძალების კონტინგენტის გაძლიერება გადაწყვიტა. 4 აგვისტოს პრიშტინას საერთაშორისო აეროპორტში უკვე დაეშვა დამხმარე ძალების პირველი სამხედრო თვითმფრინავი.**

**და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი. როგორ შეეძლო ტაჩის, დასავლეთის დედაქალაქებთან შეუთანხმებლად, გადაეწყვიტა იმ საკონტროლო-გამშვები პუნქტების კონტროლის ხელში ჩაგდება, რომლებშიც კოსოვოს პოლიციის სერბები მუშაობდნენ და რომელთაც, კანონისა და სამართლიანობის უზენაესობის თვალსაზრისით, ევროკავშირის მისიები აკონტროლებდნენ. 2008 წლის დეკემბრიდან ხომ სწორედ ამ მისიას აკისრია კოსოვოში კანონიერებისა და სამართალდამცაობის საკითხებზე მთელი პასუხისმგებლობა? ეს ყოველივე ძალიან ჰგავს 2008 წლის საქართველო-სამხრეთ ოსეთის აგრესიას, რომლის დროსაც „უმართავმა“ სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესია განახორციელა.**

მაგრამ სერბეთი რუსეთი არაა, ამიტომ სერბეთის პრეზიდენტმა ბორის ტადიჩმა უმალ დაიწყო არა იმდენად პრიშტინას, რამდენადაც ვაშინგტონისა და ბრიუსელის დარწმუნება, რომ სერბეთი კოსოვოსთან ომს არ გააჩაღებს.

ბელგრადი სიტუაციის დარეგულირებას მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური საშუალებებით აპირებს. პოლიტიკურ დონეზე კონფლიქტის ესკალაცია ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ესკალაცია სხვა მიზეზებით მოხდა. **კოსოვოელმა სერბებმა, რომლებმაც საკუთარ ტყავზე გამოსცადეს ალბანელების მმართველობა, გადაწყვიტეს, მათ ხელთ არსებული უკლებლივ ყველა საშუალებით მიაღწიონ სამართლიანობას. 27 ივლისის საღამოს ნიღბებით სახედაფარულმა ახალგაზრდებმა კოსოვოელი პოლიციელები აიძულეს, იარინიე და ბრნიაკი დაეტოვათ. ამის შემდეგ ფეთქებადი ნაზავით სავსე ბოთლებისა და ბულდოზერის საშუალებით იარინიეს საკონტროლო-გამშვები პუნქტი მთლიანად განადგურდა. პარალელურად დაიბლოკა გზები, აიგო ბარიკადები.**

მიუხედავად ამ ყველაფრისა, აქტიური საერთაშორისო შუამავლობის წყალობით, სიტუაციის სტაბილიზება მოხერხდა. სერბეთის წარმომადგენლებსა და ნატოს ხელმძღვანელობით მოქმედ საერთაშორისო ძალებს შორის მიღწეული შეთანხმებების თანახმად, იარინიესა და ბრნიაკის ტერიტორიებს, სულ მცირე, სექტემბრის შუა რიცხვებამდე ალიანსის ძალები გააკონტროლებენ.

ნატოს მიერ კონტროლირებადი საერთაშორისო ძალების ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ზემოხსენებულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე, აუცილებლობის შემთხვევაში, ახლანდელი კონტროლის სისტემის მოქმედების ვადები გახანგრძლივდება. და, ალბათ, ასეც იქნება. ამჟამად ორივე საკონტროლო გამშვებ პუნქტს საერთაშორისო ძალები აკონტროლებენ. შეთანხმების თანახმად, კოსოვოს ჩრდილოეთ რაიონებში სერბების მიერ მოწყობილი ბარიკადები უნდა დაიშალოს და შეუზღუდავი გადაადგილების მდგომარეობა უნდა აღდგეს.

მაგრამ პრიშტინამ სერბეთსა და საერთაშორისო ძალებს შორის მიღწეული შეთანხმება უარყო და დაადასტურა, რომ კოსოვოელი სერბებისთვის სერბეთიდან საქონლის შემოტანის აკრძალვა ძალაში რჩება. რით უნდა აიხსნას ამგვარი დემარში?

საქმე ისაა, რომ ვაჭრობისა და საკონტროლო-გამშვები პუნქტების საკითხები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალზე მნიშვნელოვანია მხარის მოსახლეობისთვის, მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. **როგორც კოსოვოსა და მეტოხიის საკითხებში სერბული სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ოლივერ ივანოვიჩმა აბსოლუტურად სამართლიანად აღნიშნა, „სერბეთიდან საქონლის შემოტანაზე ემბარგოს დაწესების უკან პოლიტიკური საკითხი დგას“.**

რაში მდგომარეობს ამ „პოლიტიკური საკითხის“ არსი? პირველ რიგში, ეს არის პრიშტინას სწრაფვა, — სრულად აკონტროლოს მხარის ტერიტორია და გაანადგუროს სერბული ანკლავების ავტონომიზაციის ამ დრომდე შენარჩუნებული შესაძლებლობები. მეორეც, ეს არის სწრაფვა, როგორმე რაც შეიძლება ეფექტურად დაიბლოკოს ან თუნდაც დაყოვნდეს სერბეთის ევროკავშირში შესვლა. და მესამე: ეს არის შესაძლებლობა, შეიქმნას პირობები ნატოს კონტინგენტის გასაზრდელად და, შესაბამისად, მხარეზე საგარეო კონტროლი კიდევ უფრო გაძლიერდეს.

**ტაჩიმ განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი „კოსოვოს მთელ ტერიტორიაზე სამართლებრივი წესრიგის დამყარებაა“**, მაგრამ ყველაზე „შთამბეჭდავი“ სუვერენიტეტთან დაკავშირებით მისი შეძახილი იყო: **„არ შეიძლება მუდმივად ითმინო ის, რომ ჩვენი სუვერენიტეტი ირღვევა, ქვეყნის ნაწილი კი კონტრაბანდისთვის გამოიყენება“.**

მშვენიერია! ბალკანელი „ნომერ 1“ სეპარატისტი, ნარკობარონი მეტსახელად „გველი“, ტერორისტული „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ დამაარსებელი, ბოევიკი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გადავიდა საველე კამუფლიაჟიდან ძვირადღირებულ კოსტიუმებზე, ადამიანებითა და ადამიანების ორგანოებით მოვაჭრე ტაჩი თითქოსდა არ უნდა მსჯელობდეს აშშ-ისა და ნატოს ეგიდით შექმნილი სახელმწიფო-მოჩვენების სუვერენიტეტზე, მაგრამ ის მსჯელობს და პირობებსაც კარნახობს. რატომ?

**იმაში, რომ კოსოვოელი პრემიერი დაჟინებით მოითხოვს სერბეთის საზღვარზე ორი გადასასვლელის სრულ კონტროლს, მხოლოდ კოსოვოს რაც შეიძლება სწრაფად ცენტრალიზებისა და სერბებისთვის თავიანთი ანკლავების ოდესმე ავტონომიზაციის იმედის განადგურების სურვილი კი არა, კოსოვოს ხელმძღვანელობის აშკარა შიშიც ჩანს, ვაითუ კოსოვოს რესპუბლიკის აღიარების შესაძლებლობა გადაიდოს ან სულაც დაიმარხოს.**

მას შემდეგ, რაც ბელგრადმა ჰააგის ტრიბუნალს გადასცა გენერალი მლადიჩი და აქტიურად ჩაერთო გორან ხაჯიჩის შეპყრობის მცდელობაში, სერბეთს შესაძლოა ევროკავშირისკენ გზა გაეხსნას იმ შემთხვევაშიც კი, თუ კოსოვოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს. **სერბეთის ევროკავშირში შესვლა ტაჩისთვის საშინელებაა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამის შემდეგ ყველა საკითხს სერბული უმცირესობის უფლებების შელახვიდან დაწყებული სამოქალაქო ქონებრივი დავებით დასრულებული, რომ აღარაფერი ვთქვათ სამრეწველო ობიექტებსა და საბადოებზე, ყველაფერი ევროპულ დონეზე გადავა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპელები ყველანი ერთად იქნებიან ვალდებულნი, დაიცვან თავიანთი ახალი წევრის უფლებები.**

გარდა ამისა, თუ ბელგრადი კოსოვოს დამოუკიდებლობას სერბეთის ევროკავშირში შესვლამდე არ აღიარებს, შემდგომში ამის მიღწევა გაცილებით რთული იქნება. ევროკომისიას 12 ოქტომბრისთვის უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება სერბეთისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ, მაგრამ არაღიარებულ სახელმწიფოსთან სასაზღვრო ზონაში სერიოზული პრობლემების გამო, ცხადია, ევროკომისიის გადაწყვეტილება უარყოფითი იქნება. გარდა ამისა, ახლა გაცილებით იოლი იქნება მითების შეთხზვა აგრესიულ და მატყუარა სერბებზე.

**სერბეთის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი: მოქმედების სტრატეგიის შერჩევისას დამოუკიდებლობას მოკლებული კოსოვოელი ხელისუფლება ევროკავშირის წინააღმდეგ თამაშის ორგანიზებას ვერ შეძლებდა. ტაჩის ზურგს უკან ამერიკელი კონსულტანტების აჩრდილები მოჩანს.**

და ბოლოს, საერთაშორისო ძალებმა 700-კაციანი გაძლიერება მოითხოვა. რად უნდოდა ამდენი ხალხი, მეთაურ ერხარდ ბიულერს არ დაუკონკრეტებია. კონტინგენტის შემადგენლობა 2011 წლის ივნისის დასაწყისისთვის 5927 სამხედროს შეადგენდა. შესვლის მომენტში საერთაშორისო ძალები 46 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. ახლა 700 ჯარისკაცი ზღვარი არაა, ავღანეთიდან ჯარების გაყვანის დაწყებასთან ერთად სროლის მცოდნე ადამიანებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკითხი დადგა. ერთ-ერთი ასეთი სამუშაო ადგილი კოსოვო იქნება.

**ახლანდელი კრიზისი კოსოვოს ხელისუფლების პირველი მცდელობაა, საკუთარ კონტროლს დაუმორჩილოს მხარის ჩრდილოეთი. ამას სხვა მცდელობები მოჰყვება და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე უკანასკნელი სერბი არ წავა კოსოვოდან ან თავის წინაპართა მიწაზე არ მოკვდება. ესაა პრიშტინას მთავარი ინტერესი.** აქ რაიმეს შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩრდილოეთ კოსოვო გამოიყოფა, ერთხელ და სამუდამოდ გავა პრიშტინას იურისდიქციიდან. მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან კოსოვოს კრიზისით დაინტერესებულნი არიან ბევრად უფრო ძლიერი ძალები, ვიდრე სერბები და ალბანელები არიან.

**სერბეთისა და კოსოვოს საზღვარზე იკვეთება სახელმწიფოების, ზენაციონალური სტრუქტურებისა და საერთაშორისო დამნაშავეობის ინტერესები, ამიტომ კოსოვოში კრიზისი პერმანენტულად იქნება მაშინაც კი, თუ მხარეში ერთი სერბიც აღარ დარჩება.**

FONDSK.RU

აშშ-ში გაჩენილი ფინანსური პრობლემები, ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება ჩინეთში, ევროპის სავალე კრიზისი და სტაგნაცია იაპონიაში 30%-იანი ალბათობით „იდეალურ ქარიშხლად“ ჩამოყალიბდება და მის დამანგრეველ ძალას მსოფლიო ეკონომიკა სულ რაღაც ორ წელიწადში იწვნევს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხსნა დეპრესიისგან — უფასო ფული



**ევროპის ცენტრალურმა ბანკმა უნდა გაანულოს მიმდინარე წელს გამართული საპროცენტო განაკვეთების გაზრდის ორი რაუნდის შედეგები და კრედიტირების ღირებულება ნულამდე უნდა შეამციროს, რათა თავი აარიდოს მსოფლიო დეპრესიას. აღნიშნული განცხადება გააკეთა ცნობილმა ეკონომისტმა ნურიელ რუბინმა, რომელმაც თავის დროზე ზუსტად იწინასწარმეტყველა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი. როგორც „The Financial Times“-ში გამოქვეყნებულ რუბინის სტატიაშია აღნიშნული, მსოფლიოს მთავრობები, სავარაუდოდ, კვლავაც ვერ მოახერხებენ საკუთარ ქვეყნებში რეცესიების თავიდან აცილებას, მაგრამ მათ შეუძლიათ და ვალდებულნი არიან, გააკეთონ ყველაფერი, რათა ვარდნა მინიმალური იყოს.**

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა რამდენიმე დღის წინათ საბაზო საპროცენტო განაკვეთი წლიურ 1,5%-ზე დატოვა. Bloomberg-ის მიერ გამოკითხული ანალიტიკოსები ასეც ვარაუდობდნენ. ევროპის ცენტრალური ბანკის მორიგი გეგმიური სხდომა 8 სექტემბერს გაიმართება.

ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა ჟან-კლოდ ტრიშემ სხდომის შედეგებისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ **უახლოეს მომავალში მოსალოდნელია „ეკონომიკის ზრდის ტემპების შემდგომი შენელება, თუმცა გაურკვევლობის ხარისხი უკიდურესად მაღალი რჩება“.** ამის შემდეგ ტრიშემ დასძინა, რომ **მსოფლიოსა და ევროზონისათვის ეკონომიკის ზრდის დამწევი რისკები, როგორც ჩანს, ბოლო დროს კიდევ უფრო გაიზარდა.**

გარდა ამისა, ტრიშეს განცხადების თანახმად, ევროპის ცენტრალური ბანკი აპირებს სპეციალური ზომების მიღებას და, როგორც იმედოვნებენ, ეს ზომები ბანკებს ფინანსურ ბაზრებზე მზარდი დაძაბულობის ფონზე დამატებითი ლიკვიდურობის შეძენაში დაეხმარება. როგორც მოსალოდნელია, **ევროპის ცენტრალური ბანკი გამოაქვეყნებს იმ აუქციონის პირობებს, რომელიც აგვისტოშივე გაიმართება და რომელზეც კრედიტები 6 თვის ვადით განისაზღვრება.**

ამ კრედიტების მოცულობა შეზღუდული არ იქნება. გარდა ამისა, ევროპის ცენტრალური ბანკი აპირებს, მოქმედების ვადა გაუგრძელოს სხვა ანტიკრიზისულ მექანიზმებსაც, რომლებიც დამატებით ლიკვიდურობას უზრუნველყოფენ მიმდინარე წლის ბოლომდე. **ევროპის ცენტრალურმა ბანკმა გასულ კვირას უკვე დაიწყო ესპანეთისა და იტალიის სახელმწიფო ქაღალდების შესყიდვა, რათა ფინანსური ბაზრები დაამშვიდოს.**

ევროპის ცენტრალური ბანკი 1999 წლიდან მოყოლებული მთელი თავისი არსებობის მანძილზე მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს — 1%-ს 2009 წლის მაისიდან ინარჩუნებდა. მსოფლიო კრიზისის შემდეგ საპროცენტო განაკვეთი პირველად აპრილში გაიზარდა 1,25%-მდე, მეორედ კი — მიმდინარე წლის ივლისში.

**როგორც ეკონომისტები აღნიშნავენ, ევროპის ცენტრალურ ბანკს დღითიდღე სულ უფრო მეტად აშფოთებს რეგიონში საქმიანი აქტივობის ტემპების შენელების სიგნალები, განსაკუთრებით ამ დრომდეც მიმდინარე იმ სავალე კრიზისის ფონზე, რომელიც სულ ახლო მომავალში იტალიასა და ესპანეთზე გავრცელებით იმუქრება.**

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მრავალი ანალიტიკოსი პროგნოზირებდა, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელმაც უკვე გაზარდა საპროცენტო განაკვეთი აპრილსა და ივლისში, მას კიდევ 0,25 საპროცენტო პუნქტით გაზრდიდა ოქტომბერში, რათა ამით ინფლაცია შეეკავებინა. მაგრამ ახლა ექსპერტები აზრს იცვლიან და აცხადებენ, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი, ევროპის ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ არაკეთილსაიმედო სიგნალების ფონზე, საპროცენტო განაკვეთის მორიგ ზრდას გადადებს.

ნურიელ რუბინი ადრეც არასასიამოვნო შეფასებებს აძლევდა მსოფლიო ეკონომიკის მომავალს. ივნისის შუა რიცხვებში მან აღწერა იმ „იდეალური ქარიშხლის“ სცენარი, რომელიც მსოფლიოს 2013 წლისათვის დაატყდება თავს.

**აშშ-ში გაჩენილი ფინანსური პრობლემები, ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება ჩინეთში, ევროპის სავალე კრიზისი და სტაგნაცია იაპონიაში 30%-იანი ალბათობით „იდეალურ ქარიშხლად“ ჩამოყალიბდება და, რუბინის პროგნოზით, ამ ქარიშხლის დამანგრეველ ძალას მსოფლიო ეკონომიკა სულ რაღაც ორ წელიწადში იწვნევს.**

სააგენტო „ბლუმბერგი“ ნურიელ რუბინის მაშინდელ პროგნოზს ციტირებდა და წერდა: **„სისუსტის ნიშნები უკვე სახეზეა. ყველა განაგრძობს სვლას სახელმწიფო და კერძო ვალის ზრდის მიმართულებით. ტვირთი სულ უფრო მძიმდება და ყველა ეს პრობლემა თავს იჩენს არაუგვიანეს 2013 წლისა“.**

მაშინ რუბინმა ამერიკის შეერთებული შტატები ობლიგაციების ბაზარზე მოსალოდნელი აჯანყების შესახებ გააფრთხილა; ამ გაფრთხილებაში კი იმას გულისხმობდა, რომ ამერიკის ეკონომიკისადმი ინვესტორების ნდობა, რაც უნდა დიდი იყოს, უსაზღვრო მაინც არაა.

**„წელს ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტი ტრილიონ დოლარს აღემატება. ზუსტად იგივე იქნება მომავალ წელსაც და, შესაძლოა, 2013 წელსაც. არსებობს რისკი, რომ რაღაც მომენტში ბაზრები, როგორც ეს ევროპაში უკვე მოხდა, გამოიღვიძებს და დაიწყება განაკვეთების ზრდა, რაც ეკონომიკის აღდგენას შეუძლებელს გახდის,“** — ამბობს ექსპერტი.

მისივე განცხადებით, მსოფლიო ეკონომიკისთვის სერიოზულ პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპების მკვეთრი შენელება, ეს კი პრაქტიკულად გარდაუვალია 2013 წლის შემდეგ. ექსპერტის ვარაუდით, უახლოეს მომავალში ქვეყნის წინაშე იდგება ორი უმთავრესი პრობლემა: „ცუდი კრედიტების“ უზარმაზარი მოცულობა და ძირითად კაპიტალში გადამეტებული ინვესტირების შედეგად გაჩენილი მნიშვნელოვანი რაოდენობის უმოქმედო სიმძლავრეების არსებობა.




რუბინის აზრით, **ჩინეთის ხელისუფლების მთავარ მიზნად უახლოესი წლების მანძილზე უნდა იყოს ძირითად კაპიტალში ინვესტირების შემცირება და მოთხოვნილების ზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2013 წლის შემდეგ ეკონომიკური ვარდნა გარდაუვალია.**

აშშ-სა და სხვა განვითარებულ ეკონომიკებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბოლო დღეების პანიკამდე შეინიშნებოდა მეორე სერიოზული რეცესიის მოსალოდნელობა. ნურიელ რუბინი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ **ამერიკის ეკონომიკის შესახებ მონაცემები არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ „ამაზრზენიც“ კია: იქმნება ცოტა სამუშაო ადგილი, ზრდა სუსტია, მომხმარებელთა მოთხოვნილება და სამრეწველო წარმოება დაბალია. უძრავი ქონების ბაზარი დეპრესიაშია, ინვესტორთა ნდობა იკლებს და მომავალშიც განაგრძობს კლებას.**

ატლანტიკის მეორე მხარეს კი ევროზონის პერიფერია ვიწროვდება, საუკეთესო შემთხვევაში, ძლივს იზრდება. რისკი, რომ იტალია ან ესპანეთი შესაძლოა სავალე ბაზრებთან წვდომას დაკარგავენ, ძალზე მაღალია. რუბინის შეფასებით, საბერძნეთის, პორტუგალიისა და ირლანდიისგან განსხვავებით, ეს ორი ქვეყანა ძალიან დიდია საიმისოდ, რომ დახმარება მიიღოს.

**„გასულ წლამდე პოლიტიკოსებს შეეძლოთ, შლიაპებიდან ახალი ბაჭიები ამოესვათ ეკონომიკის აღდგენისთვის საჭირო აქტივების სახით. ნულოვანი საკვანძო განაკვეთები, QE1, QE2, საკრედიტო შერბილებები, ფინანსური სტიმულები, ტრილიონობით დოლარის ლიკვიდურობის მინიჭება და ბანკებისა და ფინანსური დაწესებულებების გადარჩენა — ყველაფერი ნაცადია. მეტი ასეთი ბაჭია აღარ არის,“** — ამბობს რუბინი.

ექსპერტის ვარაუდით, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, სავარაუდოდ, გადაწყვეტს რაოდენობრივი შერბილების მესამე რაუნდზე (QE3) წავიდეს, მაგრამ ის ძალზე უმნიშვნელო იქნება და იმდენად დაგვიანებული, რომ ვერ შეძლებს მდგომარეობის კარდინალურად შეცვლას.

**„ვშიშობ, რომ რაოდენობრივი შერბილების მესამე ტალღა არაფერს შეცვლის. წინა შემთხვევაში ამ ზომამ მხოლოდ ზოგიერთი აქტივების რეფლაცია განაპირობა, სახსრების ლომის წილი კი ბანკების ბალანსებზე დაჯდა. რეალურ ეკონომიკაში ეფექტი პრაქტიკულად ნულოვანი იყო. ითვლებოდა, რომ რაოდენობრივი შერბილების შედეგად დასუსტებული დოლარი სარგებელს მოუტანდა ამერიკელ ექსპორტიორებს. ეს სინამდვილეშიც ასეა, მაგრამ საერთო ეკონომიკური ეფექტი ნიველირდა პროპორციულად გაზრდილი დოლარისეული ფასებითვე ნედლეულზე,“** — უთხრა რუბინმა „ბლუმბერგს“.

Standard & Poor's-ის გადაწყვეტილება, რომელსაც ნურიელ რუბინი მცდარს უწოდებს, ბირჟების რყევის ფონზე მხოლოდ ზრდის ორმაგი ვარდნისა და საბიუჯეტო დეფიციტის გაღრმავების შანსს.

**„ამით კიდევ ერთი სერიოზული ეკონომკური ვარდნის თავიდან აცილებას შევძლებთ? ეს შეიძლება მხოლოდ შეუსრულებელი მისია იყოს. შესაძლოა დასავლეთის ქვეყნებმა კრიზისული ტენდენციების შესასუსტებლად თავიანთი ნაციონალური ვალუტის გაცვლითი კურსის დაწევა სცადონ. ახლა ყველა მოწინავე ქვეყანას სჭირდება სუსტი ვალუტა, მაგრამ ისინი ყველანი ერთად და ერთდროულად ვერ შეძლებენ ამის განხორციელებას. მსოფლიოში სავალუტო ომების რისკი იზრდება,“** — ამბობს რუბინი.

**FINMARKET.RU**

## გაჟღერებული

**ბარაკ ობამა,**
**აშშ-ის პრეზიდენტი:**



ამერიკაში შექმნილი ფინანსური სირთულეების მიზეზი ევროკავშირის ქვეყნების სავალე კრიზისია. დარწმუნებული ვარ, ამერიკის ეკონომიკა რთულ პირობებშია იმ ფაქტორთა გამო, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ვერ აკონტროლებენ. ევროპაში მიმდინარეობს ყველანაირი ფინანსური უბედურება, რაც არყევს ჩვენს საყრდენებს.

***kp.ru***

**სერგეი ლავროვი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი:**



პრეზიდენტი სააკაშვილი არის პათოლოგია და ანომალია მთელი ქართველი ხალხის ფონზე, ამასთანავე — ცუდად აღზრდილი და რუსეთს მასთან საქმე არ ექნება. პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ადრე უკვე აღნიშნა, რომ მოსკოვი ქართველი ხალხის ამ პერსონაჟთან ასოცირებას არ ახდენს.

***vedomosti.ru***

**ჰილარი კლინტონი,**
**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**



გვინდა, რომ რუსეთმა შეაჩეროს ასადის რეჟიმისთვის იარაღის მიყიდვა, ასევე გვსურს, რომ ჩინეთმა ჩვენთან ითანამშრომლოს, ხოლო ინდოეთი სირიის რეჟიმზე ზეწოლის პროცესში ჩაერთოს, მით უმეტეს, რომ ეს ქვეყნები სირიის ეკონომიკის უმსხვილესი ინვესტორები არიან.

***vz.ru***

**სერგეი შამბა,**
**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატი:**



არ დავუშვებ, ამ არჩევნებში გამარჯვება წამართვან. მე ვიცი, როგორ გავაკეთო ეს. ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ მიბრძოლია და არაერთი რევოლუცია მომიწყვია.

***Московский Комсомолец***

**ჟაკ ბორდი,**
**ფრანგი ანალიტიკოსი:**



ლიბიაში გამარჯვებისთვის ჩვენს სტრატეგებს უნდა გაეგოთ, რომ ანგლო-ფრანგული ძალების „საჰაერო კომპონენტი“ სწორედ მოწინააღმდეგის სიმძიმის ძალების მიმართ უნდა გამოეყენებინათ, ცოტა, მაგრამ ზუსტი და საშიში. მაგრამ ჩვენს აპოკალიფსის ოთხ ვირს არ ესმის, რას ნიშნავს „ცოტა და საშიში“. მათ ჰგონიათ, რომ უკეთესია, ბომბონ ხშირად და სადაც მოხვდებათ და შეაშინონ არა სარდლობა, არამედ მოსახლეობა.

***nnm.ru***

## დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კიდევ იქნება ვიწრო ულელტეხილები, რომლებზეც რესპუბლიკელები მუქარებს არ დაიშურებენ კრიზისის პროვოცირებისთვის, თუ პრეზიდენტი მათი მოთხოვნების წინაშე კაპიტულაციას არ გამოაცხადებს. ახლა მათ უკვე შეუძლიათ იმაზე გათვალონ, რომ პრეზიდენტი დათმობს.**

# პოლ კრუგმანი: აშშ «ბანანის რესპუბლიკად» იქცევა

**ცნობილმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა პოლ კრუგმანმა უმკაცრესად გააკრიტიკა რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა შეთანხმება აშშ-ის სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის გაზრდასთან დაკავშირებით. ექსპერტმა The New York Times-ის საკუთარ ბლოკში ამ გადაწყვეტილებას არა მხოლოდ დემოკრატებისა და ობამასთვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისთვის „კატასტროფა“ უწოდა. კრუგმანი მიიჩნევს, რომ ამ შეთანხმებით ამერიკა ძალზე შორს წავიდა „ბანანის რესპუბლიკის“ სტატუსისკენ მიმავალ გზაზე.**



პოლ კრუგმანი

ეს შეთანხმება კატასტროფაა და არა მხოლოდ პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და მისი პარტიისთვის. ის დამანგრეველი იქნება ეკონომიკისთვის, რომელიც ისედაც ვარდნას განიცდის. შეთანხმება გაამწვავებს დეფიციტის დიდი ხნის წინანდელ პრობლემას და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ის თავისთავად წარმოადგენს ნათელ დადასტურებას იმისა, რომ უბრალო გამომძალველობა ეფექტურია და არანაირ პოლიტიკურ დანახარჯებს არ განაპირობებს. ეს შეთანხმება დიდად წასწევს წინ ამერიკას „ბანანის რესპუბლიკის“ სტატუსისკენ მიმავალ გზაზე.

დავიწყოთ ეკონომიკით. ახლა ის ღრმა ვარდნას განიცდის. თითქმის ნამდვილად ზუსტად ასევე გაგრძელდება მთელი მომავალი წლის განმავლობაში და მთელი 2013 წლის განმავლობაშიც, თუ უფრო დიდხანს არა.

**ყველაზე უარესი, რაც ამგვარ სიტუაციაში შეიძლება გაკეთდეს, ეს დანახარჯების შემცირება და ამით კიდევ უფრო დიდი დეპრესიის პროვოცირებაა. ნუ უსმენთ მათ, ვინც ირწმუნება, რომ ბიუჯეტის სტაბილიზაციისთვის მიღებული მკაცრი ზომები კომპანიებისა და მომხმარებლების დამშვიდების საქმეს შეუწყობს ხელს და ისინი უფრო მეტი ფულის ხარჯვას დაიწყებენ.**

ასე არ ხდება და ამას ისტორიული მონაცემების საფუძველზე ჩატარებული უამრავი კვლევა ადასტურებს.

სინამდვილეში დანახარჯების შემცირება დეპრესიული ეკონომიკის პირობებში საბიუჯეტო სიტუაციას მნიშვნელოვნად არ წაადგება და შესაძლოა პირიქით, უფრო გაამწვავოს კიდეც. ერთის მხრივ, ახლა ძალზე დაბალია საპროცენტო განაკვეთები ფედერალურ სესხებზე; ამიტომ **დანახარჯების შემცირება მცირედ ამცირებს საპროცენტო დაქვითვებს სამომავლოდ. მეორეს მხრივ, დღესდღეობით ეკონომიკის შესუსტებამ შესაძლოა გრძელვადიან პერსპექტივაში მიაყენოს ზიანი ეკონომიკას, რაც, თავის მხრივ, მომავალ შემოსავლებს შეამცირებს.** ამიტომ ისინი, ვინც ახლა ითხოვს დანახარჯების შემცირებას, იმ შუასაუკუნოვან მკურნალებს ჰგვანან, რომლებიც ავადმყოფებს სისხლის გამოშვებით წამლობდნენ და ამით მათ დაავადებებს მხოლოდ ამწვავებდნენ.

შემდეგი საკითხია იმ შეთანხმების პირობები, რომელიც პრეზიდენტის მხრიდან საცოდავი კაპიტულაციის ტოლფასია. **დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირება მოხდება ისე, რომ მიღება ოდნავაც არ გაიზრდება. ამის შემდგომ პარტიათშორისი კომიტეტი გასცემს რეკომენდაციებს დეფიციტის შემდგომი შემცირებისათვის და, თუ ეს რეკომენდაციები გათვალისწინებული არ იქნება, ამას დანახარჯების შემდგომი შემცირება მოჰყვება.**

რესპუბლიკელებს, როგორც ჩანს, აქვთ სტიმული, რომ კიდევ ერთხელ წავიდნენ დათმობებზე, რამეთუ თავდაცვის დანახარჯები შემცირების სფეროში ხვდება. მაგრამ ოპოზიციურმა პარტიამ ესესაა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მზადაა, ფინანსური კრახის რისკზე წავიდეს, თუ არ მიიღებს ყველაფერს, რასაც მისი ყველაზე რადიკალური წარმომადგენლები ითხოვენ. რის საფუძველზე უნდა ველოდოთ მათგან უფრო გონივრულ გადაწყვეტილებასა თუ პოზიციებს შემდგომ ეტაპზე?

სინამდვილეში რესპუბლიკელები კიდევ უფრო მამაცები გახდებიან, დაინახავენ რა, როგორ იხევს უკან ობამა მათი მუქარის წინაშე. ის დანებდა გასულ წელს, როდესაც ბუშისდროინდელ საგადასახადო შეღავათებზე მოქმედების ვადის გახანგრძლივებას დასთანხმდა, დანებდა გაზაფხულზე, როდესაც სახელმწიფო ადმინისტრაციის მუშაობის შეჩერებით დაემუქრნენ და ახლაც, კვლავ კაპიტულაციას აცხადებს სახელმწიფო ვალის ზედა ზღვართან დაკავშირებული პირდაპირი გამოძალვისას. იქნებ მეჩვენება, მაგრამ მე აქ გარკვეულ სისტემას ვხედავ.

**ჰქონდა თუ არა პრეზიდენტს ალტერნატივები ამჯერად? დიახ, ჰქონდა!**

**პირველ რიგში, მას შეეძლო და ვალდებულიც იყო, სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდა ჯერ კიდევ დეკემბერში მოეთხოვა. კითხვაზე, რატომ არ გააკეთა ეს, პრეზიდენტმა უპასუხა, რომ დარწმუნებული იყო რესპუბლიკელების პასუხისმგებლიანობაში. მშვენიერი განცხადებაა.**

**ახლაც კი ობამას ადმინისტრაციას შე-** ▶

# ფეთქებადი ბრალდებები 9/11-თან დაკავშირებით



**9/11-ის ტერორისტული აქტების მეათე წლისთავამდე ერთი თვით ადრე ცსს-ს ყოფილი დირექტორი ჯორჯ ტენეტი და ორი ყოფილი მაღალჩინოსანი თავს იცავს ბრალდებებისგან, რომ ისინი მონაწილეობდნენ 2000 და 2001 წელს განხორციელებულ მსხვილმასშტაბიან ოპერაციაში, რომლის მიზანიც თეთრი სახლისა და გამოძიების ფედერალური ბიუროსგან თავდასხმების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაფარვა იყო. ფეთქებადი ინფორმაციისა და დაუდასტურებელი ბრალდებების წყარო არის ადამიანი, რომელიც ოდესღაც ტენეტს ახლო მეგობრად მიიჩნევდა — თეთრი სახლის კონტრტერორისტული ოპერაციების ყოფილი მეფე რიჩარდ კლარკი.**



**ცსს ინფორმაციას მალავდა, რადგან ცდილობდა, «ალ ქაიდაში» თავის აგენტებად სამუშაოდ გადმოებირებინა ტერორისტები, ვიდრე ისინი სამხრეთ კალიფორნიაში საკუთარი სახელებით ცხოვრობდნენ. ამ მცდელობის ჩავარდნის შემდეგ ცსს-ს მაღალჩინოსნებმა თეთრ სახლს ინფორმაცია მაინც არ გაუმხილეს**

თუ კლარკის მიერ გამოთქმული თეორია სიმართლე აღმოჩნდა, 11 სექტემბრის ტერაქტების ისტორია ხელახლა გადაიწერება. კლარკის ვარაუდით, 2000 და 2001 წლებში ცსს მიზანმიმართულად უმალავდა თეთრ სახლსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთში დაბადებული ორი ტერორისტი, რომლებიც მოგვიანებით თვითმფრინავების გამტაცებლებად და 11 სექტემბრის თვითმკვლელ ტერორისტებად იქცნენ, აშშ-ის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

კლარკი გახსნილად აღიარებს, რომ ამ ყველაფრის დამტკიცება არ შეუძლია, მაგრამ ვარაუდობს, რომ **ცსს ინფორმაციას მალავდა, რადგან ცდილობდა, „ალ ქაიდაში“ თავის აგენტებად სამუშაოდ გადმოებირებინა ტერორისტები, ვიდრე ისინი სამხრეთ კალიფორნიაში საკუთარი სახელებით ცხოვრობდნენ. ამ მცდელობის ჩავარდნის შემდეგ ცსს-ს მაღალჩინოსნებმა თეთრ სახლს ინფორმაცია მაინც არ გაუმხილეს, რადგან შიშობდნენ, რომ ბრალი დაედებოდათ „თანამდებობრივ დანაშაულში და ზიანის მომტანი ქმედებების განხორციელებაში“.** კლარკის თქმით, თუ ეს თეორია სწორია, ტენეტი და დანარჩენები არასდროს აღიარებენ სიმართლეს, თუნდაც წყლით აწამონ.

კლარკის თეორია 11 სექტემბრის აფეთქებების მთავარ გამოცანას უკავშირდება, საკითხს, თუ რატომ არ აცნობა ცსს-მ თეთრ სახლსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს მაღალჩინოსნებს ამდენი ხნის განმავლობაში, რომ სააგენტოსთვის ცნობილი იყო 2000 წლის იანვარში აშშ-ში „ალ ქაიდას“ ორი ტერორისტის ჩასვლის შესახებ. ისინი აშშ-ში მალაიზიაში ტერორისტულ სამიტზე დასწრებიდან რამდენიმე დღეში ჩავიდნენ, ცსს კი ამ სამიტზე თვალთვალს ახორციელებდა.

**9/11-ის კომისიისა და სხვა სახელისუფლო გამოძიებების წინაშე თავის მართლებისას ცსს დაჟინებით ამტკიცებდა, რომ არასდროს იცოდა ორი ტერორისტის — ნავაფ ალ-ხაზმისა და ხალიდ ალ-მიდხარას ზუსტი ადგილსამყოფელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯაშუშებად მათ გადაბირებაზე.**

**ტენეტმა განაცხადა, რომ 11 სექტემბრის წინ მას არ აცნობეს ტერორისტების აშშ-ში ჩასვლის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოში გაცილებით დაბალ დონეზე ეს ინფორმაცია ცნობილი იყო.**

9/11-ის კომისიამ მრავალრიცხოვანი ჭორები იმის შესახებ, რომ ცსს ორი ტერორისტის გადაბირებას ცდილობდა, კლარკის განცხადებამდეც განიხილა, მაგრამ მოწმეებს ვერ მიაგნო. კლარკი კი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი, **ერთი შეხედვით, ნაკლებად დასაჯერებელი სცენარი ტერორისტების გადაბირების ჩავარდნის შესახებ ერთადერთი გონივრული მიზეზია იმის ასახსნელად, თუ რა-** ▶

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ექლო ლეგალური მანევრებისთვის მიემართა და იმისთვის, რომ გვერდი აევლო სავალე ზედა ზღვრისთვის, რამდენიმე ალტერნატივიდან ერთ-ერთი გამოეყენებინა. ჩვეულებრივი ვითარების დროს ეს მხოლოდ უკიდურესი ნაბიჯი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ დღევანდელი რეალური სიტუაციის პირისპირ, ანუ საბოლოო ჯამში კონგრესის მხოლოდ ერთი პალატის მაკონტროლებელი პარტიის მხრიდან პირდაპირი გამომძალველობის პირობებში, ეს სავსებით გამართლებული ქმედება იქნებოდა.

სულ მცირე, ობამას შეეძლო გამოეყენებინა ლეგალური შემოვლითი მანევრის შესაძლებლობა მოლაპარაკებებში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. ამის ნაცვლად მან ყველა მსგავსი ალტერნატივა თავიდანვე გამორიცხა.

ხომ არ შეაშინებდა ბაზრებს პრეზიდენტის მკაცრი პოზიცია? დიდი ალბათობაა, რომ არ შეაშინებდა. მე რომ ინვესტორების ადგილზე ვყოფილიყავი, შემაშინებდა კი არა, მხოლოდ დამამშვიდებდა, თუ პრეზიდენტი დამანახებდა, რომ მზადაა და ძალაც შესწევს წინ აღუდგეს მემარჯვენე რადიკალების შანტაჟს. სინამდვილეში კი პრეზიდენტმა ამის საწინააღმდეგო ქმედების დემონსტრირება გადაწყვიტა.

**ეჭვი არ შეგეპაროთ: ის, რასაც ახლა ჩვენ ვადევნებთ თვალს, არის კატასტროფა ყველა დონეზე.**

ცხადია, ეს არის პოლიტიკური კატასტროფა დემოკრატებისთვის, რომლებმაც სულ რამდენიმე კვირის წინ თითქოსდა გააქციეს რესპუბლიკელები პროგრამა Medicare-ის გამარტივებასთან დაკავშირებული თავიანთი გეგმებით. ახლა ობამამ ეს ყველაფერი დაკარგა. და დანაკარგები ამით არ შემოიფარგლება: **კიდევ იქნება ვიწრო ულელტეხილები, რომლებზეც რესპუბლიკელები მუქარებს არ დაიშურებენ კრიზისის პროვოცირებისთვის, თუ პრეზიდენტი მათი მოთხოვნების წინაშე კაპიტულაციას არ გამოაცხადებს. ახლა მათ უკვე შეუძლიათ იმაზე გათვალონ, რომ პრეზიდენტი დათმობს.**

გრძელვადიან პერსპექტივაში კი დემოკრატები ერთადერთი წაგებულები არ იქნებიან. ის, რაც ახლა რესპუბლიკელებმა დაუსჯელად გააკეთეს, ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფოს მართვის მთელ ჩვენ სისტემას. **ბოლოს და ბოლოს, როგორ უნდა ფუნქციონირებდეს ამერიკული დემოკრატია, თუ პარტიათაგან ის, რომელიც სხვაზე მეტად მზადაა, შეუწყნარებელი იყოს და საფრთხის წინაშე დააყენოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, კურსის კარნახის უფლებას იღებს? და პასუხი — ალბათ, არანაირად.**

*nr2.ru*

**ტომ არ იყვნენ ინფორმირებულნი ორი ტერორისტის შესახებ თეთრ სახლში.** მისი ვარაუდით, გონივრული იქნებოდა დასკვნა, რომ ინფორმაციის გაუვრცელებლობის თაობაზე ცსს-ს უმაღლეს ეშელონებში მიიღეს გადაწყვეტილება, კერძოდ კი, ბრძანებას ხელი დირექტორმა ტენეტმა მოაწერა.

კომპანია FF4 Films-მა, რომელიც დოკუმენტურ ფილმს ამზადებს აღნიშნულ საკითხებზე, კლარკის აღნიშნული გამონათქვამების ასლი ტენეტს წარუდგინა. ამ უკანასკნელმა ცსს-ს ორ ყოფილ თანამშრომელთან — სააგენტოს კონტრტერორისტული ცენტრის ყოფილ მეთაურთან, კოფერ ბლეკთან და ბენ ლადენის განყოფილების ყოფილ უფროსთან, რიჩარდ ბლისთან ერთად კლარკი სპეციალურ განცხადებაში გააკრიტიკა.

**„რიჩარდ კლარკი კარგად ემსახურებოდა თავის ქვეყანას მრავალი წლის მანძილზე, მაგრამ 11 სექტემბერთან დაკავშირებული მისი ბოლოდროინდელი კომენტარები ღრმად მცდარია. კლარკი იწყებს მტკიცებით, რომ 2000 წლის დასაწყისში მას მიზანმიმართულად დაუმალეს ინფორმაცია აშშ-ში ორი მომავალი გამტაცებლის გადაადგილების თაობაზე. ეს ასე არაა. ამ მცდარ მტკიცებაზე დაყრდნობით, კლარკმა დაიწყო სპეკულირება, რომ, მისი ვარაუდით, ცსს ცდილობდა მომავალი გამტაცებლების გადაბირებას. ამას, ისევე, როგორც კლარკის მიერ ნათქვამ ბევრ სხვა რამეს, საფუძველი არ გააჩნია,“** — აღნიშნულია განცხადებაში.



არადა, კლარკი, რომელიც ბუშისა და კლინტონის ადმინისტრაციების დროს სათავეში ედგა თეთრი სახლის კონტრტერორისტულ მოქმედებებს, გაოცებულია, რატომ არ აცნობეს მას ტენეტმა და ბლეკმა ის, რაც ცსს-მ დიდი ხნის წინათ იცოდა — ხაზმისა და მიდხარის აშშ-ის ტერიტორიაზე ჩასვლა. კლარკი დასძენს, რომ ამის შესახებ 11 სექტემბრამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მაინც რომ სცოდნოდა, შესაძლოა, მოეხერხებინა ტრაგედიის თავიდან აცილება.

**„ჩვენ მასობრივ წმენდას ჩავატარებდით, ჩვენ ამას გავაკეთებდით გახსნილად და ვიპოვიდით იმ სულელებს. ამაში ეჭვი არ მეპარება, თუნდაც ერთი კვირა ყოფილიყო დარჩენილი. ისინი თავიანთ სახელზე აღებულ საკრედიტო ბარათებს იყენებდნენ, სასტუმრო „ჩარლზში“ ცხოვრობდნენ. ღმერთო ჩემო, ამ ხალხს ერთ დღე-ღამეში დავაპატიმრებდით,“** — ამბობს ახლა კლარკი.

*The Daily Beast*

**ლობისტები, ექსპერტ-აკადემიკოსები და ბიუროკრატები, რომლებიც არასოდეს სწუხან ჯანმრთელობის დაზღვევაზე, პენსიებზე ან უმუშევრობაზე, მაგრამ ქვეყნის კორპორაციებს უყურადღებოდ არ ტოვებენ; კარგად იცნობენ სისტემას და შოულობენ სულ უფრო მეტ სამთავრობო კონტრაქტს, სულ უფრო ხშირად ჩვენი გადასახადების ხარჯზე.**

# ამერიკული პოლიტბიურო, ანუ HELLO COMRAD!

**ამერიკული პოლიტბიურო ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა. დიახ, ჩვენი კონგრესი ორპარტიული სისტემის პროდუქტია (რესპუბლიკელები და დემოკრატები) და ერთი შეხედვით, იოლად ვერ მიამსგავსებთ სსრკ-ის ერთპარტიულ სისტემას, მაგრამ მოდი ისეთ აბეზარ რამეს გადავხედოთ, რასაც ფაქტები ჰქვია.**



ადმინისტრაციული ქმედებები უკვე ანაცვლებს საკანონმდებლო აქტებს და მართვის უმთავრეს მექანიზმად იქცევა. უბრალოდ, დაითვალეთ ის ნორმატიული აქტები, რომლებიც გამოსცა გარემოს დაცვის სააგენტომ, იუსტიციის დეპარტამენტმა, სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტმა, ჯანმრთელობისა და მომსახურების დეპარტამენტმა და ა.შ. და ა.შ. არავის მიერ არჩეული ჩინოვნიკები (რომლებიც ანგარიშვალდებულები არ არიან მოქალაქეებთან) მთელს ქვეყანაში ქმნიან კანონებს, რომელთა მორჩილებაც გვევალება და რაღაც სახის სასჯელითაც კი გვემუქრება. გარდა ამისა, ისინი აღარ საჭიროებენ იმ პირთა ზედამხედველობას, რომლებიც ჩვენი ინტერესებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის დაცვისთვის ავირჩიეთ. სხვათა შორის, მმართველობა არ ნიშნავს მთავრობას (ისე, როგორც ეს ამერიკელებს ესმით). მმართველობა, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, მმართველობაა.

**ბევრ პატარა და საშუალო ამერიკულ ქალაქში შექმნილია მდგრადობის საბჭოები, ურბანული განვითარების საბჭოები, ტრანსპორტის საბჭოები, ეკონომიკური განვითარების საბჭოები და საბჭო და კიდევ საბჭო და კიდევ საბჭო. ჰმმმმ... ამ საბჭოების უმეტესობა დანიშნულია და არა არჩეული აქ, ამერიკაში.**

მაინც ზუსტად რა არის საბჭო? საბჭოთა კავშირში კანონებს ადგილობრივი საბჭოები, რეგიონული საბჭოები და ნაციონალური საბჭოები ქმნიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ არავინ ახსენებდა სახელმწიფო საბჭოებს. საბჭოები (საბჭოთა) პასუხს აგებდნენ რეგიონებზე. რეგიონებს პოლიტიკური საზღვრები არ გააჩნდა. ასე რომ, ყველა შემთხვევისთვის თქვენ გქონდათ პოლიტიკური სტრუქტურის მიღმა არსებული რეგიონული მმართველობა, არავის მიერ არჩეული და არა ანგარიშვალდებული.

**დღეს ჩვენ იმის მოწმენი ვხდებით, რომ კანონმდებლობა და ადმინისტრაციული დადგენილებები ამერიკაში რეგიონალიზმს უწევს ლობირებას. საბჭოები ამერიკაში რეალურად არსებობს და ისინი თქვენს მახლობელ რეგიონსაც უახლოვდება, არავის მიერ არჩეული ეს საბჭოები.**

ჩვენი ხელისუფლების აღმასრულებელმა შტომ თავის გარშემო შემოიკრიბა პოლიტიკური მრჩევლებისა (არავის მიერ არჩეული, არა ანგარიშვალდებული ჩინოვნიკები) და ლობისტური ჯგუფების ჯარი, ხოლო ისინი წარმოადგენენ არა ძირითადი მოქალაქეების, არამედ სხვათა ინტერესებსა და შეხედულებებს. ჩვენ ვაშინგტონის ძალაუფლების ბროკერების მუდმივი ცვალებადობის მძევლებად ვიქეცით. ეს ხალხი ცივი ომის დროინდელ წარმონაქმნს მოგვაგონებს — ნომენკლატურას. **ძველ, კარგ საბჭოურ რუსეთში ნომენკლატურა კომუნისტური პარტიის ყველა სიკეთით სარგებლობდა. ამერიკული ნომენკლატურა დიდი ადმინისტრაციული აპარატის პირმშოა და იმით არსებობს, რომ არარჩეული ხალხის გადაწყვეტილებებზე ახდენს გავლენას.**

ლობისტები, ექსპერტ-აკადემიკოსები და ბიუროკრატები, რომლებიც არასოდეს სწუხან ჯანმრთელობის დაზღვევაზე, პენსიებზე ან უმუშევრობაზე, მაგრამ ქვეყნის კორპორაციებს უყურადღებოდ არ ტოვებენ, კარგად იცნობენ სისტემას და შოულობენ სულ უფრო მეტ სამთავრობო კონტრაქტს, სულ უფრო ხშირად ჩვენი გადასახადების ხარჯზე (რომლებიც მზის გარშემო დედამიწის თითოეული ბრუნით სულ უფრო ცოტა ღირს). ლუის ფრიმ (FBI-ის ყოფილი დირექტორი), ადმირალმა ლოიმ (ტრანსპორტის უსაფრთხოების ყოფილი თავკაცი), ჯორჯ ტენეტმა (CIA-ს ყოფილი დირექტორი), ფრენკ მოსმა (სახელმწიფო დეპარტამენტის საპასპორტო სამსახურის პროგრამის ყოფილი მენეჯერი) და კიდევ უამრავმა სხვამ, ვისაც ოდესღაც ფედერალურ მთავრობაში საკვანძო პოზიციები ეკავა, ახლა Viisage/L-1-ში მოიყარეს თავი როგორც დირექტორთა ბორდის წევრმა ან როგორც დაქირავებულმა ჩინოვნიკმა. Viisage/L1-ი ბიომეტრიული ინდუსტრიის გიგანტია.

**2011 წლის 1 აგვისტოს ჩვენმა ფედერალურმა კანონმდებლებმა დეფიციტის შემცირების ერთობლივი კომიტეტი შექმნეს. კონგრესმა (ცენტრალურმა კომიტეტმა მათთვის, ვინც ადევნებს თვალს სტატიაში გაჟღერებულ ანალოგიებს) შექმნა ის, რასაც სუპერ-კონგრესი უწოდეს. ქალბატონებო და ბატონებო, ამერიკის მთავრობამ პოლიტბიურო შექმნა.**

1919 წლის მარტში პარტიის მე-8 ყრილობაზე, ცენტრალურ კომიტეტს მიეცა დავალება, აირჩიოს საკუთარი შემადგენლობიდან 5 კაცი ახალი ინსტიტუტის — პოლიტბიუროსთვის. მისი ოფიციალური დანიშნულება იყო, გადაეწყვიტა ისეთი გადაუდებელი საკითხები, რომლებიც ვერ ითმენდა ცენტრალური კომიტეტის მდორე ტემპს. პოლიტბიურომ მალე პარტიასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში მთავარი პოზიცია დაიკავა და საბოლოოდ დაჩრდილა ცენტრალური კომიტეტი. 1990-იან წლებამდე მასში 12-15 წევრი შედიოდა.

ჩვენი ფუნდამენტური პრინციპები უარყოფილია. დიახ, ყოველ კონგრესს შეუძლია დააწესოს თავისთვის მუშაობის წესები... მაგრამ ეს წესები არ მთავრდება ამ კონგრესთან ერთად და ისინი ზღუდავს მოქალაქეების მიერ არჩეული უმეტესი წარმომადგენლის წვლილს. **ჩვენს პოლიტბიუროს რეალურად ისეთივე შეზღუდვები აქვს, როგორიცაა ვაჭრობაში, ანუ არანაირი. ყველაფერი და ყველა შეიძლება ისე შექმნა, რომ მას დეფიციტის შემცირების პოლიტიკისთვის ხელშემწყობი უწოდო.**

უილიამ ფოსტერმა აშშ-ის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ, 1932 წელს დაწერა ნაშრომი „საბჭოთა ამერიკისკენ“, სადაც აღწერა მისი მოსაზრებები შეერთებული შტატების სოციალისტურ სისტემად გარდაქმნის შესახებ. 1958 წელს კლეონ სკოუსენმა გამოაქვეყნა „შიშველი კომუნისტი“, რათა დაესახელებინა ის 45 მიზანი, რომელსაც ამერიკა უნდა გარდაექმნა. მაიკლ პეტრო ჯუნიორმა, ფლოტის ვეტერანმა, 2010 წელს დაწერა „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საბჭოთა ამერიკაში“ და იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად შესრულდა ფოსტერის, მარქსისა და კლეონ სკოუსენის გეგმები.

**დო სვიდანია, ტოვარიშჩი!**

**ჰოვარდ ჰუჩინი**
**American Thinker**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამერიკის ინტერნეტ-სეგმენტში აჟიოტაჟია. ასობით და ათასობით საიტი, ბლოგი, ტვიტერ-გვერდი ნიუ იორკში ქუჩის საპროტესტო სუპერაქციებისთვის სამზადისს ეთმობა. თარიღი 17 სექტემბერია, ადგილი — უოლ-სტრიტი.**

# ნიუ იორკის ქუჩებში მასობრივ აჯანყებამდე თვე-ნახევარი რჩება



**„ნარინჯისფერმა“ რევოლუციებმა, რომლებმაც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არაბული სამყარო მოიცვა, მძიმე შეგრძნებები დატოვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში შეუჩერებელი გადაადგილების გამო. ტუნისისა და ეგვიპტის მოედნების კადრებმა, ლიბიური ოპოზიციის ბუნტის შესახებ რეპორტაჟებმა, სირიის არეულობებისა და იემენის დახვრეტების ჩვენებებმა ცხოვრებაში ერთადერთი კითხვა გააჩინა: ვინ იქნება შემდეგი?**



სხვა კითხვები, ფაქტობრივად, არ არსებობდა — სხვა ყველაფერი ისედაც ცხადი და გასაგები იყო, გასაგები იყო ისიც, თუ ვინ და როგორ ახორციელებდა ამ დახვრეტების ორგანიზებას; როგორ აპირებდნენ ბუნტზე რეაგირებას „ტოტალიტარული“ რეჟიმები; როგორი იქნებოდა და იქნება „პროგრესული კაცობრიობის“, ანუ დასავლეთის პოზიცია ყოველ მომდევნო სოციალურ აფეთქებაზე; რა მოხდება, როდესაც დაიღვრება პირველი სისხლი და რით დასრულდება ყველაფერი საბოლოოდ. **მიუხედავად იმისა, რომ არეულობებში გახვეულ თითოეულ ქვეყანაში მოვლენათა განვითარებამ სპეციფიური ხასიათი მიიღო, ტვიტერრევოლუციებს შორის საერთო უფრო მეტია, ვიდრე განმასხვავებელი.**

**არაბული ბუნტების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი აშშ-ის ადმინისტრაციის მხრიდან მათი უსიტყვო მხარდაჭერა იყო. ყოველ ჯერზე, როდესაც მორიგ ჩრდილოაფრიკულ ან ახლოაღმოსავლურ ქვეყანაში ტვიტერითა და ფეისბუქით აღელვებული ხალხი მშობლიური ქალაქის მოედნებზე გამოდიოდა, ეს ხალხი უმალ იღებდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისგან მისასალმებელ გზავნილსა და მხარდაჭერას.**

და ყოველ ჯერზე ქალბატონი კლინტონი ერთსა და იმავე ფრაზებს წარმოთქვამდა: **„აჯანყების ჩახშობა დაუშვებელია“, „ხელისუფლება ვალდებულია, ხალხის ხმა შეისმინოს“, „თავისუფალი მსოფლიო მხარს უჭერს ტირანიის წინააღმდეგ ამბოხებულებს“** და ბოლოს — **„ანტისახალხო რეჟიმმა თავისი სრული არალეგიტიმურობა აჩვენა და უნდა წავიდეს“.**

ამის შემდეგ — იმისგან დამოუკიდებლად, გაიმარჯვა თუ ვერა მორიგმა ამბოხმა — აშშ-ის ექსპრეზიდენტის მეუღლე მიანიშნებდა, რომ ეს ყოველივე მხოლოდ დასაწყისია და რომ მსოფლიოში არსებობს სხვა „დიქტატორული რეჟიმებიც“, რომლებიც სულ მალე აღმოჩნდებიან „ქუჩის მრისხანების“ წნეხქვეშ. **ანალიტიკოსები და ექსპერტები მოიქანცნენ იმაზე ფიქრით, თუ სად იფეთქებდა ახალი რევოლუცია. მრავალი ვარიანტი განიხილებოდა, მაგრამ მათგან ყოველი ასე თუ ისე ორიენტირებული იყო ქვეყნებზე, რომლებიც „ოქროს მილიარდის“ საზღვრებს სცილდება: რუსეთიდან და ჩინეთიდან სუდანსა და აზერბაიჯანამდე.**

ამის შემდეგ ევროპის გაკოტრებულ ქვეყნებში, უპირველესად, საბერძნეთსა და ესპანეთში გამართულმა მილიონიანმა საპროტესტო აქციებმა ოდნავ გამოაფხიზლა ბუნტის თეორეტიკოსები. გაირკვა, რომ ევროპელები უკმაყოფილონი არიან ეკონომიკაში შექმნილი მძიმე ვითარებით და მათაც შეუძლიათ მასობრივი ანტისახელისუფლო პროტესტებით გამოსვლა. უფრო მეტიც, ევროპელებმა წარმოუდგენელი წარმატებით გადაიღეს ქუჩის შეტაკებების ტაქტიკაცა და ტექნოლოგიაც თავიანთი არაბი წინამორბედებისგან. **გაირკვა, რომ ჯინ შარპის წიგნში აღწერილი „ქსელური ჯანყის“ მეთოდები და „არაძალადობრივი რევოლუციების“ ჩატარების საშუალებები დიდი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ „აღმოსავლეთის ტოტალიტარული მონარქიების“, არამედ საკუთარი, ყველაზე დემოკრატიული და ლიბერალური დასავლელი მმართველების წინააღმდეგაც.**

ბოლოს და ბოლოს, დამკვირვებლებს უჩნდებათ კითხვა: **შესაძლებელია თუ არა ეგვიპტური ტახრირის ან თუნდაც უკრაინული მაიდანის განმეორება „დემოკრატიის აკვანში“ — ამერიკის შეერთებულ შტატებში? ძალიან მალე ყველა მიხვდა: ამგვარი „ბუმერანგი“ მხოლოდ შესაძლებელი როდია — ამერიკელები მზად არიან, სისტემის წინააღმდეგ ძალადობისა და ბუნტის მხრივ, ასქულიანი ფორით გაეჯიბრონ უკრაინის მოედნებზე გაყინულ „ნარინჯისფერებს“.** და, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ზღვარსგადასულ ძალადობამდე, ისეთამდე, როგორსაც ეგვიპტეში ჰქონდა ადგილი, საქმე არ მივიდა, ამერიკელმა მეამბოხეებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ისინი აბსოლუტურად მზად არიან „ბოსტონური ჩაის სმა“ გაიხსენონ.

**განზრახვა, რომ სრულად გამოიყენონ ტახრირის გამოცდილება და პირდაპირ უოლ-სტრიტზე მოაწყონ დაუსრულებელი, მრავალთვიანი მიტინგი კარვების ბანაკებით, სამზარეულოებითა და ბარიკადებით და ბოლოს, — პოლიციასთან შეჯახებებისკენ მისწრაფება — ყველაფერი არაბული მეთოდების მიმდევრობის დადასტურებაა**

დღეისათვის ამერიკაში ყველაზე ხმამაღალი პროტესტის შემთხვევად ვისკონსინის შტატის ქალაქ მედისონში მომხდარი ითვლება. იქ ასი ათასობით ადამიანისგან შემდგარმა ბრბომ, პრაქტიკულად ქალაქის მცხოვრებთაგან ყოველმა მესამემ, პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნებისთვის პოლიციასთან აბსოლუტურად არავირტუალური ბრძოლების შემდეგ შტურმით აიღო სამთავრობო შენობა. ამ ამბავმა მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალება შემოიარა, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ძალზე ცოტამ გაავრცელა ინფორმაცია ზემოთქმულზე ბევრად უფრო საოცარ ფაქტთან დაკავშირებით: **ვაშინგტონის თვითმკვლელური ეკონომიკური პოლიტიკის საწინააღმდეგო ქუჩის პროტესტებმა თებერვალ-მარტში აშშ-ის ორმოცდაათივე შტატი მოიცვა და ადმინისტრაციულ შენობებს მხოლოდ ვისკონსინის შტატში როდი იღებდნენ მეამბოხეები, იგივე მოხდა, მაგალითად, ოჰაიოსა და ინდიანაში...**

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა, ქარიშხალი ჩადგა, მაგრამ მაკროეკონომიკური პრობლემები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა აშშ და რომელთა მოგვარების რესურსიც არ აღმოაჩნდა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციას, მას შემდეგ მხოლოდ გაიზარდა. და საქმე მხოლოდ ფინანსური ინტერესების კატასტროფულ მდგომარეობას არ ეხება. **კრიზისი ამერიკის ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო — მეცხოველეობის კოლაფსიდან ტრანსპორტის სამინისტროს სპეციალური განკარგულების საფუძველზე შეერთებული შტატების სამოქალაქო ავიაციის სარემონტო და მოდერნიზაციის სამუშაოების შეჩერებამდე.**

**ლოგიკური იქნებოდა, გვევარაუდა, რომ მალე ეს „უაზრო და დაუნდობელი“ ბუნტი ამერიკული ცივილიზაციის ფაქტიურ ცენტრამდე — ნიუ იორკამდეც მიაღწევდა და ასეც მოხდა.**

დღეს ამერიკის ინტერნეტ-სეგმენტში აჟიოტაჟია. ასობით და ათასობით საიტი, ბლოგი, ტვიტერ-გვერდი ნიუ იორკში ქუჩის საპროტესტო სუპერაქციებისთვის სამზადისს ეთმობა. თარიღი 17 სექტემბერია, ადგილი — უოლ-სტრიტი. ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, ესოდენ ნიშანდობლივი ადგილი, ცხადია, შეგნებულად იქნა შერჩეული. უოლ-სტრიტი იგივე სპეკულაციური კაპიტალის სიმბოლოა, რომელმაც ამერიკა მის ისტორიაში უსასტიკეს კრიზისამდე მიიყვანა. ეს „კორპორატოკრატიის“ — ასი ათასობით ამერიკელის მთავარი მტრის მბრძანებლობის სივრცეა. იმ ამერიკელებისა, რომლებიც ყოველ დღე კარგავენ სამსახურს, ვერ იღებენ ხელფასს, კარგავენ დანაზოგებს, კარგავენ სახლებს კრედიტების გადაუხდელობისთვის. ეს არის ტრანსნაციონალური ფინანსური რვაფეხას არაოფიციალური სახელწოდება, რვაფეხასი, რომელიც, ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობით, მთელი უკანასკნელი წლების მანძილზე, მზარდი კრიზისის პირობებში, ტრილიონობით დოლარს ნთქავდა, ამერიკის მთელი დანარჩენი მოსახლეობა კი თავის გატანას ძლივს ახერხებდა.

**სუპერაქციის მომმზადებელი მოძრაობის სახელწოდებაა OccupyWallStreet-ი — „ავიღოთ უოლ-სტრიტი“. მისი საორგანიზაციო ცენტრი არის ჩრდილოეთ ამერიკის რადიკალური ანტიკონსუმერისტული მოძრაობა Adbusters-ი, რომელიც კორპორაციებისა და ბანკების, კორუფციისა და ფედერალური სარეზერვო ფონდის, ამერიკული საზოგადოებისათვის თავსმოხვეული ყველაზე ბრიყვული იდეის (თითქოს დაუსრულებლად შეიძლება ვალით ცხოვრება) წინააღმდეგ გამოდის. ამ ყველაფერთან ერთად მოძრაობა გამოდის სხვა ქვეყნებში ამერიკული სამხედრო ბაზების გაუქმებისა და საერთოდ, მსოფლიოში ამერიკის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ.**

OccupyWallStreet-ის აქტივისტების მიერ გამოყენებულ მეთოდებს სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა — „არაბულს“. ბლოგებსა და ფორუმებზე მძლავრი პროპაგანდა, საკუთარი მოქმედებების კოორდინირება სოციალური ქსელების მეშვეობით, **განზრახვა, რომ სრულად გამოიყენონ ტახრირის გამოცდილება და პირდაპირ უოლ-სტრიტზე მოაწყონ დაუსრულებელი, მრავალთვიანი მიტინგი კარვების ბანაკებით, სამზარეულოებითა და ბარიკადებით და ბოლოს, — პოლიციასთან შეჯახებებისკენ მისწრაფება — ყველაფერი არაბული მეთოდების მიმდევრობის დადასტურებაა.** აქციის მომავალი მონაწილეები ახლა ფორუმებზე განიხილავენ, კონკრეტულად როგორ მოუხდებათ სამართალდამცავებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ქვეყნის მთავარი ქალაქის მთავარ ქუჩაზე.

საინტერესო იქნება ამ ყველაფრის ყურება, საინტერესო იქნება მეამბოხეთა ქცევაზე დაკვირვება, მაგრამ მთავარია, რას იზამს ამერიკის ხელისუფლება. დაიწყებს მოწოდებებს საკუთარი თავის მისამართით, რომ უნდა „შეისმინოს ხალხის ხმა“? აიძულებს ნიუ იორკის მთავრობას, „თავი აარიდოს ძალადობას“? გაითვალისწინებს კი მსოფლიო საზოგადოების რეკომენდაციებს, აღიაროს საკუთარი თავი „არალეგიტიმურ ხელისუფლებად“ და სასწრაფოდ გადადგეს?

navoine.ru

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ყანდაგარში ანგლოსაქსები მჭიდროდ თანამშრომლობენ სახელმწიფო სტრუქტურებში დამკვიდრებულ ნარკობარონებთან. მათ შორის თვით ავღანელები ასახელებენ პრეზიდენტ ყარზაის ძმებს — პარლამენტის დეპუტატ ქაიუმ ყარზაის და პროვინციის საბჭოს თავმჯდომარე აჰმედ ვალი ყარზაის, აგრეთვე, გუბერნატორ ასაბულა ჰალედსა და სენატორ შირ მოჰამადს.**

# აშშ — ნარკობარონების სამსახურში

**ავღანეთში ნარკოტიკების წარმოების ზრდა მსოფლიო თანამეგობრობის ისეთივე მორიგი ზრუნვის საგანია, როგორც კლიმატის გლობალური დათბობა. ამაზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ არავინ უწყის, როგორ უშველოს კაცობრიობის ამ თავის ტკივილს.**



ნარკოსაშიშროების პრობლემისადმი მიძღვნილ ქაბულის საერთაშორისო კონფერენციაზე გაეროს მიერ წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ბაზარზე გატანილი ოპიუმი ნარკოტიკების შემცველი პრეპარატების 93 პროცენტია. ამ რაოდენობის ნახევარს პაკისტანის მიმდებარე ჰელმანდის პროვინციაში ამზადებენ, სადაც ბრიტანეთის ჯარების ძირითადი კონტინგენტია დისლოცირებული.

**ავღანური ჰეროინის გაზრდილი რაოდენობა ინგლისის ქალაქების ქუჩებში დაბუდებული ნარკომანების მთავარი საშიშროება გახდა. ტრაგედია კი ის არის, რომ სწორედ ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეები, როგორც მათი ამერიკელი კოლეგები, ჩათრეულები აღმოჩნდნენ ინტერნაციონალურ მაფიაში, რომელიც ავღანური ნარკოტიკების შესყიდვითა და გავრცელებითაა დაკავებული.**

ამა წლის მაისის დასაწყისში ავღანეთის რამდენიმე სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციაში დაიგეგმა ხაშხაშის პლანტაციების დეფოლიანტებით მოსპობის ოპერაცია ავიაციის მონაწილეობით, მაგრამ ყანდაგარისა და ჯალალაბადის ადმინისტრაციებიდან მიღებული კონფიდენციური ინფორმაციით, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ამ პროვინციებში განლაგებული კონტინგენტის ხელმძღვანელებმა, ადგილობრივ ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების შემდეგ აკრძალეს ნარკოპლანტაციების განადგურება.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **იმ დასავლელი სამხედროების ინტერესი, რომლებიც ავღანეთიდან ნარკოტიკების, ძირითადად, აშშ-ის სამხედრო ავიაციის გამოყენებით გატანაში არიან ჩათრეულნი, სრულად ემთხვევა ადგილობრივი შეიარაღებული დაჯგუფებების ინტერესებს, რომლებიც აკონტროლებენ ოპიუმის პლანტაციების დამუშავებას.** ავღანელი ჩინოვნიკების შეფასებით, რომლებიც ამ პრობლემას შეისწავლიან, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში წარმოებული ნარკოტიკების 85 პროცენტამდე საზღვარგარეთ გააქვთ ამერიკის სამხედრო მოსამსახურეებს, უმთავრესად — საჰაერო გზით...

ავღანელები ტრანსპორტირების რამდენიმე ხერხზე მიუთითებენ. ერთ-ერთი წყარო ამტკიცებს, რომ ჯაჭვის დასაწყისში დგანან სამოქალაქო კომივოიაჟერები — როგორც წესი, ამერიკელები, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაცვის კერძო ფირმების საფარქვეშ, შეისყიდიან საქონელს ავღანელი ბითუმად მოვაჭრეებისგან და მიაქვთ სამხედრო ბაზებზე, უმთავრესად — ყანდაგარის სამხედრო აეროდრომზე. თუმცა ავღანეთის ძალოვანი სტრუქტურების ინფორმირებული წყარო ამტკიცებს, რომ **ამერიკელი სამხედროები არავითარ შემთხვევაში არ ეკონტაქტებიან დასავლელ სამოქალაქო სტრუქტურებს და მუშაობენ მხოლოდ ადგილობრივ ამერიკელ უფროსებთან. ეს უკანასკნელნი კი მჭიდროდ თანამშრომლობენ საველე მეთაურებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან „საქონლის“ წარმოებაზე. საბანკო ანგარიშებზე კონტროლი დაწესებული აქვთ თალიბებს, ოღონდ ავღანელების მეშვეობით, რომლებიც აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ცხოვრობენ.**

**ნარკოტიკების საფასურს იხდიან არა მარტო ფულით, არამედ იარაღით. ავღანელები ამტკიცებენ, რომ იარაღისა და ტყვია-წამლის გაცვლა ნარკოტიკებზე ნატოელებსა და საველე მეთაურებს შორის უფრო პოპულარულია, ვიდრე ტრადიციული სქემა — „ფული — საქონელი“.**

ნიშანდობლივია, რომ ამჟამინდელი ავღანელი მოჯაჰედები იარაღს იღებენ არა ნატოს საწყობებიდან, არამედ — კონტრაბანდით ქვეყნის ჩრდილოეთიდან, ანუ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებიდან. ავღანეთის სპეცსამსახურის წყარო ერთ-ერთ ასეთ გადამზიდ პუნქტად ასახელებს შურტეპის დასახლებულ პუნქტს ავღანეთ-თურქმენეთის საზღვარზე.

ავღანელების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რომლებიც დაკავშირებულები არიან 205-ე საარმიო კორპუსის (ყანდაგარის პროვინცია) სარდლობასთან და რომელიც დისლოცირებული ლაშქარგაჰში (ჰელმანდის პროვინცია). **205-ე საარმიო კორპუსის სარდლობასთან დაახლოებული ავღანელების ცნობით, თალიბანის მიერ კონტროლირებად რაიონებში შეიარაღების მიწოდება ამერიკული და ბრიტანული ჯავშანსატრანსპორტოებით ხდება.**

შარშან, ნოემბრის დასაწყისში, ურუზგანისა და ბამიანის პროვინციებში, სადაც ძალაუფლება თალიბების ხელშია, რამდენიმე აფეთქება მოხდა, ბევრი ადამიანი დაშავდა. მიაჩნიათ, რომ ეს ტერაქტები მიმართული იყო შიიტი ხაზარების წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთი სამხედრო ფორმირებანი აქვთ და ხაშხაშის მოყვანითა და ოპიუმის წარმოებით არიან დაკავებულნი. ისინი დააზარალეს იმიტომ, რომ დამოუკიდებლად დაიწყეს ვაჭრობა ამერიკელ და ინგლისელ სამხედროებთან. ტერაქტები კონკურენტი-თალიბების მიერ იყო მოწყობილი. ამასთან, ამერიკელებსა და ინგლისელებს მიანიშნებდნენ, არ ეგანათ „ძირითადი პარტნიორებისთვის“.

**ყანდაგარში კი ანგლოსაქსები მჭიდროდ თანამშრომლობენ სახელმწიფო სტრუქტურებში დამკვიდრებულ ნარკობარონებთან. მათ შორის თვით ავღანელები ასახელებენ პრეზიდენტ ყარზაის ძმებს — პარლამენტის დეპუტატ ქაიუმ ყარზაის და პროვინციის საბჭოს თავმჯდომარე აჰმედ ვალი ყარზაის, აგრეთვე, გუბერნატორ ასაბულა ჰალედსა და სენატორ შირ მოჰამადს.**

2003 წლის ზაფხულში ვალი ყარზაის სახლი ააფეთქეს. ამაზე დეტალურად ისაუბრა რადიოსადგურმა „გერმანულმა ტალღამ“, მაგრამ თითქმის არაფერი უთქვამთ იმის თაობაზე, რომ აფეთქება მოხდა იარაღის საწყობში, პრეზიდენტის ძმის ვილაში. ინფორმირებულმა წყაროებმა მაშინ განაცხადეს — აფეთქების მიზეზი იყო გარიგება, ვალი ყარზაის წარმომადგენლებსა და ამერიკელ სამხედროებს შორის ორი საზენიტო რაკეტების კომპლექსის — „სტრინგერის“ შესყიდვისა და ყარზაის კერძო საწყობში ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. განადლების ერთ-ერთ ვარიანტად მინიშნებული იყო ნარკოტიკები...

**ნარკოტიკების პრობლემისადმი მიძღვნილ ქაბულის კონფერენციაზე ამერიკელმა ექსპერტმა ბარნერტ რუბინმა აღნიშნა, რომ ავღანეთის ხელისუფლებაში ნარკომაფიის წარმომადგენლობა იმდენად დიდია, რომ ნარკოსაქმოსნების დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ნარკომაფიას შეეძლება მთავრობის საქმიანობის პარალიზება.**

ნარკოტრაფიკის „ჩრდილოეთის არხი“, რომელიც ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე გადის, ნაკლებად არის დაკავშირებული აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო მოსამსახურეებთან. საქმე ისაა, რომ ავღანეთის ჩრდილოეთს ძირითადად სკანდინავიური ქვეყნების ნატოს კონტინგენტი აკონტროლებს, აგრეთვე, — იტალიელი და სხვა ქვეყნების სამხედროები. ტაჯიკეთის ძალოვანი სტრუქტურების უმაღლესი დონის წყაროს ცნობით, რუსი მესაზღვრეების მეთაურებმა შეინარჩუნეს ტრანსსასაზღვრო დერეფნის კონტროლი, საიდანაც ნარკოტიკები რუსეთსა და ევროპაში გაედინება.

**ზოგიერთი ავღანელი ბიზნესმენის აზრით, აშშ და ქაბულის ოფიციალური ხელისუფლება დაინტერესებულია ნარკოდოლარებისა და ნარკოევროების შემოდინებით ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე.**

ეს საშუალებას აძლევს ავღანეთის ცენტრალურ ბანკს, შეინარჩუნოს ეროვნული ვალუტის — ავღანის მტკიცე კურსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაშინგტონს მოუწევს დამატებითი სახსრების გაღება ამ მუდმივად ბობოქარი ქვეყნის ფისკალურ სტრუქტურაში.

**არკადი დუბნოვი**
„Время Новостей“

# Amnesty International-ი აფრთხილებს საქართველოს ლტოლვილთა გამოსახლების გამო

**უფლებადაცვითმა ორგანიზაციამ Amnesty International-მა საქართველოს მოუწოდა, შეაჩეროს ლტოლვილთა გასახლება დედაქალაქიდან და გააფრთხილა, რომ ბევრისთვის ეს პოლიტიკა ახალ იძულებით გადაადგილებას უტოლდება.**

გამოსახლებები, რომლებიც 2010 წლის შუა პერიოდში დაიწყო, ბოლოდროინდელი მცდელობა ლტოლვილთა იმ პრობლემის მოგვარებისა, რომელიც სათავეს იღებს 1990-იანი წლების კონფლიქტებიდან მეამბოხე ქართულ რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და 2008 წლის ხუთდღიანი რუსულ-ქართული ომიდან.

მიუხედავად იმისა, რომ გამოსახლებულები ძირითადად უკეთეს ბინებში გადაჰყავთ, ბევრი მათგანი ამბობს, რომ წინასწარი შეტყობინება დროულად არ მიუღიათ და ახალი ცხოვრების მოწყობა უწევთ სოფლად, რომელიც მოწყვეტილია ორი ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ გარემოს და საარსებო შემოსავლების მოპოვების შესაძლებლობებს.

**„თავის მისწრაფებაში, დაცალონ დროებითი თავშესაფრები დედაქალაქში და უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებული პირები საიმედო საცხოვრებლით, საქართველოს ხელისუფლებამ უგულებელყო გამოსახლებულთა ძირითადი დამცავი მექანიზმები და ბევრი ჩამოაშორა ჩამოყალიბებულ ხელშემწყობ გარემოსა და არსებო საშუალებებს“,** — განაცხადა ნატალია ნოზაძემ, Amnesty International-ის მკვლევარმა საქართველოში.

**„ხელისუფლებამ იმით, რომ გამოასახლა ისინი ადეკვატური კონსულტაციის, შეტყობინებისა და სამართლებრივი დაცვის გარეშე, მათ დაუცველობის გრძნობა გაუღრმავა“.**

**უფლებადამცველების პატაკით, გამოსახლება წარმოადგენდა საქართველოს იმ ვალდებულებათა დარღვევას, რომელიც მას საერთაშორისო უფლებადაცვითი კანონმდებლობით აკისრია.**

ლტოლვილთა საკითხების საქართველოს მინისტრისთვის კომენტარის მოთხოვნა ვერ მოხერხდა.

მთავრობამ განაცხადა, რომ ლტოლვილები წინასწარ გააფრთხილეს და შესთავაზეს მათ უკეთესი ხარისხის საცხოვრებელი.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას, მთავრობამ იმისთვის, რომ ცდილობდა, მოეგვარებინა წლების მანძილზე იგნორირებული პრობლემა, განევითარებინა ნაციონალური სტრატეგია, რათა გადაეწყვიტა ომით დაზარალებული 200 ათასზე მეტი ადამიანის პრობლემა, აპლოდისმენტი დაიმსახურა.

მაგრამ **უფლებადაცვითი ჯგუფები ამტკიცებენ, რომ ლტოლვილთა გამოსახლება თბილისის სასტუმროებიდან, ბარაკებიდან, სტამბებიდან, სადაც ისინი თითქმის 2 ათეული წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ, ცუდად განხორციელდა და პროტესტის მიზეზი გახდა.**

შარშან გაეროს ლტოლვილთა სააგენტომ, პროცესის ტრანსპარენტულობასთან დაკავშირებით და ინფორმაციის დეფიციტის გამო, შეშფოთება გამოთქვა.

**როიტერი**




მოკლედ

## სირიაში აქციის 20 მონაწილე მოკლეს

12 აგვისტოს სირიაში სახელისუფლო ძალების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად საპროტესტო აქციის 20 მონაწილე დაიღუპა. სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ასადის ათი ათასობით მოწინააღმდეგე პარასკევის ლოცვის შემდეგ კვლავ საპროტესტო აქციაზე გავიდა. პოლიციამ და სამხედროებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. სირიის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, დედაქალაქის ახლოს ორი პოლიციელიც დაიღუპა — ისინიც სროლაში მოყვნენ.



## საიდუმლო ინფორმაცია ფილმისთვის

**აშშ-ის კონგრესში მიიჩნევენ, რომ ტერორისტ ოსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ მომავალი ფილმის ავტორებმა პენტაგონისგან საიდუმლო ინფორმაცია მიიღეს.** ნაციონალური უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე პიტერ კინგი მოითხოვს, დეტალურად გამოიძიონ, თუ რა მონაცემები გადასცეს პროექტის ავტორებს აშშ-ის სამხედრო უწყებაში. კინგის განცხადებას ხელისუფლების მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ დააზუსტა, რომ შემოქმედებითი ჯგუფისთვის შეთავაზებული მასალები მხოლოდ იმ ინფორმაციას შეიცავდა, თუ რა როლი შეასრულა პრეზიდენტმა სპეცოპერაციის მომზადებაში.

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ისტორია

**ბათუმში თურქეთთან მოლაპარაკებამ გააშიშვლა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში სეიმის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს: მენშევიკებს, მუსავატელებსა და დაშნაკებს შორის არსებული უთანხმოების სიღრმე. მუსავატელები აშკარად მიილტვოდნენ თურქეთისკენ და არ იქნებოდნენ წინააღმდეგი მისი პროტექტორატისა.**

# თურქეთის ექსპანსია ამიერკავკასიაში და კაიზერული გერმანიის ინტერესები

**1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა და კაიზერულმა გერმანიამ ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის პირობები უმძიმესი იყო რუსეთისთვის. რუსეთს ჩამოსცილდა პოლონეთი, ბელორუსისა და ლიტვის ნაწილი. საბჭოთა მთავრობა გერმანიას უხდიდა დიდ კონტრიბუციას. ზავის IV მუხლის ძალით, ოსმალეთის ხელში გადადიოდა არდაღანის, ყარსის ოლქები და აჭარა ბათუმითურთ.**


გერმანელების ჯარი თბილისში

თბილისში უკვე 2 მარტს კარახანის დეპეშის შედეგად შეიტყვეს რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შესახებ. იმავე დღეს სეიმისა და მთავრობის სახელით კ. ჩხეიძემ და ე. გეგეჭკორმა პროტესტი განაცხადეს და ყველა ქვეყანას აცნობეს, რომ არ ცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის უკანონო გადაწყვეტილებას.

**ტრაპიზონში ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია 1914 წლის, ე.ი. ომამდელი, საზღვრების მთლიანად შენარჩუნებას ცდილობდა, შემდეგ ის ბრესტის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილის დათმობაზე წავიდა. მოლაპარაკება მიმდინარეობდა, თურქეთის ჯარები კი შეტევას განაგრძობდნენ. მათ დაიკავეს ყარსი, არდაღანი, ოზურგეთი, ახალციხე, ბათუმი. ტრაპიზონის საზავო კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა.**

ფრონტზე წარუმატებლობამ აიძულა ამიერკავკასიის მთავრობა, დათმობაზე წასულიყო. მან აღიარა ბრესტის საზავო ხელშეკრულება. მიიღეს გადაწყვეტილება — განეახლებინათ მოლაპარაკებანი, მაგრამ თურქეთის მმართველმა წრეებმა ახლა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარირებული აღიარებაც მოითხოვეს. **თურქეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელ, სუსტ მეზობელს ადვილად წამოაჩოქებდა და ახალ-ახალ დათმობებს გამოსძალავდა.**

1918 წლის 9 აპრილს სეიმმა ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების თაობაზე, თურქეთმა კი გააგრძელა შეტევა. ნ. ჟორდანია თავის მემუარებში აღნიშნავს: **„შედეგს არ დაუყოვნებია, ოსმალო შემოიჭრა და დაიჭირა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის სამი მეოთხედი, გერმანელების დახმარებით ჩვენ შევაჩერეთ ისინი ჩვენს საზღვარზე, ტფილისთან ახლოს. მათ ხელში იყო ბაქო, ბათუმი და სურდათ, ამისათვის მიემატებინათ ტფილისიც“.**

თურქეთის ექსპანსიამ ამიერკავკასიაში შეაშფოთა ანტანტის ქვეყნები. ამერიკის კონსული თბილისში სმიტი 10-12 მარტის დეპეშებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ატყობინებდა ამიერკავკასიაში უკიდურესად კრიტიკული ვითარების შესახებ, რაც შეიქმნა თურქეთის აგრესიის შედეგად და დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიისთვის ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ლანსინგის საფრანგეთში აშშ-ის ელჩ შარფისადმი 1918 წლის 18 აპრილს გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნული იყო: **„სიტუაცია კავკასიაში უკიდურესად კრიტიკულია: თურქები უტევენ, სომხებს ემუქრება სრული განადგურება, თუმცა შესაბამისი ხელმძღვანელობით და ფინანსური დახმარებით უკანასკნელთ შეუძლიათ, უზრუნველყონ დიდი სამხედრო ძალა. ბრიტანეთის წარმომადგენლობამ უნდა მიიღოს უფრო საფუძვლიანი ზომები, თუ სურთ გადაარჩინონ მდგომარეობა.**

**თბილისის კონსული იტყობინება, რომ გერმანია ახორციელებს თავის გეგმას ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის გამოყენებით. თათრები და ადგილობრივ მოსახლეობად შენიღბული თურქები, რომელთაც თურქეთის მუსლიმანური ლიდერები ამარაგებდნენ ბევრი ფულით, აწარმოებენ გამალებულ საქმიანობას, წარმოქმნიან უწესრიგობას, შეტაკებებს თერგის კაზაკებსა და მუსლიმანურ ტომებს შორის. შეიარაღებული მუსლიმანები თავს ესხმიან სომხურ სოფლებს და სამხედრო ქვედანაყოფებს. სიტუაცია უარესდება მოკავშირეთა ჩაურევლობით.**

კავკასიის ნაწილზე თურქეთის მოთხოვნამ აიძულა ქართველები, შეეთავაზებინათ სომხეთთან კავშირი. ფრონტის დაცვა მთლიანად დამოკიდებულია სომხებზე, ვინაიდან მათი ძალები ამჟამად შეადგენს 15000 კაცს თურქეთის ქვეშევრდომთაგან და 2500-ს რუსეთის ქვეშევრდომთაგან. გარკვეული დახმარებით ქართველები შეძლებენ 30000 კაცის შეიარაღებას. პრემიერ-მინისტრი ითხოვს დახმარებას და ამტკიცებს, რომ **ქართულ-სომხური არმია შეაკავებს თურქებს, მაგრამ დიდი ბრიტანეთის სასწრაფო ფინანსური და სამხედრო დახმარების იმედის გარეშე თურქები შეძლებენ კავკასიის ნებისმიერი ტერიტორიის ოკუპირებას.**

თუ არ იქნება მიღებული სასწრაფო ზომები, მაშინ 2 თვის განმავლობაში მოხდება ასეთი ოკუპაცია და სომეხთა ხოცვა-ჟლეტა აუცილებლად მოსალოდნელია. გთხოვთ, ყველაფერი ეს გადასცეთ მოკავშირეთა სამხედრო საბჭოს...“

მოკავშირეთა სამხედრო საბჭოში აშშ-ის წარმომადგენელმა გენერალმა ბლისმა მოსთხოვა ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს მის ხელთ არსებული ინფორმაცია ამიერკავკასიის მოვლენებზე. ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაგზავნა ინფორმაცია:

**„1 დეკემბრის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ რუსეთის არმიებს აღარ ძალუძთ სომხეთის დაცვის უზრუნველყოფა კავკასიაში და 18 დეკემბერს მთელ კავკასიაში გამოცხადდა დროებითი დაზავება, შემდგომში ზავის დადების ანგარიშით. ამასთან, 14 დეკემბრის წინა დღით სამხედრო კაბინეტის თათბირის შედეგად, ბრიტანეთის წარმომადგენელმა კავკასიაში მიიღო მითითება, ნება დაერთო, სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებს, შეესყიდათ რუსეთისგან იმდენი იარაღი, რამდენის გამოყენებასაც ისინი შეძლებენ. ასევე, შეპირდებოდა ისეთ ფინანსურ დახმარებას, როგორიც მათ მანეთებში დასჭირდებოდათ; 2. იმის გამო, რომ წარმატების ერთადერთი იმედი მდგომარეობს სხვადასხვა ეროვნებათა — სომხების, ქართველების, თათრების — ერთ პოზიციად გაერთიანებაში, თურქეთის საწინააღმდეგოდ ყველა ღონისძიება იქნა მიღებული ამ გეგმის განსახორციელებლად, ეროვნული საბჭოების და ეროვნული ლიდერების მეშვეობით. ბაქოს თათრები აშკარად არიან განწყობილნი პროთურქულად. 11 მარტს დაეცა ერზრუმი, 13 აპრილს — ბათუმი. მშვიდობიანი მოლაპარაკება ტრაპიზონში შეწყვიტა ამიერკავკასიის მთავრობამ წინააღმდეგ საქართველოს სურვილისა, დასასრული ახლა გარდუვალია“.**

რუსეთის რევოლუციის შემდეგ გერმანიის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ჯერ რუსეთის ევროპულ ნაწილში, შემდეგ ამიერკავკასიაში. იგი თავის მოკავშირეს თურქეთს ეხმარებოდა არა მარტო დაკარგული ტრაპიზონის, ერზრუმის, ვანის ოლქების ხელახლა ოკუპაციაში, არამედ ბრესტ-ლიტოვსკში დაეხმარა რუსული ტერიტორიების — ბათუმის, ყარსის და არდაღანის გადაცემაში. გერმანელები და თურქები განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრნენ ამ ოლქებში, დაიპყრეს სხვებიც და ირანის ტერიტორიაზეც კი შევიდნენ. ისლამური სამყაროს და ცენტრალურ სამფლობელოთა თვალში გერმანულ-თურქული ძალების წინსვლა ნიშნავდა მორალურ გამარჯვებას, რითაც დამპყრობლებს ენიჭებოდათ სტრატეგიული და მატერიალური უპირატესობები. ეს შეტევები ემუქრება ამ ქვეყნებში თვით ქრისტიანობის არსებობას, მათ არსებობას, ვისაც გერმანელ-თურქი დამპყრობლები თვლიან თავისი ამბიციებისა და აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებათა ხელისშემშლელად და, ასევე, ანტანტის ქვეყნებისათვის სერიოზულ სიძნელეებს შექმნიან.

**1918 წლის 11 მაისს განახლებულ მოლაპარაკებებზე (ბათუმში გერმანია მონაწილეობდა შუამავლის სახით) თურქეთმა, სამხედრო მიღწევებით ფრთაშესხმულმა, წამოაყენა უფრო მძიმე პირობები, ვიდრე ითვალისწინებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ამიერკავკასიას უნდა დაეთმო ერევნის გუბერნიის ორი მესამედი, თბილისის გუბერნიის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, თურქეთის კონტროლს ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის რკინიგზა.**

ამიერკავკასიისადმი დამოკიდებულების საკითხში თურქეთის წარმომადგენლობით წრეებში აღინიშნებოდა სამი მიმართულება:

პირველი — ვაჰიბ-ფაშას თაოსნობით თვლიდა, რომ მოლაპარაკებების დროს უნდა იყოს დაცული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები;

**მეორე** — თალათ-ბეის მეთაურობით თვლიდა აუცილებლად, რომ ამიერკავკასიისათვის ჩამოერთვათ სხვა ტერიტორიებიც;

**მესამე** — ენვერ-ფაშას თაოსნობით მოითხოვდა თურქეთისადმი მთელი ამიერკავკასიის მიერთებას.

საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი ა. ჩხენკელის მიერ მიწერილ წერილში ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ ნათქვამი იყო, რომ თურქები მიისწრაფვიან აზერბაიჯანის სრული ანექსიისკენ და აპირებენ, ხანად დასვან ენვერ-ფაშას ძმა ნური-ფაშა.

**„ყველგან ამიერკავკასიაში თურქებს ჰყავთ თავისი აგენტები, რომლებიც ეწეოდნენ პროპაგანდას მუსლიმურ მოსახლეობაში და ამ მხარის ყოველი მხრიდან, პატარა ქალაქებიდანაც კი, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, ბათუმისაკენ იგზავნებოდა სწორედ ამ აგენტების მიერ ინსპირირებული თხოვნები მფარველობის შესახებ“.**

**ახალციხის მუსლიმანურმა კომიტეტმა თურქეთის დელეგაციას გადასცა თხოვნა მაზრის დაუყოვნებლივ თურქეთთან მიერთების შესახებ. ამის საპასუხოდ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ წარმოადგინა სტატისტიკური ცნობები, რომლის თანახმადაც ახალქალაქის მაზრის 100-ათასიანი მოსახლეობიდან მუსლიმები მხოლოდ 26 ათასს შეადგენდნენ.**

ამასთან დაკავშირებით, ა. ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ატყობინებდა: **„თურქებმა გადაწყვიტეს, გაგზავნონ ჯარები სოხუმის ასაღებად და დაიწყეს შესაბამისი მზადება. მაგრამ მალევე იქნა მიღებული ცნობა, ჩვენ მიერ სოხუმის აღებისა და კომუნისტების განდევნის შესახებ. ეს ცნობა მეხივით გავარდა, ვინაიდან მოვლენათა ასეთ შემობრუნებას ისინი არ მოელოდნენ და იძულებული იყვნენ, ხე-** ▶

**თურქეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელ, სუსტ მეზობელს ადვილად წამოაჩოქებდა და ახალ-ახალ დათმობებს გამოსძალავდა**

**ისლამური სამყაროს და ცენტრალურ სამფლობელოთა თვალში გერმანულ-თურქული ძალების წინსვლა ნიშნავდა მორალურ გამარჯვებას, რითაც დამპყრობლებს ენიჭებოდათ სტრატეგიული და მატერიალური უპირატესობები**

კენჭისყრაში 24 სახელმწიფო მონაწილეობდა. საჭირო იყო 16 ხმის მიღება. საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა 10-მა სახელმწიფომ. ინგლისისა და საფრანგეთის ოპოზიციამ საქართველოს ერთა ლიგაში მიღება შეუძლებელი გახადა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეიტრალური და ევროპისგან უარყოფილი საქართველო

**1918 წლის 26 მაისს თბილისში, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში გამართულ ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.**

## ანტანტის ქვეყნები თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არარეალური იყო

◀ლი აელოთ თავის ჩანაფიქრზე“.

**ბათუმში თურქეთთან მოლაპარაკებამ გააშიშვლა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში სეიმის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს: მენშევიკებს, მუსავატელებსა და დაშნაკებს შორის არსებული უთანხმოების სიღრმე.**

**მუსავატელები აშკარად მიილტვოდნენ თურქეთისკენ და არ იქნებოდნენ წინააღმდეგი მისი პროტექტორატისა.** ასეთ რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა, დახმარება და მფარველობა ეთხოვა გერმანიისთვის. 14 მაისს შესაბამისი თხოვნა გაუგზავნა გერმანიის მთავრობას, სადაც ნათქვამი იყო:

**„1. საქართველოს ეროვნული საბჭო გამოხატავს სურვილს და თხოვნას, რომ გერმანიამ ხელი შეუწყოს საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების შეძლებისდაგვარად უმტკივნეულო გადაწყვეტას;**

**2. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები, რომ გერმანიის ჯარებმა განაგრძონ თავისი გზა ჩრდილო კავკასიისკენ და იმდენად მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი გახდეს მათთან კონტაქტების დამყარება და საქართველოს დაცვის უზრუნველყოფა გარეშე საშიშროებისგან;**

**3. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, ამის გაკეთებამდე დატოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და დაევალოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიყენოს ეს ჯარები შინაგანი წესრიგის დასამყარებლად და ანარქიასთან საბრძოლველად“.**

თურქები ცდილობდნენ, ახალი ულტიმატუმის წარდგენამდე დაეკავებინათ მხარის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი და ყველა დაეყენებინათ მომხდარი ფაქტის წინაშე. მათი მთავარი მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა ოფიციალური ულტიმატუმის წარდგენის გარეშე. მათ, ფაქტობრივად, განახორციელეს იგი. თურქეთის ამ მოქმედებასთან დაკავშირებით გენერალი **ფონ ლოსოვი ურჩევდა საქართველოს წარმომადგენლებს, დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და ეთხოვათ გერმანიისათვის მფარველობა.**

ფონ ლოსოვის სიტყვებით, ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც გადაარჩენდა საქართველოს თურქეთის შემოსევისა და დაღუპვისგან“.

უნდა აღინიშნოს, რომ **გერმანიამ, თურქების ამიერკავკასიის სიღრმეში გადაადგილებით შეშფოთებულმა, აიძულა ისინი 1918 წლის 27 აპრილს ხელი მოეწერათ საიდუმლო შეთანხმებაზე ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ.**

საქართველო დარჩა გერმანიის გავლენის სფეროში. ამრიგად, გერმანია საქართველოს მოწვევის გარეშე აპირებდა ამიერკავკასიაში განმტკიცებას, მაგრამ საქართველოს ოფიციალური მიმართვა დახმარებისთვის მას აძლევდა საშუალებას, **მოსულიყო არა „ოკუპანტის“, არამედ მფარველის სახელით და საქმე ჰქონოდა მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყანასთან. შემთხვევით არ იყო, რომ გერმანიის სარდლობა სიამოვნებით გამოეხმაურა საქართველოს თხოვნას, რადგან, როგორც იგონებს ფელდმარშალი ლუდენდორფი, ამან თურქეთისგან დამოუკიდებლად შესაძლებელი გახადა კავკასიური ნედლეულისა და რკინიგზების გამოყენება.**

„ამიტომ მე ვუშუამდგომლობდი იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს თხოვნის დასაკმაყოფილებლად“.

## ახალციხის მუსლიმანურმა კომიტეტმა თურქეთის დელეგაციას გადასცა თხოვნა მაზრის დაუყოვნებლივ თურქეთთან მიერთების შესახებ

დამოუკიდებლობის აქტით ცხადდებოდა საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტი და კეთილმეზობლობის სურვილი მსოფლიო თანამეგობრობის ყველა წევრთან, განსაკუთრებით მეზობელ ხალხებთან. მაგრამ თურქებმა ისარგებლეს ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის არცნობით, განავითარეს სამხედრო შეტევა და დაიკავეს საქართველოს და სომხეთის საგრძნობი ნაწილი.

**14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დახმარებისა და მფარველობისთვის გერმანიას მიმართა. გერმანიის ხელისუფლება დადებითად მოეკიდა ამ თხოვნას.**

28 მაისს ფოთში გერმანიისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებათა პაკეტს. იმავე დღეს გერმანიის წარმომადგენელმა ფონ ლოსოვმა საიდუმლო წერილით აღუთქვა საქართველოს ხელისუფალთ, რომ შეეცდებოდა დაეყოლიებინა გერმანიის მთავრობა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში ამ უკანასკნელისთვის მხარდაჭერის აღმოჩენაზე, რუსეთისგან გამოყოფის შემდგომ კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე.

ა. ჩხენკელი გერმანიის დელეგაციას ბერლინში გაჰყვა. თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ითავა ნ. რამიშვილმა, რომელიც 31 მაისს ჩავიდა ბათუმში. ბათუმში საზავო მოლაპარაკება დასრულდა 1918 წლის 4 ივნისს. „ზავის და მეგობრობის“ ხელშეკრულება თურქეთს აკუთვნებდა მთელ მესხეთს, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით.

საინტერესოა რუსეთისა და ანტანტის ქვეყნების რეაქცია საქართველო-გერმანიის დაახლოების ფაქტზე.

**ბოლშევიკურ რუსეთში საქართველოში ამ დროისთვის შექმნილი სიტუაციის შეფასებისას ამბობდნენ, რომ „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ“.**

ანტანტის ქვეყნები, რომელნიც გერმანიას ეომებოდნენ, ასევე თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არარეალური იყო. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ფრენკ პოლკი სწერდა 31 ივლისს დიდ ბრიტანეთში ამერიკის ელჩს პეიჯს:

**„დოქტორი კიულმანის 24 ივნისის გამოსვლიდან ჩანს, რომ გერმანიის მთავრობამ ცნო საქართველოს „დამოუკიდებლობა“. კიულმანის განცხადება, თურქული პრესის ტონი და სხვა ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა საქართველო სრული კონტროლის ქვეშ მოაქციეს“.**

1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საერთო კრებაზე იხილებოდა საქართველოს ამ ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხი. საკითხის დაყენება ერთა ლიგის საერთო კრებაზე ჟენევაში მომზადდა ერთა ლიგის მუდმივ სამდივნოსთან მოლაპარაკებებისა და მიმოწერის გზით 1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე.

ერთა ლიგა, წესდების თანახმად, მიზნად ისახავდა „თანამშრომლობის განვითარებას ხალხთა შორის და მათი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიას“.

**საქართველოს და სხვა ახალგაზრდა ქვეყნებს ერთა ლიგისკენ იზიდავდა მისი წესდების მეათე მუხლი. ამ მუხლის თანახმად, ერთა ლიგის წევრები იღებდნენ ვალდებულებას, პატივი ეცათ და დაეცვათ ორგანიზაციის ყველა წევრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ სწორედ ეს მუხლი გახდა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების ხელის შემშლელი გარემოება.** განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ ფ. ნანსენი (ნორვეგია) და რ. სესილი (სამხრეთ აფრიკა). ნანსენმა საქართველოს მხარდამჭერი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

სესილმაც მხარი დაუჭირა საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში. შემდგომ ამისა, სიტყვა მოითხოვა ინგლისის წარმომადგენელმა ფიშერმა. მან განაცხადა, რომ ნანსენისა და სესილის განცხადებები სწორია, მაგრამ საქართველოს დაცვა სირთულეს წარმოადგენს. არ შეიძლება საქართველოს საკითხის განცალკევება ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა საკითხისგან (საქართველოს საკითხის განხილვამდე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვივიანი ბალტიის ქვეყანაში ერთა ლიგაში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოვიდა). **„მე ვითხოვ დაფიქრებას საკითხზე, მზად ვართ თუ არა, ვურჩიოთ ჩვენს მთავრობებს, აღმოუჩინონ მატერიალური დახმარება ამ მამაც პატარა სახელმწიფოს, თუ ამგვარი აუცილებლობა დადგება“,** — დასძინა ფიშერმა.

კენჭისყრაში 24 სახელმწიფო მონაწილეობდა. საჭირო იყო 16 ხმის მიღება. საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა 10-მა სახელმწიფომ. ინგლისისა და საფრანგეთის ოპოზიციამ საქართველოს ერთა ლიგაში მიღება შეუძლებელი გახადა.

**იმავდროულად საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ანგორის მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენელთან კიაზიმბეისთან. იგი ცდილობდა, მოეპოვებინა თურქეთის დაპირება დახმარების ან ნეიტრალიტეტის შესახებ. 1921 წლის 11 იანვრის შემდეგ თბილისსა და ანგორას შორის მოხდა დეპეშების გაცვლა. თურქეთი დათანხმდა, გაეწვია სამხედრო დახმარება იმ პირობით, თუ საქართველო უარს იტყოდა ოლთისის დაბლობზე და დათმობდა არდაღანის მხარეს.**

**თურქებს ესმოდათ, რომ დემოკრატიული საქართველო უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. ამიტომაც მათთვის მთავარი იყო, მოქმედებათა დაწყებამდე ხელთ ეგდოთ მომენტი, რათა მოვლენებისთვის წინ არ გაესწროთ და არც დაეგვიანებინათ.** 17 თებერვალს ნოე ჟორდანიამ განაცხადა საქართველოს მთავრობის თანხმობის შესახებ თურქეთის პირობებზე, თუ **„თურქეთი დაუყოვნებლივ გადმოვიდოდა საქართველოს მხარეზე“.** ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 1921 წლის თებერვალში ანკარაში ჩასულ საქართველოს წარმომადგენელთან ს. მდივანთან. **მაგრამ თურქეთი საქმეს აჭიანურებდა და არც დახმარებია საქართველოს, არდაღანსა და ართვინში კი ჟორდანიას თანხმობით თავისი ჯარები შეიყვანა.**

**„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“**




## გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამეერთე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ფოტოები ადამიანებისგან»

**თითქმის ასი წლის წინათ, ყოველგვარი კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და პროგრამული ხელშეწყობის გარეშე, არტურ მოლივმა (1889-1983) შექმნა უჩვეულო, საზოგადოებრივი ფოტოების სერია სახელწოდებით „ფოტოები ადამიანებისაგან“.** მათ გადასაღებად ორგანიზებულ იქნა ათასობით ჯარისკაცისგან შემდგარი ჯგუფები, რომლებიც ქმნიდნენ პატრიოტულ სიმბოლოებსა და ლოგოებს.





# ცნობილი ადამიანების უკანასკნელი ფოტოები



## უილ პოსტი და უილ როჯერსი

**უილ პოსტი იყო პირველი ადამიანი, რომელსაც სურდა, დედამიწისთვის შემოეფრინა თავის მეგობარ უილ როჯერსთან ერთად, რომელიც ცნობილი კომიკოსი გახლდათ.** სურათი 1935 წლის 15 აგვისტოს აფრენამდე რამდენიმე წუთით ადრეა გადაღებული. ძრავის გაუმართაობის გამო თვითმფრინავი ალიასკასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე ჩამოვარდა და ორივე პილოტი გარდაიცვალა.



## ჯონ და ჯეიკ ნილები

**ჯონ და ჯეიკ ნილები იყვნენ ადამიანები, რომლებიც 2004 წლის 26 დეკემბერს ტაილანდში საზარელი ცუნამის შედეგად დაიღუპნენ.** რამდენიმე დღის შემდეგ სამაშველო ოპერაციისას იპოვეს ფოტოკამერა, რომლის მეხსიერების ბარათი დაზიანებული არ იყო. სურათების გადაწერის შედეგად აღმოაჩინეს, რომ უკანასკნელი სურათი 26 დეკემბრის 8:30 საათზე იყო გადაღებული — ცუნამის წამოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე.



## მერლინ მონრო

**ფოტო გადაღებულია 1962 წლის 7 ივლისს მონროს სახლში.** თითქმის ერთი თვის შემდეგ, 1962 წლის 5 აგვისტოს, გამთენიისას, იგი საკუთარ სახლშივე გარდაცვლილი იპოვეს.



## აბრაამ ლინკოლნი

**ამერიკის რიგით მეთექვსმეტე პრეზიდენტის, აბრაამ ლინკოლნის ეს სურათი თეთრი სახლის აივანზე 1865 წლის 6 მარტსაა გადაღებული.**

დაახლოებით ერთი თვის თავზე, 15 აპრილს, ფორდის სახელობის თეატრში ლინკოლნს თავში ესროლეს და მოკლეს. იგი პირველი პრეზიდენტი იყო აშშ-ის ისტორიაში, რომელიც მოკლეს.



## ბილ ბიგარტი

**ცნობილი ფოტოგრაფი ბილ ბიგარტი 11 სექტემბერს მომხდარი ტრაგედიის დროს გარდაიცვალა.** სამაშველო ოპერაციის დროს აღმოაჩინეს ფოტოაპარატი, რომლის მეხსიერების ბარათი იდეალურ მდგომარეობაში იყო და ბილის ცოლს გადასცეს. ბარათზე 150 სურათი აღმოჩნდა, მათგან უკანასკნელი დილის 10:28 საათზე იყო გადაღებული — ერთი წუთით ადრე მეორე შენობის ჩამონგრევამდე.



## ადოლფ ჰიტლერი

**ეს სურათი ჰიტლერის სიკვდილამდე ორი დღით ადრეა გადაღებული ბერლინში, იმ ბუნკერის შესასვლეთან, სადაც ბოლო პერიოდში იმყოფებოდა.** ამავე დღეს მან ევა ბრაუნთან იქორწინა და ანდერძიც დაწერა, 1945 წლის 30 აპრილს კი საკუთარ ოთახში თავი მოიკლა.



## ალბერტ აინშტაინი

**ცნობილი ფიზიკოსის, ალბერტ აინშტაინის უკანასკნელი ფოტო, სავარაუდოდ, ნიუ ჯერსიში, მის სახლთან ახლოს, 1955 წლის 16 მარტს არის გადაღებული.**

ერთი თვის შემდეგ იგი შეუძლოდ გახდა, რისი მიზეზიც შინაგანი სისხლდენა იყო. მან ექიმის მიერ დანიშნული წამლები შეიძინა, მაგრამ დალევა ველარ მოასწრო — მომდევნო დღეს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.



## პრინცესა დიანა

**სურათზე გამოსახულია 4 ადამიანი: მანქანის მძღოლი ანრი პოლი, მარჯვნივ, მის უკან, დიანას პირადი მცველი, მარცხნივ ტრევორ რიის-ჯონსი ასევე დიანას პირადი მცველი, ხოლო მის უკან თავად დიანა, რომელიც ცდილობს, პაპარაცებს აარიდოს თავი.** სურათი გადაღებულია 1997 წლის 31 აგვისტოს, დილის 12:30 საათზე პარიზში. რამდენიმე წამის შემდეგ 105 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი მანქანა მძღოლმა ვერ დაიმორჩილა და ერთ-ერთ გვირაბში ამოყირავდა. მძღოლი და დაცვის ერთი წევრი ადგილზე გარდაიცვალნენ, დიანა და რიის-ჯონსი საავადმყოფოში გადაიყვანეს. დიანას გადარჩენა ვერ მოხერხდა, რიის-ჯონსი ამ ავტომანქანის ერთადერთი გადარჩენილი მგზავრია.



## ანა ფრანკი

**1942 წელს გადაღებული ეს ფოტო, სადაც ანა ფრანკი დასთან ერთადაა, მის უკანასკნელ ფოტოდ ითვლება.** 1944 წლის 4 აგვისტოს იგი და მისი ოჯახი გერმანელებმა დააპატიმრეს და გადაასახლეს. ანას და მის დას ცხოვრება უწევდათ ერთ ბნელ ოთახში, სადაც ვირთხები დარბოდნენ, იყო საშინელი სიბინძურე. ანას და, მარგოტი დაავადდა და გარდაიცვალა. რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა ანა ფრანკიც.



## ელვის პრესლი

**ეს ფოტო ელვისის სახლთან 1977 წლის 16 აგვისტოსაა გადაღებული.** ამავე დღის 3:30 საათზე იგი საკუთარ სააბაზანოში ნახეს გარდაცვლილი.





**ეველინს ადამსი**
**ამ ქალბატონმა 1985-1986 წლებში ორჯერ მოიგო ლატარეაში, მთლიანი თანხა 5,4 მილიონ დოლარს შეადგენდა.** მთელი თანხა ეველინმა კაზინოში გაფლანდა და დღეს ამ ფოტოზე ასახულ ადგილას ცხოვრობს.




**კენ პროკსმაირი**
**ვიდრე მილიონ დოლარს მოიგებდა, ავტოგასამართ სადგურში მუშაობდა. იღბლიანი ბილეთის განაღდების შემდეგ კალიფორნიაში გაემგზავრა და საკუთარი ბიზნესი წამოიწყო.** არ გაუმართლა და გაკოტრდა, თუმცა თავად კენი და მისი შვილი დიდად არ ნაღვლობენ ამას და აცხადებენ, რომ ცხოვრება გრძელდება და ყველაფერი წინაა.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იღბლიანი ლატარიის ბილეთის უიღბლო მფლობელები

**გგონიათ, ყველა, ვინც დიდ ფულს იგებს, ბედნიერია და ცხოვრება უზრუნველყოფილი აქვს? არიან ადამიანები, რომლებმაც მილიონები მოიგეს და ერთ დღეში გამდიდრდნენ, მაგრამ, ერჩიათ, არაფერი მოეგოთ.**



**კელი როჯერსი**
**ეს გოგონა ერთ დროს ყველაზე ბედნიერი მოზარდი იყო მსოფლიოში. სულ რაღაც 16 წლის იყო, როდესაც ლატარეაში მან 1,9 მილიონი ევრო მოიგო.** იმ დროს ეს თანხა დაახლოებით 3 მილიონ დოლარს შეადგენდა. მან მთელი თანხა შოპინგებში დახარჯა, სახლში მხიარულ საღამოებს მართავდა და მკერდის გასადიდებელი ოპერაცია გაიკეთა. ახლა ის 22 წლისაა, ორი შვილი ჰყავს და დამლაგებლად მუშაობს. კელიმ უკვე 2-ჯერ სცადა თვითმკვლელობა.



**ენდრიუ ჯექსონი**
**იგი წარმატებული ბიზნესმენი იყო და მშვენივრადაც ცხოვრობდა, როდესაც 2002 წლის დეკემბერში 315 მილიონი მოიგო. თანხის აღების შემდეგ 10% სხვადასხვა ქრისტიანულ ფონდებში დაარიგა, შექმნა საკუთარი სახელობის საქველმოქმედო ფონდი, რომლის კაპიტალი 14 მილიონი გახლდათ. ამის შემდეგ დაიწყო უსიამოვნებები.** ორჯერ დააკავა პოლიციამ საქესთან არაფხიზელ მდგომარეობაში. რამდენიმეჯერ გაქურდეს, რის შედეგადაც 3 მილიონი მოპარეს. ცოლი გაშორდა. 2003 წელს მის სახლში შვილიშვილის მეგობარი ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს, სიკვდილის მიზეზი – ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზა აღმოჩნდა. რამდენიმე თვეში იმავე მიზეზით გარდაიცვალა ენდრიუს შვილიშვილიც, რამდენიმე წელიწადში კი — მისი ქალიშვილიც.



**ბილი ბობ ჰარელი**
**მან ლატარეაში 31 მილიონი დოლარი მოიგო, იყიდა რამდენიმე ბინა, ავტომანქანა და გაჩერდა, მაგრამ მისმა კეთილმა გულმა უარით ვერ გაისტუმრა კარზე დახმარების სათხოვნად მომდგარი ადამიანები.** მალე მთელი თანხა დახარჯა, ცოლიც გაშორდა და რამდენიმე ხნის შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.



**მაიკლ კეროლი**
**ეს ადამიანი გახლავთ მაგალითი, თუ რაოდენ სულელი შეიძლება იყოს კაცი. იგი მენაგვედ მუშაობდა, როდესაც 15 მილიონი დოლარი მოიგო. როგორც კი თანხა აიღო, უმალ მისი ხარჯვა დაიწყო.**

ყიდულობდა ძვირფას საჩუქრებს ოჯახის წევრებისთვის, დაიწყო სიარული ღამის კლუბებში, შეეჩვია კოკაინს, ძვირფას მანქანებს და მეძავებს. მოგებიდან ერთ წელიწადში კოკაინზე ისე შეჯდა, რომ დღეში 2000 დოლარი არ ჰყოფნიდა.

მიატოვა ცოლი და ასიათასობით დოლარი რამდენიმე თვეში მეძავებს დაახარჯა. უაზროდ ყიდულობდა ძვირფას ჯიშიან ძაღლებსა და ცხენებს. 1 მილიონი დოლარი კი საყვარელ სპორტულ კლუბს გადასცა საჩუქრად. დღეს ის უკვე ღარიბულად ცხოვრობს, როგორც უმუშევარი 42 ევროს ღებულობს და მენაგვის სამსახურზე ოცნებობს.



# ტრიორა — კუდიანების ქალაქი

**ეს უჩვეულო ქალაქი იტალიაში, ლიგურიის რეგიონში, საფრანგეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს. მოსახლეობა სულ რაღაც 423 ადამიანისგან შედგება. ქალაქი ჯერ კიდევ 1293 წელს დაარსდა, მაგრამ ასეთი უცნაური სახელი მან მე-16 საუკუნეში მიიღო.**





1557 წელს იტალიაში საშინელი გვალვები იყო, მოსავლის დიდი ნაწილი გახმა და ხალხიც შიმშილობდა. ბუნების ეს ახირება კუდიანებს დააბრალეს და მთავრობამ ჯილდო დააწესა მისთვის, ვინც ამხელდა სატანის ამ მოციქულებს. დაიწყო დაბეზღებები, მეზობლები ერთმანეთს ადებდნენ ხელს და, თუკი ვინმეზე გულში რაიმე ბოღმა ჰქონდათ, ურცხვად იყრიდნენ ჯავრს.

**ქალაქ ტრიორეში კი ნამდვილი ქაოსი იყო. შვილები მშობლებს აბეზღებდნენ, მიტოვებული ქმრები — თავიანთ ცოლებს და ა.შ.**

„კუდიანებს“ სასტიკად აწამებდნენ და შემდეგ საჯაროდ წვავდნენ კოცონზე. ცეცხლის ალი ერთი წუთითაც არ ქრებოდა. მოსახლეობა შიშის ქვეშ ცხოვრობდა, რადგანაც ყოველ წუთს შეიძლებოდა, ნებისმიერ მათგანს მისდგომოდნენ კარზე და კოცონზე წაეყვანათ.

**მთავრობამ სპეციალური ციხეც კი ააშენა „კუდიანებისთვის“. ფიქრობდნენ, რომ ბევრი კუდიანის ერთად ყოფნა არ შეიძლებოდა, რადგანაც ასე უფრო ძლიერები იყვნენ, ამიტომ ცალ-ცალკე გალიებში გამოკეტეს.**

მოსახლეობის მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ივსებოდა. ბოლო წვეთი იყო 2 ქალის დაპატიმრება, რომელთაგანაც ერთმა წამებას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, მეორე კი გაიქცა, მაგრამ უფსკრულში გადაიჩეხა. ხალხი აჯანყდა და „კუდიანებზე“ ნადირობაც შეჩერდა. რამდენიმე დღეში კი ნანატრი წვიმაც წამოვიდა.

ხალხის წამებამაც იკლო, ინკვიზიციას დიდი ოპოზიციური ძალა დაუდგა წინ და 1590 წელს დაიწყეს ციხეებიდან ხალხის გამოშვებაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ამბავს უამრავი ადამიანი შეეწირა, ბევრმა ციხეში დალია სული, ვერ გაუძლო საშინელ პირობებს.

**დღეს კი ტრიორას მცხოვრებლები ამაყობენ თავიანთი წარსულით და სიამოვნებით მოგიყვებიან რამდენიმე საშინელ ამბავს ისე დამაჯერებლად, თითქოსდა თავიანთი თვალით ენახოთ ყოველივე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ყვება ასობით ნაწამებ ქალზე, თუ როგორ წვავდნენ მათ ცეცხლზე.**

**ქალაქის საშინელი წარსული მაგნიტივით იზიდავს ტურისტებს.**

ტრიორეში ნამდვილად არის სანახავი ადგილები. აქ ყველაფერი აგებულია „კუდიანებზე“. ქალაქის ცენტრში დგას „კუდიანების“ მუზეუმი, ყველა კუთხეში კუდიანების მაღაზიაა. მთელს ქალაქში მიმოყრილია, დადგმულია ან უბრალოდ ჩამოკიდებულია „კუდიანების“ კუთვნილი ნივთები — ცოცხები, პატარა ქანდაკებები.

ასევე შემონახულია იმდროინდელი უამრავი ნივთმტკიცება: კუდიანების ქოხები, უამრავი სახლი-ციხე, რომლის ფანჯრებზე დღესაც რკინის გისოსებია და ყველაზე მთავარი — მოედანი La Cabotina, სადაც „კუდიანებს“ წვავდნენ.













# ფორცა, «ფერერო»! ჩაო, სამეგრელო...

**რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხიდან დაგვიკავშირდნენ და გვაცნობეს, რომ რაიონის საუკეთესო მიწის ნაკვეთების უმეტესობა ცნობილმა იტალიურმა კომპანია „ფერერომ" შეისყიდა, რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დღეს, ფაქტობრივად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საძოვრების გარეშეა დარჩენილი. „საქართველო და მსოფლიო", ბუნებრივია, დაინტერესდა ამ საკითხით და საქმის ვითარებაში დეტალურად გარკვევას შეეცადა. კონკრეტულად რა სახის ბიზნესს აწარმოებს კომპანია „ფერერო" სამეგრელოში და რა ფორმით არღვევს იგი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს, ამ საკითხებზე დეტალურად თავად სოფელ კირცხის ერთ-ერთი მკვიდრი კუკური ჯიქია გვესაუბრება:**



— საქმე ისაა, რომ კომპანია „ფერერომ", რომელიც, იტალიელებს ეკუთვნით, 2008 წლიდან მოყოლებული ჩვენს რაიონში რაც კი საუკეთესო და ყველაზე ნაყოფიერი ნაკვეთები იყო, თითქმის სულერთიანად შეისყიდა და თხილის პლანტაციების გაშენება დაიწყო. შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა, ფაქტობრივად, მიწის გარეშე დარჩა, რამაც, ბუნებრივია, უამრავი პრობლემა შექმნა. საქონელი რომ საქონელია, ხალხს ეზოდან ვერ გაუშვია, სავარგულებზე და სახნავ-სათეს მიწებზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია, ალარაფერი დაგვიტოვეს. **გარდა ამისა, რამდენიმე ხნის წინათ, ჩვენს სოფელში ამავე კომპანიამ შეისყიდა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე არსებული ტყის მასივებიც, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობას, ყველა სიკეთესთან ერთად, ზამთარში უკვე შეშის პრობლემაც შეექმნება. ახლა კი გვეუბნებიან, შეგიძლიათ ამ ტყით ხუთი წელი ისარგებლოთო, მაგრამ ხუთი წლის მერე რა იქნება, არავინ იცის...** მოკლედ, აი, ასეთ დღეში ვართ და გვინდა, მივმართოთ ყველა შესაბამის დაწესებულებას, უწყებასა და თანამდებობის პირს, ვისაც კი ეს საკითხი ეხება, რომ მოგვაქციონ ყურადღება; არ შეიძლება სოფელი მიწის გარეშე და ისე ნუ იზამენ, რომ რეგიონები მოსახლეობისგან დაიცალოს...

**— კონკრეტულად რამხელა ფართობი აქვს კომპანია „ფერეროს" თქვენს სოფელში შესყიდული?**

— ლაპარაკია სამოცდათხუთმეტ ჰექტარზე, რომელიც, ვიმეორებ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. თავის დროზე, როცა კომპანია აღნიშნული ტერიტორიით დაინტერესდა, ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოვხატეთ ჩვენი პროტესტი და პირდაპირ ვუთხარით მათ, რომ არავითარ შემთხვევაში მიწას არ დავთმობდით. შემდეგ, როცა მიხვდნენ, რომ უკან დახევას არ ვაპირებდით, სხვა გზა არ ჰქონდათ და მოლაპარაკება შემოგვთავაზეს, — იქნებ რამეზე შევთანხმდეთო. **ამ მოლაპარაკებას ესწრებოდა რაიონისა და სოფლის გამგებლები და კომპანია „ფეროროს" წარმომადგენელი. მოკლედ, ბევრი რალა გავაგრძელო და მაშინ იმაზე შევთანხმდით, რომ იმ სამოცდათხუთმეტი ჰექტარი მიწიდან ნახევარი, ანუ ოცდათხუთმეტი ჰექტარი მოსახლეობას დარჩებოდა, მეორე ნახევარი კი — „ფერეროს". დროთა განმავლობაში ჩვენ ამ ნაკვეთის შესყიდვას ვაპირებდით, მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, რომ გავიდა რაღაც პერიოდი და კომპანიამ შეთანხმება დაარღვია, ანუ ახლა უკვე უარს ამბობენ მოსახლეობისთვის ოცდათხუთმეტი ჰექტარის დატოვებაზე და მხოლოდ ოცდაორ ჰექტარს გვთავაზობენ. დარწმუნებული ვარ, ამაზეც რომ დავთანხმდეთ, ხვალ და ზეგ იმ ოცდაორ ჰექტარსაც წაგვართმევენ და საბოლოოდ ერთი გოჯი მიწაც არ დაგვრჩება. არადა, სამოცამდე ოჯახი ვართ ამ ნაკვეთზე დამოკიდებული და მითხარით ერთი, როგორ ვიარსებოთ ჩვენ, სოფლის მცხოვრებლებმა, თუკი მიწა არ გვექნება?**

...გამოდის ჩვენი პრეზიდენტი და ოცდაოთხი საათი სოფლის ხელშეწყობის პროგრამებზე ლაპარაკობს. ეს არის ხელშეწყობა?! ჩვენს სოფელში და ჩვენს ქვეყანაში ლამის დევნილებად გვაქციონ!..

**— თქვენ თქვით, რომ თავის დროზე თქვენსა და „ფერეროს" წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებას სოფლისა და რაიონის გამგებლებიც ესწრებოდნენ. დღეს, როცა კომპანიამ შეთანხმება დაარღვია, რა პოზიცია აქვთ ამ ადამიანებს?**

— არანაირი გამოხმაურება და რეაგირება ამ ფაქტზე მათი მხრიდან არ ყოფილა, ამიტომაც ვამბობ, რომ ეს კომპანია მიშვებულია თავის ნებაზე და, თუ მოუნდებათ, ხვალ და ზეგ იმ ოცდაორ ჰექტარ მიწასაც წაგვართმევენ, მათი აზრით, სამადლოდ რომ დაგვიტოვეს. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა მათ მხარესაა და მათ უფლებებს იცავს, ჩვენი ინტერესი კი აბსოლუტურად უგულებელყოფილია...

**— გასაგებია, მაგრამ თქვენ, სოფლის მცხოვრებლები, როგორ და რა ფორმით აპირებთ თქვენი უფლებებისთვის ბრძოლას?**

— მე მხოლოდ ერთადერთი რამის თქმა შემიძლია დაბეჯითებით, როგორც დასაწყისში გითხარით: **ჩვენთვის ეს მიწა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და, თუკი მას წაგვართმევენ, მაშინ სოფელში ცხოვრებას, უბრალოდ, აზრი არ ექნება; ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.**

რაც შეეხება კითხვას, როგორ და რა ფორმით ვიბრძოლებთ, პირდაპირ გეტყვით: დღეს ჩვენზე ზეწოლა ხორციელდება, გვემუქრებიან და გვაშინებენ, რომ, თუ არ გავჩერდებით, ამას და ამას გვიზამენ. მარტო პირველ დღეს, როცა კომპანია „ფერერომ" ჩვენს სოფელში მიწის დამუშავება დაიწყო და ტრაქტორები შემოიყვანა, სულ ცოტა, ორმოცდაათი პოლიციელი და ორგანოს თანამშრომელი მაინც იქნებოდა უბანში შემოსული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი შესაძლებლობები, ჩვენსავე უფლებების დასაცავად, ამ შემთხვევაში, მაქსიმალურად შეზღუდულია; თუმცა, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ყველაფრის მიუხედავად, სოფლის მცხოვრებლები არც ერთი გოჯი მიწის დათმობას ნამდვილად არ აპირებენ...

**— თქვენ თქვით, რომ პოლიცია გაშინებთ და გემუქრებათ, კონკრეტულად რა სახის მუქარებია და პირადად თქვენ თუ დაგემუქრნენ?**

— დიახ, პირადად მეც რამდენიმეჯერ დამემუქრნენ და, სიმართლე გითხრათ, ამ მუქარის ნამდვილად არ მეშინია, მაგრამ, როცა საქმე შვილისა და მთლიანად ოჯახის უსაფრთხოებას ეხება, იძულებული ხარ, რაღაც მომენტში უკან დაიხიო, მით უფრო, რომ ამათგან ნამდვილად ყველაფერია მოსალოდნელი, რაშიც თავადაც დღემდე არაერთხელ დავრწმუნდი...

**— ანუ გინდათ, თქვათ, რომ თქვენს ოჯახსაც ემუქრებიან?**

— პირდაპირ არ უთქვამთ, თუ არ გავჩერდები, ჩემს ოჯახსაც შეეხებიან, მაგრამ ის, რომ პირადად მე დამემუქრნენ და გამაფრთხილეს, ეს უკვე თავისთავად ჩემი ოჯახის მუქარასაც ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, ამათი მოქმედების სტილი რომ ვიცი, ოღონდ ადამიანი გააჩუმონ და ოჯახს კი არა, მთლიანად მის მოდგმას შეეხებიან, ამიტომ არაფერს გამოვრიცხავ. ასე თუ ისე, ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც არ აქვს. მე ერთი რამ ვიცი — მიწის გარეშე სოფელი ვერ იარსებებს და არავის იმის უფლება არ აქვს, რომ ხალხს საარსებო წყარო წაართვას; **თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ პრეტენზიას მხოლოდ უცხოურ კომპანიას ვერ წავუყენებთ, პრეტენზია უფრო ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეიძლება გვქონდეს, რადგან სწორედ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოსახლეობას მიწის პრობლემა არ ჰქონდეს, მითუმეტეს მაშინ, როცა ვიღაც გადამთიელები ჩამოდიან და აქ, ჩვენს ტერიტორიაზე, თვალუწვდენელ პლანტაციებს აშენებენ...**

ვფიქრობ, ეს არც თუ ძნელად მოსაგვარებელი საკითხია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მე ვერ ვატყობ ვერც ადგილობრივ ხელისუფლებას და ვერც სხვა შესაბამის დაწესებულებებს, რომ მოსახლეობის სატკივარი და პრობლემები რეალურად აწუხებდეთ.

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. ცნობისთვის: კომპანია „ფერერო", რომელიც საქართველოში ინვესტიციებს 2007 წლიდან ახორციელებს, დღეისთვის სამეგრელოში დაახლოებით 1240 ჰექტარ მიწის ფართობს ფლობს. ეს ტერიტორია მან თავის დროზე 1 200 000 დოლარად შეიძინა და, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნული კომპანიის კაპიტალდაბანდების ინტენსივობა ჩვენს ქვეყანაში მაღალია, ძნელი წარმოსადგენი არ არის, უახლოეს მომავალში რა საფრთხეც ემუქრება რეგიონს. მოკლედ, ასე თუ ისე, ფაქტია, რომ ინვესტორები ჩვენზე ჭკუას კარგავენ და მათ, უბრალოდ, აქედან ფეხის მოცვლაც არ უნდათ, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ხელები გულზე დავიკრიფოთ და ბოლო ხმაზე შევძახოთ: ჩაო, სამეგრელო!..**


## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net


## გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 7 სექტემბერს